ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ნატო შავრეშიანი

პარატაქსულ-ჰიპოტაქსური კონსტრუქციები სვანურში

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2022



აღნიშნული პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი YS-19-435). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

This Project has been made possible by financial support from the Shota Rustaveli National Science Foundation (grant YS-19-435). All the Ideas expressed here with are those of the author, and may not represent the opinion of the Foundation itself.

რედაქტორები: **მედეა საღლიანი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
მერაბ ჩუხუა – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

Editor: **Medea Saghliani** – Doctor of Philologi
Merab Chukhua – Doctor of Philologi

რეცენზენტი: **ელიზავეტა გაზდელიანი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
Reviewer: **Elizaveta Gazdeliani** – Doctor of Philologi

ინგლისური ტექსტის მთარგმნელი და რედაქტორი:
შორენა შავრეშიანი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
English version editor:
Shorena Shavreshiani – Doctor of Philologi

ტექნიკური რედაქტორი – **ლევან ვაშაკიძე**
IT editor – **Levan Vashakidze**

© ნ. შავრეშიანი, 2022

გამომცემლობა „უნივერსალი", 2022

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკის №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-247-0

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა **7**

შესავალი
სვანურის სინტაქსის შესწავლის ისტორია **12**

თავი I
რთული წინადადება **29**
§ 1. პარატაქსული კონსტრუქციები 31
§ 2. ჰიპოტაქსური (რთული ქვეწყობილი) წინადადება 51
§ 3. დამოკიდებულ წინადადებათა კლასიფიკაცია 54
§ 4. მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის სინტაქსური ურთიერთობა 67
§ 5. წევრ-კავშირები 91
§ 6. აღწე||აღო მაქვემდებარებელი კავშირი 100
§ 7. ასინდეტური ქვეწყობილი წინადადება 111
§ 8. ქვემდებარულდამოკიდებულიანი ჰიპოტაქსური წინადადება 126
§ 9. დამატებითდამოკიდებულიანი ჰიპოტაქსური წინადადებები 138
§ 10. უბრალო დამატებითდამოკიდებულიანი ჰიპოტაქსური წინადადება 148
§ 11. განსაზღვრებითდამოკიდებულიანი ჰიპოტაქსური წინადადება 160
§ 12. შემასმენლურდამოკიდებულიანი ჰიპოტაქსური წინადადება
გარემოებითდამოკიდებულიანი ჰიპოტაქსური წინადადებები 188
§ 13. ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება 196
§ 14. დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება 205
§ 15. ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება 218
§ 16. მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება 228
§ 17. მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება 236
§ 18. პირობითდამოკიდებულიანი ჰიპოტაქსური წინადადება 247

თავი II
შეკვეცილი რთული წინადადებები სვანურში **257**

თავი III
სიტყვათა გამეორება ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში **268**

თავი IV
ჰიპოტაქსური კონსტრუქციები რამდენიმე დამოკიდებულით **275**

თავი V
შერეული სახის (ზერთული) წინადადება **288**

CONTENT

Foreword 10
History of the study of Svan syntax

Chapter I
Compound Sentence **313**
§ 1. Paratactic constructions 314
§ 2. Hypotactic (compound subordinate) clause 315
§ 3. Classification of subordinate clauses 315
§ 4. Syntactic relationship between relative pronouns and indicatory word 317
§ 5. Member-conjunctions 318
§ 6. Aywe || ayo subordinating conjunction 319
§ 7. Asyndetic compound subordinate clause 320
§ 8. Hypotactic sentence with subject clause 321
§ 9. Hypotactic sentence with object clause 321
§ 10. Hypotactic sentence with simple object clause 322
§ 11. Hypotactic sentence with attributive clause 323
§ 12. Hypotactic sentence with predicative clause 324
Hypotactic sentence with adverbial clause 325
§ 13. Adverbial clause of place 325
§ 14. Adverbial clause of time 326
§ 15. Adverbial clause of manner 327
§ 16. Adverbial clause of cause 328
§ 17. Adverbial clause of purpose 329
§ 18. Hypotactic sentence with conditional clause 330

Chapter II
Reduced compound sentence in Svan **331**

Chapter III
Repetition of words in hypotactic constructions **332**

Chapter IV
hypotactic constructions with several subordinate **332**

Chapter V
Mixed (extremely complicated) sentence **333**

წინასიტყვაობა

ნაშრომი შესრულდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის („პარატაქსულ-ჰიპოტაქსური კონსტრუქციები სვანურში“ – YS-19-435) ფარგლებში, თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებაში.

სინტაქსის საკითხები ქართულ ენათმეცნიერებაში უამრავი მეცნიერის კვლევის ობიექტი ყოფილა და შესაბამისად აღნიშნულ გრამატიკულ კატეგორიასთან დაკავშირებით მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს. რაც შეეხება სვანურს, სვანური სინტაქსის შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს: ვ. თოფურიამ, მ. ქალდანმა, ნ. აბესაძემ, ა. კიზირიამ, გ. როგავამ, ი. ჩანტლაძემ, მ. ნაჭყებიამ და სამეცნიერო კვლევა ახლაც გრძელდება.

ჩამოთვლილ მკვლევართა ნაშრომებმა და თანამედროვე კვლევა-ძიებამ გვიჩვენა, რომ ქართულთან მსგავსების მიუხედავად, სვანურში გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით სხვაობები შეინიშნება, სხვაობათა მრავალფეროვნება დიალექტური ნაირსახეობებითაცაა განპირობებული.

ნაშრომში „პარატაქსულ-ჰიპოტაქსური კონსტრუქციები სვანურში“ განხილულია სვანური რთული წინადადების სინტაქსის ის საკითხები, რომლებიც აქამდე კვლევის ობიექტი არ ყოფილა, ან განსხვავებული შეხედულებები იყო გაზიარებული. შესაბამისად საანალიზოდ წარმოდგენილია რთული წინადადების შემდეგი ძირითადი ტიპები:

- პარატაქსული (თანწყობილი) და ჰიპოტაქსური (ქვეწყობილი) კონსტრუქციები
- თანწყობილ წინადადებათა შეერთების საშუალებანი
- რთული ქვეწყობილი წინადადების აგებულებისა და შედგენილობის საკითხები

• დამოკიდებული წინადადებები (*ქვემდებარული, დამატებითი, განსაზღვრებითი, შემასმენლური, გარემოებითი* (ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზეზისა, მიზნისა, პირობითი დამოკიდებული) ფუნქციის მიხედვით

• ზერთული (ნარევი) წინადადებანი

• შეკვეცილი რთული წინადადებები და სხვ.

რთული წინადადების სინტაქსთან დაკავშირებული საკითხები გაანალიზებულია როგორც ტრადიციულად ცნობილი სვანური დიალექტების (ბალსზემოურის, ბალსქვემოურის, ლაშხურისა და ლენტეხურის), ასევე ჩოლურული მეტყველებისა და ლახამულური კილოკავის მონაცემებზე დაყრდნობით. საილუსტრაციო მასალის ძირითადი ნაწილი ამოღებულია გამოქვეყნებული სვანური ტექსტებიდან („სვანური ენის ქრესტომათიიდან" და „სვანური პროზაული ტექსტების" ოთხივე ტომიდან), ნაწილი კი ჩვენ მიერ წლების განმავლობაში მესტიისა და ლენტეხის რაიონებში საველე პირობებში მოძიებული დიალექტოლოგიური მასალებიდან[1] დამოწმების შემდეგი პრინციპით: სვანური სათანადო ილუსტრაციის შემდეგ მითითებულია მთქმელთა დიალექტოლოგიური კუთვნილება[2].

ახლებურად წარმოდგენილი კვლევა, დამყარებული მდიდარ დიალექტოლოგიურ საილუსტრაციო მასალაზე, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს არამხოლოდ არაერთი სინტაქსური პრობლემატური საკითხის გადაჭრას, არამედ მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ლექსიკოლოგია-მორფოლოგიის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებსაც, მითუმეტეს, რომ მრავალფეროვან ჟანრულ საილუსტრაციო მასალას ახლავს როგორც ლიტერატურული, ისე ზედმიწევნითი (სიტყვასიტყვითი) ქართული თარგმანი.

წინამდებარე ნაშრომში ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით პარალელები მოხმობილია სხვა ქართველური ენებიდანაც და შესაბამისად გათვა-

[1] ცხადია, გათვალისწინებულია ეკომიგრანტ სვანთა მეტყველების ნიმუშებიც.

[2] ინფორმატორთა ჩაწერის ადგილი და სრული სია ასაკის გათვალისწინებით თან ერთვის წინამდებარე ნაშრომს.

ლისწინებულია აღნიშნული ენების რთულ წინადადებათა კონსტრუქციებზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურაც.

ვფიქრობთ, ჩვენი კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს სვანური ენის გრამატიკული სისტემის შემდგომ კვლევას და იგი გამოადგებათ ქართველურ ენათა სპეციალისტებს, უმაღლესი სასწავლებლების ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებს, მაგისტრანტებს, დოქტორანტებს და, აგრეთვე, ენათმეცნიერების საკითხებით დაინტერესებულ როგორც ქართველ ენათმეცნიერებს, ისე უცხოელ ქართველოლოგებს.

უღრმეს მადლობას მოვახსენებთ წიგნის რედაქტორებს – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს მედეა საღლიანს, რომელიც გულდასმით გაეცნო ნაშრომს და საყურადღებო შენიშვნები მოგვაწოდა, და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს მერაბ ჩუხუას, რომლის სამეცნიერო ხელმძღვანელობით შეიქმნა ნაშრომის რამდენიმე თავი; ასევე, მადლობას ვუხდით რეცენზენტს – ფილოლოგიის დოქტორს ელიზავეტა გაზდელიანს, ინგლისური ტექსტის მთარგმნელსა და რედაქტორს – შორენა შავრეშიანს, ტექნიკურ რედაქტორს – ლევან ვაშაკიძეს, თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების თანამშრომლებს – ფილოლოგიის დოქტორს როენა ჭკადუას და ფილოლოგიის დოქტორს ლელა გიგლემიანს თანადგომისათვის და სვანური დიალექტ-კილოკაური მასალის გულდასმით გადამოწმებისთვის.

გულითად მადლობას ვუხდით ექსპედიციების მასპინძლებსა და ინფორმატორებს (მესტიისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტებში, ქვემო ქართლში) ღირსეული მასპინძლობისა და უშურველად გაწეული დახმარებისათვის.

დასასრულ, წიგნის ავტორი მადლიერებით მიიღებს და გაითვალისწინებს ყველა საქმიან შენიშვნასა თუ წინადადებას.

FOREWORD

The work was conducted within the framework of grant project funded by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia ("Parataxis-Hipotaxis constructions in Svan YS 19-435"), in the Department of Kartvelian Languages of TSU Arn. Chikobava Institute of Linguistics.

Syntax issues have been the subject of research by many scholars in Georgian linguistics, and therefore there is rich scientific literature on this grammatical category. As for Svan, important contribution to the study of Svan syntax was made by: V. Topuria, M. Kaldani, N. Abesadze, A. Kiziria, G. Rogava, I. Chantladze, M. Nachkebia and scientific research is still ongoing.

The works of the listed scholars and modern research have shown that despite the similarities to Georgian, there are differences in certain issues in Svan, the diversity of differences is also due to dialectal varieties.

The work "Parataxis-Hipotaxis constructions in Svan" discusses the syntax issues of Svan compound sentence that have not been the subject of research before, or different views have been shared. The types of compound sentences are presented accordingly: paratactic (coordinate sentence) and hypotactic (subordinate clause) constructions; means of linking of compound coordinate sentences; the issues of structure and composition of compound subordinate clause; subordinate clauses according to the function: (subject clauses, object clauses, attributive clauses, predicative clauses, adverbial clauses (of place, time, manner, cause, condition), mixed (extremely complicated) sentences, also reduced compound sentences and etc.

Listed issues related to syntax of compound sentences are analyzed based on rich illustrative materials (Upper Bal, Lower Bal, Lashkhian and Lentekhian, as well as Cholur speech and Lakhamulian sub-dialect). The main part of the illustrated material is taken out of the published Svan texts ("Chrestomathy of the Svan Language" and all four volumes of "Svan Prosaic Texts"), and part of it is taken out of the dialectological materials[3] obtained by us in the field condition in Mestia and Lentekhi districts over

[3] Clearly, speech patterns of eco-migrant Svan are also considered.

the years based on the following principle of confirmation: after the relevant illustration of Svan, the dialectological affiliation of the speakers is indicated[4].

We think that the research presented in a new manner, based on rich dialectological illustrated material, will help not only to solve a number of syntactic problematic issues, but also will provide important assistance to specialists working in the field of lexicology-morphology, all the more different types of illustrated material is accompanied by both literary and thorough, literal Georgian translation.

The paper presents parallels related to this or that issue from other Kartvelian languages and, accordingly, the existing scientific literature on the constructions of compound sentences of these languages is taken into account.

We think that the results of our research will contribute to the further study of the grammatical system of Svan and it will be useful for Kartvelian language specialists, students of the Faculty of Humanities, students on master's degree course, doctoral students, as well as Georgian and foreign Kartvelologists interested in linguistics.

Many thanks to the editors of the book - Doctor of Philology – **Medea Saghliani**, who attentively read the monograph and provided us noteworthy comments and to Doctor of Philology – **Merab Chukhua**, under whose supervision some chapters were created; to the reviewer – Doctor of Philology - **Elizaveta Gazdeliani**, to the translator and editor of English text – **Shorena Shavreshiani**, to IT editor - **Levan Vashakidze**, to the scientists of TSU Arn. Chikobava Institute of Linguistics – Doctor of Philology **Roena Chkadua** and Doctor of Philology **Lela Giglemiani**, who assisted me and verified Svan dialectal and sub-dialectal material.

We sincerely thank the hosts of the expeditions and informants (in Mestia and Lentekhi municipalities, in Lower Kartli) for worthy hosting and assistance.

The author will gratefully accept and take into account all scientific remarks or suggestions.

[4] The place of recording of the informants and the complete list considering the age are attached to the present paper.

სვანური ენის სინტაქსის შესწავლის ისტორია

სინტაქსის მამამთავრად ითვლება აპოლონიოს დისკოლო („მძიმე აპოლონი"), რომელიც მოღვაწეობდა მეორე საუკუნეში. მან „პირველმა მოხაზა სინტაქსის არე და ნათლად აღნიშნა ის საკითხები, რომელნიც სინტაქსს განეკუთვნებიან, მან თავიდანვე სიტყვათა შეთანხმებას მიაქცია ყურადღება, დასვა და გადაწყვიტა სინტაქსის ძირითადი საკითხი" (ჩიქობავა 1998: 34).

XVII საუკუნიდან დაწყებული ქართული ენის ძველ გრამატიკებში სინტაქსი (ანუ ლექსთთხზულება), როგორც გრამატიკის ცალკეული დარგი, უმეტესწილად გამიჯნულია მორფოლოგიისაგან.

სინტაქსის საგნის შესახებ ენათმეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. მეცნიერთა ერთი ნაწილი სინტაქსის საგნად სიტყვათა შეხამება-შეკავშირებებს მიიჩნევს, გარკვეულ ნაწილს სინტაქსის საგნად – წინადადება და წინადადების წევრები მიაჩნია, ხოლო მეცნიერთა ნაწილი სინტაქსში ერთად განიხილავს სიტყვათა შეხამება-შეკავშირებებსა და წინადადებას.

სინტაქსის სახელმძღვანელოებიც სწორედ ამ უკანასკნელი შეხედულების მიხედვითაა შედგენილი, სადაც შესიტყვებასთან ერთად განხილულია წინადადება და წინადადების წევრები.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ანტონ პირველმა თავის „ქართულ ღრამატიკაში", ფრანჩესკო-მარია მაჯოს მსგავსად, სინტაქსის საგნად მეტყველების ნაწილებს შორის დამოკიდებულება (შეთანხმება, მართვა) მიიჩნია. მისივე განმარტებით სინტაქსი არის „განკარგუა წესიერ თანჴმობითი ნაწილთა ჴელოვნებითსა ყოვლადსა შინა" (ანტონ I 1885: 213).

გაიოზ რექტორი იძლევა სინტაქსის რამდენადმე განსხვავებულ განსაზღვრას: „სუინტაქსი, ანუ აღნაქუსი არს ნაწილი ღრამატიკისა, რომელიცა ასწავებს თანჴმობასა შეწყობასა შინა ნაწილთა სიტყუსათა". თანჴმობა გაიოზისათვის ფართო ცნებაა. იგი აღნიშნავს როგორც შეთანხმებას, ასევე საერთოდ

– შეკავშირებას, შეხამებას. მან, ანტონისაგან განსხვავებით, ახალი ტერმინი შემოიღო (აღნაქუსი), მის მიხედვით კი სინტაქსი არის სამგვარი: 1. *მარტივი*, 2. *ხელოვნებითი ანუ რიტორული* და 3. *უხვსიტყვაობითი ანუ შვენიერსიტყვაობითი* (კვანტალიანი 1993: 78).

ანტონ I-ისა და გაიოზ რექტორის სინტაქსისეულ გაგებას იზიარებენ დავით ბაგრატიონი, იოანე ბაგრატიონი და იოანე ქართველიშვილი.

XIX საუკუნის 30 – 40-იანი წლებიდან სინტაქსში, შესიტყვებათა სისტემაში უპირატესობა ენიჭება წინადადებას, როგორც აზრის (მსჯელობის) გამომხატველ შესიტყვებას, მაგალითად პლატონ იოსელიანის თქმით: „ლექსთა თხზულება (სინტაქსი) არის ნაწილი გრამატიკისა, რომელიცა ასწავებს სიტყვისა ნაწილთა კანონიერსა შეწყობასა გამოხატვისათვის სრულისა ჰაზრისა“ (იქვე 1993: 79).

XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან სასკოლო გრამატიკებში სინტაგმათა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზის ადგილს წინადადების ფუნქციურ სემანტიკური ანალიზი იკავებს, სიტყვათა ურთიერთობის საკითხები იჩრდილება, ადრე ხმარებული ტერმინები (უფალი, ძიება) ქრება და მათ ნაცვლად ფუნქციური ტერმინები (ქვემდებარე, დამატება, შემასმენელი...) ჩნდება. სინტაქსი, ანუ მოძღვრება ლექსთა თხზვის შესახებ, წინადადების შესახებ მოძღვრებად იქცევა.

შესაბამისად სასკოლო გრამატიკებში გვხვდება სინტაქსის ამგვარი განმარტება: „სინტაქსი არის გრამატიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის წინადადების ტიპებს და წინადადებაში სიტყვათა შეკავშირების წესებს. იგი არკვევს, რა და რა ტიპის სიტყვები შეიძლება შეეწყოს ერთმანეთს, რა სახის ურთიერთობა შეიძლება დამყარდეს მათ შორის და რა დანიშნულება აქვს ამა თუ იმ სიტყვას წინადადებაში“ (კვაჭაძე 1977: 6).

„XX საუკუნიდან გრამატიკაში თავი იჩინა ახალმა, ფორმალურმა (სტრუქტურულმა) მიმართულებამ, რომელმაც სინტაქსის მიზნად შესიტყვე-

ბის მხოლოდ აგებულების (სტრუქტურის) კვლევა დასახა. სტრუქტურულ მიმართულებას ქართული ენათმეცნიერული აზრის ისტორიაში საფუძველი ჩაუყარა არნ. ჩიქობავას ნაშრომებმა“ (კვანტალიანი 1993: 79).

არნ. ჩიქობავას თვალსაზრისით „სინტაქსი არის მოძღვრება შესიტყვებათა შესახებ. სინტაქსის საგანია სიტყვათა შენაერთი, შესიტყვება. ცხადია, რომ ერთი სიტყვის სინტაქსი შეუძლებელია. სიტყვათა შეანაერთში მთავარ როლს ასრულებს სახელი და ზმნა; სხვა სიტყვები ამათ ეკედლება“ (ჩიქობავა 1998: 36).

ქართულში სინტაქსის შესწავლის ისტორიას ლ. კვანტალიანი XVII საუკუნიდან ფ. მაჯოს გრამატიკით იწყებს, თუმცა თვლის, რომ „სინტაქსის შესწავლის ისტორიის დასაწყისი ადრეულ საუკუნეებში უნდა ვეძებოთ“ (კვანტალიანი 1993: 76).

შესიტყვების საკითხების მეცნიერული შესწავლა მეოცე საუკუნიდან დაიწყო, მას შემდეგ რაც გამოქვეყნდა არნ. ჩიქობავას მონოგრაფია „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ და წერილთა სერია „რა თავისებურება ახასიათებს ქართული ენის აგებულებას“.

შესიტყვების სინტაქსურად შესწავლაში არნ. ჩიქობავა შესიტყვების შედგენილობის შესწავლასა და შესიტყვების სტრუქტურის დადგენას გულისხმობს.

ქართულ გრამატიკაში შესიტყვების საკითხი მეტად აქტუალურია და მას არა ერთი ავტორის ნაშრომი მიეძღვნა. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, აღსანიშნავია შემდეგი ნაშრომები: ვ. თოფურიას „მეტყველების საკითხებისათვის ქართულში“ (სადაც ვ. თოფურია იზიარებს შესიტყვების არნ. ჩიქობავასეულ გაგებას), „მშობლიური ენის სწავლების საკითხები საშუალო სკოლაში“, ნ ბასილაიას „ ქართული მართლწერის საკითხები“, ა. დავითიანის „ქართული ენის სინტაქსი“, მ. ციკოლიას „სიტყვათა რიგი, როგორც სინტაქსისა და სტილისტიკის საგანი“ და სხვ.

წინადადების შესახებ გამოთქმულ განსაზღვრებებში აზრი (მსჯელობა) ფიგურირებს, როგორც წინადადების დეფინიციის აუცილებელი კონპონენტი (წინადადება არის აზრი, ან მსჯელობა.... წინადადება არის სიტყვათა შეერთება, რომელიც დასრულებულ აზრს გამოხატავს).

არნ. ჩიქობავას თვალსაზრისით კი, აზრი გრამატიკის განხილვის საგანი ვერ იქნება. წინადადება განსაზღვრული უნდა იქნეს სპეციფიკური, სინტაქსური ნიშნებით, იმ დამოკიდებულებაზე დამყარებით, რომელიც სიტყვათა შორის შესიტყვებაში იქმნება. ამრიგად: „წინადადება არის შესიტყვება, აგებული ზმნისა და სახელისაგან კოორდინაციის თუ მართვის საფუძველზე (კოორდინაციისაზე – რელატიურ-ზმნიან წინადადებაში, მართვისაზე – აბსოლუტურ-ზმნიანში)“ (ჩიქობავა1968: 234).

სინტაქსში უნდა განიხილებოდეს თუ არა წინადადება და წინადადების წევრები, ამაზე ვრცელად მსჯელობს ა. ჩიქობავა: „გვჭირდება თუ არა სინტაქსში „წინადადება“, „ქვემდებარე“, „შემასმენელი“, „დამატება“, „განსაზღვრება“, „გარემოებანი“? – ეს ტერმინები შეიძლება დავტოვოთ სინტაქსში, თუ მათ გარკვეული სინტაქსური შინაარსი განეკუთვნებათ, ესე იგი, თუ ისინი გამოყენებულნი იქნებიან სიტყვათა დამოკიდებულების აღსანიშნავად, სიტყვათა როლის დასახასიათებლად შესიტყვებაში. თუ ეს აუცილებელი პირობა არ შესრულდება, ამ ტერმინების ხმარება მხოლოდ იმის მომასწავებელი იქნება, რომ სინტაქსი „არასინტაქსურად შეისწავლება... ...ცნებანი: წინადადება (მხედეველობაში გვაქვს წინადადება-ცნება, რომლის ნაწილებს მეტყველების ნაწილები კი არ შეადგენს (ამ გაგებით წინადადება ძველთაგანვე იხმარებოდა), არამედ ქვემდებარე-შემასმენელი), ქვემდებარე, შემასმენელი – გრამატიკაში ლოგიკიდან არის გადმოტანილი მეცხრამეტე საუკუნეში; იქიდან მოყოლებული წარმოებს მათი აკლიმატიზაცია და ჯერაც არ არის დამთავრებული ეს პროცესი... პირვანდელი შინაარსით ამ ცნებების დატოვება ენათმეცნიერებაში გაუმართლებელი იქნებოდა, ხოლო თუკი მათ მკაცრად

ენათმეცნიერული შინაარსი მიეცემოდა, მათი არსებობაც გამართლებული იქნებოდა“ (ჩიქობავა1968: 71-127).

არ. ჩიქობავა საუბრობს „უწინადადებო სინტაქსზე“: „... სინტაქსის მიზანს არ შეადგენს წინადადების და მისი ნაწილების ძიება... სინტაქსი სიტყვათა დამოკიდებულებას იძიებს ... „უწინადადებო“ სინტაქსი არა თუ წარმოსადგენია, არამედ ფაქტია კიდეც, ფაქტი ორჯერ უფრო ხანგრძლივი ისტორიის მქონე ჩვენში, ვინემ ეს „წინადადებიან სინტაქსს“ გააჩნია. ...წინადადება ვერ გამოცხადდება პრინციპულად უჩვეულო და განსაკუთრებულ საგნად სინტაქსისა“ (იქვე), თუმცა მიაჩნია რომ წინადადება შესიტყვებათა შორის უპირატესობით უნდა სარგებლობდეს, რადგანაც მასში მონაწილეობს სახელი და ზმნა: „...უდავოა, რომ იგი (წინადადება – ხაზი ჩვენია!) უნდა სარგებლობდეს უპირატესობით სხვა შესიტყვებათა შორის, რადგანაც მასში მონაწილეობს მეტყველების ორი ძირითადი ნაწილი: სახელი და ზმნა, შესიტყვებისა, და საერთოდ, მეტყველების ხერხემალი“ (იქვე: 127).

შეიძლება დავასკვნათ, რომ არნ. ჩიქობავა სინტაქსში წინადადების შემოყვანას და განხილვას ამართლებს იმდენად, რამდენადაც „წინადადება გარკვეული სახის შესიტყვებაა და, მაშასადამე, მისი ნაწილების კვალიფიკაციაც ხდება სათანადო სიტყვათა ურთიერთობის მიხედვით; წინადადების ნაწილთა აღმნიშვნელი ცნებების შინაარსი მიგვითითებს, რა როლსაც თამაშობს ესა თუ ის სიტყვა წინადადებაში: არის იგი გაბატონებული, თუ დამოკიდებული, მმართველი თუ მართული, მათანხმებელი თუ შეთანხმებული, თუ არც ერთია, არც მეორე, არამედ მხოლოდ მირთულია“ (იქვე: 122).

სამეცნიერო საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობაა ზეპირი, ხალხური მეტყველებისა და სამწერლობო ენის ჰიპოტაქსური კონსტრუქციების წარმომავლობის შესახებაც და გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ქართველურ ენებში მიმართებითი ნაცვალსახელებითა და ზმნისართებით გამოხატული დამოკიდებული წინადადება მეორეულია, გვიან ჩამოყალიბებული“ (როგავა

1987: 43), რაც ქართულ ზეპირმეტყველებასა და დიალექტებში სალიტერატურო ენის გავლენით უნდა დამკვიდრებულიყო. თავის მხრივ „... თანამედროვე ქართული ენის ჰიპოტაქსის წყაროა ძველი ქართული სალიტერატურო ენა, ხოლო ძველი ქართულის ჰიპოტაქსის წყაროა პირველ რიგში ბერძნული სალიტერატურო ენა. იგი ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში მართლაც ქართველი მთარგმნელების მიერაა დანერგილი“ (იქვე), ხოლო მეცნიერთა ნაწილი პირიქით თვლის, რომ რთული სინტაქსური კონსტრუქციები სწორედ ხალხურ ზეპირმეტყველებაში გაჩნდა და არა მწიგნობრულ ენაში (ღლონტი 1975). უფრო მეტიც ლ. კვანტალიანის მოსაზრებით, სამწერლობო ენაში არსებული სინტაქსურ „თავისებურებათა წარმომქმნელი ზეპირი მეტყველებაა, საიდანაც არიან ისინი გადასული მწერლობაში, მხატვრული თხზულებების ენაში“ (კვანტალიანი 1990: 3).

მეცნიერთა ნაწილი კი თვლის, რომ „ჩვენ არავითარი საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჰიპოტაქსური წინადადების სათავე მწერლობა იყოს, სამაგიეროდ, ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ჰიპოტაქსის სამუდამოდ განმტკიცებასა და ჰიპოტაქსისაგან მკვეთრად გამოყოფას სწორედ მწერლობამ შეუწყო ხელი“ (დონდუა 1940: 330) და ამ მოსაზრებას იზიარებს ლ. კვაჭაძეც თავის ნაშრომში „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი“ (კვაჭაძე 1977: 332-337).

სინტაქსის საკითხებზე ქართულში უამრავ მკვლევარს უმუშავია და სამეცნიერო კვლევა ახლაც გრძელდება, შესაბამისად აღნიშნულ გრამატიკულ კატეგორიასთან დაკავშირებით მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია: **ანტონ I**-ის „ქართული ღრამმატიკა“, **ფრანჩესკო მარიო-მაჯოს** „ღრამატიკა“, **დავით ბაგრატიონის** „ქართული ღრამატიკა“, **იოანე ბაგრატიონის** „ქართული ღრამატიკა“, **გაიოზ რექტორის** „ქართული ღრამმატიკა“, **სოლომონ დოდაშვილის** „შემოკლებული ქართული ღრამმატიკა“, **იასონ ნიკოლაიშვილის** „ქართული მოკლე გრამატიკა“,

ილია ფერაბისა და ილია სიხარულიძის „ენის დაკვირვება“, იოანე ქართველიშვილის „ქართული გრამატიკა“, არისტო ქუთათელაძის „პირველ-დაწყებითი ქართული გრამატიკა“, მოსე ჯანაშვილის „ქართული გრამატიკა“, სოლომონ ხუნდაძის „ქართული გრამატიკა“, ვარლამ თოფურიას „შრომები“, მისივე – „ქართული ენის გრამატიკის სადავო საკითხები“, არნოლდ ჩიქობავას „ქართული ენის ზოგადი დახასიათება“, მისივე – „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, მისივე — „რა თავისებურებანი ახასიათებს ქართული ენის აგებულებას“, აკაკი შანიძის „თხზულებანი“, ტ III, მირიან ციკოლიას „სიტყვათა რიგი როგორც სინტაქსისა და სტილისტიკის საგანი“, შოთა ძიძიგურის „რთული წინადადების პრობლემა ქართულ ენაში“, როინ ჭიკაძის „წინადადების აგებულების საკითხისათვის ქართულში (ერთგვარშემასმენლებიან შერწყმული წინადადების მაგალითზე)“, მისივე – „წინადადების პარატაქსული კონსტრუქცია ქარიულში“, ალექსანდრე ღლონტის „ქართული წინადადება“, „ხალხური პროზის ენისა და სტილის საკითხები“, ჟუჟუნა ფეიქრიშვილის „ქართული ენის სინტაქსი“, კარპეზ დონდუას „მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობისათვის ძველ ქართულში“, ლეო კვაჭაძის „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი“, ანტონ კიზირიას „შერწყმული წინადადება ქართულში“, მისივე – „მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში“, ლეილა კვანტალიანის „მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის შეთანხმება ქართულში“, „ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები“ და სხვ.

რაც შეეხება სვანურს, სვანური სინტაქსის შესწავლის ისტორია XX საუკუნიდან დაიწყო, მას შემდეგ, რაც ინტენსიურად დაიწყო სვანური მასალის შეკრება-ჩაწერა და ხელმისაწვდომი გახდა სვანური დიალექტების ტექსტები, შესაბამისად გამოქვეყნდა სხვადასხვა ნაშრომებიც.

სვანური სინტაქსის კვლევაში დიდი წვლილი მიუძღვით ვ. თოფურიას, მ. ქალდანს, ნ. აბესაძეს, ა. კიზირიას, გ. როგავას, ი. ჩანტლაძეს და სხვ. აღ-

ნიშნული საკითხის მეცნიერული შესწავლა, ბუნებრივია, ამჟამადაც გრძელდება.

ვ. თოფურიას თქმით „სვანური და ქართული თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან სინტაქსურ საკითხებში. ქართული სინტაქსი მთლიანად მიუდგება სვანურს, მხოლოდ მაგალითები იქნება შესაცვლელი. ერთადერთი ძირითადი განსხვავება ჩანს III პ. სხვათა სიტყვის გადმოცემაში. ამ მხრივ სვანური ორიგინალურია არა მარტო ქართველურ ენებში: ამ თავისებურებით გამოირჩევა ის სხვა ენათაგანაც“ (თოფურია 2002: 254).

ზემოთ ჩამოთვლილ მკვლევართა მიერ გამოქვეყნებულმა ნაშრომებმა და თანამედროვე კვლევა-ძიებამ გვიჩვენა, რომ ქართულთან მსგავსების მიუხედავად, სვანურ სინტაქსში ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით გარკვეული სხვაობები შეინიშნება, სხვაობათა მრავალფეროვნება დიალექტური ნაირსახეობებითაცაა გამოწვეული.

ვ. თოფურიას შრომებში სვანურის სინტაქსს საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს, ძირითადად განხილულია წინადადება შინაარსისა და აღნაგობის მიხედვით, წინადადების წევრები ფუნქციისა და მორფოლოგიური თვალსაზრისით, წინადადების წევრთა სინტაქსური ურთიერთობა და პარალელებია გავლებული ქართულის შესაბამის კატეგორიებთან.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სვანურის სინტაქსის შესწავლაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნ. აბესაძის კვლევებს: „ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები სვანურში“, „შერწყმული წინადადებები სვანურში“, „გრძნობისა და თქმა-ბრძანების გამომხატველ ზმნათა შემცველი ქვეწყობილი წინადადებები სვანურში“, „რომ კავშირი ქართველურ ენებში“, „განსაზღვრება სვანურში“, „დამატებებისა და შემასმენლის სინტაქსური ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი სვანურში“, „ზმნისწინებისა და თანდებულების ურთიერთობის ზოგი საკითხისათვის ქართველურ ენებში“, „მიმართებითი ზმნიზედები სვანური ენის ქვეწყობილ წინადადებაში“, „მიმართებითი ნა-

ცვალსახელების გამოყენება ქვეწყობილი წინადადებების წევრ-კავშირებად სვანურში“, „ერე (რომ) კავშირისათვის სვანურში“, „ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციები სვანურში ქართულთან მიმართებით“ და სხვ...

ნაშრომში „ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები სვანურში“ ავტორი დასაწყისშივე მსჯელობს დამოკიდებულ წინადადებათა ფუნქციის შესახებ და ტრადიციული კლასიფიკაციისაგან განსხვავებულ მიდგომას გვთავაზობს და გამოყოფს ორ ჯგუფს: 1) სახელით გამოხატული წევრის ამხსნელი და 2) ზმნით გამოხატული შემასმენლის ამხსნელი დამოკიდებული წინადადებები (აბესაძე 1960: 107), თუმცა სვანურის ჰიპოტაქსზე მუშაობისას ტრადიციულ კლასიფიკაციას თავადაც მიმართავს და ცალკეული კავშირების ფუნქციისა და ადგილის განხილვისას დამოკიდებული წინადადებების ტრადიციული სახეები აქვს გამოყოფილი: „ეს ორი ჯგუფი ერთმანეთისაგან საკავშირებელი საშუალებებითაც განსხვავდება. თითოელ ჯგუფში კვლევის პროცესში საჭირო ხდება ქვეჯგუფების გამოყოფა ტრადიციული კლასიფიკაციის მიხედვით. შემასმენელ-ზმნის ამხსნელია სხვადასხვა სახის გარემოებითი და პირობითი დამოკიდებული წინადადებები, ხოლო სახელით გამოხატული წევრის ამხსნელია განსაზღვრებითი, დამატებითი და შემასმენლური დამოკიდებული წინადადებები“ (იქვე).

რთული ქვეწყობილი წინადადების მაქვემდებარებელი წევრ-კავშირები და კავშირები განხილულია სვანურის ოთხივე დიალექტის მონაცემთა დაყრდნობით, თუმცა როგორც ავტორი აცხადებს, „უხვად წარმოდგენილია ბალსზემოური კილოს მასალები, რადგან ამ კილოში უფრო სრული სახითაა შემონახული სვანური ენისათვის დამახასიათებელი მოვლენა“ (იქვე).

განხილული მასალის საფუძველზე მკვლევარი ასკვნის, რომ „სვანურ ენაში ჰიპოტაქსის განვითარება საკმაოდ მაღალ საფეხურზე დგას, როდესაც მთავარი და დამოკიდებული წინადადების დაცალკევება უმტკივნეულოდ ვერ ხერხდება“ (იქვე).

ვ. თოფურიას მსგავსად, ნ. აბესაძეც თვლის, რომ რთული ქვეწყობილი წინადადების აღნაგობით სვანური ძირითადად ქართულს ჰგავს (მაგ: ქვეწყობილ წინადადებაში მიმართებითი ზმნიზედების გამოყენებაც არსებითად ქართულისებურია; მიმართებითი სიტყვების კითხვითი ნაწილი ბევრ შემთხვევაში ქართულთან საერთო ფუძეს შეიცავს; მიმართებითი სიტყვების შემცველ დამოკიდებულ წინადადებასა და მთავარ წინადადებას შორის, ძველი ქართულის მსგავსად, გამოყენებულია ი (= და) კავშირი; მიმართებითი სიტყვები იწარმოება კითხვით სიტყვათა ფუძეზე **უჴი** ნაწილაკის დართვით, **უჴი** შედგენილობით რთულია, შეიცავს ი (> ჲ) ნაწილაკს, რომელიც ქართული -ცა ნაწილაკის ბადალია;), თუმცა განსხვავებაზეც საუბრობს. თავისებურებები ძირითადად ქვეწყობილ წინადადებაში მიმართებითი ნაცვალსახელის გამოყენების დროს შეუნიშნავს: „მიმართებითი ნაცვალსახელიც და მისამართი სიტყვაც ბრუნვაში თავის შემასმენელთან არიან შეწყობილი, მაგრამ იშვიათად დასტურდება შემთხვევები, როდესაც მთავარი წინადადების მისამართი სიტყვა მიმართებით ნაცვალსახელს უთანხმდება ბრუნვაში. ეს მაშინ ხდება, როდესაც დამოკიდებული წინადადება მთავრის შიგაა მოქცეული, ჩვეულებრივ ასეთ შემთხვევებში მთავარი წინადადების მეორე ნაწილში მეორდება ნაცვალსახელი, რომელიც ბრუნვაში თავის შემასმენელთანაა შეწყობილი“ (აბესაძე 1960: 145).

საინტერესოა ნაშრომის ის ნაწილი, სადაც მკვლევარი მიმართებით ნაცვალსახელთა რიცხვზე საუბრობს. გაუთვალისწინებია და განუხილავს სხვა ქართველური ენების მონაცემებიც: „ძვ. ქართულში მიმართებით ნაცვალსახელთა ფორმაცვალებადობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო... ახალ ქართულში შეიმჩნევა ტენდენცია ფორმაუცვლელობისაკენ... ზანურში ძირითადად მიმართებით ნაცვალსახელს მხოლობითი ფორმა აქვს, შეიძლება მხოლობითით იყოს წარმოდგენილი მაშინაც, როდესაც კონტექსტით მრავლობითია მოსალოდნელი... სვანურში მრავლობითი რიცხვის ფორმა არც ერთ მიმარ-

თებით ნაცვალსახელს არა აქვს... ქართულთან და ზანურთან სვანურის შედარებით ირკვევა რომ უფრო ძველი უნდა იყოს რიცხვში ფორმაცვალება, ხოლო უფრო ახალი ფორმაუცვლელობა...“ და მიდის იმ დასკვნამდე, რომ „სვანურში მიმართებითი ნაცვალსახელები ვერ აწარმოებენ მრავლობითი რიცხვის ფორმას, ამდენად თავისთავად მოხსნილია მიმართებით ნაცვალსახელსა და მისამართ სიტყვას შორის რიცხვში შეთანხმების საკითხი...“ (აბესაძე 1960: 145).

თუმცა შემდგომმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ სვანურის დიალექტებში და მათ შორის ჩოლურულშიც რამდენიმე ნაცვალსახელს (ხედი „რომელი“ || ხედი-არ „რომლები“, იმკაიბ || მაკაიბ „როგორი“ || იმკაიბ-არ „როგორები“ მაზუმ || მაიზუმ „რამხელა“ || მაიზუმუ-არ „რამხელები“) ეწარმოება მრ. რიცხვის ფორმა და გამოყენების თვალსაზრისითაც ძალზედ საინტერესო სურათს გვიჩვენებს. შესაბამისად მრავლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენილ მიმართებით ნაცვასახელსა და შემასმენელს შორისაც გარკვეული სინტაქსური ურთიერთობაა ჩამოყალიბებული, რაზეც ვრცლად ქვევით ვიმსჯელებთ.

აღნიშნული გამოკვლევა – „ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები სვანურში“ სხვა დანარჩენ ნაშრომებთან ერთად, ფასეული და საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მასში თითქმის დეტალურადაა განხილული სვანური ენის ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები, ყველა შესაძლო დიალექტური ვარიანტითურთ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ნ. აბესაძის „ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციები სვანურში ქართულთან მიმართებით“, რომელშიც ავტორი მნიშვნელოვან ადგილს უთმობს სვანურის ბრუნვათა რიგს, ვინაიდან ცნობილია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში სვანურის ბრუნვათა თანმიმდევრობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა და გვთავაზობს მისეულ ბრუნვათა რიგს: „სა-

ხელობითი, მიცემითი, მოთხრობითი, ვითარებითი, მოქმედებითი, ნათესაობითი“ (აბესაძე 1975: 6).

ავტორის მოსაზრებით, „წარმოდგენილ დალაგებაში არის ცდა ერთდროულად გამოიყენონ მორფოლოგიური, სინტაქსური და ეტიმოლოგიური თვალსაზრისი. ...აუცილებელია გავითვალისწინოთ ბრუნების ორფუძიანობა (ხშირად კი სამფუძიანობაც) სვანურში. ამიტომ სვანურ ბრუნვებს შორის სახელობითს მიცემითი უნდა მოსდევდეს, როგორც ახალი ფუძის მომცემი ბრუნვა. ამასთანავე მას, სახელობითის მსგავსად, შეუძლია გადმოსცეს ქვემდებარეც და პირმიმართი დამატებებიც. ამ ორ ბრუნვას ვერ დავაშორებთ მოთხრობითს, რომელიც მათსავით ქვემდებარეს გადმოსცემს, მაგრამ, მათგან განსხვავებით, არ აღნიშნავს პირმიმართ დამატებებს. გარდა ამისა, სამფუძიანობის შემთხვევაში ერთ-ერთ ფუძედ მოთხრობითიც არის გამოყენებული. ამათ შემდეგ ყველაზე მიზანშეწონილია ჯერ ვითარებითი ბრუნვის წარმოდგენა, რადგან ფორმით იგი მოთხრობითის მსგავსია (როცა ორივე მათგანი მიცემითის ფუძეს ეყრდნობა და ფლექსიად -დ ფორმანტი აქვს), ფუნქციით კი ხშირად მიცემითს უახლოვდება. შემდეგ უნდა დაისვას მოქმედებითი, როგორც ასევე მიცემითის ფუძეზე დაყრდნობილი ბრუნვა, ბოლოს კი ნათესაობითი, რომელიც წინა ბრუნვებისაგან განსხვავებით, ამოსავლად სახელობითს ან მოთხრობითს იყენებს. ამასთანავე, მოქმედებითი და ნათესაობითი ფუნქციურადაც ახლო დგანან ერთმანეთთან“ (აბესაძე 1975: 6).

ნაშრომში განსაკუთრებით დიდი ადგილი უჭირავს ვითარებითი ბრუნვის სინტაქსური ფუნქციის განხილვას და სწორედ ამ ბრუნვის წარმოებაში შეუნიშნავს ძირითადად ქართულისაგან განსხვავებული ვითარებაც.

ჩვენ კონკრეტულად ყურადღება გვინდა მივაქციოთ იმ ნაწილს, სადაც ავტორი ვითარებითში დასმული უბრალო დამატების თანაობის შესახებ მსჯელობს და ამბობს, რომ სვანურში ვითარებით ბრუნვაში დასმული უბრალო დამატება, ქართულისაგან განსხვავებით, თანაობას ვერ გამოხატავს: „ვი-

თარებით ბრუნვაში დასმული უბრალო დამატება ქართულში ზოგჯერ თანაობასაც გადმოსცემს, განსაკუთრებით -იან სუფიქსიან სახელებთან. სვანურში კი ვითარებითი ბრუნვით თანაობის გადმოცემა არ ხდება, საამისოდ არსებობს საგანგებო თანდებული -ცახ̌ან||-ცახან ||-ცხან“ (აბესაძე 1975: 8).

უნდა აღინიშნოს, რომ სვანურის ოთხსავე დიალექტში და მათ შორის ჩოლურულშიც აღნიშნულ შემთხვევაში თანდებულის დაურთველადაც შეიძლება ვითარებითი ბრუნვით უბრალო დამატების თანაობის გამოხატვა: ლგიეხუ-ლგზელდ ოთოგანხ შუკუს „ცოლ-შვილიანად გაუდგნენ გზას („შუკა-ს“)“; ლგზოფშდ ხამურჯდა ქა ღირტუს „ბავშვებიანად აპირებდა გაქცევას“; ზურაღა ღუაყარცახან ლიპინჭყე შგუირ ლას „ქალის კაცებთან დაჯდომა („გაპარჭყვა“) სირცხვილი იყო“; ბლაუარცახან გარგლას ლითში ხაკუ „ბავშვებთან საუბარს („ლაპარაკს“) გარჩევა უნდა“ (ვრცლად იხ. ნ. შავრეშიანი, „პირმიუმართავი დამატებისათვის სვანურში“, საენათმეცნიერო ძიებანი, XXXV, 2013, გვ. 227-231).

ნ. აბესაძეს შესწავლილი აქვს სვანურის შერწყმული წინადადებებიც და ასკვნის, რომ სვანური, ვინაიდან, არასალიტერატურო ენაა, ზედმეტ ეპითეტებს გაურბის და იშვიათად გვხვდება ერთგვარგანსაზღვრებიანი და ერთგვარგარემოებიანი წინადადებები; „სვანურში ფართოდ გავრცელებულია ერთგვარშემასმენლიანი და ერთგვარქვემდებარიანი შერწყმული წინადადებები. შედარებით ნაკლებად – ერთგვარდამატებიანი, ხოლო ერთგვარგანსაზღვრებიანი და ერთგვარგარემოებიანი წინადადებები მეტად იშვიათად, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ სვანური არასალიტერატურო ენაა და ზედმეტ ეპითეტებს გაურბის“ (აბესაძე 1976: 15).

მისივე დაკვირვებით, ერთგვარშემასმენლიან წინადადებას ქართულისაგან განასხვავებს უსულო საგნის აღმნიშვნელი ქვემდებარის მიერ შემასმენლის რიცხვში შეთანხმება: „ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ წინადადებაში სინტაქსური ურთიერთობის მხრივ სავსებით ქართულისებური მდგო-

მარეობა გვაქვს. ის გარემოება, რომ სვანური არასალიტერატურო ენაა, განაპირობებს მცირე განსხვავებას უსულო საგნის აღმნიშვნელი ქვემდებარის მიერ შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხში“ (აბესაძე 1976: 19).

მკვლევარი ქართულისაგან სხვაობას მეორეულად მიიჩნევს და ენის განვითარების სხვადასხვა პერიოდით ხსნის, თუმცა ერთგვარგანსაზღვრებიან წინადადებებში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ნაწილობრივ მოკვეცას სვანურის თავისებურად თვლის: „საერთოდ, შერწყმულმა წინადადებებმა სვანურში ქართულის ანალოგიური სურათი წარმოგვიდგინა, ოღონდ რამდენადმე განსხვავებულია ცალკეულ სახეობათა გამოყენების სიხშირე. ერთგვარგანსაზღვრებიანი და ერთგვარგარემოებიანი წინადადებების შედარებით იშვიათი ხმარება დამახასიათებელია არასალიტერატურო ენისთვის, ამავე მიზეზით უნდა აიხსნას მერყეობა უსულო საგნის აღმნიშვნელ ქვემდებარეებთან შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხში. ტოლადშერწყმულ რთულ სახელებთან შემასმენლის რიცხვში შეწყობის მხრივ სვანური აგრეთვე ემიჯნება სალიტერატურო ქართულს, მაგრამ ძნელი არ არის პარალელების დაძებნა ცოცხალ დიალექტებში. და ბოლოს, ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ნაწილობრივი მოკვეცა ერთგვარგანსაზღვრებიან წინადადებებში სვანური ბრუნების თავისებურებას მიეწერება“ (იქვე: 26).

ნ. აბესაძეს ცალკე სტატია აქვს მიძღვნილი ისეთი ქვეწყობილი წინადადებებისათვის, რომლებიც გრძნობისა და თქმა-ბრძანების გამომხატველ ზმნებს შეიცავს. მკვლევრის დაკვირვებით, „გრძნობისა და თქმა-ბრძანების გამომხატველ ზმნათა შემცველი ქვეწყობის დროს დამოკიდებულ წინადადებაში მიმართებით ნაცვალსახელისა და კავშირის გარდა, შეიძლება შეგვხვდეს მიმართებითი ზმნიზედები... გრძნობისა და თქმა-ბრძანების გამომხატველ ზმნათა ქვეწყობაში კითხვითი მნიშვნელობის მქონე დამოკიდებული წინადადებებიც იხმარება, კითხვითი სიტყვები ასეთ წინადადებებში არ

უნდა მივიჩნიოთ საკავშირებელ საშუალებებად, ისინი მხოლოდ დამოკიდებული წინადადების კითხვითობას გადმოსცემენ“ (აბესაძე 1978: 15-16).

ავტორმა ყურადღება მიაქცია და ცალკე ჯგუფად გამოყო სუბიექტის განწყობის გამომხატველი ზმნების შემცველი წინადადებები: „... აქ შესაძლებელია როგორც კავშირიანი, ისე უკავშირო შეერთება. საკავშირებელ საშვალებებად შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ მაქვემდებარებელი კავშირები, რაც ამ ტიპის წინადადებებს განასხვავებს არამარტო დამატებითი დამოკიდებული, არამედ „მეტყველება წრის“ ზმნების შემცველი ქვეწყობილი წინადადებებისაგან“ (აბესაძე 1978: 17).

მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სვანურის სინტაქსის საკითხებს ი. ჩანტლაძის კრებულში „ქართველოლოგიური ძიებანი“, სადაც გამოწვლილვითაა განხილული ატრიბუტული მსაზღვრელის რიცხვში შეთანხმების საკითხები სვანურთან ერთად სხვა ქართველურ ენებშიც.

აღნიშნულ ნაშრომში, მსაზღვრელ-საზღვრულის რიცხვში შეთანხმების კვლევისას საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობა ძველი სვანური ხალხური სიმღერების ენას და მკვლევარი მიდის იმ დასკვნამდე, რომ: „სვანური ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე ატრიბუტულ მსაზღვრელთან თანდათანობით მოიშალა რიცხვში შეთანხმება... შეთანხმებული ფორმები პირველად პრეპოზიციურ წყობაში გაჩნდა“ (ჩანტლაძე 1998: 221).

საკითხი „სხვათა სიტყვა სვანურში“ ავტორს სვანურის ოთხივე დიალექტის მიხედვით აქვს შესწავლილი და განხილული, რომელშიც გამოთქმულია ვარაუდი, რომ ნაწილაკოვანი სხვისი ნათქვამის I და II პირში წარმოდგენა სვანურისათვის გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს „...ვფიქრობთ, რომ ამგვარი რამ სვანურისათვის შედარებით უფრო გვიანდელია, მეორეულია და ქართულ ენასთან კონტაქტით უნდა აიხსნას“ (იქვე: 227).

სინტაქსის საკითხთა განხილვის დროს გარკვეული ყურადღება ეთმობა ხოლმე მსაზღვრელ-საზღრულის კატეგორიას. სწორედ აღნიშნულ სა-

კითხს ეხება მ. ნაჭყებიას მონოგრაფია „მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა ქართველურ ენებში“.

ნაშრომში განხილული მასალის საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ „მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსური ურთიერთობისას ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სამსავე ენას საერთო კანონზომიერება ახასიათებდა. ამასთანავე მათ მოეპოვებათ ზოგიერთი თავისებურება, რის მიზეზიც მთის კავკასიურ ენებთან კონტაქტი (სვანური), უმწერლობო ენების შეუზღუდველი განვითარება თუ სამწერლობო ქართულის ნორმათა სტაბილურობა უნდა იყოს. მაგრამ თანამედროვე ქართულ ენაში, მეგრულ-ჭანურსა და სვანურში შეიმჩნევა ამ საკითხში არსებული სხვადასხვაობის თანდათანობით გაქრობის ტენდენცია“ (ნაჭყებია 2005: 181).

აღმოჩნდა, რომ მსაზღვრელის საზღვრულთან შეთანხმების ფორმები ქართველურ ენებში ერთნაირი არ არის. ძვ. ქართულში მსაზღვრელიც და საზღვრულიც ერთნაირად იბრუნებოდა, თანამედროვე ქართულში დაწყებულია მსაზღვრელი სახელის ბრუნვის ნიშნის გამარტივება, ხოლო მეგრულ-ჭანურსა და სვანურში ეს პროცესი დასრულებულია (იქვე).

გამოკვლევაში ითვალისწინებს რა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს, თავადაც თვლის, რომ „ძვ. ქართულისაგან განსხვავებით, ატრიბუტულ მსაზღვრელს საზღვრულის მიმართ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ზანურსა და სვანურში პრეპოზიციული წყობა ახასიათებს“ (იქვე).

სვანურის სინტაქსის საკითხთა კვლევაში გარკვეული სინათლე შეიტანა ა. კიზირიას ნაშრომებმა, მათ შორის აღსანიშნავია სტატიები: „ქვემდებარის ბრუნვათა მიმართება ქართველურ ენებში“, „ვითარების გარემოების გამოხატვის საშუალებანი ქართველურ ენებში“ და მონოგრაფია „მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში“. ამ უკანასკნელში ქართულთან და ზანურთან მიმართებაში ვრცლადაა განხილული სვანურის

მდიდარი მასალა. წიგნის პირველ ნაწილში შესიტყვების ანალიზთან ერთად წარმოდგენილია საკითხის ისტორიაც, ხოლო მეორე ნაწილი ეხება წინადადების აგებულებასა და წინადადების წევრთა სინტაქსურ ურთიერთობას. ავტორის თვალსაზრისით შესიტყვება და წინადადება ერთმანეთს არ უპირისპირდება და ნაშრომიც ჩიქობავასეული პრინციპითაა შედგენილი, რომ „წინადადება არის ერთ-ერთი სახის შესიტყვება“ და განიხილავს რა შესიტყვების ყველა შესაძლო ვარიანტს ასკვნის, რომ „ქართველურ ენებში შესიტყვების პრინციპები საერთოა, განსხვავება იგრძნობა გამოხატვის საშუალებებში“ (კიზირია 1982: 60).

გამოკვლევაში ქართულ-ზანურ-სვანურის სინტაქსურ თავისებურებათა შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ცალკეულ საკითხთა თავისებურებებს, რადგანაც ერთნაირი ვითარების გვერდით შეინიშნება გარკვეული განსხვავებებიც.

განხილულ ნაშრომთა ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სხვა ქართველურ ენებთან მსგავსების მიუხედავად სვანურ სინტაქსში ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით გარკვეული სხვაობები შეინიშნება, სხვაობათა მრავალფეროვნება დიალექტური ნაირსახეობებითააცაა გამოწვეული.

ზემოთ ჩამოთვლილ მკვლევართა მიერ გამოქვეყნებული ნაშრომებისა და ღვაწლის მიუხედავად, კიდევ ბევრი საკითხია საკვლევი და, აქედან გამომდინარე, სვანურის სინტაქსის საკითხების კვლევა დღესაც გრძელდება.

თავი I
რთული წინადადება

რთული წინადადების სინტაქსური საკითხების კვლევას საკმაოდ დიდი ისტორია აქვს: „XVIII საუკუნის დამლევისათვის საენათმეცნიერო ლიტერატურაში ჩვეულებრივია ტერმინები „მთავარი და დამოკიდებული წინადადება“, ხოლო XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოძღვრება პარატაქსსა და ჰიპოტაქსზე უფრო სრული და თანმიმდევრული ხდება“ (კვაჭაძე 1977: 310).

სამეცნიერო საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა იყო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით; ზოგიერთი მკვლევარი მოძღვრებას რთული წინადადების შესახებ ეჭვქვეშ აყენებდა, ამავდროულად მეცნიერთა ნაწილი დამაჯერებლად ასაბუთებდა ჰიპოტაქსური და პარატაქსული წინადადებების არსებობას და მათი ერთმანეთისგან გამიჯვნის აუცილებლობას.

ქართული რთული წინადადების შესახებ ცნობები ჯერ კიდევ ანტონ I-ის სკოლის გრამატიკებში დასტურდება და მას მერე უფრო ვრცელი ნააზრევი პარატაქსული და ჰიპოტაქსური წინადადებების შესახებ არაერთ მკვლევართანაა წარმოდგენილი. რაც შეეხება ტერმინებს – *თანწყობა, ქვეწყობა, თანწყობილი* და *ქვეწყობილი წინადადება* პირველად ა. შანიძესთან გვხვდება ავტორისეულ სასკოლო გრამატიკაში.

მეცნიერთა ვარაუდით, რთული წინადადება ენაში გაცილებით უფრო გვიან ჩამოყალიბდა, ვიდრე მარტივი წინადადება და ამ ფაქტს, პირითადად, ადამიანის აზროვნების განვითარებას უკავშირებენ: „რთული წინადადების წარმოქმნა ადამიანის აზროვნებისა და მეტყველების განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია, იგი ენის სინტაქსური წყობის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის მაუწყებელია. ... ამასთანავე, მეცნიერებაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ თანწყობა უფრო ადრინდელია

და წინადადებათა ერთმანეთთან გადაბმა-დაკავშირების უფრო პრიმიტიული საშუალებაა, ვიდრე ქვეწყობა, რომელიც განვითარებულია პირველისაგან მისი გართულების გზით თვით აზროვნების ფორმის განვითარება-გაღრმავების შესაბამისად“ (კვაჭაძე 1977: 209).

სიტყვათა ისეთ ორგანიზებულ შენაერთს, რომელიც მიღებულია ორი ან მეტი მარტივი ან შერწყმული წინადადებებისაგან რთული წინადადება ეწოდება. ეს წინადადებები შეიძლება გაერთიანებული იყვნენ უკავშიროდ (მხოლოდ პაუზით), ან სხვადასხვა სახის კავშირით.

რთული წინადადება სტრუქტურულად, აზრობრივად და ინტონაციურად სინტაქსურ ერთეულს წარმოადგენს და „მათი ერთ მთლიან ერთეულად შეერთება-შეკავშირებისა და სხვადასხვა მიმართების გამოხატვის საშუალებებია: ინტონაცია, კავშირები, მიმართებითი სიტყვები, მისათითებელი (საკორელაციო) სიტყვები, წინადადებათა წყობა, ზმნის დროისა და კილოს ფორმები“ (იქვე: 304).

როგორც ცნობილია, რთული წინადადება შეიძლება იყოს რთული თანწყობილი (პარატაქსული) და რთული ქვეწყობილი (ჰიპოტაქსური). ამ ორი სახის კონსტრუქციაში შემავალ კომპონენტთა შორის სხვადასხვა აზრობრივი მიმართება არსებობს.

რთულში გაერთიანებულ წინადადებებს შორის დამოკიდებულება თანწყობითია ან ქვეწყობითი. თუ რთულში გაერთიანებული წინადადებები ერთმანეთის მიმართ გრამატიკულად თანასწორია, ასეთი წინადადება თანწყობილია ანუ პარატაქსულია, თუმცა „რთული თანწყობილი წინადადებების ნაწილები ყოველთვის თანასწორი არ არიან, ერთმანეთის მიმართ. ხშირად რთულ თანწყობილში გაერთიანებულ წინადადებათაგან პირველია თავისთავადი, დამოუკიდებლად გაფორმებული, მომდევნო წინადადების გრამატიკული გაფორმება კი პირველზეა დამოკიდებული და, ამდენად, პირველის გარეშე მოკლებულია აზრობლივ დამოუკიდებლობასაც“ (კვაჭაძე

1977: 308), ხოლო, თუ რთულში გაერთიანებულია ერთმანეთის მიმართ არათანასწორი წინადადებები, ასეთი წინადადება ქვეწყობილი ანუ ჰიპოტაქსურია. ქვეწყობილში ერთი გაბატონებულია, მეორე კი მასზეა დამოკიდებული.

მიუხედავად ასეთი კონკრეტული დეფინიციისა, მკვეთრი ზღვარის გავლება პარატაქსულ და ჰიპოტაქსურ წინადადებებს შორის ზოგჯერ ძნელდება. მათში შემავალ წინადადებებს შორის აზრობრივი მიმართება ზოგჯერ იმდენად უახლოვდება ერთმანეთს, რომ სინონიმური მნიშვნელობის წინადადებები გვეძლევა.

წინამდებარე ნაშრომში, სვანურ დიალექტოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით, წარმოვადგენთ სვანურის **პარატაქსული** (რთული თანწყობილი) და ჰიპოტაქსური (რთული ქვეწყობილი) წინადადებების სინტაქსურ ანალიზს.

§1. პარატაქსული კონსტრუქციები

როგორც ცნობილია, რთული თანწყობილი წინადადება მიღებულია ორი ან მეტი ერთმანეთის მიმართ თანასწორი მარტივი ან შერწყმული წინადადების შეერთებით.

სვანურში (მსგავსად ქართულისა) პარატაქსული წინადადების შემადგენელ თანასწორ წინადადებებს შორის სხვადასხვა აზრობრივი მიმართება არსებობს. რთული თანწყობილის კომპონენტ წინადადებათა ზმნა-შემასმენლებით შეიძლება გამოიხატოს ერთდროული მოვლენები, თანამიმდევრული მოვლენები, მოვლენათა მიზეზ-შედეგობრიობა ან დაპირისპირებულობა.

მოვლენათა ერთდროულობა:

თხუმჱრ ჭუჱდისგა ხეყხჱნხ ი კაცხჱრ გუალჟრნ არდახ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 36) „თავები კედელში იყო გარჭობილი და თავები ბაგაზე იყო (ზედმიწ. – თავები კედელში შეყოფილიყვნენ და წვერები ბაგა-ზე იყვნენ)“

სგუებინ ხეხუარ ხოყრხუხ ლაკილელუშ ი ლალჭალშუ, ეჯარს მიჩა ნათი ღუაჟარ ესჭიმხ ლატმურალშუ (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 182) „წინ ქალები მიუძღვით კიყილით და მოთქმით, იმათ თავისი ნათესავი კაცები („ვაჟ-ებ-ი“) მიჰყვებიან სახის ხოკვით“

ხოლა ტარრს ლგმარ ი შუკუს ბგრი ასოდა (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 294) „ცუდი ამინდი ყოფილა და გზაზე ნისლი ჩამოწოლილა (ზედმიწ. – ცუდი ტაროს-ი ყოფილა და შუკა-ს ნისლი და-უ-დ-ი-ა“)“

ნაი ლგჯის ხუარიდ ი ონღურიდ აგითე (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 252) „ჩვენ ლუჯიში ვართ და მოვდივართ სახლში (ზედმიწ. – ჩვენ ლუჯიში ვიმყოფებით და მოვდივართ ალაგ-{ის}-კენ)“

ალე ჟი მაცუ, ა, სუმკრლ, დიარშუ გუეში, ბუხუანკალუშ, ი ღოშკინ ალე მაჭიმ, ბიძაშუილ (ჩოლ.) „ეს აკიდებული მაქვს, აი, ჩანთა. პურით სავსე, ფურნის პურებით, და უკან ეს მომყვება, ბიძაშვილი (ზედმიწ. – ეს მკიდია, აი, სუმკა, პურით სავსე, ბუხანკ-ებ-ით, და უკან ეს მომყვება, ბიძაშვილ-ი“...

მოვლენათა თანამიმდევრობა:

ამ ლეთ ლიმზირს იჩომდა, აწიჰდა მეხუბარარს ი ხოჩამ ლეთს იჩომდა (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 113) „იმ ღამეს ლოცვის რიტუალს ატარებდა, პატიჟებდა საძმოს წევრებს და კარგ საღამოს ატარებდა (ზედმიწ. – ამ ღამეს ლოცვას იქმოდა, იწვევდა მომმეებს და კარგ ღამეს იქმოდა)“

ალი ჟ'ომჯედ უბრალად ი ალდარდ ში ლოჰოდა ი ხოჩა ლადეღ ხოჭუა (ბქ., ლხმ.) „ეს ამოსულა დაუბანლად და ამათთვის ხელი ჩამოურთმევია და მისალმებია (ზედმიწ. – ეს ამოსულა დაუბანლად და ამეებისთვის ხელი მიუცია და კარგი დღე უთქვამს)“

მალფხარ ჩუ შიდეხ სიმინდს ი ქ'აცეხუეხ, ჩუ იშხუნიხ ბეღელისა ლგწმინდაუეს (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 296) „გაზაფხულზე დაყრიან სიმინდს და დაბეგვავენ, შეინახავენ ხოლმე ბეღელში გაწმენდილს“

ეხჭამხ ღოშგინ ფადეს, სგ'ეთრდახ შგედი ლახუისა, ჟ'ანხუიტხ ლეკარ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 247) „გამოეკიდათ უკან მდევარი, დაეწივნენ შგედის მთაში, ამოწყვიტეს ლეკები“

ეჯის ჩ'უალტგნახ, ხორგთე სგა შგდახ, ეჩანღო ეჯი ჟ'ოფინრლ ი ქა ლორაყის ნაგზაულობით ხეკუად უოჯახ (ჩოლ.) „იმას დაჭყლეტდნენ,

საწნახელში ჩაყრიდნენ, მერე ის ადუღდებოდა და არყის გამოხდას კვირაობით უნდებოდა ოჯახი“...

მოვლენათა მიზეზშედეგობრიობა:

ღუნ ი ნაჭა ჩუესცუირხ რუსალდ ი მინ ăგით’ăნჯăდხ ლახუნალუშ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 82) „ხბო და ჯაჭვი დაიტოვეს რუსებმა და თვითონ სახლში დაბრუნდნენ გახარებულები (ზედმიწ. – ხბო და ნაჭა დაიტოვეს რუს-ებ-მა და თვითონ ალაგ-{ის}-კენ მოვიდნენ სიხარულით)“

ჯაშაუდ ისლამ ჩუ ადგăრ ამეჩუ ი აყმურზად ხანჯăრ ხăმგერ ჯაშაუს (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 185) „ჯაშავმა ისლამი მოკლა აქ და აყმურზამ ხანჯალი აძგერა ჯაშავს“

ეშხუინ სăუăრ ლოქ ăმეჯედხ ამეჩუ ამშა ლăქუთარდ ი თერăლ ლგგენე ლოქ ასახუიახ სოფელს (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 293) „ერთხელ ყაბარდო-ბალყარელები მოსულანო აქ ამის მოსაპარად და დაბრმავებულები დახვედრიათ სოფელს (ზედმიწ. – ერთხელ ოს-ებ-ი-ო მოსულან აქ ამის მოსაპარად და თვალ-ებ-მ-დგ-არ-ი-ო დახვედრიათ სოფელ-ს)“

ეჲჟრნენ ახფიშუდ ბუბადი თოფ ი ჩ’ოთდაგრა ნათხუიარე (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 253) „ასე ესროლა ბიძიამაც თოფი და მოუკლავს ნანადირევი“

გუშგუეარს ქა ლუტუ ხăრახ ი ჩუალზიგელიხ ზაგალრდს სერ ეჩăნღო (ჩოლ.) „ჩვენები იძულებული გამხდარან გაქცეულიყვნენ და მერე უკვე ზაგალოდში დასახლებულან (ზედმიწ. – ჩვენებს გასაქცევი ჰქონიათ და დასახლებულან ზაგალოდში უკვე მერე)“...

მოვლენათა დაპირისპირებულობა:

იშგნაგი მჳმ ლăსუხ ხოჩა შუკუăრ, მარე წიბარăრშუ ი მიჯურალშუ ხუიგჭად თხუმ ი ეჩჟრნ ესღურდად (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 149) „სხვაგანაც არ იყო კარგი გზები, მაგრამ წრიაპებით და ბალაყინებით ვიჭერდით თავს და ისე მივდიოდით“

ხეჭუდელ ăმის ჩიგუაშუ, მარე პასუიხუს დემეგ ტიხე (ბქ., ლხმ.) „ეკითხება ამას ყველაფერს, მაგრამ პასუხს არ აბრუნებს“

ხენწიფი გეზალ ლოქ ლი, მარე ეში ჩუ ლოქ ლეჭათუნე ხარ (ლნტ., სვან. პროზ. ტექს., 1967: 145) „ხელმწიფის შვილი ხარო, მაგრამ

მაინც უნდა დაგწყევლოო (ზედმიწ. – ხელმწიფ-ი{ს} შვილიო არის, მაგრამ მაინც დასაწყევლიო აქვს)“

ოჩადდ ნათოფნუნ, მარა ეჩშუნენ ზისხ დესა ჯრდა (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 253) „ავედით თოფის ნასროლამდე, მაგრამ იქ სისხლი არ იყო“

ბოფშარ აგის ოთცუჩრა ი ჯარ გინ ეშ ლახკიუნა ლანყაუჯლთე (ჩოლ.) „ბავშვები სახლში დაუტოვებია და თვითონ კი წასულა გასართობად“...

რთულ თანწყობილ წინადადებაში გაერთიანებული მარტივი და შერწყმული წინადადებები ერთმანეთს შეიძლება უკავშირდებოდნენ მაერთებელი კავშირებით ან უკავშიროდ.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, წინადადებათა კავშირიანი შეერთება უფრო გვიანდელი მოვლენაა, ვიდრე უკავშირო. „ვარაუდობენ, რომ მარტივ წინადადებებს პირველ ხანებში სვამდნენ ერთმანეთზე მიყოლებით რაიმე საგანგებო სიტყვებით დაკავშირებაგადაბმის გარეშე, ე. ი. უკავშირო შეერთება უფრო ადრინდელია, ვიდრე კავშირიანი“ (კვაჭაძე 1977: 309).

სვანურის პარატაქსულ წინადადებაში მაჯგუფებელ კავშირთაგან ყველაზე ხშირად ი „და“ კავშირი გამოიყენება. მაგ.:

ეშხუ ბეფშუ ჩუ იგნი ლუკუნკუად ბაჩუცახან ი შიყ უეშგმაუ ხარ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 37) „ერთი ბავშვი მოკაკული დადგება ქვასთან და ზურგი უკან აქვს“

ალის მახე ლერქუარ ქ'ოხცადა ი სგა ხოწს' ეჯჟი ქორთე ი ნებოზდ ქეიფ ხარენახ ი ეჯჟი პატიოსანდ ჩ'ოხფიშუდა (ბქ., ლხმ.) „ამას ახალი ტანსაცმელი გამოუცვლია და ისე შეუპატიჟებია სახლში და საღამომდე ქეიფი ჰქონიათ და ისე პატიოსნად გამოუშვია („ჩამოუშვია“)“

ჩი ტაბაგს მიჩა-მიჩა მელუნ ხაყა ი ეჯმინდ ხეკუეს ჩიქს ჩუ ლახაშახ ლეთრე (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 54) „ყოველ სუფრას თავთავისი მერიქიფე („მეღვინე“) ჰყავს და მათ ყველას უნდა დაალევინონ სასმელი“

ალე ხმალი ლიხუიე მეუარ ხახიადგნდა ი ლასი ეზარ ალ ხმალ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 275) „ამ ხმლის ხელში ჩაგდება ძალიან უხაროდა და კარგიც იყო ეს ხმალი (ზედმიწ. – ამ ხმლ-ი{ს} ხვედრება მეტისმეტად უხაროდა და ქეც კარგი იყო ეს ხმალ-ი)“

ეჯს ქ'ხაცმენდახ გირგი-მურგუალ ი ეჩანღო ჟი ხრშუახ ლემესს ი ეჩანღო ღობრათესა ლიცს ხოფშუტახ სგა ი ეჯი ჩ'უაქუნელა ი ეჩუქა ქა ჯენრლ არაყ (ჩოლ.) „იმას წაუსმევდნენ ირგვლივ და მერე დაუწთებდნენ ცეცხლს და მერე ჭურჭელში წყალს მიუშვებდნენ და ის გააციებდა ხოლმე და იქიდან გამოდიოდა არაყი“...

ხშირად მაჯგუფებელ-კავშირიანი თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილში გვხვდება ნაცვალსახელი ან ზმნიზედა, რომელთა კონკრეტული მნიშვნელობა გასაგები ხდება პირველ ნაწილში დასახელებული წევრის მიხედვით:

ლაყუბალაჳ ზანგლაჳ ქა ხოთრინდახ ი ეჩი ჰერს მაჳ გუდ ჯედენდა (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 95) „შესაკრები ზარის ხმას ცნობდნენ და მის ხმას ყველა ხვდებოდა (ზედმიწ. – შეგროვები{ს} ზანზალაკ-ი ეცნობოდათ და იმი{ს} ხმას ყველა გულ-ად მოდიოდა)“

მინ ესერ ბაჩარს სგ'ალაბაჰაჭხ ი ეჩხანქა'ესერ ეზერ ლადგარ ხოჯდენიხ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 96) „თქვენ ქვებს მოეფარეთო და იქიდან გაგიადვილდებათო მოკვლა (ზედმიწ. – თვითონო ქვებს შეეფარნენ და იქიდანო კარგი მოსაკლავი მოუვათ)“

მამუილ დემის ილგუბარი ი ამიშ ლეღუ დადუღიშრიგ დეშ ლი (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 206) „მამალი არ გასუქდება და ამისი ხორცი დედალის ხორცივით კარგი ვერ არის“

ბაპს ქუერწილ ლოქ ხარ ი ეჩოხ ლოქ ასაყა ღეზიენიდ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 147) „მღვდელს ქორწილი აქვსო და იქ მიმყავსო დასაკლავად“

ლგჭბიდად ხაყახ ღუნ ი წანის ხამნეხ ი ეჯნოუშ ხამთქუეხ ლიზობს (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 265) „დამწყვდეული ჰყავთ ხბო და ხელით მოგლეჯილ ბალახს აჭმევენ და იმით აჩვევენ ჭამას (ზედმიწ. – დამწყვდეულად ჰყავთ ხბო და მოგლეჯილს აჭმევენ და იმით აჩვევენ ჭამას)“

ალე მეზუბელურ ჯარჯს დეშ პგწკებუი ი ათხენ ამშა ლიმნარი მაკუა?! (ჩოლ.) „ამ მეზობლის გარეშე პირს ვერ ვაღებ („ვაპობ“) და ახლაც

მისი მოსმენა მინდა?!“... თუმცა აღნიშნულ შემთხვევაში დასტურდება უკავშირო შეერთებაც:

ამნ̃მ სემი ლადეღ ქ'Რთხანე, ეჩანღო ხაბგერ ხანჯარ ი ქ'Ანცგლგრე (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 282) „ამან სამი დღე დააცალა („დაახანა“), მერე ატაკა ხანჯალი და გამოფატრა“

სგ'ონჯუედ სალიგუერდთე, ეჩეჩუნე ემხუ მედუქნე ემხუ̃და (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 263) „შემოვედი სალიგვერდში, იქ ერთი მედუქნე დამხვდა“

სგა ლამხუ̃დახ მოსე̃'ი მიჩა ბეხუ, ქა ლუ̃მბუი მᲐდა მიწგუი ჯაცა (ჩოლ.) „შემომხვდნენ მოსე და მისი ცოლი, მოსაყოლი გამიხდა ჩემი დაღუპვის ამბავი („დაქცევა“)“...

როგორც ცნობილია, თანწყობილ წინადადებაში მოვლენათა დაპირისპირებულობის გამოსახატავად გამოიყენება მაგრამ, ხოლო, კი მაპირისპირებელი კავშირები.

„კი“ და „ხოლო“ კავშირები სვანურში თანწყობილ წინადადებაში არ გვხვდება, მათ ამ სემანტიკით ან ი „და“ კავშირი ენაცვლება, ან მოვლენათა დაპირისპირებულობა უკავშირო თანწყობილი წინადადებებით გამოიხატება, თუმცა ყურადღება უნდა მიექცეს ი „და“ კავშირის ადგილს, ის არ დაისმის თანწყობილის რომელიმე წინადადების შუაში, ან ზმნის წინ, როგორც ეს „კი“ კავშირს ახასიათებს, არამედ სწორედ ისე იქცევა, როგორც ი „და“ კავშირი და მაერთებელი კავშირის ადგილას გვხვდება. მაგ.:

ჰე, ლგჰᲐჯ ისგუ ბედ, სი სტოლ ჯიგ ი მი მᲐიდშუ̃ ხუ̃იდგᲐრი! (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 42) „ჰე, ნეტავი შენ („შენი ბედ-ი“), შენ სუფრა გიდგას და მე [კი] მშიერი ვკვდები!“

კუმᲐშს ჩუ̃Აზიენდახ ი მარალს ქა უ̃ედდახ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 110) „საქონელს დაკლავდნენ ხოლმე და ადამიანებს [კი] ყიდდნენ“

მი ლამფას ხუ̃ეშკᲐდენ ი ალიარ აჯაღ გეჩს ატრლდახ (ლშხ.) „მე ჭერს მივშტერებოდი და ესენი [კი] ისევ დანას ათვალიერებდნენ“

მეიად ჩუბო კუმაშ ისგდი ი მარად ეესიეს დეცს ხეკუეს ღახრეკას თე (ჩოლ.) „მუდამ ქვევით საქონელი იყურება და კაცმა [კი] ზოგჯერ ცას უნდა ახედოს („ჰკიდოს თვალ-ი")"

აშხუნ ლეზუბემი ლამარად თანაშემწე ადგენეხ, მინ ლათხელთედ აჩადხ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 102) „ერთხელ საჭმლის მოსამზადებლად თანაშემწე დააყენეს, თვითონ საძებნელად წავიდნენ"

მი ემხუ ზაი ოხუნკუდ უოხუშდ მანთი ლათხელის, დოხტურდ ეშხუ მინუტისა ითხე (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 286) „მე ერთი წელი მოვუნდი ხუთი მანეთის შოვნას, ექიმმა („დოქტორ-მა") კი ერთ წუთში იშოვა"

ამხენ ბოფშარ იკგრალდახ ლეზობს, მერბახენ ზურლარ ითმარიელდახ (ჩოლ.) „აქედან ბავშვები იხვეწებოდნენ საჭმელს, მეორე მხარეს ქალები წვალობდნენ"...

ეს წინადადებები მოვლენათა დაპირისპირებულ სემანტიკას შეიცავს და ი „და" კავშირი მაპირისპირებელ „კი" და „ხოლო" კავშირების მნიშვნელობას ითავსებს.

ასეთი შემთხვევა ქართულშიც დასტურდება, იშვიათად შეიძლება დათი შეერთებულ თანწყობილ წინადადებათა შორის მოვლენათა დაპირისპირებულობაც გამოიხატოს: „ამისაგან შენ ისწავლე და შენ მე მასწავლეო. მნიშვნელობით იგივეა რაც: ამისაგან შენ ისწავლე, შენ კი მე მასწავლეო" (კვაჭაძე 1977: 315).

სვანურში პარატაქსულ წინადადებაში კი კავშირის ფუნქციით შეიძლება მოგვევლინოს გინ- ნაწილაკიც, რომელიც ამავე დროს ინარჩუნებს მისთვის დამახასიათაებელ სარკაზმის სემანტიკას და რთულ თანწყობილ წინადადებას მეტ ექსპრესიულობას ჰმატებს (იხ. ნ. შავრეშიანი „ერთი ექსპრესიული ნაწილაკისათვის ქვემოსვანურში", საენათმეცნიერო ძიებანი, XXXIII, 2011). მაგ.:

ეჯიარ აჩადხ ცხეკთე, ჯეი გინ აგის ასად (ჩოლ.) „ისინი წავიდნენ ტყეში, თვითონ კი შინ დარჩა"

ჭაშ კუმაში ლაჭდათე ემჩედ, ჲეხუ გინ აგის ოთცურა (ჩოლ.) „ქმარი საქონლის მოსაყვანად წასულა, ცოლი კი სახლში დაუტოვებია"

მი ჟ'ოხუ̈ეკუ̈დ ლეზობი ლამა̈რას, ალე გინ ჩუ̈ალპრა̈ნჭყელი ლაყუ̈რაჟი (ჩოლ.) „მე მოვუნდი საჭმლის მომზადებას, ეს კი წამოკოტრიალებულა ლოგინზე“...

ყურადღება უნდა მივაქციოთ სვანურში ზღაპრის ტექსტებში წარმოდგენილ ისეთ წინადადებებს, რომლებიც ფორმალურად პარატაქსული წინადადებების მსგავსია და სადაც ორი წინადადების ერთმანეთთან დასაკავშირებლად წარმოდგენილია ი „და“, კავშირი. მაგ.:

ლგმზგრე̈უ̈ ხიშდ ი ალა ლი ეშხუ მა̈რე (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 163) „დალოცვილი ყოფილიყავით და ეს არის ერთი კაცი (ზედმიწ. – დალოცვილიმც ხართ და ეს არის ერთი კაცი)“

აცცამზგრახ ღერთემ ი ეჯმინეშ ლიჭედალუ ხორდგუ̈ნად ღერბათუ̈! (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 345) „დაგლოცოთ ღმერთმა და იმათ მოსვლამდე გაცოცხლოთ („უმყოფებიხართ“) ღმერთმა („ღმერთს“)!“

ჯამზგრახ ღერთემ ი არი ეშხუ მეთხუ̈იარ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 283) „დაგლოცოთ ღმერთმა და არის ერთი მონადირე“

ხოჩა̈უ̈ გუ̈აყრა ჩრის ი ცხეკისა იზგრლ მეჩი დადრლ (ჩოლ.) „კარგი დაგვემართოს ყველას და ტყეში ცხოვრობდა ერთი მოხუცი ბებო (ზედმიწ. – კარგიმც დაგვმართნია ყველას და ტყეში ცხოვრობდა მოხუცი ბებუკა)“...,

თუმცა, თუ კარგად დავაკვირდებით, აღმოჩნდება, რომ ეს წინადადებები ერთმანეთის მიმართ არ არის თანასწორი, რადგან პირველი წინადადება წარმოადგენს მიმართვას (მიმართვას ცალკე, თუ მასთან დაკავშირებული სიტყვებითურთ, წინადადებაში სრულიად განკერძოებული ადგილი უჭირავს) და, ჩვენი აზრით, არც ეს ი (თითქოსდა კავშირი) არ ასრულებს კავშირის ფუნქციას. აქ საქმე გვაქვს გაბმული მეტყველების დასაწყისთან, კერძოდ, თხრობის დასაწყისში გონების კონცენტრაციის დროს შეყოვნებასთან და ეს ი სწორედ ამბის გადმოცემის საწყის ეტაპზე წარმოქმნილი პაუზის გამომხატველი უნდა იყოს. ამის თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება გამოდგეს ლენტეხურ ტექსტებში დადასტურებული ილუსტრაციები, სადაც მსგავს წინდა-

დებებთან დაცულია ორთოგრაფიული კანონზომიერება და პირველ წინადადებასთან (მიმართვასთან) ჩვეულებრივ წარმოდგენილია ძახილის ნიშანი და მომდევნო წინადადება იწყება ხსენებული ი-თი, რომელიც კავშირი არ უნდა იყოს. მაგ.:

> ჯჳმეზრას ღერთემ! ი ჳრი ეშხუ გარდატყუჳჲ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 216) „დაგლოცოს ღმერთმა! და არის ერთი მატყუარა“
>
> ჯჳმეზრახ ღერთემ! ი ჳრი ეშხუ მგლეჩხუმ ღჳრიბ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 227) „დაგლოცოთ ღმერთმა! და არის ერთი ლეჩხუმელი ღარიბი“

უნდა აღინიშნოს, რომ უმეტესწილად ლენტეხურში (სხვა დიალექტებშიც) მსგავსი სემანტიკის შემცველი წინადადებები ცალ-ცალკე წინადადებებად არის გამოყოფილი და ი-ს გარეშე იხმარება. ასეთი პაუზის გამოსახატავად გაბმულ მეტყველებაში, საუბრისას, სვანურში ხშირად ი-ს ენაცვლება გ, თუმცა „სვანური ენის ქრესტომათიასა“ და „სვანურ პროზაულ ტექსტებში“ აღნიშნული ბგერა არ გვხვდება.

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა მიმართვა მომდევნო, ბოლო წინადადებას წარმოადგენს ზღაპრის დასასრულს. მაგ.:

> ბაბა დაჳდ ხოჩა ლირდე-ლიზგე ჲდჯიდ ი ჲჲსამეზრახ ღერთემდ! (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 125) „ბაბუა დევმა კარგი ცხოვრებაყოფა გალია და დაგლოცოთ ღმერთმა!“
>
> ხოჩა ლირდე ედჯიდ ი ჯიმზგრახ ღერთემ! (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 85) „კარგი ცხოვრება გალიეს და ღმერთმა დაგლოცოთ!“
>
> ამჟი ედგჲთუჲნ ალე ციგინ ი ღჳრბათსუ ოთმეზრად! (ჩოლ.) „ასე დამთავრდა ეს ზღაპარი და ღმერთმა დაგლოცოთ (ზედმიწ. – ასე გათავ-დ-ა ეს ზღაპარი და ღმერთსამს დაულოციხართ!)!“...

სვანურში მაპირისპირებელ კავშირთაგან ყველაზე ხშირად გამოიყენება მარა/მარე/მა, რომელიც ფუნქციით ქართული მაგრამ კავშირის შესატყვისია. მაგ.:

> დადაში ჯაფრჲნს ეშდ ღეთ ხჲრა ლგდგჲრ ლატლჲრ, მარე გუი

დეშგდ ხ̈არა ლგჳ̈უე (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 76) „დადაში ჯაფრანს თითქმის ათამდე ლატალელი ჰყოლია მოკლული, მაგრამ გული მაინც ვერ მოუოხებია (ზედმიწ. – დადაში ჯაფრანს ათიოდე ჰყოლია მოკლული ლატალელები, მაგრამ გულ-ი ისევ ვერ ჰქონია მოოხებული)“

ეჩქა და̈უ ჟ̈ამეჩედელი ლარმიდ, მარე ჩუ მა̈ჩშ ათორმა (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 141) „მაშინ დევი ასულა დასაჭერად, მაგრამ ვერ დაუჭერია“

დესამა ენმეჳრე ალ მა̈რად, მარა ჩაფლარს ლახსინჯ̈უე ი ჩუათირ მიჩა გეზალ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 289) „ვერაფერი გაიგო ამ კაცმა, მაგრამ ფეხსაცმელებს შეხედა და იცნო თავისი შვილი“

ძღგდ შუკ̈უს ოთრგან ლგჭოჭდ, მა ეშრ დესა ხამურჯდა დენმე ლიშუმეს (ჩოლ.) „დიდ გზას გაუდგა ოჯახიანად („ოჯახის ყველა წევრიანად“), მაგრამ მაინც არ აპირებდა არსად შესვენებას“...

სვანურში, როგორც საილუსტრაციო მასალამ აჩვენა, მარა „მაგრამ“ კავშირი იწყებს ყოველთვის თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილს და აპირისპირებს მას პირველთან. ზოგჯერ აღნიშნული კავშირი მომდევნო წინადადებას აპირისპირებს სხვა ჯგუფის მაერთებელი კავშირებით შეერთებულ წინადადებებთან. მაგ.:

ლ̈ათი-ლ̈აჭმათეიდ ოჩუადდ ი ჟორა ი ჯულაბ ტიტუელ ა̈ჭმახ, მარე ლეჭმად ხოლა ლემგრხელ ანხუიდ ეჯ ლადეღ (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 209) „კვლავ სამკალ-სათიბად წავედით და ჟორა და ჯულაბი ტიტველი თიბავდნენ, მაგრამ სათიბად ხრიოკი ადგილი შეგვხვდა („ცუდი საჭინჭრე“) იმ დღეს (ზედმიწ. – სამკალ-სათიბავად კვლავ წავედით და ჟორა და ჯულაბ-ი ტიტველ-ი თიბავდნენ, მაგრამ სათიბად ცუდი საჭინჭრე შეგვხვდა იმ დღე-ს)“

ეს აშხუთე ლგმა̈რ ხოფშირა ლგდგა̈რ ი ეს მერმათე, მარე ეჩხ̈უ შუანა̈რ გარ ხ̈აშგბ̈ანუნახ ქაშგარს (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 63) „ხან ერთ მხარეს ყოფილა მეტი მკვდარი და ხან მეორე მხარეს, მაგრამ იქით მხოლოდ სვანები უცვივდებოდნენ ჩერქეზებს (ზედმიწ. – ხან ერთისკენ ყოფილა უმრავლესი მკვდარი და ხან მე-ორ-{ის}-კენ, მაგრამ იქით სვან-ებ-ი მხოლოდ *მინავარდნან ქაშაგ-ებ-ს)“

მა̈ი მაიდა̈რ გუ̈ბდა ლეზი, მა̈ი მაფნა̈რრ̈ ხუ̈ასდ, მარა ღოშდ ნაქიმურ და̈რ იშგდახ ლიტეხს (ლშხ.) „ხან მშიერს გვიწევდა წასვლა, ხან

მწყურვალიც ვიყავით, მაგრამ უკან ხელცარიელი არავინ კადრულობდა დაბრუნებას (ზედმიწ. – ხან მშიერი გვქონდა სასვლელი, ხან მწყურვალიც ვიყავით, მაგრამ უკან ნამატის გარეშე არავინ კადრულობდნენ დაბრუნებას)"

მოცქუილს მოცქუილჟი ხოზზედა, ქუეყანაჟი ლეთიშ ღუაჟარს ხათშედა, მარა ეშრ დეშ ოთლიჯუ გუი (ჩოლ.) „შუამავალს შუამავალზე უგზავნიდა, ქვეყანაში გამორჩეულ კაცებს არჩევდა, მაგრამ მაინც ვერ მოულბო გული (ზედმიწ. – მოციქულ-ს მოციქულ-ზე უგზავნიდა, ქვეყანა-ზე ნარჩევ ვაჟ-ებ-ს არჩევდა, მაგრამ მაინც ვერ გაულღო გულ-ი)"...

რამდენიმე წინადადებისაგან შემდგარ თანწყობილ წინადადებათაგან ზოგჯერ მარე „მაგრამ" კავშირი შუაში მოქცეულ წინადადებას აკავშირებს და აპირისპირებს პირველთან, ხოლო მისი მომდევნო წინადადება მაპირისპირებელკავშირიანი წინადადების სემანტიკის გაგრძელებაა. მაგ.:

გეგის ღალ შიბ ათქეცა ი სახშურ ქუთულჯრქა ლახჭონენა, მარე ეჯღაი ჟ'ახწინენა ი დაუ ჩ'ოთდაგრა (ბქ., ლხმ.) „საწყალ გეგის ზონარი გაწყვეტია და შარვალი მუხლებზე შემოჰხვევია, მაგრამ მაინც მორევია და დევი მოუკლავს"

ხუაი ხოთხელნა, მარე დემე მოშ ითხე ი ღოშკინპილს ჟ'ასაგან ეშხუ მარა მოჯამაგირდ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 389) „ბევრი უძებნია, მაგრამ ვერსად ვერ იპოვა და ბოლოს დაუდგა ერთ კაცს მოჯამაგირედ"

ქ'ესპირეხ სგობნე მეზგემი ლიტული, მა ჟ'რუდ ენიედრეხ აჯახ ფადასობ ი ქ'ასუდ ოთრგანხ შუკუს მუსი ლაჭბუუშ (ჩოლ.) „დააპირეს წინა მოსახლის დაძახება, მაგრამ ისევ გადაიფიქრეს სტუმრობა („შეკრება") და კვლავ გაუდგნენ გზას თოვლის გაკვალვით"...

რთულ თანწყობილ წინადადებებს შორის დაპირისპირებულობას, ხშირ შემთხვევაში, აძლიერებს მარა „მაგრამ" კავშირთან ერთად ეშ/ეშრ/ეჯღაი /ეჯღაი „მაინც" ნაწილაკი, რომელიც ხან უშუალოდ მოსდევს კავშირს, ხან სხვა წევრებით არის კავშირისაგან გათიშული. მაგ.:

შიყი ურრწუად ხუამშაედ მ'რ მიშგუი ჭაშ, მარე ეშრ დესამა გუღუა (ლშხ.) „თავდაუზოგავად („ზურგის გაუმართავად") ვმუშაობთ მე და ჩემი ქმარი, მაგრამ მაინც არაფერი გვაქვს"

ӓმიშ ლაӈუფშა̈ს ӓბკუაჰ ამირა̈ნ, მარე ჟი დეშ ახყუიფ ეӽღა̈ (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 214) „ამის ამოძრობას შეეცადა ამირანი, მაგრამ ვერ ამოაძრო მაინც“

ხუაჭიმის ხა̈ლმოშ მეიმედა̈ნ, მარა ჭიშხძაზგა̈რ დეშ ლოხუ̈რდენ ეშ̈რ (ჩოლ.) „მივდევდი რაც შემეძლო, მაგრამ ფეხმტკივანი ვერ დავეწიე მაინც“

და̈რ ესიდა̈მ მისკეთე, მარა ეӽღა̈ი ლემოӽმაგა̈რ მა̈რ ქორ-მეზგად (ჩოლ.) „არავინ არაფერს მიკეთებს, მაგრამ მაინც უნდა ვემსახურო ოჯახს (ზედმიწ. – არავინ არაფერს მი-სი-კეთ-ებ-ს, მაგრამ მაინც სა-მო-ჯამაგირე-ო მაქვს სახლ-მოსახლედ)“...

პარატაქსულ წინადადებებში ხშირად გამოიყენება მაცალკევებელი კავშირები: დედ – დედ / ედ – ედ „ან – ან“ (ბზ.), ხედ – ხედ (ბქ.), ჰედ – ჰედ „ან – ან“ (ლხმ.), იეს – იეს / დეს – დეს / ეს – ეს „ხან – ხან“ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), მაი – მაი (ლშხ.), მა̈ი – მა̈ი „ხან – ხან“ (ჩოლ.), მა̈ი – მა̈ი (ბზ.), მა̈ – მა̈ „ხან – ხან“ (ბქ.), რომელთა გამეორების შემთხვევები ხშირია თანწობილი წინადადების ნაწილებში.

მაი „ხან“ მაცალკევებელი კავშირი, ძირითადად, განმეორებულად იხმარება და ზოგჯერ მასთან ერთად წარმოდგენილია ი „და“ კავშირიც. ასეთ თანწყობილ წინადადებაში აღნიშნული კავშირი ხან თავშია მოქცეული, ხან წინადადების შუაში, ხან კიდევ მთლიანი წინადადება უსწრებს წინ. მაგ.:

მა̈ ბეფშუ̈შ ლიგუ̈ნი ისმიუ̈, მა̈ ზურა̈ლა̈შ კილ შყედნიუ̈ (ბქ.) „ხან ბავშვის ტირილი ისმოდა, ხან ქალის კივილი (ზედმიწ. – ხან ბავშვ-ის ტირილი ი-სმ-ოდ-ა, ხან ქალის კივილ-ი ვარდებოდა)“

მა̈ დეცთე ისგდინიუ̈ ლგმბჟე, მა̈ გიმიშ ლიძგუ̈ებს იუ̈დიუ̈ შგუ̈ირუ̈შ (ბქ., ლხმ.) „ხან ცისკენ იყურებოდა გაკვირვებული, ხან მიწის გასკდომას ნატრობდა სირცხვილით“

ამკა ხოლა ლინთუ̈ ხოხა ამჩუ, მა̈ი მუსს ოსღუ̈ად ი მა̈ი ბიქუ̈ გუ̈იტყრრე კურხუ̈ლისა (ჩოლ.) „ასეთი ცუდი ზამთარი იცის აქ, ხან თოვლი წაგვლეკავს ხოლმე და ხან ქარი გვწეწავს (ზედმიწ. – ამ-ყალიბ-ი ცუდი ზამთარი იცის აქ, ხან თოვლს მივყავართ და ხან ბუქ-ი გვიწევს ყინვებში)“

უბანხანქა ეს ԁრრი ითშრლდა, ეს – სემი, იმხანქა ეშხუი (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 95) „უბნიდან ხან ორს ამოირჩევდნენ, ხან – სამს, ზოგიდან ერთს (ზედმიწ. – უბნ-იდან ხან ორ-ი ირჩეოდა, ხან – სამ-ი, ზოგიდან ერთი)“

ԁეს მერტყუელიაԁუშ ალგნძღაუდა, ԁეს ეჩა ფას დარ ხადა (ლშხ.) „ხან მატყუარათი ლანძღავდა, ხან მისი ფასი არავინ ჰყავდა („ჰქონდა“)“

ԁეს ნაუჟებას ხაბრალდა მიჩა ნაგლახაის, ԁეს ლეგლირდას იმზეჰდა (ჩოლ.) „ხან მოუცლელობას აბრალებდა თავის სიგლახეს, ხან ავადმყოფობას იმიზეზებდა“...

სვანურში ჰედ/ԁედ /ედ „ან“ კავშირი, ძირითადად, განმეორებით იხმარება (თუმცა გვხვდება ცალკეც) და გულისხმობს თანწყობილი წინადადებების ნაწილებში დასახელებულ ამბავთაგან ერთ-ერთის არჩევას, ან ერთ-ერთის შესრულების შესაძლებლობას სხვების გამორიცხვით; აღნიშნულ კავშირთან ერთად შესაძლებელია შეგვხვდეს ი „და“ კავშირიც. მაგ.:

ჰედ თხეროლე ლეგლგრად ისყი, ჰედ დაშდუარ ადტრაკაუნეხ ცხეკლისგა (ბქ., ლხმ.) „ან მგლების დასაგლეჯი გახდება („დასაგლეჯად კეთდება“), ან დათვები დაფლითავენ ტყეში“

ჰედ როქი სი ამგმბაუ, მადე როქი მი ჯემბუალ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 141) „ან შენ მომიყევიო, ანდა მე მოგიყვებიო“

ლგფრა სიმინდს მაწგხჟი ჟი იკედხ კუიდოლშუ ი ჰედ შიუშუ აჩხუარეხ, მადეი ლაჩაჩარშუ აჩაჩეხ ი ეჩქანღუე ქა იგეჰხ (/ილქუერიხ) (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 202) „გამხმარ სიმინდს საჭიროებისას აიღებენ გოდრით და ან ხელით დაცეხვავენ, ანდა საცეხველით დაცეხვავენ და მერე დაფქვავენ“

ԁედ ლამდაბთე ხელკრლ მიშგუა ბუბას ი ԁედ ეშხუდ ღგრდახ ნებოზს კუმაში ლახრლთე (ლშხ.) „ან საქმეზე გამოუვლიდა ბიძაჩემს და ან ერთად მიდიოდნენ საღამოს საქონლის დასახვედრად“

ალე ტიშარუ ԁედ მაიდუშ ანკდენიხ, ԁედ მახერა ლენჟოღუანნეხ ქა (ლშხ.) „ეს ტილიანები ან შიმშილით ამოწყდებიან, ან მუნი გაიყოლებთ“

ԁარ იჩმგდა ეჩქა ԁედ დუეშტი ლადეღ ლაგუანს, ԁედ უორმოცს ი ԁედ ლიჯგრის ი იმუალამ?! (ჩოლ.) „ვინ იხდიდა მაშინ ან ორშაბათ დღეს გასვენებას, ან ორმოცს და ან კურთხევას და რაღაცას (ზედმიწ. –

ვინ იქმოდა მაშინ ან ორშაბათ დღე-{ს} სატირალს, ან ორმოც-ს და ან კურთხევას და რაღაცას?!)?!"

დეამ იცურე ლეთურშ ლექტემს, დედ საბანს იშყუფე ქა (ჩოლ.) „არ იტოვებს ღამე ჩასაცმელს, ან საბანს გადაიხდის ხოლმე"

მახუშის ხოწუგნდა ქორა ლითხუმი ი ლრქურსგ მაი დას ხად ლეჩუმე ი დედ იმე ხადხ ლეშდაბ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 24) „ოჯახის უფროსს უწევდა სახლის მართვა („სახლი{ს} მეთაურობა") და თქმა, ვის რა ჰქონდა გასაკეთებელი და ან სად ჰქონდათ სამუშაო"...

რაც შეეხება ბალსქვემოურ დიალექტს, აქ ჰედ/ჰედი/ხედი „ან" კავშირს ენაცვლება სემანტიკით იდენტური მადეი „ანდა" ფორმა, რომელსაც, ასევე, წინ შეიძლება ი „და" კავშირი უძღოდეს, მაგ.:

ჟიქა ჰედ ლაბარგ ხარხ, მადეი მანცინიშ ლარდა, ამის ნეშკა ხაშხა (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 197) „ზევით ან სათავსო აქვთ, ანდა წვრილფეხას სამყოფი, ამას სხვენი ჰქვია (ზედმიწ. – ზემოთ ან სა-ბარგ-ო აქვთ, ანდა წვრილის სამყოფი, ამას ჰქვია სხვენი)"

ითქს ძაძროლთე იკედხ ი ჰედი ამნოშუ გგემხ, მადეი რაყთე ადისგხ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 230) „მარცვალს ტომრებში იღებენ და ან ამით დადგამენ, ანდა კასრში დებენ"

ხედი მი ღური, მადეი სი ადერ ალარცახან (ბქ.) „ან მე წავალ, ან შენ წადი ამათთან ერთად"

ხედი დაშდუ ადცგრგლისგ ი მადეი თხერემი ბედიშდ ენსყი (ბქ.) „ან დათვი დაგლეჯს, ან მგლის კერძი გახდება („მგლი{ს} ბედ-ის-{ა} გაკეთდება")"...

სვანურში იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ა „თუ" მაცალკევებელკავშირიანი პარატაქსული წინადადებები. მაგ.:

გაცხაად ჩოთთურიფ ა ხირტყუელალდ ლათაშშალ? (ლშხ.) „მართლა დაუკარგა, თუ იტყუებით გუშინდელივით?"

ჟ'ენტიხახ კოჯხენჟი ნამდაგარუას ა დეამ ანიესნახ სერდეს? (ჩოლ.) „ამოიტანდნენ კლდიდან მკვდარს, თუ არა იდარდებდნენ (ზედმიწ. – ამოაბრუნებდნენ კლდიდანზე ნამკვდარებს, თუ არაფერს მოიტანდნენ დარდს?)?"

ამშელდ ფიცარ ესწგხი ა ფანერკალ ოშშკადა ლესკარქა? (ჩოლ.) „ამდენი ფიცარი დასჭირდება, თუ ფანერები დავაჭედო გვერდებზე?“...

აღნიშნული კავშირი თანწყობილის ნაწილებს კითხვითობის სემანტიკას ანიჭებს.

ქვემოსვანურში ხშირია ქართულის გინდ მაცალკევებელი კავშირის გამოყენება რთული თანწყობილი წინადადებების დასაკავშირებლად, თუმცა პარალელურად გვხვდება საკუთრივ სვანური ჯაკუ „გინდა“ ვარიანტიც. მაგ.:

გინდ ბოგლექუა ენყიმას თხუმ, გინდა სგ'ადსკინას ლაშხურთე (ლშხ.) „გინდ ხიდიდან ჩამოიხრჩოს თავი, გინდა ჩახტეს ცხენისწყალში („ლაშხურ{ის}კენ“)“

ლაგუანთე გინდა სი ადერ ნათუარალცახან, გინდა მი ოთჭემნი ძინარს სოფლი ხალხს (ჩოლ.) „გასვენებაში გინდა შენ წადი ნათესავებთან ერთად, გინდა მე გავყვები დილას სოფლის ხალხს“

თაშ გინდ ლგჯაბ ლუსეს ი გინდ ტაფაჰასა ლუწუწე, გუწ მალატ (ჩოლ.) „ყველი გინდა მოხარშული იყოს და გინდა ტაფაში შემწვარი, ძალიან მიყვარს“

ჯაკუ ლერექუი ლაყიდ თეთრს ჯაუდი, ჯაკუ ქა ჯუფშუდე ექსკურსიათე (ლშხ.) „გინდა ტანსაცმლის საყიდ ფულს მოგცემ, გინდა გაგიშვებ ექსკურსიაზე“

კინჩხუ ჯიშგრბა, ჯაკუ ალთას ადე ი ჯაკუ ღოშტუტახს ხოძგრ (ჩოლ.) „კისერიც გიტეხია, გინდა ალთას წადი და გინდა სიკვდილით დაბრუნდი (ზედმიწ. – კისერ-იმც წაგცლია, გინდა ალთა-ს წადი და გინდა უკანმოუბრუნებელს ეძგერე)“

ჯაკუ ხარჯ[5] ალმარად ეჯი თეთრუშ, ჯაკუ ნაწუარდ ალირად (ჩოლ.) „გინდა ხარჯი მოვამზადოთ იმ ფულით, გინდა შესაწევრად დავწეროთ“...

პარატაქსულ წინადადებაში უკავშირო შეერთების ერთ-ერთ ძირითად საშუალებას ინტონაცია წარმოადგენს. სვანურში ხშირია რამდენიმე თანასწორი წინადადების უკავშირო შეერთების შემთხვევები. მაგ.:

[5] მიცვალებულის ოჯახში სტუმრების პატივსაცემად მიტანილი სასმელ-საჭმელი, მეზობელ-ნათესავების მიერ მომზადებული.

ჩუ̈ბე ლახმგლს ლი ნენსგალისგა სუ̈ფ, სუ̈ფლისგა ლგგ ზესხ, მიჩა გგრკდიშენ ჩიაგ ლასგურა გაჩა̈რ ლგგბ (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 185) „ქვედა ლახამულაში არის სოფლის შუაგულში შესაკრები მოედანი, მოედანზე დგას ცაცხვი, მის ირგვლივ ყველგან დასაჯდომი ქვებია (ზედმიწ. – ქვედა ლახამულას არის შუაში მოედანი, მოედანზე დგ-ა-ს ცაცხვი, მის ირგვლივ ყველგან საჯდომი ქვები დგ-ან-ან)“

ქ'ოხჭამდ კოჯქა, ხიარ ოშყუ̈ადდ კოჯჩუ, უ̈ედ გარ ოჩუ̈ადდ ქა, თგმი ა̈ნჭად სურუ (ბქ., ლხმ.) „გამოვეკიდეთ კლდეზე, კინაღამ გადავვარდით კლდეზე, ძლივს გავედით, ძალიან ძალიან გაგვიჭირდა (ზედმიწ. – გამოვყევით კლდეზე, კინაღამ გადავვარდით კლდეზე, ძლივს მხოლოდ გადავედით, თმენა მოგვივიდა მეტისმეტი)“

ჲესო ქრისტე ლექჭუაშხენ ალმა̈ზლი, ჯორჟი ხასკურენა, ქუ̈ეყანას ლგმა̈შენა̈ული, ჲეშმა̈ ლეჟაშხენ ალმა̈ზლი ქუ̈ეყანა̈ი ლა̈შენა̈უიხენ (ლნტ.. სვან. ქრესტ., 1978: 295) „იესო ქრისტე ქვემოდან მოდიოდა თურმე, ჯორზე მჯდარა, ქვეყანას ანაშენიანებდა, ეშმაკი ზემოდან მოდიოდა თურმე ქვეყნის აშენებიდან“

ანღრი, ანჭად მიჩა დაჩურნუნ, სგა ლახტყუბეხ ალეი სარკს (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 279) „მოდის, მოვიდა თავის დამდე, მიამატეს („შე-ა-ტყუპ-ე-ს“) ესეც სარკეს“

მი ამჟი ა იშგუ̈იდ სა̈თჟი, არა სა̈თჟი ქა ხუ̈ეგნრლდას უკუ̈ე, ოსღურის, მანქანა̈ლ დესა ა̈რდახ ეჩქა, ჭიშხუ̈შ ხეკუ̈ერ ემჩედე̈ლხა̈ს, ჭიშხუ̈შ ხეკუ̈ერ ემჯედე̈ლჯა̈ს (ჩოლ.) „მე ასე, აი, შვიდ საათზე, რვა საათზე გავუდგებოდი უკვე, მივდიოდი, მანქანები არ დადიოდნენ („იმყოფებოდნენ“) მაშინ, ფეხით უნდა წასულიყავი, ფეხით უნდა მოსულიყავი“...

სვანურში ხშირად გვხვდება ისეთი პარატაქსული წინადადებები, რომლებიც სამ და მეტ თანასწორ წინადადებას შეიცავს და ამ წინადადებათა ერთმანეთთან დასაკავშირებლად გამოყენებულია სხვადასხვა კავშირები, თუმცა ზოგჯერ ბოლო წინადადებასთან გვხვდება უკავშირო შეერთების შემთხვევებიც. მაგ.:

კაუ̈შ ლგნშგ ქორ იუ̈ალადეღ გეჭნოლ, მარა ათხე მახა ქორალს და̈რ მგრ ა̈ნშგიხ კაუ̈შ ი მაგ მგრ ყა̈რშუ̈ ა̈ნშგა̈ლიხ (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 37) „ფიქალი ქვით გადახურული სახლი დიდხანს („ევა-

{ს} დღე“) ძლებდა, მაგრამ ახლა ახალ სახლებს რაღაც არავინ ხურავს („ხურავენ“) ფიქალი ქვით და რაღაც ყველა ყავრით ხურავს („ხურავენ“)“

დედე დესა ხაშყიდდა ი მიჩა მუს დეშომა ხოჟბჭნ, მაჲ ლაბერგათე აზზგდახ, მაჲ ლაფაცხთე აკუპანახ უმად (ჩოლ.) „დედა არ ახსოვდა და მამამისს („მის მამა-ს“) კი არასდროს ეცალა, ხან სათოხნელად აგზავნიდნენ, ხან საფარცხავად აგდებდნენ უჭმელად“

შუკუისგა ესნარილდაშ ჩაჟ ესთახან მოლაგუაშუ, ლაჲბინე ლიპრელ ი ლიქინე, იმახათს ჰინგირ ჟ'ახსიპუნან, ქ'აწშყად, მარე ეშხუ ჭიშხ აუჟენდისგა ლახსად (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 192) „გზაში თურმე ცხენი მოედო რაღაცას, დაიწყო ხტუნაობა და სირბილი, იმახათს უნაგირი შემოუტრიალდა, გადმოვარდა, მაგრამ ერთი ფეხი ავჟანდში შერჩა“

აშხუ დურეუქა ეზერ თემ ლგმარხ, მარე აშხუნღო ჟ'ამხუეტელიხ, ეშხუ მეზგე გარ ამსედელი (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 98) „ერთ დროს კარგი თემი ყოფილან, მაგრამ კარგა ხნის მერე ამოწყვეტილან, მარტო ერთი ოჯახი დარჩენილა“

აშხუ ლადეღ ასბინე გაბდასიუდ ლიზი ი ასხრი, ასხრი, ადჯად კესარმოყ (/ კესარიშმოყ) (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 349) „ერთ დღეს დაიწყო გაბდასივმა სვლა და მიდის, მიდის, მივიდა კეისართან“...

რაც შეეხება ზღაპრებს, ვინაიდან აქ გაბმულ მეტყველებასთან გვაქვს საქმე, განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ცხრა და მეტი თანასწორი წინადადების შემცველი რთული თანწყობილი წინადადებები სვანურში. მაგ.:

დედუ ლოქ წიწილს ლახრდი, წიწილს ლოქ ჯაჩუს ოთჯიდე, ჯაჩუ ლოქ ჯჩრას ათყიჩ, ჯჩრა ლოქ შგუტიბს ლახრდი, შგუტიბს ხამს ოთჯიდე. ხამ ლოქ ქულას ლახრდი, ქულას ლოქ ჟ'ანშტგრნი, სგა ლოქ ოთკუპანნე მიჩა კერძმარა ტიშტლს ი ჟი ლოქ ენიყნე ნიცხენჟი (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 274) „დედალი წიწილას მომცემსო, წიწილას ჩხიკვს წავუღებო, ჩხიკვი მუხას შეეშვებაო, მუხა რკოს მომცემსო, რკოს ღორს წავუღებო, ღორი ჯაგარს მომცემსო, ჯაგარს დავგრეხო, ჩავუგდებ ჩემ ძმობილ ტილსო და ამოვიყვანო წყლიდან (ზედმიწ. – დედალ-ი-ო წიწილა-ს მისცემს, წიწილა-ს-ო ჩხიკვს მიუტანს, ჩხიკვიო მუხას შეეშვება, მუხაო რკოს მისცემს, რკოს ღორს მიუტანს, ღორიო ჯაგარს მისცემს, ჯაგარსო

დაგრეხს, ჩაუგდებსო მის კერპო-კაც{ს} ტილ-უკა-ს და ამოიყვანსო წყლიდან)“

ნიც ოხფიშუდ ლპრას, ლპრად ჰემ ლახრმ, ჰემ ფურს ოთჰიდ, ფურდ შუელ ლახრმ, შუელ ციცუს ოთჰიდ, ციცუ შდუგუს ეთყაჩ, შდუგუ უორმოს ეთყაჩ, უორმოდ ფეტუ ლახრმ, ფეტუ დედუს ოთჰიდ, დედუდ წიწილ ლახრმ, წიწილ ჯაჩუს ოთჰიდ, ჯაჩუ ჯირას ეთყაჩ, ჯირად შგუიბ ლახრმ, შგუიბ ხამს ოთჰიდ, ხამემ ქულა ლახრმ, ქულა ჟ'ანშტგრნე ბაგირდ ი სგ'ოთკუპრ ნიცთენისა მიჩა კერძმპრა ტიშილს (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 274) „წყალი მიუშვა სათიბს, სათიბმა თივა მისცა, თივა ძროხას მიუტანა, ძროხამ შრატი მისცა, შრატი კატას წაუღო, კატა თაგვს შეეშვა, თაგვი ორმოს შეეშვა, ორმომ ფეტვი მისცა, ფეტვი დედალს წაუღო, დედალმა წიწილა მისცა, წიწილა ჩხიკვს მიუტანა, ჩხიკვი მუხას შეეშვა, მუხამ რკო მისცა, რკო ღორს წაუღო, ღორმა ჯაგარი მისცა, ჯაგარი დაგრიხა თოკად და ჩაუგდო წყალში თავის მოყვარე ტილს“...

რთულ თანწყობილ წინადადებებში უმეტესწილად ერთიდაიმავე დროისა და კილოს ფორმებია გამოყენებული, ერთი და იმავე მწკრივის, თუმცა ზოგჯერ შესაძლოა ეს იდენტობა დაირღვეს და წინადადების ნაწილებში სხვადასხვა დროის გამომხატველი ზმნა-შემასმენლები შეიძლება დადასტურდეს. მაგ.:

აშხუნ ლეზუბემი ლამპრად თანაშემწე ადგენეხ, მინ ლათხელთედ აჩპდხ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 146) „ერთხელ საჭმლის მოსამზადებლად თანაშემწე დააყენეს, თვითონ კვლავ საძებნელად წავიდნენ“

ალი პდკუიჭ ა დინად ი პთჰგრან მიჩა ბაბას (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 157) „ეს გაიგო ამ გოგომ და შეეხვეწა თავის ბაბუას“

ოხტაბე კიბდონ ი აშმე ამეისგა ალი ი ამთეისგა მეჴდეს ჩუაუჭუნე ჩი (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 226) „გამოუთალა კიდობანი და უკრავს ამაში ეს და ამაში შემოსულს აძინებს ყველას“

მი დოხტურდ ღური, ქორს ი ლირდეს ქა უოდი ი დოხტურიშ ლერეჭუს ჟი ხუიყდი (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 286) „მე ექიმად წავალ, სახლს და ცხოვრებას გავყიდი და ექიმის ტანსაცმელს ვიყიდი“

დერეხი ლგგრპლხენქა ქა ჴედენიხ წიწლპრ, დერეხი ლგგრალ ნამოჭ სედენიხ, მოჭ ქათალ ხოჩამდ ხუზნპნი წიწლპრს (ლნტ., სვან

ქრესტ., 1978: 301) „ზოგი კვერცხიდან გამოვლენ ხოლმე წიწილები, ზოგი კვერცხი გაფუჭებული რჩება („ნაკრუხალი რჩებიან"), კრუხი ქათამი კარგად უვლის წიწილებს"

დემ იჩმგდა ალ ჭყინტ, მარა ძალა ხაყერ ი სგა ეხბგრგანდა ი ჩუენნახე მეჩი მარე (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 281) „არ შვრებოდა ეს ბიჭი, მაგრამ დააძალა და დაეჭიდა და წააქცია მოხუცი კაცი (ზედმიწ. – არ იქმოდა ეს ბიჭი, მაგრამ ძალა უქნა და შეეჭიდა და ქვეშ მოიყოლა მოხუცი კაცი)"

ალიარდ ლასკნალუშ ადიეხ ნეპრლა ღალე ი ქ'რსცუიეხ ლგქაჩქა ლახჩოუიდ (ჩოლ.) „ამათ („ამათმა") ხტუნვით წაიღეს ჩიტის ფრთა და მოუსვეს ჭრილობაზე მოსარჩენად"

ძინარუნღო ხექაბნიელ მგთრალას, მარა მგქაფ ნებოზს მუშგურალცახან ლეჲთგრე (ჩოლ.) „დილიდან თავს არიდებს მსმელებს, მაგრამ სამაგიეროდ საღამოს დალევს სტუმრებთან ერთად"...

თანწყობილი წინადადებების ნაწილებს მოეპოვებათ საერთო სიტყვა, რომელიც წარმოდგენილია პირველ ნაწილში, მეორეში კი გამოტოვებულია და იგულისხმება იმავე ან სხვა წევრად. მაგ.:

დაფის მორსალე მგშდემიშდ ალ მორსალ შგყ ლეჟა ლოხშიდა ი ლაყერუშ ოხკუარა ყრრქა (ლშხ.) „დაფის ნამცეცების შემყრელისთვის ეს ნამცეცები ზურგზე მიუყრია და ცემით გამოუგდია კარში"

ხეფრებაღლდახ ღალ გიგაღლუ ლამბაშლას ი ღერბათს ხეკგრაღლდახ ალიარე ხოჩამდ ლირდეს (ჩოლ.) „ეფერებოდნენ საწყალი მამიდები შვილიშვილებს და ღმერთს ევედრებოდნენ მათ კარგად ყოფნას"...

თუმცა არის შემთხვევები, როცა აღნიშნული საერთო წევრი მეორე წინადადებაშიც მეორდება. მაგ.:

ალე ხმალი ლიხუიე მეუარ ხახიადგნდა ი ლასი ეზარ ალ ხმალ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 275) „ამ ხმლის წილად ხვდომა („ხვედრება") ძალიან უხაროდა და კარგიც იყო ეს ხმალი"

ესრენიშ ლგმარ შტგქმაზგარ დაშტუ ი ქ'ახოღუძა დაშტუს ბესოიშხო (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 307) „თურმე ყოფილა კბილმტკივანი დათვი და გამოქცეულა დათვი ბესოსკენ"

დჩნა-გეზლჩრ გარ ლემოდან ი ჟ'ჩ ალე დჩნაგეზლჩრდ ემჩზნანეხ (ჩოლ.) „გოგოები მარტო შემეძინა და მოვლითაც ამ გოგოებმა მომიარეს“...

როგორც განხილულმა მასალამ აჩვენა, სვანურის პარატაქსულ წინადადებებში საკავშირებელ საშუალებად, ძირითადად, გამოიყენება ი „და“ მაჯგუფებელი კავშირი, რომელიც ხშირად ითავსებს მაპირისპირებელი კავშირის ფუნქციასაც, ვინაიდან „კი“ და „ხოლო“ კავშირები სვანურში თანწყობილ წინადადებაში არ გვხვდება, მათ ამ სემანტიკით ან ი „და“ კავშირი ენაცვლება, ან მოვლენათა დაპირისპირებულობა უკავშირო თანწყობილი წინადადებებით გამოიხატება. თუმცა აღნიშნული კავშირი არ დაისმის თანწყობილის რომელიმე წინადადების შუაში, ან ზმნის წინ, როგორც ეს „კი“ კავშირს ახასიათებს, არამედ სწორედ ისე იქცევა, როგორც ი „და“ კავშირი და მაერთებელი კავშირის ადგილას გვხვდება. სვანურ პარატაქსულ წინადადებაში კი კავშირის ფუნქციით გამოიყენება გინ- ნაწილაკიც, რომელიც ამავე დროს ინარჩუნებს მისთვის დამახასითებელ სარკაზმის სემანტიკას და რთულ თანწყობილ წინადადებას მეტ ექსპრესიულობას ჰმატებს. სვანურში, ასევე, ხშირია მაცალკევებელ კავშირებთან ი „და“ კავშირის ხმარების შემთხვევებიც, მსგავსი მოვლენა დასტურდება ქართულშიც, თუმცა არა ასეთი ინტენსივობით.

სვანურ ზღაპრის ტექსტებში წარმოდგენილი წინადადებები, რომლებიც ფორმალურად ი „და“ კავშირიანი პარატაქსული წინადადების მსგავსია, ერთმანეთის მიმართ არ არის თანასწორი და, შესაბამისად, თანწყობილ წინადადებად არ განიხილება, რადგან პირველი წინადადება წარმოადგენს მიმართვას და არც ი არ ასრულებს კავშირის ფუნქციას. იგი ამბის გადმოცემის საწყის ეტაპზე წარმოქმნილი პაუზის გამომხატველია.

§ 2. ჰიპოტაქსური (რთული ქვეწყობილი) წინადადება

რთული ქვეწყობილი წინადადება, როგორც ცნობილია, შედგება ერთმანეთის მიმართ არათანასწორი მარტივი თუ შერწყმული წინადადებისაგან, რომელთაგან ერთი მთავარია ანუ ასახსნელი, მეორე (ან დანარჩენები) დამოკიდებული ანუ ამხსნელი.

ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში შემავალ წინადადებათა ურთიერთობა, სიტყვათა დაქვემდებარებაში შემავალ წევრთა ანალოგიურია, სადაც ერთი სიტყვა მთავარია, მეორე კი – დამოკიდებული, წამყვანი, სიტყვის ამხსნელი. შესაბამისად ქვეწყობილი კონსტრუქციის კომპონენტთაგან ერთი მთავარი წინადადებაა, მეორე კი დამოკიდებული, სადაც დამოკიდებული ასრულებს რომელიმე წევრის სინტაქსურ ფუნქციას, ან ხსნის, აზუსტებს და განმარტავს მთავარ წინადადებაში მისათითებელი სიტყვის მნიშვნელობას.

ცნობილია, რომ ერთი წინადადების მეორისადმი დაქვემდებარება სხვადასხვა სინტაქსური საშუალებებით ხდება, ე.ი. „დაქვემდებარებას აქვს თავისი ნიშნები, რომელთა უმეტესობაც გარეგნულად არის გამოხატული, ზოგი კი მის შინაგან ნიშანს წარმოადგენს“ (კვაჭაძე 1977: 327).

ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში დამოკიდებული წინადადება მთავარს უკავშირდება როგორც მაქვემდებარებელი კავშირებით, ისე საკავშირებელი სიტყვებით – მიმართებითი ნაცვლასახელებითა და მიმართებითი ზმნიზედებით, რომლებიც განსხვავებით მაქვემდებარებელი კავშირებისაგან, წევრკავშირებია. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში მიმართებითი ნაცვალსახელებისა და ზმნისართების საკავშირებელ საშუალებებად გამოყენების გამო, ქართული ენა „... ხასიათდება ინდოევროპულ ენათა ჰიპოტაქსის მსგავსი სისტემით... ამით განსხვავდება მთის იბერიულ-კავკასიური ენებისაგან, რომლებშიც დამოკიდებული წინადადება გამოხა-

ტულია ზმნის ან ნაზმნარი სახელის სისტემაში შემავალი სათანადო მიმართებითი აფიქს-ნაწილაკების საშუალებით“ (როგავა 1987: 43).

მთავარ წინადადებაში გვხვდება ასახსნელი წევრი და კორელატი; „ასახსნელია მთავარი წინადადების ის წევრი, რომელსაც დამოკიდებული წინადადება განსაზღვრავს. ეს წევრი შეიძლება გამოხატული იყოს სახელით ან ზმნით. თუ დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების სახელით გამოხატულ წევრს ხსნის, ამ წევრს მისამართ სიტყვასაც უწოდებენ. კორელატი დამოკიდებული წინადადების შესაფარდებელია მთავარ წინადადებაში. კორელატად იხმარება ჩვენებითი ნაცვალსახელები ან ზმნიზედები. კორელატად გამოყენებულ ჩვენებით ნაცვალსახელს შეიძლება მისათითებელი სიტყვაც ეწოდოს“ (აბესაძე 1960: 105).

ქართველური ენების რთული წინადადებების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი ნაშრომი გვხვდება, თუმცა რიგი საკითხები კვლავაც შესასწავლია. არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და ამჟამად მიმდინარე კვლევების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პარატაქსული და ჰიპოტაქსური კონსტრუქციები ქართულის მსგავსად, სხვა ქართველურ ენებშიც მკვეთრად ჩამოყალიბებულია.

სვანურშიც ჰიპოტაქსური კონსტრუქციები აგებულია კორელატებისა და საკავშირებელი საშუალებებისაგან (მიმართებითი ნაცვალსახელები, მიმართებითი ზმნიზედები, მაქვემდებარებელი კავშირები), ხოლო მათ გარეშე (შესაძლოა აკლდეს კორელატი, წევრ-კავშირი, მაქვემდებარებელი კავშირი ან ორივე ერთად) წარმოდგენილ რთულ ქვეწობილ წინადადებაში გარკვეული როლი ინტონაციასაც (განსაკუთრებით უკავშირო წინადადებაში) ეკისრება.

ჰიპოტაქსის წევრ-კავშირებსა და კავშირებს სვანურში, როგორც ცნობილია, ვრცელი და მნიშვნელოვანი ნაშრომი მიუძღვნა ნ. აბესაძემ (რომელსაც საჭიროებისამებრ ვიმოწმებთ), ბუნებრივია ზოგიერთ მათგანს აქ არ შევეხე-

ბით, წარმოვადგენთ ისეთ საკითხებს, რაზეც აქამდე მსჯელობა არ ყოფილა, ან განსხვავებული შეხედულება იყო გავრცელებული. ჩვენი მიზანია სხვა დიალექტების პარალელურად წარმოვადგინოთ ჩოლურული მეტყველების ნიმუშებიც, რომელიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო სურათს გვიჩვენებს.

ვინაიდან ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში საკავშირებელ საშუალებებსა (მაქვემდებარებელ კავშირებსა და წევრ-კავშირებს) და კორელატებს მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრიათ, სამეცნიერო ლიტერატურაში სვანურის რთულ ქვეწყობილ წინადადებებზე მსჯელობისას ძირითადი აქცენტი სწორედ ამ საკითხებზეა გაკეთებული. ნაშრომში ამ საკითხებთან ერთად წარმოდგენილი იქნება *ქვემდებარული*, *დამატებითი*, *განსაზღვრებითი*, *გარემოებითი*, *შემასმენლური* და *პირობითი* დამოკიდებული წინადადებები.

§ 3. დამოკიდებულ წინადადებათა კლასიფიკაცია

სამეცნიერო ლიტერატურაში დამოკიდებული წინადადების კლასიფიკაციას ძირითადად სამი ნიშნის მიხედვით ახდენენ: „კავშირის, დამოკიდებული წინადადების ადგილისა და დამოკიდებული წინადადების ფუნქციის მიხედვით“ (გეგუჩაძე 2009: 93).

ჰიპოტაქსური წინადადების შემადგენელი კომპონენტები (დამოკიდებული და მთავარი წინადადებები) ერთმანეთს შეიძლება დაუკავშირდნენ კავშირით, ან უკავშიროდ. კავშირიანი შეერთების დროს, სვანურშიც განირჩევა საკავშირებელი საშუალებების გამოყენების შემთხვევები: დამოკიდებულ წინადადებაში კავშირებად გვხვდება როგორც მაქვემდებარებელი კავშირები, ისე წევრ-კავშირები (მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქციის მქონე მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზედები).

განვიხილოთ კავშირიანი შეერთების შემთხვევები, მაქვემდებარებელი კავშირებისა და წევრ-კავშირების მონაწილეობით. დამოკიდებული წინადადების მთავრისადმი დასაქვემდებარებლად გამოყენებულია მაქვემდებარებელი კავშირები. მაგ.:

> ეჯუე გშგიხ, ერე ჟიქამშხენჩუ ნადირდ ლემყალუ მადმა ლესეს (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 202) „ისე გადახურავენ ხოლმე, რომ ზემოდან ნადირის საშიშროება არ იყოს“
>
> მიჩა ბოჭოჭოლა ლაკჩად ენ ლოქ ამეჩედ, ეჩქა გოლდაშაპ ლოქ ახაჭემა (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 263) „მისი ყვავილის მოსაწყვეტად რომ წასულაო, მაშინ გველეშაპი გამოჰკიდებიაო (ზედმიწ. – მისი ყვავილი{ს} მოსაწყვეტად რომო წასულა, მაშინ გველეშაპ-ი-ო გამოდევნებია)“
>
> ალა ჩუი მად ხაჯრაუა კესარს, ლახ ამგნქა დრსამა ხეკუად (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 259) „ეს ძალიან უხარია კეისარს, რომ ამის გარდა არაფერი უნდოდათ (ზედმიწ. – ეს ქემც არ ს-ჯერ-ა კეისარ-ს, თუ ამის გარდა არაფერი უნდოდათ)“

ალაბ ლოქ ლიჩრნბლ მრდ ოთქუიცა, ოხკიდა დაუს ფაუ ი ხატცინა (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 94) „რომ არ შეუწყვეტია სიცილი, აუღია დევს ჯოხი და ურტყამდა თურმე“

ემმ'ესერ ხაკუთნოლნენს ალი, ხოჩამდ ესერუ არი (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 41) „თუ მეკუთვნოდაო ეს, კარგად იყავიო (ზედმიწ. – თუო კუთვნებოდა ეს, კარგადომც არის)“

ქაი ხეკუეს მრმ ოთუშხანხ, ელო მრმ ხეკუადხ ამკაი ყალაჩხუბა (ჩოლ.) „არც უნდა გაემხილათ, თუ არ უნდოდათ ასეთი აყალმაყალი“...

დამოკიდებული წინადადება მთავარს უკავშირდება მაქვემდებარებელი ფუნქციის მქონე მიმართებითი ნაცვალსახელებით (/წევრ-კავშირებით). მაგ.:

ესუჯი ფიშირ ზურალ ხოღუჟალუნა სოფელისგა, ეჯაი ჭედნი (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 38) „ვისაც ბევრი ქალი უმშობიარებია სოფელში, ისიც მოდის („მოვა“)“

ეჩეჩუ ერუა არყიშ მგთრე მამა ლი, საყანთექა ადრინ ეჯი (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 80) „იქ ვინც არყის მსმელი არაა, პუროზის დასასრულს არყის სმის წესს ასრულებს“

ალ სოფელალ, ხედუჯი სკუებნაუ ალშელდანედ, მაგ ეშხუ საზოგადოებაბოისკა ასხგრდახ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 11) „ეს სოფლები, რომლებიც წეღან („წინასწარ“) ჩამოვთვალეთ, ყველა ერთ თემში შედიოდა („საზოგადოება-ში შედიოდნენ“)

იარსი კოჭოლ ხუუნ გიმარ, ეჯდარ ცხეკს ი ტეურს აქჩახ გიმი გუნღა (ჩოლ.) „ვისაც ცოტა ჰქონდა მიწები, ისინი ტყეს და ტევრს კაფავდნენ მიწის გულისთვის“

მაი ჩუ არიხ ხილარ, ალდარს მეუარ ლგგონ ხაზდახ (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 52) „რაც არის ხეები, ამათ ძალიან დიდი ფასი ედოთ“

მადუჯი ათხად მიცუდილალა, ლგც ემშგდა ლეთი მაგ (ჩოლ.) „რაც აქამდე მიწვალია, წყალში ჩამეყარა წუხელ ყველაფერი“ ...

მიმართებითი ზმნიზედები წევრ-კავშირებად:

ხამუჯი ჭყინტ ქ'ანთენენს, ეჩქა შიშდ ჩუათაკურ ეჯ უორმოთე (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 13) „როგორც კი ბიჭი დაიბადოს, მაშინვე ჩააგდე იმ ორმოში“

ამიშ ხოჩამ-ხოლამ ჩუ ოდ ოცხრინე, ეჩქად დემის ხუ̈იგნი (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 111) „ამის ასავალ-დასავალს სანამ არ გავიგებ, მანამ ვერ მოვისვენებ (ზედმიწ. – ამის კარგ-ცუდს სანამ გავარკვევ, მაშინად არ და-ვ-დგ-ებ-ი)“

ეჩანღო ალ ძღვდ ტაბჳლს ეჩხუ̈ადდ ახუ̈ტურე, უ̈შელდუ̈უ̈ჲ მინ ლიხ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 2) „მერე ამ დიდ სალოცავ პურს იმდენად დაჭრის, რამდენიც თვითონ არიან“

შომჲ ალარ ანღრიხ, ეჩქა ძღვდ მრმან ხარხ ალდარე ლაჭმინალს ჩის (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 29-30) „როცა ესენი მოდიან, მაშინ დიდი ხმაური აქვთ მათ დევნაში ყველას“

იმჭრ დიმთილდ ოსმახალე, ეჯჭი ოხკარიელე კუმაშს (ჩოლ.) „როგორც დედამთილმა დაუბარა, ისე მოუარა საქონელს“...

რაც შეეხება უკავშირო შეერთების შემთხვევებს, სვანურშიც დასტურდება ასინდეტური დამოკიდებული წინადადებები, განსაკუთრებით ზემოსვანურ დიალექტებში, შედარებით ნაკლებად ქვემოსვანურში (იხ: § 7).

სვანურში, ასევე, გვხვდება ორმაგკავშირიანი ჰიპოტაქსური კონსტრუქციები, რაც სხვა ქართველური ენებისთვისაც დამახასიათებელია „... (შდრ.: ქართული „როგორც რომ“ და მეგრული „მუჭოთენი“), მაგრამ სვანურში უფრო მეტად არის გავრცელებული... მაქვემდებარებელი კავშირის დართვა უფრო ანალოგიით აიხსნება...“ (აბესაძე 1960: 128).

კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ორმაგკავშირიან წინადადებებში, სადაც მიმართებით სიტყვებთან ერთად წარმოდგენილია მაქვემდებარებელი კავშირი, კავშირის ფუნქციას აშკარად წევრ-კავშირი გამოხატავს, ვინაიდან მისი ჩამოშორების შემთხვევაში მაქვემდებარებელი კავშირისთვის (დამოკიდებული წინადადების სხვა წევრთა ადგილის გათვალისწინებით) ეს პოზიცია ბუნებრივი ვერ იქნება, ხოლო მიმართებითი სიტყვებისთვის (მაქვემდებარებელი კავშირის ჩამოშორებით) ეს პოზიცია ბუნებრივია. მაგ.:

ჭყინტე ოჯ̈ახ ჩიგარ ხეთეურალდა ეჯკ̈ალი დენას, ჲერუ̈ანს ერ ხოჩა ოჯ̈ახ ხეუ̈ენოლ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 46) „ბიჭის ოჯახი

ყოველთვის ათვალიერებდა („ეთვალიერებოდა“) ისეთ გოგოს, ვისაც რომ კარგი ოჯახი ექნებოდა“

დაგრპლობი ლამრრაუთე ეჭკაჲ მრრას ითშიხ, ხედისი ერე სისწორე ხოხალ (ჩოლ.) „მკვლელობის სამედიატოროდ („სა-მოურავ-ო-{ს}-კენ“) ისეთ კაცს ირჩევენ, რომელმაც რომ სისწორე იცის“

შომუჲაჲ როქ ერე ზაჲ ქ'ადზგგრას, ეჩქას როქ მიჩა ჯრგ მაგ ჩუჳ ათბე (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 223) „როდესაც რომ წელიწადი დაასრულო, მაშინ მისი („თავისი“) ჯოგი სულ დააბიო“

შომას ერ ქა ღგრი ჭიმკაროზ, ეჩქას ჭიმკარ ღგრიხ ლოქ ჯოდიაჲ ლახუჳრხო (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 70) „როცა რომ გავა ჭინკობის დღესასწაული („ჭინკ-ობ-ა“), მაშინ ჭინკები მიდიანო შორეულ მთებში“

უოდ ერე ლადგარს მრ ლახაგან, ეჩქად მად ახმეჯრალნე მიჩა ჲეხუს (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 66) „სანამ რომ სიკვდილის პირას არ მივიდა, მანამ არ გააგებინა თავის ცოლს (ზედმიწ. – სანამ რომ სიკვდილს არ მი-ა-დგ-ა, არ გააგებინა თავის ცოლს)“...

საკავშირებელ საშუალებებთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „მაქვემდებარებელი წევრ-კავშირებისა და კავშირების ხმარების მხრივ სვანურში ერთმანეთს მკვეთრად ეთიშება სახელით გამოხატული წევრების ამხსნელი და შემასმენლის ამხსნელი დამოკიდებული წინადადებები. სახელით გამოხატული წევრების ამხსნელ დამოკიდებულ წინადადებებში მაქვემდებარებელ წევრ-კავშირებად უმთავრესად მიმართებითი ნაცვალსახელებია გამოყენებული. თუმცა განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებებში შეიძლება მიმართებითი ზმნიზედებიც შეგვხვდეს. შემასმენლის ამხსნელ დამოკიდებულ წინადადებებში, პირიქით, მაქვემდებარებელ წევრ-კავშირებად მიმართებითი ზმნიზედები ჭარბობს. მაქვემდებარებელი კავშირები ორივე ტიპის დამოკიდებულ წინადადებებში იხმარება...“ (აბესაძე 1960: 108), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მკვეთრი ზღვარის გავლება (სვანურის ყველა დიალექტის მონაცემის გათვალისწინებითაც კი) რთულია, ვინაიდან სვანურის დიალექტები საკავშირებელი საშუალებე-

ბის გამოყენების თვალსაზრისით ერთნაირ სურათს არ ქმნიან (რაზეც ვრცლად დამოკიდებული წინადადებების ცალკეული სახეების განხილვისას ვიმსჯელებთ).

ჰიპოტაქსური კონსტრუქციების განხილვისას, ასევე გასათვალისწინებელია მთავარი წინადადების შემადგენლობა, რითიც უნდა გაირკვეს თუ როგორია ქვეწყობაში შემავალი წინადადებების ერთმანეთთან დაკავშირება – ცალმხრივი (როდესაც მთავარი წინადადების შემადგენლობაში არ გვხვდება საკორელაციო სიტყვა) თუ ორმხრივი (მთავარში წარმოდგენილია მისათითებელი სიტყვა).

ორმხრივი დაქვემდებარების შემთხვევები – მთავარ წინადადებაში არის მისათითებელი სიტყვა და დამოკიდებულში საკავშირებელი საშუალება. მაგ.:

> ლახე ხოჩჰმდ მრდ ხჰდ სგა ლუმთქუე, ეჩქას ჩუ შყედენდა ჭუეკჩუნ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 34) „როცა კარგად არ იყო შეჩვეული, მაშინ ჩავარდებოდა ხოლმე საცალფეხო ხიდზე (ზედმიწ. – თუ კარგად არ ჰქონდა შეჩვეული, მაშინ ქვე ვარდებოდა ჭოკ-[ს]-ქვე)“
>
> ამიშ ხოჩამ-ხოლამ ჩუ ოდ ოცხრინე, ეჩქად დემის ხუიგნი (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 111) „სანამ ამის ასავალ-დასავალს არ გავარკვევ, მანამ ვერ მოვისვენებ (ზედმიწ. – ამის კარგ-ცუდს სანამ გავიგებ, მაშინად არ და-ვ-დგ-ებ-ი)“
>
> ეჯჟი ანგეხ ჟი ეჯ უოშთხუ ჭუჰად, ერე ჩუ დესა ხახუერახ ლაგამჟი (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 305) „ისე ააგეს ის ოთხი კედელი, რომ არ დანგრევიათ აშენებისას“
>
> მიჩ ლოქ მჰდმა ჯოგარ ხოწუა, ეჯი ლოქ ზითეუდ ახყენა (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 286) „შენ რაც ჯოგები გინახავსო, ის {მე} მზითვად მომყავდაო (ზედმიწ. – მასო რაც რო ჯოგ-ებ-ი უნახავს, ისო მზითვ-ად *მონაყვანა)“
>
> მუგუდაი/ხონრ ლოქ ჟეღ ხეღინჯრრ, ეჯჟი ლოქ ხეზგი კაწარ (ჩოლ.) „თითქოს ძაღლი მძიძგნისო, ისე მტკივაო წვივები (ზედმიწ. – ვითომო ძაღლ-ი ეძიძგნება, ისზეო სტკივა წვივები)“...

ცალმხრივი დაქვემდებარების შემთხვევები:

ლაწლგენ ლეთ იმქარაწლხი ადუ [ეჯიაწრ], ერუწაი მოშ მაშენწმ ლათგთას ადლეთნეხ (გზ., სვან. ქრესტ., 1978: 127) „ღამისთევისას ეჯიბრებიან კიდეც {ერთმანეთს} [ისინი], ვინც მეტ სართავს დართავს (ზედმიწ. – დგ-ომ-ა ღამე{ს} ჯიბრობენ კიდეც ისინი, ვინც ყველაზე მეტ სართავს დართავენ)“

მიჩა თეფიშ ლიკუწან'ესერ ქა ხესმი, [ეჩქას] ემეჩუმწრს ესერ მინ ხოწახ (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 189) „შენი თოფის გასროლის ხმას {რომ} გავიგებთო, [მაშინ] აქაურებს ჩვენ მივხედავთო (ზედმიწ. – მისი თოფ-ის სროლაო ე-სმ-ი-ს, მაშინ აქაურებსო თვითონ მიხედავენ)“

ჲერუწაჲ ალ შუკუ ლეჲა ადინე, ჳგხო ლუუწრ დემ ლოქ ანჭედენი [ეჲ] (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 255) „ვინც ამ გზაზე წავა, სახლში ცოცხალი ვერ მოვაო [ის]“

ლიჭემ ერ მრმ ხემჲედან დეშდუს, [ეჩქა] ოხუაფშუდ თოფ (ლშხ.) „დადევნება რომ არ შეეძლო დათვს, [მაშინ] ვესროლე თოფი“

ნაჲ იმჩუუჳჲ ხუიზგრლდ, ლეხბგლანი ხეჲშხან [ეჯის] (ჩოლ.) „ჩვენ სადაც ვცხოვრობდით, სახაბულიანო ერქვა [იმას]“...

არსებული მოსაზრების თანახმად „უფრო ხშირად ისეთი ტიპის ჰიპოტაქსურ წინადადებებში არ ჩანს საკორელაციო სიტყვა, როცა ადგილის მიხედვით ჯერ დამოკიდებული წინადადებაა და მას მოსდევს მთავარი წინადადება. როდესაც დამოკიდებული წინადადება კავშირით იწყება, მაშინ საკორელაციო სიტყვას ითხოვს სტრუქტურა, რომ აზრობრივად უფრო გამართული იყოს“ (ბურჭულაძე 2014: 28).

სვანურ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ არცთუ იშვიათად გვხვდება ისეთი ჰიპოტაქსური კონსტრუქციები, სადაც წინა პოზიციის დამოკიდებულს იწყებს (ან შუაშია მოქცეული) წევრ-კავშირი ან მაქვემდებარებელი კავშირი, ხოლო მთავარ წინადადებაში მისათითებელი სიტყვა არ არის. მაგ.:

იარსი ლოქ მიჩა გეზლა დაგრა ხაკუდა, ნებოზთექაუ ლოქ ალ-შგირენი (ჩოლ.) „ვისაც ჩემი შვილის სიკვდილი უნდოდაო, საღამომდე მოკვდესო (ზედმიწ. – ვისაცო მისი შვილი{ს} სიკვდილი სდომებია, საღამომდეომცა მომკვდარა/გათავებულა)“

ამ ლადეღ ლეღუჽმარე ერუა ჩუ ირდი, ხოხრა ი ხოშა, ქორისგა, წერქუჽარს ჩაფლჽრხენქა ქჽმშხენჩუ იწბინეხ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 73) „ამ დღეს კაცი („სა-ვაჟ-კაც-ო“) ვინც იქნება, დიდი თუ პატარა, სახლში, თომს ფეხსაცმლიდან გარეთ გადმოუშვებენ ხოლმე („ჩამოიკონწიალებენ“)“

შომასჩ ხოჩერება ესამა ხუღუახ ლეზუბრრა, მახა ლგდგარუს ქა ხოგემხ კოტრლ ტაბგრლს ნაფჽნუნდ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 242) „როცა კარგი საჭმელ-სასმელი აქვთ, {მაშინ} ახალ გარდაცვლილებს წაუდგამენ ხოლმე პატარა ტაბლას (ზედმიწ. – როდესაც კარგობა თუ რამე აქვთ საჭმელეული, ახალ მკვდრებს წა-უ-დგ-ამ-ენ პატარა ტაბლუკას საკურთხად)“

შომას ერე ლითენეი დურე ხჽრენა, ქა ხათენა გმირ გეზალ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 306) „როდესაც რომ გაჩენის დრო ჰქონია, გასჩენია გმირი შვილი“

ლახე გუჽლჲანობ ლი, ლაჯუჽმხჽნქა ჯუჽრს ჯიდეხ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 32) „თუ/როცა გვალვებია („გვალვ-იან-ობ-ა არის“), ეკლესიიდან ჯვარს გამოიტანენ ხოლმე“...

ჰიპოტაქსური კონსტრუქციების განხილვისას საინტერესოა, ასევე, მთავარი და დამოკიდებული წინადადებების შემასმენელთა მწკრივებისა და დროის მიმართების საკითხი, ვინაიდან „მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ზმნა-შემასმენელთა არჩევანი ნებისმიერი არ არის: მთავარი წინადადების ამა თუ იმ მწკრივს დამოკიდებულში შეესაბამება რამდენიმე, მაგრამ არა ნებისმიერი მწკრივის ფორმა“ (გეგუჩაძე 2009: 160) და ეს სხვაობა თუ კანონზომიერება ნათლად ჩანს ჰიპოტაქსური წინადადებების ცალკეულ ტიპებში.

უნდა აღინიშნოს, რომ სვანურშიც მწკრივთა შესაძლო კომბინაციები და დროთა თანამიმდევრობა განპირობებულია გამოსახატავი შინაარსით და გვაქვს შემთხვევები, როცა მთავარი და დამოკიდებული წინადადებების შემასმენლები ერთი და იმავე, ან სხვადასხვა დროისა და მწკრივის ფორმებია. მაგ.:

ერ ქა აგათუეხ გამოთხოვებას, ეჩანღო ასკუეჯნეხ ლგდგარს (ლნტ., სვან. პროზ., ტექსტ., 1967: 54) „რომ დაამთავრებენ გამომშვიდობებას („გამოთხოვება-ს“), მერე გამოასვენებენ ხოლმე მიცვალებულ („მკვდარს“)“

შომაჲ ალიჲარ ფიშირ იხურიელიხ ეშხუდ, ეჩქა უჩხას ახღელიხ (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 34) „როცა ესენი ბევრი გროვდებიან ერთად, მაშინ წვიმას ელიან“

უოდ ჯ'ემტეხ, ეჩქად ჩ'ოთკურშახ ეჯი ეკლესიაჲ (ჩოლ.) „სანამ ამობრუნებულა, მანამ გაუტეხიათ ის ეკლესია“

ესუჴაჲ ფიშირ ზურალ ხოღუჟალუნა სოფელისგა, ეჯჴაჲ ჴედნი (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 38) „ვისაც ბევრი ქალი უმშობიარებია სოფელში, ისიც მოდის“

ეჯგუჴარ ქორ ადიგხ ლუმურყუჴამ, ერე ამგუჴარ ქორ დემეგ ლგგ სახელწიფჴარისგა (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 62) „იმისთანა („იმ-გვარ-ი“) სახლი დადგეს კოშკიანი, რომ ამგვარი („ამ-გვარ-ი“) სახლი არსად დგას სახელმწიფოებში“

ეჭკჴ ადგილს ოსხურდახ, ერე იმექუჴაჲ ანღრი ალე დრნა (ჩოლ.) „ისეთ ადგილას დახვდნენ, სადაც მოდის ეს გოგო“...

რაც შეეხება დამოკიდებული წინადადების პოზიციას, რთული ქვეწყობილი წინადადების შემადგენელ კომპონენტთა (წინადადებათა) განაწილება სვანურშიც ისეთივეა, როგორიც დანარჩენ ქართველურ ენებში, კერძოდ, დამოკიდებულ წინადადებას ადგილის მიხედვით შეიძლება ჰქონდეს სამგვარი პოზიცია: 1. დამოკიდებული წინადადება უსწრებს მთავარს; 2. დამოკიდებული წინადადება მოსდევს მთავარს და 3. დამოკიდებული მთავარი წინადადების შუაშია მოქცეული. განვიხილოთ სამივე პოზიციის შემთხვევები სვანურის მონაცემების საფუძველზე. მაგ.:

დამოკიდებული წინადადება უსწრებს მთავარს:

უოდე საჴსარს დო იჯადდახ ეჩრ ქორშარხანქა, ეჩქად ქა დემ ფიშუდახ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 70) „სანამ გამოსასყიდს არ აიღებდნენ იმისი ოჯახის წევრებისაგან, მანამ არ გაუშვებდნენ ხოლმე (ზედმიწ. – სანამ სახსარ-ს არ იღებდნენ იმი{ს} სახლ{ის}ებიდან, მაშინად არ გაუშვებდნენ)“

ალი კალოშ ესუა ხემარგდეს, ეჯი ხელწიფხეშ გეზლაშ ხეხუ ესეროღუ ლასუ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 191) „ეს კალოში ვისაც მოერგება, ის ხელმწიფის შვილის ცოლი იყოსო (ზედმიწ. – ეს კალოშ-ი ვის ერგებოდეს, ის ხელმწიფ-ის შვილის ცოლიომცა იყო)“

ერ აშყად თუეფ, დაშტუ ჩუაძკაფან ეჩოხ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 85) „რომ გავარდა თოფი, დათვი გადავარდა იქით“

ერ შესრულდა უადა, ალ მარე მოწყენილ სგურდა დეზუისა (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 73) „ვადა რომ დამთავრდა, ეს კაცი მოწყენილი იჯდა ეზოში (ზედმიწ. – რომ შესრულდა ვადა, ეს კაცი მოწყენილი იჯდა ეზო-ში)“

ლაფანაჟი ლგშრაუე ერუანის დესა ხრმა, ჩრის ჩუ ხოყა ხოსდგდეს ლიფანეს (ჩოლ.) „საკურთხის წადგმისას სახსნილო ვისაც არ უჭამია, ყველას შეუძლია უყუროს საკურთხის წადგმას“...

დამოკიდებული წინადადება მოსდევს მთავარს:

დერხი თოფარ ჯუინალდ ეჯი ლასუხ ქა მეკუჰე, ერე არამ, ჩხარამ ნალჯუემ დაბდ იზელალდახ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 141) „ზოგი თოფის სახელი ძველად ისე იყო განთქმული, რომ რვა, ცხრა ქცევა ყანად ღირდა (ზედმიწ. – ზოგიერთი თოფ-ებ-ი ძველად ისზე იყვნენ გავრცელებული, რომ რვა, ცხრა ნაზომ ყანად დადიოდნენ)“

ეჯგუარ ქორ ადიგხ ლუმურყუაშ-ლუმღუიდ, ერე ამგუარ ქორ დემეგ ლგგ საბელწიფარისგა (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 62) „იმისთანა სახლი ააშენეს კოშკიან-ზღუდიანი, რომ ამისთანა სახლი არ დგას არცერთ სახელმწიფოში (ზედმიწ. – იმ-გვარ-ი სახლი და-დგ-ე-ს კოშკიან-ზღუდიანი, რომ ამ-გვარ-ი სახლი არ დგ-ა-ს სახელმწიფო-ებ-ში)“

მგჭშხის განსაკუთრებით ხოჩამდ ასაჩუქუარიხ, ერე ჩუ მად ადაჭათუნახ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 292) „მეკვლეს განსაკუთრებით კარგად ასაჩუქრებენ, რომ არ დაწყევლონ“

ეჯკალიბდ ჩქარდ ედჭმანდუნან, ერე გიმს ხექუცენრლ (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 92) „ისე ჩქარა გაიქცა, რომ მიწას ასკდებოდა“

ჩუი ეჭკალიბდ ადჭათუნე, ერე ეშ მიბზგრდა კან (ჩოლ.) „იმნაირად დაწყევლა, რომ ბურძგლები მაყრიდა ტანზე (ზედმიწ. – ქეც იმ-ყალიბ-ად დაწყევლა, რომ ისე მებურძგლებოდა კან-ი)“...

დამოკიდებული მთავარი წინადადების შუაშია მოქცეული:

ლეგსგიმ დიარს ხოშამ ლამდღუბლაშდ ანყახ, იმუბი ჩუ წუა ამკალიბ სგიმ, ეჯ სოფლარისგა (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 140) „ვეძიან პურს უფრო მეტად დაკრძალვისთვის აცხობდნენ, სადაც კი იშოვება ასეთი ვეძა, იმ სოფლებში“

ეშხუ ხოშა ნამბარს ხოშა ღერთემ ლეტურად ასყიხ, ეჩგნქა [ასყიხ], ოშა ღუაჟმარე ირდი ქორისგა, ეჯარე შელდს (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 77) „ერთ დიდ ლამპარს დიდი ღმერთისთვის აკეთებენ, იმისგარდა [აკეთებენ], რამდენი მამაკაციც იქნება ოჯახში, მათ რაოდენობას“

ლეფანემი ლარბელჟი, შომასრ ნაფანუნს ანყეხ, კერიაის ჯულს ხოჩდიხ ჩი ლეთ (ლშხ.) „საკურთხის გამოცხობისას, როდესაც საკურთხს აცხობენ, კერიას სარიტუალო ჯოხს უნთებენ/უკეთებენ ყოველ ღამე“

ეშხუ შუკხოისა მეჯედან, ერუბი მოშ ახოჩიშ ისკა, ეჯი მანკური ჯედენი აგხო (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 303) „გზაზე შემოსვლის მერე, ვინც შემოასწრებს, ის პირველი მოდის სახლში“

უქჩად ხადახ ლეკუშე, მბი საღ ჩუ ლას, ეჯი შტა მაგ (ჩოლ.) „მოუჭრელად ჰქონდათ მოსატეხი, რაც საღი იყო, ყველა ის ტარო“...

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, მეგრულში (და ქართულის დიალექტებში) დამოკიდებული წინადადების დასახელებული სამი პოზიციის გარდა, გამოყოფენ მეოთხე პოზიციასაც, როდესაც დამოკიდებული მოქცეულია მთავარსა და კორელატს შორის: „მეგრულში თავისებური განლაგებაც ფიქსირდება მიმართებითნაცვალსახელიან ქვეწყობილ წინადადებაში. კერძოდ, კორელატის დასმა ქვეწყობილი წინადადების ბოლოს შემდეგი სახის თანმიმდევრობას იძლევა: მთავარი + დამოკიდებული + კორელატი“ (ლომია 2005: 53).

მსგავსი ჰიპოტაქსური კონსტრუქციები სვანურშიც დასტურდება. მაგ.:

ლი ალა, ნენზი შუარს ერ ფისე ხარ, ეჯი (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 142) „ეს არის, სოჭის ყლორტებს რომ ფისი აქვს, ის“

წერქუარს ჩაფლარხენქა ქამხენჩუ იწბინეხ, ხოჩა ზა როქ ხოხალ, ეჯღა (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 73) „თომს ფეხსაცმლიდან გარეთ გადმოუშვებდნენ ხოლმე, კარგი წელიწადი იცისო, იმიტომ“

ეჯ უისკუ ანჯიდ, ეჯი ერ ქ'ადაგათუე, ეჩქას (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 316) „ის ვაშლი მოიტანა, ის რომ დაამთავრა, მაშინ“

უქმარს ბგგიდ ილჩახ, იმჟი ნაწეს ლას, ეიჟი (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 243) „უქმეებს ძალიან იცავდნენ, როგორც დაწესებული იყო, ისე“

ქ'რთუოდახ მინე წილ, ერ ოხჯრდახ ამხაჯუ, ეჩქა (ჩოლ.) „გაუყიდიათ თავიანთი წილი, რომ მოუყვანიათ აქ, მაშინ“...

სვანურში ჰიპოტაქსური კონსტრუქციების შემადგენელი კომპონენტების წყობა ხშირ შემთხვევაში თავისუფალია და მათთვის ადგილის შეცვლა არ იწვევს წინადადების სტრუქტურისა და სინტაქსური ურთიერთმიმართების ცვლას. თუმცა გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც დამოკიდებული წინადადების ადგილის შეცვლა შეუძლებელია, ვინაიდან საჭირო ხდება სიტყვათა წყობის შეცვლაც, ირღვევა პირვანდელი სტრუქტურა და ურთიერთმიმართება.

მსგავს შემთხვევებში, სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული ქვეწყობილი წინადადების შესახებ გამოთქმული თვალსაზრისის გათვალისწინებით, სვანურშიც მნიშვნელობა აქვს დამოკიდებული წინადადების სინტაქსურ ფუნქციასა და გამოყენებულ საკავშირებელ საშუალებებს. განსაკუთრებით მყარია ისეთი დამოკიდებული წინადადებების ადგილი, როდესაც მომდევნო პოზიციის დამოკიდებული იწყება ერე „რომ“ მაქვემდებარებელი კავშირით, რომლის მთავარი წინადადების წინ გადმოსმის შემთხვევაში მაქვემდებარებელი კავშირი პირვანდელ პოზიციაზე ვერ დარჩება, ვინაიდან ვღებულობთ სვანურისათვის არაბუნებრივ კონსტრუქციას და საჭირო ხდება წინადადების სტრუქტურის შეცვლა. მაგ.:

ყრჯინ მგლჩად ეშხუ დრნა ხორდახ, ერე ღუეშგდ ლატაბ მშმ ხარენს (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 30) „კართან დარაჯად ერთი გოგო ჰყავდათ, რომ უკან არ გაბრუნებულიყო (ზედმიწ. – კარზე მცველად ერთი გოგო ჰყავდათ, რომ უკან საბრუნებელი არ ჰქონოდა)“

უოშთხუ-ოხუშდ ლადეღ ეჯჟი ღგრი, ერე ქორისგა კგლთხი ჰერს დარმოშ იკედ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 5) „ოთხი-ხუთი დღე ისე გადის, რომ სახლში მაღალ ხმას ვერავინ იღებს“

ჟიქან მაᲐᲘჩ ᲐᲑᲣᲪᲐᲓᲔᲜ ᲔᲮᲜᲐᲠ, ერე ქა მᲔᲬᲔᲓᲔᲜᲓა (ლნტ., სვან. პროზ., ტექსტ., 1967: 82) „ზემოდან ვერ მოვუარე იმიტომ, რომ დამინახავდა“

ლიბგრგიელ ლუნთისა ხაზნახ ხოშა ნაღალდ ეჯღა, ერე მაშენე მაჟებ ეჩქა ხᲐრხ (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 135) „ჭიდაობა ზამთარში სჩვევიათ უფრო მეტად იმიტომ, რომ ყველაზე მეტი დრო („მოცლილობა“) მაშინ აქვთ“

ეჩქაᲐ მაყულᲘნდა, ერე ალე ჟ'ᲩᲮ გუესგური ნაᲐ, მეწყერ (ჩოლ.) „მაშინაც მეშინოდა, რომ ეს წამოგვაჯდება-მეთქი ჩვენ, მეწყერი“

ჩუქუᲜᲔ სგა ხაკუერ ესმა ლოხგაᲮი, ერე წუᲜᲔ აჩეს ტგტიშ (ჩოლ.) „ქვემოდან რამე უნდა შეუდგა, რომ ნაცრის ნაწური („წვენ-ი“) წავიდეს“...

რაც შეეხება დამოკიდებული წინადადების ფუნქციას, როგორც ცნობილია, დამოკიდებული წინადადებების ერთი ჯგუფი ამა თუ იმ წევრის სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს და, შესაბამისად, დამოკიდებულ წინადადებათა კლასიფიკაცია და სახელდებაც ამ წევრთა იდენტურია, განსხვავებით მეორე ჯგუფისაგან (სხვა სახის დამოკიდებული წინადადებანი), რომელთა სინტაქსური ფუნქციაც არ შეესაბამება წინადადების წევრებს.

წევრთა შესაბამისი დამოკიდებული წინადადება, როგორც წესი, მის მიერ ასახსნელი წევრის კითხვაზე პასუხობს, თუმცა არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთსა და იმავე კითხვაზე სხვადასხვა სახის დამოკიდებული პასუხობს.

დამოკიდებულ წინადადებათა ფუნქციის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს, ნაწილი მათ კლასიფიკაციას ან მისამართი სიტყვის, ან საკავშირებელი საშუალებების მიხედვით ახდენს (ფ. ერთელიშვილი, ლ. კვაჭაძე, ლ. ბარამიძე, ალ. ღლონტი...), ნაწილი კი მაქვემდებარებელი წევრ-კავშირებისა და კავშირების ადგილის, მნიშვნელობისა და ფუნქციის მიხედვით. ასევე გამოყოფენ დამოკიდებულ წინადადებათა ორ ჯგუფს: „1) სახელით გამოხატული წევრის ამხსნელი და 2) ზმნით გამოხატული შემასმენლის ამხსნელი დამოკიდებული წინადადებე-

ბი“ (აბესაძე 1960: 107). ვინაიდან აღნიშნულ საკითხს არაერთი ნაშრომი მიეძღვნა, ვრცლად ამ საკითხებზე აქ აღარ შევჩერდებით.

სამეცნიერო საზოგადოებაში სხვადასხვა დროს საკამათო იყო ე. წ. სხვა სახის დამოკიდებული წინადადებების (*პირობითი, დათმობითი, შედეგობითი* და *მთავრის მიმართი*) გამოყოფაც, რასაც მეცნიერთა ნაწილი დღესაც არ იზიარებს: „პირობითი, შედეგობითი და დათმობითი დამოკიდებული წინადადებები ცალკე ტიპად არ უნდა გამოიყოს. ისინი არ არიან სინტაქსურად ტოლძალოვანი ქვემდებარული, დამატებითი, განსაზღვრებითი და გარემოებითი დამოკიდებული წინადადებებისა, განსხვავდებიან სინტაქსურ წევრთა ფუნქციური კლასიფიკაციის მიხედვით. ასეთი სტრუქტურის წინადადებები ერთიანდებიან მთავრის მიმართ დამოკიდებულ წინადადებებში“ (ბურჭულაძე 2014: 103).

ჩვენ მიერ დამუშავებული და შესწავლილი მასალის საფუძველზე (ტრადიციული კლასიფიკაციის გათვალისწინებით) წარმოდგენილი იქნება ქვემდებარული, დამატებითი (პირმიმართი, პირმიუმართავი), განსაზღვრებითი, გარემოებითი (დროისა, ადგილისა, მიზეზისა, მიზნისა, ვითარებისა), შემასმენლური და პირობითი დამოკიდებული წინადადებები.

რაც შეეხება შედეგობით, დათმობით და მთავრის მიმართ დამოკიდებულ რთულ ჰიპოტაქსურ წინადადებებს, განსხვავებით წევრთა ამხსნელი დამოკიდებული წინადადებებისა, არ არის სვანურში მკვეთრად ჩამოყალიბებული „...სვანურში თითქმის არ გვხვდება მთავარის მიმართ დამოკიდებული წინადადება“ (აბესაძე 1960: 107).

§ 4. მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის სინტაქსური ურთიერთობა

დამოკიდებული წინადადების მთავრისადმი დასაქვემდებარებლად ენა მაქვემდებარებელი კავშირებისა და მიმართებითი ზმნიზედების გარდა იყენებს ფორმაცვალებად, სრულმნიშვნელოვან სიტყვებსაც – მიმართებით ნაცვალსახელებს.

სვანურში მაქვემდებარებელი წევრ-კავშირებისა და კავშირების გამოყენების შემთხვევები ნ. აბესაძესთან გამიჯნულია: „ერთმანეთს მკვეთრად ეთიშება სახელით გამოხატული წევრების ამხსნელი და შემასმენლის ამხსნელი დამოკიდებული წინადადებები... სახელით გამოხატული წევრების ამხსნელ დამოკიდებულ წინადადებებში მაქვემდებარებელ წევრ-კავშირებად უმთავრესად მიმართებითი ნაცვალსახელებია გამოყენებული“ (აბესაძე 1960: 108).

მიმართებითი ნაცვალსახელის შემცველი დამოკიდებული წინადადება ხსნის და განსაზღვრავს მთავარი წინადადების სახელით გამოხატულ წევრს, ასახსნელ წევრს, ანუ მისამართ სიტყვას.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მიმართებით ნაცვალსახელსა და მისათითებელ სიტყვას შორის გარკვეული სინტაქსური ურთიერთობაა. მიმართებითი ნაცვალსახელი ხშირ შემთხვევაში ასახსნელ წევრს უთანხმდება რიცხვში. მათანხმებელი მისამართი სიტყვაა, შეთანხმებული – მიმართებითი ნაცვალსახელი.

მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის სინტაქსური ურთიერთობა (რიცხვში შეთანხმება) საინტერესო და ამავე დროს სპეციფიკურია იმდენად, რამდენადაც მათანხმებელი და შეთანხმებული სხვადასხვა წინადადების წევრებია.

მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის სინტაქსურ ურთიერთობას ქართულში არა ერთი მკვლევარი შეეხო და აღნიშნულ საკითხს ფასეული გამოკვლევებიც მიეძღვნა (ლ. კვანტალიანი „მისამართი სი-

ტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის შეთანხმება ქართულში", 1983; კ. დონდუა „მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობისათვის ძვ. ქართულში", 1940).

ლეილა კვანტალიანის აზრით, „მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის ურთიერთობა გარკვეულ ინტერესს აღძრავს რამდენიმე გარემოების გამო: ა) საქმე გვაქვს თავისებურ შეთანხმებასთან, ბ) ორი სიტყვის შეთანხმებით ხდება ქვეწყობილ კონსტრუქციაში კომპონენტი წინადადებების სინტაქსური შეკავშირება, გ) თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ამ სიტყვათა შეხამებისას არაერთგვაროვნება და სიჭრელე შეინიშნება" (კვანტალიანი 1983: 6).

ნაშრომში შევეცდებით აღნიშნული საკითხი სვანურის მონაცემების მიხედვით განვიხილოთ და ყურადღება ხედი|ხედა „რომელი" ნაცვალსახელზე გავამახვილოთ.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად „სვანურში არც ერთ ნაცვალსახელს არა აქვს მრავლობითის ფორმა, ამდენად მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის რიცხვში შეთანხმების საკითხი მოხსნილია. რჩება მხოლოდ აზრობრივი შეთანხმება მრავლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენილ მისამართ სიტყვასა და დამოკიდებული წინადადების შემასმენელ-ზმნას შორის..."(აბესაძე 1960: 115-145).

გამოთქმულ მოსაზრებას შემდგომში არა ერთი მკვლევარი იმეორებს (არ. მარტიროსოვი, ლ. კვანტალიანი, ა. კიზირია და ა. შ.).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ხედი|ხედა ნაცვალსახელს როგორც დამოუკიდებლად, ისე ნაწილაკდართულს მოეპოვება ექვსივე ბრუნვა როგორც მხოლობითში, ისე მრავლობითში.

ვითვალისწინებთ რა სვანურის ოთხივე დიალექტის, ასევე, ლახამულურისა და ჩოლურული მეტყველების მონაცემებს, განსახილველ ნაცვალსახელს პირველ რიგში წარმოვადგენთ ბრუნების კატეგორიის მიხედვით, რო-

გორც ნაწილაკდართულს, ასევე უნაწილაკოდ მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში.

ბზ.

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ხედა „რომელი“	ხედიბარ „რომლები“
მოთხ.	ხედად|ხედნემ	ხედიბარდ
მიც.	ხედას	ხედიბარს
ნათ.	ხედემიშ	ხედიბარეშ
მოქმ.	ხედაშუ|ხედნოუშ	ხედიბარუშ
ვით.	ხედად	ხედიბარდ

ბზ. -უბი ნაწილაკიანი

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ხედუბი	ხედიბარუბი
მოთხ.	ხედუბიდ	ხედიბარუბიდ|ხედიბარდუბი|ხედუბიბარდ
მიც.	ხედუბის	ხედიბარუბის|ხედიბარსუბი
ნათ.	ხედუბიშ	ხედიბარუბიშ|ხედიბარიშუბი
მოქმ.	ხედუბიშუ	ხედიბარუბიშუ|ხედიბარშუბი
ვით.	ხედუბიდ	ხედიბარუბიდ|ხედიბარდუბი

ბქ.

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ხედი	ხედიბარ
მოთხ.	ხედიდ	ხედიბარდ
მიც.	ხედის	ხედიბარს
ნათ.	ხედაშ	ხედიბარეშ
მოქმ.	ხედაშუ	ხედიბარშუ
ვით.	ხედიდ	ხედიბარდ

ბალსქვემოურში, როგორც მასალის ანალიზმა გვიჩვენა, მიმართებითობის ნაწილაკიანი წარმოება არა გვაქვს, თუმცა იშვიათად ცხუმარულში ნათესაობითისა და მოქმედებითის მრავლობით რიცხვში, შეიძლება შეგვხვდეს ხედოლუეშ, ხედოლუშუ ფორმები;

ლხმ.

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ხედა	ხედოლუ
მოთხ.	ხედად	ხედოლუდ
მიც.	ხედას	ხედოლუს
ნათ.	ხედაშიშ	ხედოლეშ
მოქმ.	ხედოშუ	ხედოლშუ
ვით.	ხედად	ხედოლუდ

ლხმ. -უჲ ნაწილაკიანი

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ხედუჲ	–
მოთხ.	ხედუჲდ	–
მიც.	ხედუჲშ	–
ნათ.	ხედუჲშიშ	–
მოქმ.	ხედუოშ	–
ვით.	ხედუჲდ	–

ლნტ.

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ხედი	ხედმინ
მოთხ.	ხედიდ	ხედმინდ
მიც.	ხედის	ხედმინს
ნათ.	ხედიიშ	ხედმინეშ
მოქმ.	ხედიუშ	ხედმინშუ
ვით.	ხედიდ | ხედად	ხედმინდ

ლნტ. -უჲი ნაწილაკიანი

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ხედუჲი	ხედმინუჲი
მოთხ.	ხედუჲიდ	ხედმინუჲიდ
მიც.	ხედუჲის	ხედმინუჲის
ნათ.	ხედუჲიშ	ხედმინუჲიშ
მოქმ.	ხედუჲიშუ	ხედმინუჲიუშ
ვით.	ხედუჲიდ	ხედმინუჲიდ

ლშხ.

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ხედი	ხედიარ
მოთხ.	ხედიდ|ხედინემ| ხედნემ|ხედნემდ	ხედიარდ
მიც.	ხედის	ხედიარს
ნათ.	ხედიშ|ხედიმიშ	ხედიარეშ
მოქმ.	ხედიუშ|ხედინრუშ	ხედიარუშ
ვით.	ხედიდ	ხედიარდ

ლშხ. -უპა|-ი ნაწილაკიანი

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ხედუპაი	–
მოთხ.	ხედუპაიდ |ხედუპაიდი	–
მიც.	ხედუპაის |ხედუპაისი	–
ნათ.	ხედუპაიშ |ხედუპაიში	–
მოქმ.	ხედუპაიუშ |ხედუპაიუში	–
ვით.	ხედუპაიდ |ხედუპაიდი	–

ლშხ. -ი ნაწილაკიანი

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ხედი	ხედიარი
მოთხ.	ხედიდი	ხედიარდი
მიც.	ხედისი	ხედიარსი
ნათ.	ხედიში|ხედიმიში	ხედიარეში
მოქმ.	ხედიუში|ხედნემუში	ხედიარუში
ვით.	ხედიდი	ხედიარდი

ჩოლ.

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ხედი	ხედიარ
მოთხ.	ხედიდ|ხედინემ|ხედნემ|ხედნემდ	ხედიარდ
მიც.	ხედის	ხედიარს
ნათ.	ხედიშ|ხედიმიშ	ხედიარეშ
მოქმ.	ხედიუშ|ხედინრუშ|ხედნრუშ	ხედიარუშ
ვით.	ხედიდ	ხედიარდ

ჩოლ. -უ̆ა | -უ̆ა + -ი ნაწილაკიანი

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ხედიუ̆ა|ხედუ̆ა	ხედიარუ̆ა
მოთხ.	ხედუ̆ად|ხედუ̆ადრ̆	ხედიარუ̆ად | ხედიარუ̆ადრ̆
მიც.	ხედუ̆ას|ხედუ̆ასრ̆	ხედიარუ̆ას|ხედიარუ̆ასრ̆
ნათ.	ხედუ̆აშ|ხედუ̆აძმიშ| ხედუ̆აშრ̆|ხედუ̆აძმიშრ̆	ხედიარუ̆აშ|ხედიარუ̆აძეშ
მოქმ.	ხედუ̆აუ̆შ|ხედუ̆აუ̆შრ̆	ხედიარუ̆აუ̆შ|ხედიარუ̆აუ̆შრ̆
ვით.	ხედუ̆აად|ხედუ̆აადრ̆	ხედიარუ̆აად|ხედიარუ̆აადრ̆

ჩოლ. -ი ნაწილაკიანი

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ხედრ̆	ხედიარრ̆
მოთხ.	ხედიდრ̆	ხედიარდრ̆
მიც.	ხედისრ̆	ხედიარსრ̆
ნათ.	ხედრ̆შრ̆|ხედრ̆მიშრ̆	ხედიარეშრ̆
მოქმ.	ხედიუ̆შრ̆|ხედნემუ̆შრ̆	ხედიარუ̆შრ̆
ვით.	ხედიდრ̆	ხედიარდრ̆

არ. მარტიროსოვი თავის ნაშრომში „ნაცვალსახელი ქართველურ ენებში“ ხედუ̆ა||ხედი მიმართებით ნაცვალსახელს ბრუნების მიხედვით წარმოგვიდგენს და ასკვნის, რომ „ხედუ̆ა... ნაცვალსახელს მხოლოდ ნაწილაკშეზრდილი ფორმები მოეპოვება. ლაშხურში ეს ნაცვალსახელი უ̆ა-ს ძალზე იშვიათად დაირთავს, მიმართებითობის გადმოსაცემად აქ -ი ნაწილაკი იხმარება, იგი შეუზრდელია, უშუალოდ დაერთვის ნაბრუნებ ფორმას“ (მარტიროსოვი 1964: 357).

ჩვენ მიერ წარმოდგენილ მასალაში დიალექტები არაერთგვაროვან სურათს წარმოგვიჩენენ, ბალსზემოურში, ჩოლურულსა და ლაშხურში, ზემო ნათქვამისაგან განსხვავებით, მეტად საინტერესო და, ამავე დროს, ჭრელი სურათი გვაქვს. დასტურდება როგორც ნაწილაკშეზრდილი (ხედ-უ̆ა-დ), ასევე ნაწილაკშეუზრდელი (ხედი-დ-ბ) და ნარევი წარმოებაც (ჩოლ.) ხედუ̆ა-დ-ბ || (ბზ.) ხედუ̆აბრდ. ბალსზემოურისა და ჩოლურულის მონაცემე-

ბისგან განსხვავებით, დანარჩენ დიალექტებში -უჯი ნაწილაკიანი მრავლობითი რიცხვის ფორმები არ იწარმოება. როგორც ცნობილია, ლაშხური -ი ნაწილაკიან წარმოებას ანიჭებს უპირატესობას, ხოლო ბალსქვემოურსა და ლახამულურში ნაწილაკიანი წარმოება შედარებით იშვიათია.

აღნიშნული მიმართებითი ნაცვალსახელი ყველაზე სრულ და მრავალფეროვან სურათს მაინც ჩოლურულში იძლევა, სადაც ერთადაა თავმოყრილი ბალსზემოურისა და ლაშხურის ფორმები და რაც ყველაზე საინტერესოა, სრულიად ბუნებრივად ენაცვლება წარმოდგენილი პარალელური ფორმები ერთმანეთს მეტყველებისას.

საყურადღებოა, რომ სვანური ენის ქრესტომათიასა და პროზაულ ტექსტებში ვერ მოხერხდა საანალიზო მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის მრავლობით რიცხვში დადასტურება, თუ არ ჩავთვლით პროზაში დაფიქსირებულ, ლენტეხური დიალექტის ერთ წინადადებას, სადაც მისამართი სიტყვა მრ. რიცხვშია, მიმართებითი ნაცვალსახელი კი მხოლობითის ფორმითაა წარმოდგენილი (აშხუ ლადეღ ლახეშყადხ მიჩა ჯუინელ აფხანიკარს, ხედუჯი ერ ლითუერის ქათაყეჩახ, ეჯმინს, ამეჩედელიხ აფხანიკი ლათხელიხო (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 183) „ერთ დღეს გაახსენდათ თავის ძველ ამხანაგებს, რომლებმაც (რომელიც, რომ) სწავლა მიატოვეს, მათ, წასულან ამხანაგის საძებნელად“), სხვა შემთხვევაში წინადადების განსახილველი წევრები მრ. რიცხვის ფორმით არ დაფიქსირებულა, თუმცა ერთი რამ ფაქტია, ზეპირ მეტყველებაში არცთუ იშვიათად იხმარება და შევეცდებით ქართულთან მიმართებაში ყველა შესაძლო ვარიანტი წარმოვაჩინოთ.

როგორც არაერთგზის აღინიშნა, მისამართ სიტყვასა და მიმართებით ნაცვალსახელს შორის სინტაქსური კავშირი მხოლოდ რიცხვის მიხედვით ხდება. მიმართებითი ნაცვალსახელი (წევრ-კავშირი) მისამართ სიტყვას (ასახსნელ წევრს) უთანხმდება ფორმის მიხედვით (რიცხვში) ან აზრობრი-

ვად. ფორმის მიხედვით შეთანხმებისას წევრ-კავშირი იმავე რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი, რითაც მისამართი სიტყვა. ხოლო აზრობრივი, ანუ შინაარსობრივი შეთანხმებისას მისამართი სიტყვის მნიშვნელობაა გადამწყვეტი და შესაბამისად მიმართებითი ნაცვალსახელიც ასახსნელ წევრს მნიშვნელობის მიხედვით უთანხმდება.

სამეცნიერო ლიტერატურაში, ვინაიდან, გაზიარებული იყო შეხედულება, რომ სვანურში არცერთ მიმართებით ნაცვალსახელს არ ეწარმოება მრავლობითი რიცხვის ფორმა და ამდენად მოხსნილი იყო საკითხი მისამართ წევრთან მისი რიცხვში შეთანხმებისა, განიხილებოდა მხოლოდ აზრობრივი შეთანხმება; „...რჩება მხოლოდ აზრობრივი შეთანხმება მრ. რიცხვის ფორმით წარმოდგენილ მისამართ სიტყვასა და დამოკიდებული წინადადების შემასმენელ-ზმნას შორის“ (აბესაძე 1960: 145.).

როგორც ჩანს, სვანური სინტაქსის უბადლო მკვლევარი ამ დასკვნამდე იმ გარემოებამ მიიყვანა, რომ იმ დროისათვის ფიქსირებულ სვანურ მასალაში არ იყო წარმოდგენილი მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის რიცხვში შეთანხმების მაგალითები.

შეთანხმებისათვის აუცილებელია, რომ ერთმანეთთან სინტაქსურ კავშირში მყოფ სიტყვებს საზიარო გრამატიკული კატეგორია ჰქონდეთ, კატეგორია, რომელშიც შეთანხმების შემთხვევაში ორივე წევრი დგას, ანუ მათანხმებელს (მისამართ სიტყვას) უნდა ჰქონდეს მრავლობითი რიცხვის ფორმა და მიმართებით ნაცვალსახელსაც უნდა შეეძლოს წამყვანი სიტყვის ფორმის მიღება. თუ ერთ-ერთ მათგანს არა აქვს მრ. რიცხვი, შეთანხმების საკითხი აღარ დგას.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი იქნა მიმართებითი ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის პარადიგმები სვანურის ყველა დიალექტის მიხედვით და, ჩვენი აზრით, ვინაიდან მიმართებით ნაცვალსახელს აქვს მრ. რიცხვის ფორმა, ასახსნელ წევრთან შეთანხმების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ არ უნდა

იდგეს, მით უფრო, რომ თავად ნ. აბესაძის თვალსაზრისითაც, უფრო ძველი უნდა იყოს რიცხვში ფორმაცვალება: „ქართულთან და ზანურთან სვანურის შედარებით ირკვევა, რომ უფრო ძველი უნდა იყოს რიცხვში ფორმაცვალება, ხოლო უფრო ახალი ფორმაუცვლელობა. სვანურის მონაცემი უფრო ახალ მოვლენას წარმოადგენს“ (აბესაძე 1960: 116).

საკვლევია, როდის ან რა შემთხვევაში გვაქვს შეთანხმება, ან ქართულთან მიმართებაში რაიმე სხვაობას ხომ არ გვიჩვენებს;. ილუსტრაციებს ძირითადად ჩოლურულის მონაცემების მიხედვით წარმოვადგენთ, ვინაიდან ამ მეტყველებაში ნაწილაკთა მრავალფეროვანი წარმოება გვხვდება.

მისამართი სიტყვა, თუ იგი სულიერი, ცოცხალი საგნის აღმნიშვნელია მრავლობით რიცხვში ითანხმებს მიმართებით ნაცვალსახელს. მაგ.:

> აგითე ლ̃ჳზჟი სგ’ენსიპეხ ალიარდ, ა, **ხედ̃ჲარდ̃ი** ედსიმნეხ ნაგგრგ̃ალ (ჩოლ.) „შინ წასვლისას შემოიარეს იმათ(მა), აი, რომლებმაც გაიგონეს („შეისმინეს“) ნათქვამი“
>
> **ეჯ̃ჲარ** ადრიხ, **ხედ̃ჲარჭ̃ჲი** ბეფშს ღოშკინპილხო ესცჭირეხ (ჩოლ., საყდრ.) „ისინი წავლენ, რომლებიც ბავშვს ბოლოს დაიტოვებენ“
>
> **ხედ̃ჲარჭ̃ჲი** კჭიმტ̃ჲან ნინეშ ლასხ, **ეჯ̃ჲარ** ჯ̃რდიას ბ̃რდახ (ჩოლ.) „რომლებიც ენაკვიმატიანები იყვნენ, ისინი შორს იყვნენ“
>
> ითშიხ **ეჯ̃ჲაბ̃რს**, **ხედ̃ჲაბ̃რე** ოჯახარისჲი ეკჭუეს ენსყენს ალ სუფრა (ჩოლ.) „ირჩევენ მათ, რომელთა ოჯახებშიც უნდა გაიშალოს („გაკეთდეს“) ეს სუფრა“
>
> ჩ’ოსწ̃ჭენ **კოჭ̣ოლ ბოფშჩ̣ლარ, ხედ̃ჲაბ̃რსჩ̣** ნაქჭთარ ჭისკჭულარ ხოყდაწ̃ნწ̃ხ (ჩოლ.) „დავინახე პატარა ბავშვები, რომლებსაც მოპარული („ნაპარავი“) ვაშლები ეჭირათ“...

იშვიათად ცოცხალი საგნის გამომხატველი მისამართი სიტყვა ფორმობრივად ვერ ითანხმებს მიმართებით ნაცვალსახელს; მისამართი წევრი მრავლობითშია, მიმართებითი კი მხოლობითში. მაგ.:

> **ხედ̃ჭ̃ჲი** ერ ლითჭერის ქათაყეჩახ, **ეჯ̃მინ** ბ̃მეჩედელიხ აფხ̃ნიკი ლ̃ათხელიხო (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 183.) „რომლებსაც სწავლისათვის თავი დაუნებებიათ, ისინი წასულან ამხანაგის საძებნელად

(ზედმიწ. – რომელიც რომ სწავლას განებებიან, ისინი წასულან ამხანაგი-{ს} საძებნელად")"...

გვაქვს შემთხვევები, როდესაც უსულო საგნის აღმნიშვნელი მისამართი სიტყვა ითანხმებს რიცხვში მიმართებით ნაცვალსახელს. მაგ.:

ქა ლეცურე ხ̌ადახ ეჯ სოფლარ, ხედიარსი̄ ჟაიობ ხენტუ̄ებ (ჩოლ.)
„მისატოვებელი გაუხდათ ის სოფლები, რომელთაც ზვავი ემუქრება"

ქა ტგხე ნაგგრგა̄ლარს, ხედიარუ̄ში̄ ეშხუ̄არ ხარცხუე ხალხს (ჩოლ.)
„სხვის ნათქვამს გაამჟღავნებს, რომლებითაც ერთმანეთს ახოცავს ხალხს (ზედმიწ. – გააბრუნებს ნალაპარაკევებს, რომლებითაც ერთმანეთს ანარცხებს ხალხ-ს)"...

უნდა აღინიშნოს, რომ სულიერ, ცოცხალი, საგნის აღმნიშვნელ მისამართ სიტყვასთან მრავლობითში შეწყობილ განსახილველ (ხედუ̄აი) მიმართებით ნაცვალსახელს, თავისუფლად შეიძლება ჩაენაცვლოს მიმართებითი ნაცვალსახელი დერუ̄აი „ვინც" და ასეთ შემთხვევაში ასახსნელ წევრსა და მიმართებით ნაცვალსახელს შორის რიცხვში შეთანხმება არა გვაქვს, ვინაიდან, სვანურში ამ უკანასკნელს მრავლობითი არ ეწარმოება და მრავლობითობა კონტექსტის მიხედვით ივარაუდება. მაგ.:

სგ'ეთკული̄ნ̄ა̄ნ ზურლა̄რს ი ღუაჟარს, ხედია̄რი̄||იარი̄ ანწყნარახ ათხად (ჩოლ.) „დაეტაკა („დაერია") ქალებს და კაცებს, რომლებიც||ვინც ამშვიდებდნენ („აწყნარებდნენ") აქამდე"

ეჯიარ ხაბცენნახ აჯახუ̄შდ ლიმურჯის, ე, ხედია̄რუ̄აი||იარუ̄აი ნაჭთუ̄ნ ხეყა̄და (ჩოლ.) „ისინი ჰპირდებოდნენ კვლავაც დახმარებას, აი, რომლებიც||ვინც დანაწყევლი ჰყავდა"

ღოშკინპილს ქა ხაღრისეხ ეჯის, ხედი̄ში̄||ხედუ̄აიშ||ხედუ̄აიში̄||დერუ̄აიში̄ ლას ნადიან (ჩოლ.) „ბოლოს აღირსებენ იმას, რომლისაც||ვისიც იყო გოგო"...

ქართულის მსგავსად, სვანურშიც ხშირია შემთხვევები, როდესაც მისამართ სიტყვას მსაზღვრელად ახლავს ერთზე მეტის აღმნიშვნელი რიცხვითი

სახელი ან განუსაზღვრელ რაოდენობაზე მიმთითებელი სხვა რომელიმე სიტყვა.

როდესაც მსაზღვრელად გამოყენებულია განუსაზღვრელი რაოდენობის გამომხატველი რიცხვითი სახელები (ხუპა „ბევრი“, მადხუა „ცოტაოდენი“, ქუეყანა „უამრავი“, ქოყანამაგ „მრავალი“...), ძველი ქართულის მსგავსად, საზღვრული (ამ შემთხვევაში მისამართი სიტყვა) შეიძლება მხოლობითშიც იყოს და მრავლობითშიც, ხოლო მიმართებითი ნაცვალსახელი სვანურში ყველა შემთხვევაში მრავლობით რიცხვში იქნება, მაგ., შდრ. ჩოლ.:

ქოყანამაგ ზურლალ ოთოგანხ ცინყათე, ხედიარსი ხოშა უედრალ ხოყდანანხ (ჩოლ.) „უამრავი ქალები გაუდგნენ გზას მოცვის დასაკრეფად, რომელთაც დიდი ვედროები ეკავათ (ზედმიწ. – ქვეყანა ქალები გა-უ-დგ-ნენ მოცვ{ის}კენ, რომლებსაც დიდი ვედრო-ებ-ი ეკავათ)“

ქუეყანა გაკს ალე აფთხგნე, ხედიარსი ჟი მეშტხე ხარხ პატრონ (ჩოლ.) „ყველას კაკალს ეს ფერთხავს, რომელთაც არ ჰყავთ პატრონი (ზედმიწ. – ქვეყნ-ი{ს} კაკალ-ს ეს ბერტყავს, რომნლებსაც ამოთავებული აქვთ პატრონ-ი)“

ხუპა მგმრრუალას ახღელდახ, ხედიარსუპა ხეკუეს ოთსკუხუანხ მინე გუეშ (ჩოლ.) „ბევრ მედიატორებს ელოდებოდნენ, რომელთაც უნდა მოეგვარებინათ მათი საქმე“

ჩოთშიდ სგობინჩუ ხუპა ძიუარალ, ხედიარი ეშ ანარიესდახ (ჩოლ.) „დაუყარა წინ ბევრი მძივები, რომლებიც {ისე} ანათებდნენ“

ჩუ ლოქ ხუაწიედ მადხუპა დინოლარ, ხედიარსუპა ლოქ ხუეიფხნიკალდ (ჩოლ.) „დაპატიჟეთო რამდენიმე გოგო, რომლებსაც ემეგობრებითო (ზედმიწ. – დავპატიჟეთო მცირეოდენო გოგონები. რომლებსაცო ვ-ე-ამხანაგ-ებ-ით)“

ქა ხოჟოღუდა ქუეყანამაგ ბოფშს, ხედიარი ხეჭამხ აბარდაუშ (ჩოლ.) „წინ უძღოდა უამრავ („ქვეყანა“) ბავშვს, რომლებიც მისდევდნენ შეძახილებით“

ანშგდახ ხუპა ჭყინტრლარ, ხედიარდი ხოლა მრმან ანსყეხ (ჩოლ.) „მოცვივდნენ ბევრი ბიჭები, რომლებმაც ხმაური ატეხეს“...

როცა სულიერი საგნის აღმნიშვნელი მისამართი სიტყვის მსაზღვრელად რიცხვითი სახელია, მისამართი სიტყვა მხოლობით რიცხვშია, ხოლო მიმართებითი სიტყვა მრავლობითში შეეწყობა. მაგ.:

ქ'ანსკინეხ **დერქდა** მახელუბაჟდ, **ხედიარუბა** ქბმ ლგმგენელიხ (ჩოლ.) „გამოვარდა ორივე ბიჭი, რომლებიც გარეთ მდგარან (ზედმიწ. – გადმოსკუპდნენ ორივე ახალ-ვაჟ-ად, რომლებიც გარეთ მ-დგ-არ-ან)"

ეშხუ-**დ**ერუ მარე ეღო ედქუთნი, **ხედიარს**ი აჯახ ხობიცხ (ჩოლ.) „ერთი-ორი კაცი თუ გაინძრევა, რომელთაც კიდევ შეუძლიათ"...

თუმცა გვაქვს შემთხვევები, როცა ასეთ საზღვრულიან, უსულო საგნის აღმნიშვნელ ასახსნელ წევრთან მიმართებითი ნაცვალსახელი მაინც მრავლობითშია. მაგ.:

ქა იშგმინ **ჩხარა წკაპ, ხედიარი** ხეკუეს მახა მეჴდად ლოხთუნან (ჩოლ.) „მოითხოვა ცხრა სასმისი („მწკრივად დასალევი"), რომლებიც ახალი მოსულისთვის უნდა დაელევინებინა"...

რიცხვითი სახელით განსაზღვრულ უსულო საგნის გამომხატველ მისამართ წევრთან, მიმართებითი ნაცვალსახელიც მხოლობით რიცხვშია. მაგ.:

ეშხუ ხოშა ოთახისა, ხედუაი ერ თელდ ოქრშუ ლასუ ლგმარე, ოქურე ტახტჟი ბაყაყ ხეყადხ (ლნტ., სვან. ენის. ქრესტ., 1967: 322) „ერთ დიდ ოთახში, რომელიც სულ ოქროთი იყო მორთული, ოქროს ტახტზე ბაყაყი ჰყავდათ"...

„სალიტერატურო ქართულში ერთზე მეტის აღმნიშვნელი მსაზღვრელით წარმოდგენილ მისამართ სიტყვასთან კანონზომიერია და ფართოდ გავრცელებული მიმართებითი ნაცვალსახელის მრავლობითში დასმა, ე.ი. აზრობრივი შეთანხმება, რაკი მისამართი სიტყვის სიმრავლე ლექსიკური საშუალებით (მსაზღვრელებით) არის გამოსახული... ფორმის მიხედვით შეთანხმება, ე.ი. წევრ კავშირის მხოლობითში დასმა, მხოლოდ მაშინ ჩანს გამარ-

თლებული, თუ ასახსნელი წევრი ისეთი საგნის სახელია, რომელიც ცალობითს ერთეულებად არ ნაწილდება...“ (კვანტალიანი 1983: 86-87).

მისამართი სიტყვა შეიძლება გადმოიცეს კრებითი სახელებითაც, ასეთ ასახსნელ წევრთან მიმართებითი ნაცვალსახელი ხშირ შემთხვევაში შეთანხმებულია მათანხმებელთან ფორმის მიხედვით. მაგ.:

იტფურჲლდახ **ნადჲანუ, ხედჲარსი** ნადირ ახჭემახ (ჩოლ.) „ვიშვიშებდნენ („ცხვირ-პირს იხოკავდნენ“) გოგოები, რომელთაც ნადირი გამოკიდებიათ“

ათეურჲლდა ღოშკმე **ჯოგჲრს, ხედჲარსუჲი** ფარნაოზ ხოჭოღუდა (ჩოლ.) „ათვალიერებდა უკანა ჯოგებს, რომელთაც ფარნაოზი მოუძღოდა“

ქა ლეცურე ხჲდახ **ეჯ სოფლარ, ხედჲარსი** ჟაჲობ ხენტუებ (ჩოლ.) „მისატოვებელი გაუხდათ ის სოფლები, რომლებსაც ზვავი ემუქრებოდათ“

მათანხმებელიც და შეთანხმებულიც მხოლობით რიცხვში დგას. მაგ.:

ანჯადხ **ლაშქჲრუშ, ხედი** თელ ჩოლირისა ანხურიელეხ (ჩოლ.) „მოვიდნენ ლაშქრით, რომელიც მთელ ჩოლურში მოაგროვეს“

ქ'ედქიხ **ეჯი ჯოგი** ლიჴედდ, **ხედისი** მაშენე მანკუი ანღელდახ (ჩოლ.) „დააგვიანა იმ ჯოგის მოსვლამ, რომელსაც ყველაზე ადრე ელოდნენ“

ოთზგზახ ეჭკალი ხალხ, **ხედისი** ღოშკინ მუწური-მგთხელი მრმ ხასდენრლნა (ჩოლ.) „გაუგზავნიათ ისეთი ხალხი, რომელსაც უკან სისხლის ამღები არავინ რჩებოდა (ზედმიწ. – გაუგზავნიათ ის-**ყალიბ**-ი **ხალხ**-ი, რომელსაც უკან მსისხებელ-მძებნელი არ რჩებოდა)“...

გვაქვს აზრობრივი შეთანხმების ისეთი შემთხვევებიც, როცა ამხსნელი წევრი მრავლობითშია, ხოლო კრებითი სახელით გადმოცემული ასახსნელი წევრი მხოლობითში. მაგ.:

ეჯი ხალხი ცოდ ოთხურე ღულაჲს, **ხედჲარსი** ხოღლატე (ჩოლ.) „იმ ხალხის ცოდვა არ გაახარებს, რომელთაც უღალატა (ზედმიწ. – იმ **ხალხ**-ი{ს} ცოდ-ვ-ა დაუნგრევს მუხლს, რომლებსაც უ-ღალატ-ა)“...

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მიმართებითი ნაცვალსახელი შეიძლება მოგვევლინოს ერთდროულად რამდენიმე მისამართი სიტყვის ამხსნელად, ასეთ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა ცოცხალი საგნის სახელებია ასახსნელი წევრები, თუ არა ცოცხალისა, მიმართებითი ნაცვალსახელი ძირითადად მრავლობით რიცხვში გვხვდება (იშვიათი გამონაკლისის გარდა, როცა მხოლობით რიცხვშია). მაგ.:

ჩუათირ მიჩა ლერში-ლექჳემ, ხაბაკ-ხუბაკ, ხედიარსი ხეთხელდა ამშელდ ზაი (ჩოლ.) „იცნო თავისი ლოგინ-ჩასაცმელი, ბარგი-ბარხანა, რომლებსაც ეძებდა ამდენი წელი (ზედმიწ. – დასაგებ-ჩასაცმელი, ბარგი-ბარხანა, რომლებსაც ეძებდა ამდენი წელი)"

სგ'ეთკულინან ზურჳლ-მჳრას, ხოშას ი ხოხრას, ხედიარი ანწყნარახ ათხად (ჩოლ.) „შეერია ქალს და კაცს, დიდს და პატარას, რომლებიც აწყნარებდნენ აქამდე"

ჳოშა მაიდარ-მაფნჳრდ, ტუტელაიდ ი უზგჳლნად მრრიწჳა ში, ხედიარსი ამ ხუეშყდიხჳი მინე მაშყადისა (ჩოლ.) „რამდენი მშიერ-მწყურვალისათვის, ტიტველისათვის და უსაქმურისთვის გამიწვდია ხელი, რომელთაც სულ ვემახსოვრები მათ მახსოვრობაში"...

მიჩა ნაუმეჭრის ი ნამუჭუჭრის, ხედიდი ადჯაცე, იშგან ნომა ხაბრალი (ჩოლ.) „თავის გაუგებრობას და რქიანობას, რომელმაც დაღუპა, სხვას ნუ აბრალებს"...

ბოლო ილუსტრაციაში ასახსნელი წევრები სინონიმებია და რეალურად ერთ აღსანიშნს გულისხმობენ, შესაბამისად ამხსნელიც მხოლობითშია.

მიმართებითი ნაცვალსახელი „რომელი" წარმოების მხრივ სხვა ქართველურ ენებშიც არაერთგვაროვან და საინტერესო სურათს გვიჩვენებს.

აღნიშნული ნაცვალსახელი და მისამართი სიტყვის ურთიერთობა დაწვრილებითაა განხილული ლ. კვანტალიანის მიერ ქართული სალიტერატურო ენის საფეხურების მიხედვით და ავტორის მიერ დანახულია ის სხვადასხვაობა, რაც ამ საკავშირებელ წევრს ახასიათებს ახალ სალიტერატურო ქართულთან მიმართებაში და მკვლევარი ასკვნის, რომ „...ძველ ქართულისათვის მტკიცე ნორმა ჩანს ნართანიან მრავლობითში დასმულ მისამართ სიტყვასთან

მიმართებითი ნაცვალსახელის შეთანხმება რიცხვში. ...-ებ სუფიქსიანი მისამართი სიტყვა სინტაქსური ძალით ნართანიანს ვერ უტოლდება, მაგრამ შეთანხმების უფლების მოპოვებისათვის იბრძვის უპირველესად სიტყვის აქტიურ შინაარსზე დაყრდნობით... შეთანხმების დარღვევა, რაც ახალ ქართულში იჩენს თავს საშუალი ქართულის მემკვიდრეობაა. საშვალ ქართულში კი დარღვევების წყაროს დიალექტები წარმოადგენს..." (კვანტალიანი 1983: 33).

„ზანურში ძირითად მიმართებით ნაცვალსახელს მხოლობითი რიცხვის ფორმაც აქვს (ნ ა მ უ თ = რომელიც) და მრავლობითისაც (ნ ა მ უ ნ ე ფ ი თ = რომლებიც), მაგრამ მხოლოობითი რიცხვის ფორმა ისეთ შემთხვევაშიც შეიძლება შეგვხვდეს, როდესაც კონტექსტით მრავლობითია მოსალოდნელი" (აბესაძე 1960: 115).

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, დამოკიდებული წინადადება, რომელიც მიმართებით ნაცვალსახელს შეიცავს, შეიძლება იყოს ქვემდებარული, შემასმენლური, დამატებითი და განსაზღვრებითი: „ქვემდებარულს, შემასმენლურს და დამატებით დამოკიდებულ წინადადებებს მისამართ სიტყვად ნაცვალსახელი უჩანს, განსაზღვრებით დამოკიდებულს კი – არსებითი სახელი ან არსებითი სახელის მნიშვნელობის მქონე სხვა სახელი" (კვანტალიანი 1983: 4).

ჩვენ მიერ განსახილველი მიმართებითი ნაცვალსახელი, ქართულის მსგავსად, ძირითადად განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში გვევლინება, თუმცა იშვიათად შეიძლება სხვა სახის დამოკიდებულ წინადადებაშიც შეგვხვდეს.

ბრუნვის მიხედვით მისამართ სიტყვასა და მიმართებით ნაცვალსახელს შორის არანაირი სინტაქსური დამოკიდებულება არ არსებობს. მიმართებითი ნაცვალსახელის ბრუნვას, ქართულის მსგავსად, სვანურშიც დამოკიდებული წინადადების შემასმენელი განსაზღვრავს, ხოლო მისამართი სიტყვა ჩვეულებრივ მთავარი წინადადების შემასმენლისაგანაა მართული.

მიუხედავად ამისა, გვაქვს ამ წესიდან გადახვევის შემთხვევებიც. ნ. აბესაძემ ყურადღება მიაქცია ისეთ იშვიათ შემთხვევებს სვანურში, როდესაც მისამართი წევრი მიმართებით ნაცვალსახელს უთანხმდება ბრუნვაში: „ძველ ქართულში გავრცელებული ორი შემთხვევიდან პირველს (როდესაც მისამართი სიტყვა მიმართებით ნაცვალსახელს ეთანხმება ბრუნვაში, ხოლო მთავარი წინადადების მეორე ნაწილში მის ნაცვლად ნაცვალსახელი არ ჩნდება) სვანურში საერთოდ არა აქვს ადგილი... სვანურში, როგორც წესი, თუ მისამართი სიტყვა მიმართებით ნაცვალსახელთანაა შეთანხმებული ბრუნვაში, მაშინ მთავარი წინადადების მეორე ნაწილში მისამართი სიტყვის მონაცვლედ ჩნდება ნაცვალსახელი, რომელიც ბრუნვაში საკუთარ შემასმენელთან არის შეწყობილი, მაგ.: ალ დინა, ხედუჴი იგუანდა, ალას ხჭუე = ეს გოგო, რომელიც ტიროდა, ამას უთხრა“ (აბესაძე 1960: 114). განსახილველ წევრთა ასეთი ტიპის ურთიერთობა მკვლევარს ავარაუდებინებს, რომ „... როდესაც მისამართი სიტყვა მიმართებით ნაცვალსახელს ეთანხმება ბრუნვაში, აუცილებელი ხდება მთავარი წინადადების მეორე ნაწილში საკუთარ შემასმენელთან შეწყობილი ჩვენებითი ნაცვალსახელის განმეორება, აშკარაა, რომ ბრუნვების მხრივ სინტაქსური ურთიერთობა მიმართებით ნაცვალსახელსა და მისამართ სიტყვას შორის სვანურში თითქმის აღარა გვაქვს“ (იქვე: 115).

მსგავსი შემთხვევები, მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის ფორმობრივი მსგავსება (ასიმილაციად წოდებული), ქართულშიც არა ერთი მკვლევრის მიერაა განხილული: „ფორმობრივი დამსგავსება შედარებით მეტად არის გავრცელებული ძველ ქართულში, უფრო ნაკლებად – გარდამავალი პერიოდის მწერლობაში, აქა იქ ამოტივტივდება ახალ ქართულში, განსაკუთრებით ზეპირ მეტყველებაში, აქედანაა შემოჟონილი სამწერლობო ენაშიც“ (კვანტალიანი 1983: 10).

მკვლევართა ერთი ნაწილი ასეთი ტიპის ურთიერთობას ფსიქოლოგიურ ფაქტორს უკავშირებს, რაც იმითაა განპირობებული, თუ რომელი წევრი

წარმოითქმის პირველად: „მისამართი სიტყვის წარმოთქმას წინ უსწრებს მიმართებითი ნაცვალსახელის წარმოდგენა, – ასიმილაცია რეგრესულია. ამგვარი ასიმილაციის შემთხვევებია ქართულში. თუ მიმართებითი ნაცვალსახელის წარმოთქმას წინ უსწრებს მისამართი სიტყვის წარმოდგენა, ასიმილაცია პროგრესულია (მაგალითად მე. ბერძნულში)“ (დონდუა 1940: 331).

კ. დონდუას თვალსაზრისით, ამგვარი შემთხვევები არც ასიმილაციით და არც ფსიქოლოგიური ფაქტორით არ აიხსნება: „ჩვენ წინაშე არის ერთგვარი გარდამავალი საფეხური რთულ შეკავშირებულსა და რთულ დამოკიდებულ წინადადებას შორის“ (დონდუა 1949: 11).

ა. კიზირიას აზრით, „მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის დასმა ერთსა და იმავე ბრუნვაში შეთანხმებით კი არაა გამოწვეული, არამედ მომდევნო შემასმენელთან დამოკიდებულებით... ასეთ კონსტრუქციებს კ. დონდუა „კომპრომისულ ფორმებს“ უწოდებს. ვიტყოდით მისამართი სიტყვის ბადალი (ნაცვალსახელის სახით) იმიტომ გაჩნდა, რაკი ასახსნელმა წევრმა გაწყვიტა სინტაქსური კავშირი მთავარი წინადადების შემასმენელთან და ბრუნვის ფორმით დამოკიდებული წინადადების შემასმენელს შეეთვისა...“ (კვანტალიანი 1983: 12).

მიუხედავად გარკვეული აზრთასხვადასხვაობისა საბოლოო დასკვნა მაინც ერთია, „ასახსნელი წევრ-კავშირის ფორმობრივი დამსგავსება ვერ ცვლის საერთო წესს; მისამართ სიტყვასა და მიმართებით ნაცვალსახელს შორის ბრუნვის მიხედვით სინტაქსური დამოკიდებულება არ არის, რამდენადაც ისინი სხვადასხვა წინადადების წევრები არიან“ (იქვე: 15).

მისამართი სიტყვა მთავარ წინადადებაში შეიძლება იყოს ქვემდებარე, დამატება, განსაზღვრება, გარემოება, შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი. მსგავსი ფუნქციები აქვს მიმართებით ნაცვალსახელსაც დამოკიდებულ წინადადებაში და შესაბამისად იგი სხვადასხვა ბრუნვის ფორმით გვხვდება. მაგ.:

ღომკიმპილს ეჯ ზურალ ანჯიდხ, ხედუ̈ბი შუკუ̈ისა ხაბგდა (ლნტ., სვან. ენის. ქრესტ., 1967: 317) „ბოლოს ის ქალი მოიყვანეს („მოიტანეს“), რომელიც გზაში იყო დაბმული („ება“)“

ქ'ანჯ̈ად ეჯი მარე, ხედი|ხედუ̈ბი სგობინ ხოჟოღუდახ (ჩოლ.) „გამოვიდა ის კაცი, რომელიც წინ მიუძღოდათ“

ეშხუ გუ̈ელიბ̈არშ̈აპ, ხედუ̈ბიდ ბ̈მირან ადურტყუე, ლეგდ ბ̈დგრდა ი ქბ̈დბელბ̈ან (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 95) „ერთი გველეშაპი, რომელმაც ამირანი ჩაყლაპა, ავად გახდა და გაიბერა“

შუკუ̈ჟინ ალ დბ̈უ ლახხუ̈იდხ-ა, ხედუ̈ბიანემ მინე მუ ადდბ̈უშე (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 407) „გზაზე ეს დევი შეხვდათ, აი, რომელმაც დაღუპა მათი მამა“

უქმი მუკუშე მეზგე, ქა იქდა ზედმეტს დედ ლაბიას, დედ ეშხუ საწურიან არაყს, ხედისი ქ'ახჭემნახ ლეთუნად ჩის (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 244) „უქმე დღეების გამტეხი ოჯახი, იხდიდა ზედმეტს ან საკლავს, ან ერთ ჩარექა არაყს, რომელსაც ჩამოატარებდნენ ხოლმე და ყველას ასმევდნენ (ზედმიწ. – უქმ-ი{ს} გამტეხი მოსახლე, გადაიხდიდა ზედმეტს ან საკლავს, ან ერთ საწურიან არაყ-ს, რომელსაც ჩამოუტარებდნენ დასალევად ყველას)“

ხედუ̈ბის ესერ ჭგშხბ̈არ მრმა ბ̈თჭკუ̈ერიხ, ეჩიშუ ესერ ლბ̈სუ̈ ზურბ̈ლ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 290) „რომელსაც ფეხებს არ მოაჭრიან, იმისი იყოსო ქალი“

ეშხუ მარე ლგმარ გუშკუ̈ეშმგყ, ხედუ̈ის ხაყენა სემი ჭყგნტბ̈არ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 304) „ერთი კაცი ყოფილა ჩვენთან, რომელსაც ჰყოლია სამი ბიჭი“

მერმა, დედ მესმა ლეთ, ხედუ̈ბლე̈შ, ტგტბ̈ დიბ̈არს იჩომხ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 7) „მეორე, ან მესამე დღეს, რომელიმე {დღეს}, მიცვალებულის სახელზე საკურთხს აკეთებდნენ (ზედმიწ. – მე-ორ-ე, ან მე-სამ-ე ღამე, რომელიმეს, ნაცრის პურს აკეთებენ)“

ეჯი თაკუს ხათხელნა, ხედუ̈ბიდუ̈შუ|ხედიუ̈შუ|ხედიუ̈ში ოთგრმა დბ̈უ (ჩოლ.) „იმ თოკს ებებდა თურმე, რომლითაც დაუჭერია დევი“

ეჩაშდუ̈ ანჯგ სერდე, ხედუ̈ბიდი ხიმკახის (ჩოლ.) „იმისთვის გეზრუნა, რომლადაც (რომლისთვისაც, ვისთვისაც) გინდოდა (ზედმიწ. – იმისთვისმცა მოიტანე დარდი, რომლადაც სურვობდი)“

უ̈ე̈ჯი ლოქ ალფგრე̈ლი, ე, ხედუ̈ჯიშდი|ხედიშდიუ̈ჯი ლოქ ოსგოშა საპნარ ლიც (ჩოლ.) „სწორედ ის გახმაო, რომლისთვისაც დაუსხიაო საპნიანი წყალი“...

ჩამოთვლილ ილუსტრაციებში აღნიშნული ნაცვალსახელი ყველა ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი და სინტაგმაში შემავალი მიმართებითი ნაცვალსახელის სინტაქსური (მართვით-შეთანხმებითი) ურთიერთობა, წინადადებაში მისი ფუნქციითაა განპირობებული.

სვანურში მოქმედებით ბრუნვაში წარმოდგენილი მიმართებითი ნაცვალსახელი მრავლობითის ფორმით, ქართულის მსგავსად, არცთუ იშვიათია და ასახსნელ წევრთან ყოველთვის შეთანხმებულია. მაგ.:

ხედიარუ̈შ ანჭდენი, ეჯიარ ემიცუ̈რ ლეშყუ̈დიდ (ჩოლ.) „რომლებითაც მოხვალ, ისინი დამიტოვე გასარეცხად“

ეშიეშ ეჯიარს ათტანტარე სგა, ხედიარუ̈ჯიუ̈შ ხუ̈ამურჯის ლირზის (ჩოლ.) „მაინცდამაინც იმათ წაეპოტინა, რომლებითაც ვაპირებდი წასვლას“

ეჯიაერუ̈შ ეხკრდ აჯახ, ხედიარუ̈შ ამგნ სგობდ ეხიტხ (ჩოლ.) „იმეებით აწიე კვლავ, რომლებითაც ამას წინათ აწიე“...

„ძვ. ქართულში მოქმედებითსა და ვითარებით ბრუნვებს, მრავლობითის წარმოება უჭირთ... ცხადია, მისამართი სიტყვის რიცხვი მოქმედებით და ვითარებით ბრუნვაში დასმულ მიმართებით ნაცვალსახელში არ აისახება... ახალ ქართულში -ებ სუფიქსიანი მრავლობითი მოქმედებითს თავისუფლად აწარმოებს“ (კვანტალიანი 1983: 46-73).

არანაკლებ საინტერესო და მრავალფეროვან სურათს გვიჩვენებს ჰიპოტაქსის საკავშირებელი სიტყვებისა და ზმნა-შემასმენლის ურთიერთობაც სვანურში.

მიმართებითი ნაცვალსახელი დამოკიდებული წინადადების შემასმენელს ეწყობა ქვემდებარედ ან ერთ-ერთი სახის დამატებად და პირველ სამ ბრუნვაში დგას, სინტაქსური ფუნქციის შესაბამისად ზმნა შემასმენლის მიერ იმართვის ბრუნვაში.

მიმართებითი ნაცვალსახელი სახელობით ბრუნვაშია წარმოდგენილი, თუ იგი დამოკიდებული წინადადების ქვემდებარე ან პირდაპირი დამატებაა, შემასმენელი კი I სერიაშია, მაგ.:

ეჯი ადრი, **ხედრ** ბეფუშს ღოშკინპილხო **ასაცუირე** (ჩოლ., საყდრ.) „ის წავა, რომელიც ბავშვს ბოლოს{კენ} დაიტოვებს“

ხოჩგლ **ჴელუან ხედუჰა** ლი, ეჯი ქ**ა**მენ აგემ ჭუ**ა**დს (ჩოლ., საყდრ.) „უკეთესი ხელოსანი რომელიცაა, ის გარეთ აშენებს კედელს“

ალე ლი ძინარა მიჟ, **ხედუაი** ერ თელ ქვეყანას **ხომტუარე**, **ხედუაი** სკუებინ ხეკუეს ერ მაგ თა**უ**ყანიცემას **ლეშტაბდედ** (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 322) „ესაა დილის მზე, რომელიც მთელ ქვეყანას უნათებს, რომლის წინაც ყველა თაყვანს უნდა ვცემდეთ (ზედმიწ. – რომლი{ს} წინ რომ ყველა **თაყვანისცემა**-ს ვმუშაობდეთ)“

ხედრ ლოქ მაშ**ე**ნას **ადღინ**ჩე, ეჯი ლოქ ნომა**უ** ენკიდ (ჩოლ.) „რომელიც უფრო მეტად ანათებსო, ის არ აიღოსო (ზედმიწ. – ისო **ნუ**-არმცა აიღო)“

ჩ’ოთშიდ სგობინჩუ ხუ**ა**ჲ ძიუარა**ლ**, **ხედჲარ**ჩ ეშ **ანარიესდახ** (ჩოლ.) „დაუყარა წინ ბევრი მძივები, რომლებიც ანათებდნენ“...

თუ დამოკიდებული წინადადების შემასმენელი მეორე სერიის გარდამავალი ზმნაა და მიმართებითი ნაცვალსახელი ქვემდებარის როლს ასრულებს, მაშინ იგი მოთხრობით ბრუნვაში გვხვდება. მაგ.:

ხედუჰ**დ** ლოქ ხოჩა ჰარკალ ლ**ა**ქ**უ**ას, ეჯას ხაცეს ალ დი**ა**რ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 159) „რომელმაცო კარგი არაკები თქვას, იმისი იყოსოს ეს პური (ზედმიწ. – რომელმაცო კარგი **არაკ**-ებ-ი თქვას, იმას ჰქონდეს ეს პური)“

ეჯ**ა**არ ადქ**უ**ერწლეხ, **ხედჲარდ**ჩ ადა-ბაბას ოხჲმნარეხ (ჩოლ.) „ისინი დააქორწინეს, რომლებმაც ტრადიციებს მოუსმინეს“

ეჯ ქ**ა**ჯ ხატ**უ**ილდ’ე, **ხედუ**ჰ**დ** მიჩა მუხ**უ**ბე ადურტყუე (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 137) „ის ქაჯი ებახდა, აი, რომელმაც მისი ძმა გადაყლაპა“

ესღრი ალ მ**ა**რე, **ხედუ**ჰ**დ** ერე მიჩა მუხ**უ**ბა ოთღორ**უ**ე (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 223) „მიდის ეს კაცი, რომელმაც თავისი ძმა მოატყუა“...

როგორც ცნობილია, მიცემით ბრუნვაში მიმართებითი ნაცვალსახელი წარმოდგენილია მაშინ, თუ იგი დამოკიდებული წინადადების ირიბი ან პირდაპირი დამატებაა, მაგრამ თვით შემასმენელი-ზმნა I სერიის ფორმითაა წარმოდგენილი (აბესაძე 1960: 111). მაგ.:

> ათეურალდა ღოშკმე ჯოგარს, ხედიარსუში ფარნაოზ ხოჯოლუდა (ჩოლ.) „ათვალიერებდა უკანა ჯოგებს, რომელთაც ფარნაოზი მოუძღოდა“
>
> ხედისი ჩიგარ ხოტენუა, ეში ეჯის ლეხდღუალ ლიმაჩთე (ჩოლ.) „რომელსაც ყოველთვის უბრაზდებოდა, მაინც იმას მიეკედლა სიბერეში“...

მასალაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ასეთ შემთხვევებში სრულიად ქართულისებრი მდგომარეობაა, თუმცა მიმართებითი ნაცვალსახელები სვანურში, აღნიშნულ ბრუნვებში, სხვადასხვა დიალექტურ ნაირსახეობებს გვიჩვენებენ.

როგორც ცნობილია და არაერთგზის აღვნიშნეთ, მიმართებითი ნაცვალსახელი „რომელიც“ სინტაქსურად ორ წევრს უწევს ანგარიშს; რიცხვში მთავარი წინადადების იმ წევრს უთანხმდება, რომელსაც მიემართება, ხოლო ბრუნვაში იმართვის დამოკიდებული წინადადების იმ წევრისაგან, რომელთანაც სინტაქსურ კავშირშია.

აღნიშნული მიმართებითი ნაცვალსახელი თავადაც გვევლინება რიცხვში ზმნა-შემასმენლის მათანხმებელ წევრად და შესაბამისად, ერთდროულად, მართულ-შეთანხმებული და მათანხმებელია. თუ წინადადებაში მიმართებითი ნაცვალსახელი ქვემდებარეა, შემასმენელსაც მრ. რიცხვში ითანხმებს, ასევე მიმართებითი ნაცვალსახელი წინადადებაში თუ გარდამავალი ზმნის ქვემდებარეა, იგი იმართვის ზმნა-შემასმენლის მიერ ბრუნვაში. მაგ.:

> ხედუშა ერ ლითუერის ქ'ათაყჩახ, ეჯმინ ა̈მეჩედელიხ აფხა̈ნიკი ლა̈თხელიხო (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 183.) „რომლებსაც სწავლისთვის თავი დაუნებებიათ, ისინი წასულან ამხანაგის საძებნელად (ზედმიწ. – რომელიც რომ სწავლას განებებიან, ისინი წასულან ამხანაგი{ს} საძებნელე{ის}კენ)“

ეჯიარ ხეტინგიცდახ აჯაღ, **ხედიარ**ი ჩ'უადპგლტაუბლე მბნკუი (ჩოლ.) „ისინი ეძალებოდნენ ისევ, რომლებიც დაიწუნა („დაამცირა") პირველად"

ჟი ლუზგუე ლას ხუბი ზურბლ, **ხედიარდ**ი ხოლა მიმან **ანსყეხ** (ჩოლ.) „შეგროვილი იყვნენ ბევრი ქალები, რომლებმაც ერთი ამბავი ატეხეს („რომლებმაც ცუდი ხმაური გააკეთეს")"

ქუეყანბ კიტუარ ხასიპხ, **ხედიარ**ი იკედხ ამეობას ლაკაულს (ჩოლ.) „უამრავი კნუტები დასტრიალებენ თავს, რომლებიც იკლებენ აქაუროზას კნავილით"

აშყუდუდახ მბდხუბი ზურლბლ, **ხედიარდუბი** ოთბაცეხ სგობნე ლადეღ ლიმურჯი (ჩოლ.) „რეცხავდნენ რამდენიმე ქალები, რომლებმაც პიროზა მისცეს წინა დღეს დახმარების (ზედმიწ. – რეცხავდნენ არაბევრი ქალები, რომლებმაც შეპირდნენ წინა დღეს დახმარება)"...

უნდა აღინიშნოს, რომ მისამართი სიტყვის მიერ მრავლობით რიცხვში შეთანხმებული მიმართებითი ნაცვალსახელი, რომელიც დამოკიდებული წინადადების ქვემდებარეა, ზმნა-შემასმენელს ყოველთვის ითანხმებს რიცხვში.

ერთსა და იმავე წინადადებაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც მრ. რიცხვით წარმოდგენილ მიმართებით ნაცვალსახელს, რომელიც დამატება ობიექტია, შემასმენელი შეიძლება შეეთანხმოს რიცხვში, შეიძლება არა, განურჩევლად იმისა, მიმართებითი ნაცვალსახელი სულიერი, თუ უსულო საგნის აღმნიშვნელია. მაგ.:

ეჩქა ეჯკბლი მეგმარბლს გარ იმბჯახ, **ხედიარს**ი ლიც ხენწრრლხ||ხედიარს ლიც ხენწრრლ (ჩოლ.) „მაშინ მარტო ისეთ მორებს ეზიდებოდნენ, რომლებსაც წყალი **ერეოდათ||ერეოდა**"

ქა ლეცურე ხბდახ ეჯ სოფლარ, **ხედიარს**ი ჟაჲობ ხენტუნებ||ხენტუნებხ (ჩოლ.) „მისატოვებელი გაუხდათ ის სოფლები, რომელთაც ზვავი **ემუქრება||ემუქრებათ**"

ქა ხოჟოლუდა ქუეყანამაგ ბოფშს, **ხედიარ**ი ხეჭამხ||ხეჭამ აბარდაუშ (ჩოლ.) „მოუძღოდა უამრავ ბავშვს, რომლებიც მოსდევდნენ||მოსდევდა ხმაურით"...

მიმართებითი ნაცვალსახელი, ასევე, შეიძლება იყოს პირმიუმართავი დამატების ამხსნელიც და შეიძლება წარმოდგენილი იყოს, როგორც მხოლობითის ისე მრავლობითის ფორმით. მაგ.:

მგხარ ესერ **ხედუ̈ჲმშთე** ქა ისპი დინა, ეჩიშ ესერუ ლა̈სუ̈ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 350) „ხვალ ვისკენაც გადაბრუნდებაო გოგო, იმისი იყოსო“

ეზარ ლა̈სკიდარი ლი მგზა̈ურიშუ̈, **ხედუ̈ჲი** ასხრი ლენტეხა̈ჲი აშა̈რლეჟა (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 290) „კარგი საყურებელია მგზავრისთვის, რომელიც მიდის ლენტეხის გზაზე“

იმჟი ხემუნდი აჯახ **ეჯ**ის, **ხედუ̈ჲიცა̈ხან** ალმაგ ხლაფორთს ლეხბეკენ (ჩოლ.) „როგორ ენდობი კიდევ მას, რომელთანაც ამდენ ხიფათს გადაეყარე“

ხუ̈ჲი უ̈ობელ-უ̈ოჯარდ ხოგუ̈ჰკურება, **ხედიარ**ი ლადი აშა̈მსი დიამ ხატხეხ (ჩოლ.) „ბევრი ობლისთვის მოუვლია („ყურადღება მიუქცევია“), რომლებიც დღეს სალამსაც/მადლობასაც არ უბრუნებენ“

დესა ახღელნა **ეჩ**აშხენქა ლიღლატის, **ხედუ̈ჲიშდი** ლინხუბ ხუ̈უან ლუ̈ქუ̈ე (ჩოლ.) „არ ელოდა თურმე იმისაგან ღალატს, რომლისთვისაც ძმობა ჰქონდა ნათქვამი“

ეჯიარცახან ლოქ ხა̈რ ლეტეხ, **ხედიარცახანი** ლოქ ემჯედელი (ჩოლ.) „იმათთან ერთად უნდა დავბრუნდეო, რომლებთან ერთადაც მოვედიო (ზედმიწ. – იმეებთან ერთადო აქვს საბრუნებელი, რომლებთან ერთადაცო მოსულა)“...

განსახილველი მიმართებითი ნაცვალსახელი იშვიათად შეიძლება გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაშიც შეგვხვდეს. მაგ.:

აჩა̈დ ეჯ ფოყხა̈ნ, ე', **ხედუ̈ჲიხა̈ნ** მერ აპა̈რ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 133) „წავიდა იმ მხრიდან, ე, საიდანაც ბუზი გაფრინდა“

ეჩხენქა დერ ლეხყუ̈აფ ჯენ, ხედიხენქჲი დერ ისმრლ (ჩოლ.) „იქიდან არ გამომძვრა თვითონაც, საიდანაც ხმა ისმოდა“...

ადგილის მიხედვით დამოკიდებული წინადადება, რომელიც მიმართებით ნაცვალსახელს შეიცავს, შეზღუდული არ არის, იგი შეიძლება მთავარ

წინადადებაში იყოს მოქცეული, ან მოსდევდეს, ან წინ უსწრებდეს მას, ხოლო თვითონ მიმართებითი ნაცვალსახელი ან დამოკიდებულის შიგნითაა მოქცეული, ან იწყებს წინადადებას, მაგრამ ყოველთვის წინ უსწრებს დამოკიდებული წინადადების შემასმენელს.

აღნიშნულ მიმართებით ნაცვალსახელზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ მისი სინტაქსური ფუნქციები ქართულის ანალოგიურია და ქართულის მსგავსად შეუძლია აწარმოოს მრ. რიცხვი და შესაბამისად მართულ-შეთანხმებული და, ამავე დროს, მათანხმებელიცაა.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ქართულში მისამართ სიტყვასა და მიმართებით ნაცვალსახელს შორის რიცხვში შეთანხმება, ყოველთვის არ დასტურდება. ამ მხრივ ბვ. სამწერლობო ენა ყველაზე მაღლა დგას, სადაც ნართანიან მისამართ სიტყვას ყველაზე უკეთ შესწევდა ამხსნელი სიტყვის შეთანხმების უნარი, ხოლო შეთანხმების დარღვევის შემთხვევები -ებ-იანი მრავლობითისა და დიალექტების გავლენითაა ახსნილი. სვანურშიც დასტურდება შემთხვევა, როდესაც მისამართი სიტყვა მრავლობით რიცხვშია, ხოლო მიმართებითი – მხოლობითში. აგრეთვე, ხშირია აზრობრივი შეთანხმების შემთხვევებიც.

ზმნა-შემასმენლისა და მიმართებითი ნაცვალსახელის სინტაქსური ურთიერთობაც, ქართულის მსგავსად, მართვით-შეთანხმებითია. მისამართი სიტყვის მიერ მრავლობით რიცხვში შეთანხმებული მიმართებითი ნაცვალსახელი, რომელიც დამოკიდებული წინადადების ქვემდებარეა, ზმნა-შემასმენელს ყოველთვის ითანხმებს რიცხვში, ხოლო დამატება ობიექტის ფუნქციით გამოყენებული მიმართებითი ნაცვალსახელი ხან ითანხმებს შემასმენელს, ხან – ვერა.

§ 5. წევრ-კავშირები

როგორც ცნობილია, ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში დამოკიდებული წინადადების მთავარისადმი დასაქვემდებარებლად (კომპონენტთა დასაკავშირებლად) გამოყენებულია მაქვემდებარებელი კავშირები და მიმართებითი სიტყვები (მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზედები), იგივე წევრ-კავშირები.

„აგებულების მხრივ სვანური მიმართებითი ნაცვალსახელები ქართული ენის განვითარების სამი სხვადასხვა საფეხურის შესაბამის ფორმებს გვიჩვენებენ (კითხვითი ნაცვალსახელის ფუძე და ჩვენებითი ნაწილაკი: კითხვითი ნაცვალსახელის ფუძე და მიმართებითი ნაწილაკი: კითხვითი ნაცვალსახელის ფუძე და ორივე სახის ნაწილაკი ერთად). სამივეგვარი ფორმის ერთდროული არსებობა ქართული ენისათვის არ არის დამახასიათებელი, მაგრამ თითოეული ფორმა მაინც არსებობდა ან არსებობს ქართული ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე“ (აბესამე 1960: 120).

ვინაიდან სამეცნიერო ლიტერატურაში, მეტნაკლებად, განხილულია სვანურის ოთხივე დიალექტის ჰიპოტაქსის საკავშირებელი სიტყვები, მათზე ვრცლად აქ აღარ შევჩერდებით.

აღნიშნული საკითხი არანაკლებ საინტერესოა ჩოლურულ მეტყველებაშიც, შესაბამისად, ვეცდებით წარმოვადგინოთ მიმართებით ნაცვალსახელთა და მიმართებით ზმნიზედათა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი სხვა დიალექტებთან მიმართებით.

როგორც ცნობილია, სვანურში კითხვით სიტყვებს მიმართებითად -უ̈ჲ̈ი, -ი (ცა) ნაწილაკი აქცევს.

სვანურში თითოეული მიმართებითი სიტყვა რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტით გვხვდება: „-უ̈ჲ̈ი ნაწილაკი შემდეგ დიალექტურ ნაირსახეობებს იძლევა: -უ̈ჲ̈ი, -უ̈ჲ̈ი, -უ̈ჲ̈ი, -უ̈აი, -უ̈ჲ̈ი, -უ̈ჲ̈, -უ̈ა... ვარიანტების რიცხვს

ზრდის ისიც, რომ მიმართებითი ნაცვალსახელები იბრუნვის: ბრუნვის ნიშანი ხან მთლიანად მიმართებით ნაცვალსახელს ერთვის, ხან კი მის შემადგენელ ნაწილებს ცალ-ცალკე. ამის გამო სახელობითში არსებული ერთი ვარიანტის ნაცვლად სხვა ბრუნვებში სამ-სამი ვარიანტი გვაქვს (აბესაძე 1960: 145).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ნაწილაკის საშუალებით მიმართებით ნაცვალსახელთა წარმოება სვანურში შედარებით ახალი წარმოქმნილი ჩანს, რის გამოც მათი ხმარება რამდენადმე შეზღუდულია... ამჟამად სვანურისთვის უფრო დამახასიათებელია მიმართებითის გადმოცემა უნაწილაკოდ“ (მარტიროსოვი 1964: 211).

ბაღსქვემოურ დიალექტში დღესაც ნაწილაკიანი ფორმების გვერდით ხშირია უნაწილაკო მიმართებითი ნაცვხალსახელები, რომლებიც ფორმობრივად ემთხვევა კითხვით სიტყვებს. მაგ.:

ხედად||ხედუად||ხედუბ̈დ მიჩა მუწხუბ̈უ გუელერშაბ̈ ჩუადგაბ̈რ (ბქ.) „რომელმაც მისი შემწუხებელი გველეშაპი მოკლა“

ათხე ქანჭაბ̈დ ეჯ დინა, ხედა წგრნი მურყუამლისგა სგურდ (ბქ., ლხმ.) „ახლა გამოვიდა ის გოგო, რომელიც წითელ კოშკში იჯდა“

ალი კალოშ ესუა ხემარგდეს, ეჯი ხელწიფხეშ გეზლაშ ხეხუ ესეროღუ ლაშუ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 191) „ეს კალოში ვისაც მოერგება, ის ხელმწიფის შვილის ცოლი იყოსო“

მაბ̈ნკუ ხოშა ერუა ირი ქორისგა ღუაჟმარე, ეჯი ხოჟელუ სგუებინ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ. 1957: 77) „პირველად უფროსი ვინც იქნება ოჯახში მამაკაცი, ის წაუძღვება წინ“

ეჯჟი ახაბ̈ყ, იმჟი||იმუბ̈აჟი ათხელდ ჯისყა (ბქ.). „ისე გააკეთე, როგორც აქამდე გიკეთებია“

იმე ხუარდ ი იმეგ ათხელდ მირდუნა (ბქ., ცხუმ.) „სად ვიყავი და, სადაც აქამდე ვყოფილვარ“...

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ ჩაწერილ ჩოლურულ ტექსტებში ნაწილაკის გარეშე მიმართებითი წევრ-კავშირები არ დაგვიდასტურებია.

-უჽი (ცა) ნაწილაკი ყველაზე პროდუქტიულია ბალსზემოურ და ლენტეხურ დიალექტებში, მეტ-ნაკლები სიხშირით გვხვდება სხვა დანარჩენებში, მათ შორის, ჩოლურულში. მაგ.:

შომუჽიშდ პანშურის ხემურჯალხ, ეჩქაშიშდ ჯანარს ჲასენდახ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 46) „რა დროისთვისაც წინასწარ გასვენებას აპირებენ, მაშინ („იმ დროისათვის“) ხარებს კლავდნენ“

ერუჽი მიჩა მუხუბა ხახუ ქა ხაღუშგალა, ეჯას ხაკუჩ ერე მიჩა ლეკმარი ხგნსგა ქა ლოჰოდენს მიჩა მუხუბად ხეხუი ნაღუშგალუიერ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 47) „ვინც თავის ძმას ცოლს შეეცილებოდა, იმას თავისი ქონების ნახევარი თავისი ძმისთვის უნდა მიეცა ცოლის შეცილებისათვის“

ერუჽი ბაყაყი ჟახას დემ ლოქ ლექუნე, ეჯის ლოქ ხაუდი მიჩა გეზალს ეხუდ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 322) „ვინც ბაყაყის სახელს არ იტყვისო, მას მისცემსო თავის შვილს ცოლად“

ესუა ქ'ოსჯუჽმნეხ, ეჯარ ფაყუჽარს ჩუ იკედხ მაგ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 80) „ვისაც გადაულოცავენ, ისინი ყველანი ქუდებს მოიხდიან ხოლმე („ჩამოიღებენ ყველა“)“

ჩრის ლოქ ქ'აშდე ქორხენქა, დერუჽი ლოქ ალეს ჟ'ეხწენი (ლშხ.) „ყველას გავყრიო სახლიდან, ვინც ამას მხარს დაუჭერსო (ზედმიწ. – ყველასო გადაყრის სახლიდან, ვინცო ამას შეეწევა)“

იმჟრ ლოქ ოთფუჭუახ ალე გუეშ, ეჯჟრუ ლოქ ოხრზნანეხ ათხე (ჩოლ.) „როგორც გააფუჭეთო ეს საქმე, ისე მოუარეთო ახლა (ზედმიწ. – როგორცო გა-უ-ფუჭ-ეს-ი-ა-თ ეს საქმე, ისემცო მოუარეს ახლა)“...

-უჽ ||უა რთული ნაწილაკის გვერდით ლაშხურში შეიძლება შეგვხვდეს მხოლოდ -ი ნაწილაკდართული ფორმებიც. მაგ.:

დერუჽი ღოშგინპილდ ჩუასდენი ტაბაგისა მგთრად, ეჯი ბრი ჩიმი მგსრე (ლშხ., ლუშნ. ამბვ. 1917: 41) „ვინც ბოლომდე დარჩება სუფრასთან მსმელად, ის იქნება ყველას მჯობი“

ესუჽის ხოჩა ნალხუტ ხარ, ხახიადხ ეჩა ლიხრლ (ლშხ.) „ვისაც კარგი შენახვედრი აქვს, უხარიათ იმისი შეხვედრა“

ალე ლოქ იმი ხონჩგდე, მა ლოქ ხაყა ალეს წიწლარეშდ (ლშხ.) „ეს რასაც ურევსო, არ ვარგა ეს წიწილებისთვისო“

მიჯინემ ლოქ ახთიშე, იარრ ლოქ ხაკუ პეპიდ (ლშხ.) „თვითონ აარჩიოსო, ვინც უნდაო ნათლიად“...

საინტერესო სურათს გვიჩვენებს -უჯი||-უჯი, -უჯლ, -ი ნაწილაკები ჩოლურულში. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ უკანასკნელში თავმოყრილია თითქმის ოთხივე დიალექტის ვარიანტები და ამასთანავე გვხვდება თავისებური წარმოებაც. ლაშხურის მსგავსად ჩოლურულშიც გაცილებით დიდი უპირატესობა ენიჭება -ი ნაწილაკიან ფორმებს. მაგ.:

ქ'ანჯაწ ეჯი მარე, ხედრ||ხედუჯი სგობინ ხოჟოღუდახ (ჩოლ.) „გამოვიდა ის კაცი, რომელიც წინ მოუძღოდათ“

ლაგუანთე ანღრიხ ჯრდიახენ, არრ||ერუჯ ხაყახ (ჩოლ.) „გასვენებაში მოდიან შორიდან, ვინც ჰყავთ“

ეჩე ეხიკ, იმე||იმუჯი ათხად ჯიკრდა (ჩოლ.) „იქ აიღე, სადაც აქამდე აგიღია“

სი მარე, იმჯრ||იმუჯი მაკფგნ, ეჯჯი ოთმუშგუჯან (ჩოლ.) „შე კაცო, როგორც მსურდა, ისე გავისტუმრე“

იმჩურ||იმჩუჯი სგურდახ, თელდ ეჩა პილქა ოთდა მანქანა (ჩოლ.) „სადაც ისხდნენ, სწორედ იმის ნაპირას გაუტარებია მანქანა“...

სხვა დიალექტებისგან განსხვავებით ჩოლურულში ყურადღებას იქცევს ისეთი შემთხვევები, როდესაც -უჯი ნაწილაკიანი მიმართებითი ნაცვალსახელები სხვადასხვა ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი და ბრუნვის ნიშანს დაერთვის -ი, რომელიც ხშირად გრძელია. საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში აღნიშნული (ხმოვანი) -ი (ცა) ნაწილაკია და ორმაგ ნაწილაკდართულ ფორმებს ვიღებთ, თუმცა მისი ფუნქცია -უჯ-სთან შედარებით შესუსტებული ჩანს, რადგან პარალელურად -ი-ს გარეშეც დასტურდება და მიმართებითობას სწორედ -უჯი ნაწილაკი ანიჭებს საკავშირებელ სიტყვებს. მაგ.:

ერუჯდ||ერუჯდ-ი ჟ'ენმეკრე ღოშტ ლიტეხ, მაი ათუიფ ეჯნემ? (ჩოლ.) „ვინც გაიგო უკან დაბრუნება, რა დაკარგა მან?“

ხედუჯდ||ხედუჯდ-ი ჩუემკლინჭე, ეჯნემ ემღორუე ჩუი (ჩოლ.) „რომელმაც გამიღიმა, იმან მომატყუა კიდეც“

ხოღლის ხუაიხან, იმუპს||იმუპს-ი ახღელის (ჩოლ.) „ელოდე დიდხანს რასაც ელოდი“

მაუპს||მაუპს-ი ხიშგომ, მაგ ისგური ირი (ჩოლ.) „რასაც ითხოვ, ყველაფერი შენი იქნება“

ღოშკინპაილს ქახაღრისეხ ეჯის, ხედუპშ||ხედუპშ-ი ლას ნადიან (ჩოლ.) „ბოლოს აღირსეს იმას, ვისიც იყო გოგო“

ქა ხატხუნახ ღოშტ, ეშუპშ||ეშუპშ-ი ლას ლამშიარ (ჩოლ.) „უბრუნებდნენ უკან, ვისიც იყო სამუშაო იარაღები (ზედმიწ. – ნაბრუნებან უკან, ვისიც იყო სამუშაოები)“

უეჯი ლოქ ალფგრელი, ე, ხედუპშდ|||ხედუპშდ-ი ლოქ ოსგოშა საპნიარ ლიც (ჩოლ.) „სწორედ ის გახმაო, რომლისთვისაც დაუსხიაო საპნიანი წყალი“

ეჯი თაკუს ხათხელნა, ხედუპიშუ||ხედუპშუ-ი ოთგრმა დაუ (ჩოლ.) „იმ თოკს ეძებდა თურმე („*ნაძებნა“), რომლითაც დაუჭერია დევი“

ესუპს||ესუპს-ი ალე ისგუაუ ქახრქუენს, ეჯის ნოსაუ ახიენა ზაუდაზაი (ჩოლ.) „ვისაც ეს შენთვის ეთქვას, მას არ მოსწრებოდეს გაისი“...

რაც შეეხება მიმართებით ზმნიზედებს ჩოლურულში, დასტურდება როგორც -უპი, ისე -ი ნაწილაკიანი ფორმები. მაგ.:

ხაბულიანარ, კუასტიანარ იმჩუუპი იზგრლხ, ეჯის ხეიშხან ლეკუპსტან „ხაბულიანები, კვასტიანები სადაც ცხოვრობდნენ, იმას ერქვა საკვასტიანო“

ნაი იმჩუუპი ხუიზგრლდ, ლეხბგლანი ხეიშხან „ჩვენ სადაც ვცხოვრობდით, სახაბულიანო ერქვა“

ჰემს იმეუპი ხუამარდად, ეჯის ლაღიარ ხეიშხან, კუმაშ იმთეუპი ოგყადა, ეჯის ლეისგრ „თივას სადაც ვამზადებდით, იმას ლაღიარი ერქვა, საქონელი საითაც მიგვყავდა, იმას ლეისერი“

ეჭკა ადგილს ოსხუიდახ, ერე იმეკუპი ანღრი ალე დინა „ისეთ ადგილას დახვდნენ, სადაც („საიდანაც“) მოდის ეს გოგო“

ეჩხენ მიმ ეხცადან, იმხენი ხოშა ლანკუეშტ შუკუ ლას „იქიდან არ შემოუარა, საიდანაც უფრო მოკლე გზა იყო“...

ასევე, მიმართებით ნაცვალსახელთა მსგავსად მიმართებით ზმნიზედებშიც გვხვდება ორმაგნაწილაკიანი ფორმები, როცა თანდებულიან ზმნიზედებს ერთდროულად შეიძლება დაერთოს მიმართებითობის მაწარმოებლები. მაგ.:

იმუ̆ხენ||იმუ̆ხენ-ი̆ ჯეკუ̆ეს, ეჩხენ ემიჭ (ჩოლ.) „საიდანაც გინდოდეს, იქიდან მომიტანე“

იმუ̆თე||იმუ̆თე-ი̆ ქ'ოთსგი, ჩიბგ ალე ემხუ̆რდა (ჩოლ.) „საითკენაც გავიხედე, ყველგან ეს დამხვდა“

იმუ̆ჯი||იმუ̆ჯ-ი̆ ისგუ̆ი ბაბა ჯაშგუ̆რბნა, ეჯუ̆ი ჩომ (ჩოლ.) „როგორც ბაბუაშენი გარიგებდა, ისე მოიქეცი“

ისგუ̆ი ჭკუ̆აჟი დეშ ხუ̆იპე̆რიელ ეჯშელდინ, უ̆ოშუ̆ბდინ||უ̆ოშუ̆ბდინ-ი̆ ლეჯშყედნი ეჩხბუ̆ ლიტეხ (ჩოლ.) „შენ ჭკუაზე ვერ ვიხტუნავებ იმდენჯერ, რამდენჯერაც გაგახსენდება იქ დაბრუნება“

ეჩხბუ̆ ოთფილჯა აჯახუ̆დ, იმუ̆ხენჟი||იმუ̆ხენჟ-ი̆ ოხრყახ (ჩოლ.) „იქ ჩასულა ისევ („ჩაულაჯებია“) კვლავაც, საიდანაც ამოუყვანიათ“

ლგმმგუბუ̆რინხ ყრს, იმუ̆ხენქა||იმუ̆ხენქბ ისმოლნა ლიკილი (ჩოლ.) „ამტვრევდნენ თურმე კარს, საიდანაც ისმოდა კივილი“...

თუმცა ჩოლურულისათვის უფრო ბუნებრივი და ინტენსიურია -ი ნაწილაკდართული თანდებულიანი მიმართებითი ზმნიზედები -უ̆ბ ნაწილაკის მონაწილეობის გარეშე. შესაბამისად გვაქვს შემდეგი ფორმები: იმხენი „საიდანაც“, იმთე-ი „სადაც“, იმჯ „როგორც“, იმხენჯ „საიდანაც“, იმხენქბ „საიდანაც“...

როგორც წარმოდგენილმა მასალამ აჩვენა, ჩოლურულში აღნიშნული ნაწილაკები თავისუფლად ენაცვლება ერთმანეთს, ზოგჯერ კი ერთდროულად დაირთავს ორივე მაწარმოებელს, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ მაინც გამარტივებულ ფორმებს უჭერს მხარს და ზემოთ განხილული შემთხვევებიდან უპირატესობა კითხვით სიტყვებზე დართულ -ი ნაწილაკიან მარტივ ფორმებს ენიჭება.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას ჩოლურულში ყურადღება უნდა მივაქციოთ ისეთ ფორმებსაც, როდესაც მიმართებით სიტყვებს ახლავს მაგ||მაგ „ყველა, ყველაფერი“ განსაზღვრებითი ნაცვალსახელი.

განსახილველ ნაცვალსახელს სვანურში ქართულის მსგავსად შემკრები ანუ განმაზოგადებელი მნიშვნელობა აქვს და სწორედ ამ სემანტიკით („ყველა, ყველაფერი“) გამოიყენება სვანურის ოთხსავე დიალექტში, მათ შორის ჩოლურულ მეტყველებაშიც, თუმცა ამ უკანასკნელში, დანარჩენი დიალექტებისგან განსხვავებით, შეინიშნება მისი ახლებური და თავისებური წარმოება.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ბრუნებისას მაგ||მაგ „ყველა, ყველაფერი“ ნაცვალსახელის სახელობითის ფუძეს ყველა სხვა ბრუნვაში ჩი/ჩრ ენაცვლება... მოცემული პარადიგმის პარალელურად ჩოლურულში შეინიშნება მაგ||მაგ ნაცვალსახელის ახლებური წარმოება, კერძოდ: სახელობით, მოთხრობით, მიცემით და მოქმედებით ბრუნვებში იგი საკუთარ ფუძეს იყენებს, სრულად დაირთავს ბრუნვის ნიშნებს (ნათესაობითსა და ვითარებითს ვერ აწარმოებს) და ორფუძიანობას ნელ-ნელა ეცლება საფუძველი, თუმცა პარალელურად „ჩი“ ნაცვალსახელიც საკმაოდ პროდუქტიულია.

მხოლოდ ეს არ განასხვავებს ჩოლურულს სხვა დიალექტთაგან, საინტერესოა აღნიშნული ნაცვალსახელის ურთიერთობა -უჯი, -ი „ცა“ ნაწილაკებთან, ვინაიდან მსგავსი შემთხვევა სვანურის არც ერთ დიალექტში არ შეგვინიშნავს.

როგორც ვთქვით, ჩოლურული კითხვით სიტყვათაგან მიმართებით ნაცვალსახელთა საწარმოებლად -უჯი, -ი „ცა“ ნაწილაკებს იყენებს და აღნიშნული ნაცვალსახელი სწორედ ამ ნაწილაკებთან თანშეზრდილი დასტურდება, თუმცა მნიშვნელობა „ყველა, ყველაფერი“ დაჩრდილულია და მისი დართვა-დაურთველობით აბსოლუტურად არაფერი იცვლება, ასეთი ფორმები ნაწი-

ლაკის გავლენით მხოლოდ მიმართებითობას გამოხატავენ. გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა აღნიშნული ნაცვალსახელი დასტურდება სხვადასხვა ბრუნვის ფორმაზე დართულ -უჲა, -ი ორმაგ ნაწილაკდართულ მიმართებით ნაცვალსახელებთან ერთადაც და მეტად დახუნძლულ ფორმებს ვღებულობთ: ესუჲაის-ჶ-მაგ „ვისაც“, იმჟი-უჲა-მაგ „როგორც“, ხედ-უჲა-დ-ჶ-მაგ „რომელმაც“, ხედ-უჲა-შდ-ჶ-მაგ „რომლისთვისაც“ და ა. შ.

საილუსტრაციო მასალა:

ესუჲაისრმაგ ხეხრლ, ეჯისუ ათხუიეხ, ნაი იმ გუაჩმასუნახ?! „ვისაც ეკუთვნოდა, იმისთვის მიეკუთვნათ („მოეხვედრათ“), ჩვენ რას გვერჩოდნენ“?!

იმნარ ხეკუეს მრმ ანსყას ეჯჟი, იმჟიუჲიმაგ მი მაკუ „რატომ არ უნდა გააკეთოს ისე, როგორც მე მინდა“

ხედუჲიდრმაგ ჩუედსერე ლეყყრდ, ჩუი ეჯნემდ ლეიშხუნე ეჩჲნღო მეცუჲლახენქა „რომელმაც გაიმეტა საცემად, სწორედ იმან შეიფარა („შეინახა“) მერე მოჩხუბართაგან“

ეჯის მჲ ლახტიხ თეთრ, ე, ხედუჲიშდრმაგ ხაგდგნ „იმას არ დაუბრუნა ფული, აი, ვისთვისაც მართებდა“...

მაგ ნაცვალსახელი დაერთვის თანდებულიან მიმართებით ზმნიზედებსაც. მაგ.:

იმხენრმაგ მი მაკჲფ, ეჩხენ ეხჟოლუჲნ „საიდანაც მე მსურს, იქიდან გამოიყოლე“

ჟი დერ ესტემნრხი, იმჟრმაგ მიჩ ხაკუ, ეშრმაგ ეჯჟი ასყი „ხო დააკვდები, როგორც თვითონ უნდა, მაინც ისე აკეთებს“

უშელდინრმაგ ში ქა მირრწუენს, ეჯშელდ ხინ ი ხიად მიშგუა ჭაშს ი გეზალს „რამდენჯერაც ხელი გამემართოს, იმდენი ლხინი და გახარება ჩემ ქმარ-შვილს“...

აღნიშნული ნაცვალსახელი -ი ნაწილაკდართულ პირის ნაცვალსახელებსაც დაერთვის წინადადებებში და არც ამ შემთხვევაში აქვს პირვანდელი სემანტიკა. მაგ.: მრ-მაგ „მეც“, სრ-მაგ „შენც“, სგარ-მაგ „თქვენც“, ეჯრ-მაგ „ისიც“, ეჯიარ-ჶ-მაგ „ისინიც“...

საილუსტრაციო მასალა:

ქ'ენთბღანან, ეჯღა ი ამღა მიმაგ ლოქ ჯუედნი „ჩააცივდა, მაინცდამაინც („იმიტომ და ამიტომ") მეც წამოვალო"

ხაკუეს ხომურჯდე სიმაგ ისგუა დადას „უნდა ეხმარებოდე შენც ბებიაშენს"

ჯრდიახენისა ლეიტულე, სგაიმაგ ლოქ ანჯადდ „შორიდან დაიძახა, თქვენც წამოდითო"

ალიარკაალი ჭათაი ლგმარ ეჯიმაგ „მათსავით მაწყევარი ყოფილა ისიც"

მექუერწლაცახან ეჯიარიმაგ მეჯედ ლასხ „მექორწილეებთან ერთად ისინიც მომსვლელები იყვნენ"...

ამა თუ იმ გრამატიკულ კატეგორიებზე დაკვირვებისას რჩება შთაბეჭდილება, რომ ჩოლურული თითქოსდა გამარტივებულ ფორმებს უჭერს მხარს, მაგრამ აღნიშნულ შემთხვევაში გართულებულ ფორმებს ვღებულობთ. ასახსნელია თუ რაში დასჭირდა ენას ასეთი გადატვირთული ფორმები, მით უფრო მაშინ, როცა ნათლად ჩანს, რომ მაგ ნაცვალსახელის დართვადაურთველობა სრულიად არაფერს ცვლის და მას დაკარგული აქვს პირვანდელი ფუნქცია და სემანტიკა.

§ 6. აღუე||აღო მაქვემდებარებელი კავშირი

სამეცნიერო ლიტერატურაში მეტნაკლებად განხილულია სვანურის ოთხივე დიალექტის საკავშირებელი საშუალებები (მაქვემდებარებელი წევრ-კავშირები და კავშირები) და მათზე ვრცლად აქ აღარ შევჩერდებით. ძირითადად ყურადღებას გავამახვილებთ იმ მაქვემდებარებელ კავშირებზე, რომლებზეც მსჯელობა არ ყოფილა, განსაკუთრებით ჩოლურული მეტყველების ნიმუშთა გათვალისწინებით. ერთ-ერთი ასეთი კავშირი აღუე||აღო მაქვემდებარებელი კავშირია, რომელიც ქართული „თუ“-ს ფინქციურ-სემანტიკური შესატყვისია.

აღუე კავშირი მაქვემდებარებლის ფუნქციით გამოიყენება ლენტეხურსა და ჩოლურულში, შესაბამისად დასტურდება სხვადასხვა დიალექტური ვარიანტები: აღუე||ეღუე||ეუე||აუე (ლნტ.) აღო||ეღო||ოღო||აღუე (ჩოლ.), ეს უკანსკნელი (აღუე) ძირითადად გამოიყენება საყდრულ მეტყველებაში, რომელიც ტერიტორიულად ახლოსაა ლენტეხთან.

ცნობილია, რომ სვანურის ყველა დიალექტში, მათ შორის ჩოლურულშიც „თუ“ მაქვემდებარებელი კავშირის მნიშვნელობით სხვადასხვა კავშირებია გამოყენებული, მაგ.: ერ||ე, ლახ||ალახ. ჰე||ე, ჴმა||ჴმო, ესა და ა.შ. ჩამოთვლილთაგან ზოგ მათგანს (ერ||ე, ლახ||ალახ) პარალელურად „რომ“ კავშირის მნიშვნელობაც აქვს. რაც შეეხება აღუე||აღო კავშირს, ლენტეხურსა და ჩოლურულში მხოლოდ „თუ“-ს მნიშვნელობით დასტურდება და ქართული „თუ“-საგან განსხვავებით, მხოლოდ და მხოლოდ მაქვემდებარებლის ფუნქცია აქვს.

ეღუე||ეღო კავშირი ხმარების სიხშირით ლენტეხურსა და ჩოლურულში თითქმის ერთნაირ სურათს გვიჩვენებს და პარალელურად წინადადებაში შეიძლება ჩაენაცვლოს „თუ“-ს მნიშვნელობით გამოყენებულ ლახ, ერ||ე, ჴმო, ესა კავშირებს. მაგ.:

ანღელს ერ||ეღო ლი აუდარ, იმთე ესღრი (ჩოლ.) ,,მოსალოდნელი თუა ავდარი, სად მიდიხარ“

ლეზობდ ლახ||ეღო მრ ხაყა, დარ იზბი (ჩოლ.) „საჭმელად თუ არ ვარგა, არავინ ჭამს“

ე||ეუე ლოქ ხოცხა, ლადეღიუ ადაჲე (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 178) „თუ ურჩევნიაო, დღესვე წაიყვანოსო“

ემა||ეღო ეხმეჯრი, ეზარ, ე||ეღო მრდეი კინჩხუ ჯიყურფა (ჩოლ.) ,,თუ გაიგებ, კარგი, თუ არადა კისერიც გიტეხია“

ესა||ეღო მგრ ჯაკოკმან, ჩუაქუც (ჩოლ.) „თუ გეეჭვება (ყოყმანობ), გაჩუმდი“...

აღნიშნული კავშირი ძირითადად გამოიყენება პირობით დამოკიდებულ წინადადებაში, თუმცა იშვიათად ჩოლურულსა და ლენტეხურში შეიძლება შეგვხვდეს ვითარებითდამოკიდებულიან ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებშიც. მაგ.:

ხოჩილ ლოქ ხეფასი ეჯჟი, აღუე ხოშა ედრს ლოქ ახაკიდუნი (ლნტ.) „უკეთესი გამოდისო ისე, თუ უფრო დიდ ხმას ააღებინებო“

აღუე ლისყეი ლოქ მად ხემიედგნდეს, ეჯჟი ნომა ლოქუ ლახეზგმან (ლნტ.) „თუ გაკეთება არ შეგიძლია, ისე არც იფიქრო გაკეთებაო (ზედმიწ. – აბა კეთებაო არ ე-იმედ-ებ-ოდ-ე-ს, ისზე ნუ-არომცა მი-ე-ზომ-ა)“

დემსგი გუეშ რქუი ეჯჟი, ზგმშ ეშრ ეღო მრ ხეჩდა ტკიც (ჩოლ.) „არანაირი საქმე არ ითქმის ისე, ცოტა მაინც თუ არ ურევია სიმართლე“

ეღო ბარჯუშ დრმ ლეხგენრლ ბრ ჩუქუბნხენჟი, ეჯჟი დეშ რყდახ ჟი (ჩოლ.) „თუ მხრით არ შეუდგებოდა ვიღაცა ქვემოდან, ისე ვერ აიყვანდნენ ხოლმე ზემოთ“...

ეღუე||ეღო კავშირის შემცველი წინადადება შეიძლება წინ უსწრებდეს ან მოსდევდეს მთავარ წინადადებას. თუ წინ უსწრებს მაშინ ეღო იწყებს ან მოქცეულია დამოკიდებულ წინადადებაში, ხოლო თუ მოსდევს აღუე ძირითადად დამოკიდებული წინადადების შუაშია, ყოველთვის შემასმენლის წინ, თუმცა გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მთავრის მომდევნო დამოკიდებულ წინადადებას აღნიშნული კავშირი იწყებს.

მაგალითად, დამოკიდებული წინ უსწრებს მთავარს და ელო კავშირი იწყებს დამოკიდებულ წინადადებას:

ელუე შიდ ხულუე ლიც ფედიას, ჟ'ალცუნეხ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 27) „თუ ახლოს აქვს წყალი, რწყავენ (ზედმიწ. – თუ ხელთ აქვს წყალი ახლოს, რწყავენ)"

აღუე მენგერე ლი, ჩუ ხუატაბედ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 22) „თუ მსხვილია, ჩამოვათლით"

აუე ჟი დემ ხუახრაკაუიდ, ეჩქა ქა ხუაქუცურედ ნაწილალს (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 39) „თუ არ ვხრაკავთ, მაშინ ვაჭრით ხოლმე ნაწილებს"

ეუე||ელუე პატურენ მარას ქა დეშ ანყიდნა, ეჩქა ქა უედდახ ჯოდიახო (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 89) „თუ პატრონი კაცს ვერ გამოისყიდდა, მაშინ გაყიდდნენ ხოლმე შორს"

ელო ხაკაფხ დინა ლიცურე, ეჩქა ჩუ ცურეხ (ჩოლ.) „თუ სურთ გოგოს დატოვება, მაშინ დატოვებენ ხოლმე"...

დამოკიდებული წინადადება წინ უსწრებს მთავარს, ელო კავშირი კი დამოკიდებული წინადადების შუაშია (ყოველთვის ზმნის წინ). მაგ.:

მიჩა ცხარალს ლოქ ელო ქა ხათრნნეხ, ეჩქა ჩუ ლოქ ხამნე ლელუს (ჩოლ.) „ჩემ ფრჩხილებს თუ მიმასწავლითო, მაშინ გაჭმევო ხორცს (ზედმიწ. – მის ფრჩხილებსო თუ მიასწავლიან, მაშინ შეაჭმევსო ხორცს)"

ნაუჯედას ლოქ ოღო დემ იჩო, ლადელ ნარიდ ეშრ ლოქ ანჯად (ჩოლ.) „წამოუსვლელობას თუ არ იშლიო, დღის სინათლეზე მაინც მოდიო (ზედმიწ. – მოუსვლელობასო თუ არ იქმს, დღ-{ის} სინათლედ მაინცო მოვიდა)"

ჭყანტ თაშ აღუე მად გულუა, ჩუ ხუაბქუედ ლგჯიმ თაშს (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 35) „ჭყინტი ყველი თუ არ გვაქვს, ვალბობთ მარილიან ყველს"

ლეგდ ლოქ აღუე არი, დოხდუირს ლოქ ჯიდეხ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 49) „ავად თუ არისო, ექიმს მოვიყვანთო"...

დამოკიდებული წინადადება მოსდევს მთავარს და კავშირი დამოკიდებული წინადადების შუაშია მოქცეული. მაგ.:

მიშკუაშხო-იჯ ანჯეხ, ჩუ ეღუე იმე-იჯ არიხ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 74) „ჩემთან მოვიდნენ-თქო, თუ სადმე არიან-მეთქი“

ქა ლოქ ხაუდი დინას, მინე ჭყინტ ლოქ ეღო ახსერნე (ჩოლ.) „მოგცემო ქალიშვილს, თუ თქვენი ბიჭი აჯობებსო (ზედმიწ. – მისცემსო გოგოს, მათი ბიჭიო თუ აჯობებს)“

აჯახუ ლოქ ატახ, ნაყირ ლოქ ეღო ხაკუ (ჩოლ.) „კიდევ დაბრუნდიო, თუ ცემა გინდაო (ზედმიწ. – კიდევმცაო დაბრუნდა, ნაცემიო თუ უნდა)“...

მთავრის მომდევნო დამოკიდებულ წინადადებას იწყებს ეღო კავშირი. მაგ.:

ეჩქა შიე გუიგუქა ზისხ ლოქ ახოჯედენი, აღუე ლოქ მიჩა ჯუმილს მადმა ხეყერენი (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 167) „მაშინ ხელის გულიდან სისხლი წამომივაო („წამოუვა“), თუ ჩემ ძმას არაფერი დაემართებაო“

ჩუ ლოქუ ანჯად, აღუე ლოქ ხოჩა დაუ ლეს (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 135) „ჩამოდიო, თუ მაგარი დევი ხარო (ზედმიწ. – ჩამოვიდაომცა, აბაო კარგი დევ-ი იყოს)“

იმთე ლოქ ხაჭმა, ეღო ლოქ მრ ხათრონა (ჩოლ.) „სად მისდევდიო, თუ არ იცნობდიო (ზედმიწ. – საითო "ნადევნა, თუო არ ნაცნობა)“...

არის შემთხვევები, როდესაც დამოკიდებული წინადადება მთავარშია მოქცეული. მაგ.:

ეჩანღონენ, ეღო ჯეკუდჲ, ჭ'ეხკედხი (ჩოლ.) „მერე, თუ გენდომება, აიღებ“

ამგნღო, ეღო ლოქ ხაკუ, აჯახუ ლოქ ატახ (ჩოლ.) „აწი, თუ გინდაო, კიდევ დაბრუნდიო“

ათოჭკუარა, ერე ეუე (|აღუე) ქადასკინოლ, ქა ხაჩეშნა სკუებინ ღუაშარს (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 87) „უფიქრია, თუ გადახტებოდა, გაუსწრებდა წინ ჯიხვებს“...

რიგ შემთხვევაში აღუე|ეღო კავშირი შეიძლება ჩართული იყოს პრევერბსა და ზმნას შორის. პრევერბისეული ხმოვნისა და მაქვემდებარებელი კავ-

შირის ხმოვნების (ა, ო, ე) შეხვედრა ჩოლურულში ხმოვნის დაგრძელებას იწვევს. მაგ.:

ქ'ეღო ხაუდი, ქა ხაღრის (ჩოლ.) „თუ აძლევ, აღირსე“

ქ'რღო ხატულდა ეში, ეჩქა იმ მაბოდაუნა (ჩოლ.) „თუ დაუმახებდა მაინც, მაშინ რას მაბოდიალებდა“...

ლენტეხურში დასტურდება შემთხვევები, როდესაც აღუე-ს ახლავს ერე „რომ“ კავშირი, თუ წინ უსწრებს ერე-ს, აღუე კავშირის ხმოვნის შეხვედრა ერე კავშირის ხმოვანთან ჩვეულებრივ ელიზიას იწვევს. მაგ.:

აღუ'ერე შიშტ დემ ადდაგარი ხამ, ჟი ხეკუეს ლახაჭკორიხ ფოჩლიკარ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 61) „თუ მალე არ მოკვდება ღორი, უნდა დააჭრან ფეხები (ჩლიქები)“

აღუ'ერ ასლანბექ მესემე ლადეღ დემ ანჭედენ, ეჩქა ალმაისს ჟ'ანაჯაბნახ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 140) „თუ ასლანბექი მესამე დღეს არ მოვიდოდა, მაშინ ალმაისს მოხარშავდნენ“

აღუე ლოქ ერე სამართლიან ლესეს, ეჩქა ხოჩამდ ლოქუ ამეტეხლი (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 153) „თუ სამართლიანი იყოსო, მაშინ საღსალამათი დაბრუნებულიყავიო (ზედმიწ. – თუო რომ სამართლიანი იყოს, მაშინ კარგადომცა დაბრუნებულა)“

მიჩ ათოჭკუარა, ერე ეუე (||აღუე) ქ'ადასკინოლ, ქა ხაჩეშენნა სკუებინ ღუაშარს (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 87) „თვითონ უფიქრია, თუ გადახტებოდა, გაუსწრებდა წინ ჯიხვებს“...

ელოს აქვს „თუ კი“-ს მნიშვნელობაც; ზოგ შემთხვევაში დამატებით შეიძლება დაირთოს ესა, ემა კავშირებიც, თუმცა დამოუკიდებლადაც გადმოსცემს „თუ კი“-ს სემანტიკას. მაგ.:

ჩუ ელო [ესა] ამშიხნეხ, ფერფლ ნოსა აშგდა (ჩოლ.) „თუ კი დამწვავენ, ფერფლი არ გადაყარო“

ჩუ ელო [ემა] ეხრეკი, ეჩქა ხაკუ ლიმურჯი (ჩოლ.) „თუკი ჩამოეკიდება, მაშინ უნდა მიხმარება“...

გრძნობისა და თქმა-ბრძანების გამომხატველ ზმნათა შემცველ წინადადებათა ქვეწყობაში ეღო კავშირი შეიძლება კითხვით სიტყვებთან ერთად დადასტურდეს. მაგ.:

ეღო ემე ხემგგნი გეზალ, ჩიაგ ხეთხული (ჩოლ.) „თუ სადმე ეგულება შვილი, ყველგან ეძებს“

ეღო ემხენ ხარ ანღელს, ლეთი-ლადეღ ხემპრალ (ჩოლ.) „თუ საიდანმეა მოსალოდნელი, დღედაღამ ემზადება“

მიშკუაშხო-იჯ ანჯეხ ეჯმინ, ჩუ ეღუე იმე-იჯ არიხ! (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 74) „ჩემთან მოვიდნენ-თქო ისინი, თუ სადმე არიან-მეთქი“...

აღნიშნული კავშირი დაირთავს უარყოფით ნაწილაკებს და გვაქვს შემდეგი ფორმები: ეღო დოშ „თუ არ“, ეღო მრად „თუ არ“, ეღო დრმ „თუ არ“, ეღო დეშ „თუ ვერ“, ეღო მად „თუ არ“, (ჩოლ.) აღუე მადე „თუ არადა“, აღუე მადშუ „თუ ვერ“ (ლნტ.).

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ სვანურის სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით ლენტეხურიც და ჩოლურულიც პირობით დამოკიდებულ წინადადებაში „თუ“ კავშირის მნიშვნელობით აღუე||ეღო კავშირს ანიჭებს უპირატესობას.

ეღო მაქვემდებარებელი კავშირის შემცველი დამოკიდებული წინადადების ადგილი თავისუფალია, ასევე თავისუფალია ეღო-ს პოზიცია თვით დამოკიდებულ წინადადებაში (ან იწყებს, ან შუაშია მოქცეული), თუმცა ყოველთვის წინ უსწრებს ზმნა-შემასმენელს.

უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველი კავშირი ყველა დიალექტში (ხშირ შემთხვევაში ლენტეხურშიც) ფორმობრივად ემთხვევა ᲂაღო||აღუე „აბა“ შორისდებულს, მათი გარჩევა ლენტეხურში კონტექსტის მიხედვით ადვილად შეიძლება.

განხილული მასალა ცხადყოფს, რომ ეღო კავშირის გამოყენება საკმაოდ სისტემურია, უფრო მეტიც, ჩოლურულისაგან განსხვავებით ლენტეხუ-

რის პირობით დამოკიდებულ წინადადებას სხვა მაქვემდებარებელი კავშირი თითქმის არც გააჩნია (ერთადერთი ე კავშირიანი მაგალითი დადასტურდა პროზაულ ტექსტებში).

კავშირთა განხილვისას საყურადღებოა ისეთი შემთხვევებიც, როცა მაქვემდებარებელ კავშირებს ახლავს უკუთქმითობის გამომხატველი მოშ ნაწილაკი, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს და გარკვეული სემანტიკა შეაქვს ჰიპოტაქსურ წინადადებაში.

როგორც ცნობილია, სვანურის ყველა დიალექტში, მათ შორის ჩოლურულშიც შეუძლებლობის სემანტიკის გამომხატველი ფორმები იწარმოება კატეგორიული უარყოფის გამომხატველ ნაცვალსახელებსა და უარყოფით ზმნისართებზე მოშ ნაწილაკის დართვით (დუსმამოშ||დუსამამოშ (ბზ., ჩოლ.) მანგუეშმოშ (ბქ.) „ვერარა, ვერაფერი“, დარდმოშ (ბქ.) დარდმოშ (ლშხ., ჩოლ.) „ვერავინ“; დემემოშ (ჩოლ.) დემეგმოშ (ბქ.) „ვერსად“; დემხენმოშ (ბქ.) დემხენმოშ (ჩოლ.) „ვერსაიდან“; დემჟიმოშ (ბქ.) დემჟიმოშ||დეშიმჟიმოშ (ლშხ., ჩოლ.) „ვერაფერი“), ასევე მხოლოდ და მხოლოდ მოშ ნაწილაკის უარყოფით ზმნისართებსა და უარყოფით ნაცვალსახელებზე დართვით გამოიხატება ორმაგი უარყოფითი ფორმები სვანურში (დარდმოშ ჩუემინ (ბქ.) „ვერავინ ვერ გააკეთა“; დემხენმოშ ონჯუ (ჩოლ.) „ვერსაიდან ვერ მოვიტანე“...). თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მოშ ნაწილაკის ფუნქცია შეუძლებლობის გამოხატვით არ შემოიფარგლება, იგი ამავე დროს შეიძლება შეგვხვდეს წართქმით წინადადებაშიც, ხოლო როგორც შესაძლებლობის აღმნიშვნელი ნაწილაკი, ძირითადად, გამოიყენება პირობით წინადადებებში.

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში იგი ახლავს ე||ი, ლახ||ლახე, ჰალ||ხალ, ჰემჟი, დე, დეთან, უოდ კავშირებს. მაგ.:

> ეჩას ე მოშ ჩუ ხადგარი, ეჩქა ისგუათან დარ არი (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 231) „იმას თუ კი მოკლავ, მაშინ შენისთანა არავინ იქნება (ზედმიწ. – იმას თუ ქე მოკლავ, მაშინ შენისთანა არავინ არის)“

ქა ლახე მოშ ხატყცი, ეჩქას ლეყერს ხარ ლეგნე (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 37) „თუ დაარტყამს, მაშინ გალახული უნდა დადგეს (ზედმიწ. – თუ რომ დაარტყამს, მაშინ გალახულს აქვს სა-დგ-ამ-ი)"

ამის ესერ ჰემჟი მოშ ასხათი, სურუ ლემდა გუაშუ ესერ ესდინე ქაშგი ბედჟინ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 64) „ამას თუ კი მოახერხებო, მაშინ დიდ დასამადლებელ საქმეს გააკეთებო ჩერქეზეთის წინაშე (ზედმიწ. – ამასო თუ კი ახერხებს, მეტისმეტ სამადლო საქმესო და-ი-დ-ებ-ს ქაშაგ-ი{ს} ბედ-ზე)"

ქ'ემმოშ ხიმწოდალდ ე დარუ მეგნა ისგუა მეხუბარაარისგა ქ'ემოშ ხიგნე ე მადმა ლაჲკუაშხე ლისგურეშ ზურალს ი ღუაჟმარა, ეჩქას ხეკუეს, ერე წელიშ ხგნსგა ი დაჭლაშ ხგნსგა პაპს აბკუეს (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 200) „თავს თუ გაიმართლებთ, ორ დამფიცებელს თქვენ საბმოში თუ დაიყენებ, რომ უქმე არ გაგიტეხიათ ქალს და კაცს, მაშინ ვირის ნახევარი და თხის ნახევარი მღვდელმა უნდა გადაიხადოს (ზედმიწ. – თუ გაიმართლებთ თავს, რომ ორ მ-დგ-ომ თქვენ{ს} მოძმეებში თუ დაიყენებ, რომ არაფერი გაგიტყდათ ჯდომისა ქალს და ვაჟკაცს, მაშინ უნდა, რომ ვირის ნახევარი და თხ-ის ნახევარი მღვდელს მოუნდეს)"

ეჯის ესერ ჭ'ემოშ ხაყუფე, ეჩქას ესერ მიჩა ლიბურგელ ესერი ხამედენა (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 214) „იმას თუ კი ამოაძრობო, მაშინ ჩემთან ჭიდაობაც შეგიძლიაო (ზედმიწ. – იმასო თუ ამოაძრობს, მაშინო მისი ჭიდაობაცო შეძლებია)"

ეჯის ესერ ჩუ იმოშ აზჰენიხ, ეჩქას ესერ ხაყახ დაუთე მეზიდ (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 229) „იმას თუ დაკლავთო, მაშინ დევთან წამსვლელადაც ივარგებთო (ზედმიწ. – იმასო თუ დაკლავენ, მაშინო ვარგანან დევ-{ის}-კენ მსვლელად)"

სი ი მოშ ალ მგღლაუს ჟახირმინე, ეჩქას მი ლაჯინე მიშკუა ქარაუანს (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 323) „შენ თუ როგორმე ამ მოლაღურს დაიჭერ, მაშინ მე მოგცემ ჩემს ქარავანს"

ხგნსკა მიჩა საბენწიფს ქა ლოქ ხაუდი, აღუე ეჯ ზურალს ეეხუდ ისკა ლოქ მოშ ხოჴდე ი ეჩა ჯგმილს ჩუ ლოქ მოშ ადგარი (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 329) „ჩემი სახელმწიფოს ნახევარს მოგცემო, თუ იმ ქალს ცოლად მომიყვანო და იმის ძმას თუ მოკლავო (ზედმიწ. – ნახევარ მის სახელმწიფო-ს მისცემსო, თუ იმ ქალს ცოლად როგორმე შემოუტანსო და მის ძმას თუ მოკლავო)"

ᲓᲐᲦᲝ ᲚᲝᲥ Ე ᲣᲛᲐᲠᲪᲮᲓ ᲛᲝᲨ ᲐᲓᲒᲔᲜᲐᲡ, ᲦᲝ ᲚᲝᲥ ᲥᲐᲣ ᲐᲓᲒᲔᲜᲔ (ᲚᲨᲮ., ᲡᲕᲐᲜ. ᲥᲠᲔᲡᲢ., 1978: 248) „ᲐᲑᲐ, ᲓᲐᲣᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲚᲐᲓ ᲗᲣ ᲙᲘ ᲒᲐᲐᲪᲘᲚᲔᲑᲝ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲒᲐᲐᲪᲘᲚᲔᲝ (ᲖᲔᲓᲛᲘᲬ. – ᲗᲣᲝ, Ე, ᲓᲐ-Უ-ᲛᲐᲠᲪᲮ-ᲔᲑ-Ლ-ᲐᲓ ᲗᲣ ᲓᲐ-ᲓᲒ-Ა-Ს, ᲛᲐ-ᲨᲘᲜᲝ ᲒᲐᲐᲪᲘᲚᲐᲛᲪᲐ)“

ᲔᲩᲣᲜᲦᲠᲜᲔᲜ ᲛᲖᲚᲯᲐᲐᲡ ᲔᲛᲝᲨ ᲯᲘ ᲦᲣᲠᲓᲐᲓ, ᲔᲩᲥᲐ ᲐᲯᲐᲦ ᲯᲘ ᲮᲣᲘᲓᲠᲘᲜ-ᲓᲐᲓ ᲚᲔᲗᲝᲤᲓ (ᲚᲨᲮ., ᲡᲕᲐᲜ. ᲥᲠᲔᲡᲢ., 1978: 254) „ᲛᲔᲠᲔ ᲐᲦᲛᲐᲠᲗᲡ ᲗᲣ ᲙᲘ ᲐᲕᲘᲓᲝᲓᲘᲗ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲛᲝᲕᲘᲮᲔᲚᲗᲔᲑᲓᲘᲗ ᲡᲐᲡᲠᲝᲚᲐᲓ („ᲡᲐ-ᲗᲝᲤ-Ე-Დ“)“

ᲐᲗᲮᲔ ᲚᲝᲥ ᲩᲣ ᲛᲝᲨ ᲐᲗᲔᲠ, ᲔᲩᲥᲐ ᲚᲝᲥ ᲛᲘᲩᲐ ᲠᲠᲘ ᲯᲔᲔ (ᲚᲨᲮ., ᲡᲕᲐᲜ. ᲥᲠᲔᲡᲢ., 1978: 288) „ᲐᲮᲚᲐ ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠᲛᲔ ᲘᲪᲜᲝᲑᲡᲝ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐᲝ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ“

ᲚᲐᲮ ᲛᲝᲨ ᲩᲣᲐᲜᲯᲓᲔ, ᲔᲯᲘᲡ ᲛᲘ ᲚᲝᲮᲣᲝᲓᲐᲚᲜᲘ ᲜᲐᲒᲒᲠᲯᲡ (ᲩᲝᲚ.) „ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠᲛᲔ ᲩᲐᲛᲝᲘᲢᲐᲜ, ᲘᲛᲐᲡ ᲛᲔ ᲛᲝᲕᲐᲪᲔᲛᲘᲜᲔᲑ ᲒᲐᲡᲐᲛᲠᲯᲔᲚᲝᲡ (ᲖᲔᲓᲛᲘᲬ. – ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠᲛᲔ ᲩᲐᲛᲝᲘᲢᲐᲜᲡ, ᲘᲛᲐᲡ ᲛᲔ ᲛᲝᲕᲐᲪᲔᲛᲘᲜᲔᲑ ᲜᲐ-ᲒᲐᲠᲯ-ᲐᲚ-Ს)“…

ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲣᲚᲘ, ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲮᲨᲘᲠ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲣᲨᲣᲐᲚᲝᲓ ᲐᲮᲚᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲣᲙᲐᲜ ᲛᲝᲡᲓᲔᲕᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲡ. ᲛᲐᲒ.:

ᲔᲯᲘᲡ ᲔᲡᲔᲠ ᲙᲘᲜᲩᲮᲡ ᲟᲘᲛᲝᲨ ᲮᲐᲥᲣᲪᲔᲮ, ᲔᲩᲥᲐᲡ ᲒᲐᲠ ᲔᲡᲔᲠ ᲮᲐᲧᲐᲮ ᲓᲐᲣᲗᲔ ᲛᲔᲖᲮᲘᲓ (ᲑᲥ., ᲡᲕᲐᲜ. ᲥᲠᲔᲡᲢ., 1978: 229) „ᲘᲛᲐᲡ ᲗᲣ ᲙᲘ ᲙᲘᲡᲔᲠᲡ ᲛᲝᲐᲭᲠᲘᲗᲝ, ᲛᲐ-ᲨᲘᲜ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲘᲕᲐᲠᲒᲔᲑᲗᲝ ᲓᲔᲕᲗᲐᲜ ᲛᲘᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ (ᲖᲔᲓᲛᲘᲬ. – ᲘᲛᲐᲡᲝ ᲙᲘᲜᲩᲮᲡ ᲗᲣ ᲛᲝᲐᲭᲠᲘᲐᲜ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲓᲝ ᲕᲐᲠᲒᲐᲜᲐᲜ ᲓᲔᲕ-{ᲘᲡ}-ᲙᲔᲜ ᲛᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ)“

ᲩᲐᲯᲡ ᲔᲛᲝᲨ ᲚᲐᲮᲔᲡᲙᲣᲠᲘᲮᲘ, ᲥᲐᲡᲐᲦᲣᲛᲐᲚᲜᲘᲮᲘ, ᲔᲩᲥᲐ ᲩᲣ ᲯᲔᲘᲛᲔᲓᲘ ᲔᲯᲥ ᲓᲐᲣᲘ ᲚᲘᲑᲝᲠᲒᲘᲔᲚ (ᲚᲜᲢ., ᲡᲕᲐᲜ. ᲥᲠᲔᲡᲢ., 1978: 324) „ᲪᲮᲔᲜᲡ ᲗᲣ ᲙᲘ ᲛᲝᲐᲯᲓᲔᲑᲘ, ᲒᲐᲐᲭᲔᲜᲔᲑ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲨᲔᲒᲔᲒᲚᲔᲑᲐ ᲘᲛ ᲓᲔᲕᲗᲐᲜ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ“

ᲔᲛᲝᲨ ᲚᲝᲥ ᲐᲗᲔᲠ ᲛᲘᲩᲐ ᲒᲔᲖᲐᲚᲡ, ᲐᲓᲓᲔᲔᲣ ᲚᲝᲥᲣ ᲐᲒᲘᲗᲔ (ᲚᲨᲮ., ᲡᲕᲐᲜ. ᲥᲠᲔᲡᲢ., 1978: 288) „ᲗᲣ ᲙᲘ ᲘᲪᲜᲝᲑᲝ ᲨᲔᲜ ᲨᲕᲘᲚᲡ, ᲬᲐᲘᲧᲕᲐᲜᲔᲗ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ (ᲖᲔᲓᲛᲘᲬ. – ᲗᲣᲝ ᲘᲪᲜᲝᲑᲡ ᲛᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲡ, ᲬᲐᲘᲧᲕᲐᲜᲐᲛᲪᲐᲗ ᲐᲚᲐᲒ-{ᲘᲡ}-ᲙᲔᲜ)“

ᲯᲘ ᲔᲛᲝᲨ ᲮᲠᲒᲛᲔᲓᲔ, ᲔᲩᲥᲐ ᲥᲐ ᲚᲔᲒᲜᲘᲓ (ᲩᲝᲚ.) „ᲗᲣ ᲙᲘ ᲨᲔᲫᲚᲔᲑ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲒᲐᲕᲣᲓᲒᲔᲑᲘᲗ {ᲒᲖᲐᲡ}“…

ᲘᲨᲣᲘᲐᲗᲐᲓ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲘᲗᲘᲨᲝᲡ ᲖᲛᲜᲘᲡᲬᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲐᲙᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ. ᲛᲐᲒ.:

ათხე ეღო ჩუ ლოქ მოშ ხაჴდუნე, იუალადეღ ლოქ რრი მიჩა აშმარ (ჩოლ.) „ახლა როგორმე თუ ჩამომატანინებო, სამუდამოდ შენი მადლიერი ვიქნებიო (ზედმიწ. – ახლა თუ როგორმე ჩამოატანინებსო, ევა-{ს}-დღე-ო იქნება მისი მადლობელი)"

ლეთრას ე ქა მოშ ხაშტბი, ჩუჩჩოხ ბმჟი ლიპრისტალს (ჩოლ.) „სასმელს თუ როგორმე ასესხებს, იზამენ როგორმე ნათლობას"...

ხშირია განსახილველი ნაწილაკის დართვა უოდ „ვიდრე, სანამ" მაქვემდებარებელ კავშირზე დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში. მაგ.:

ხარხ ამჟინ ხინ, უოდ მოშ გეჭნიხ (ბზ., სვან. ქრესტ.,1978: 10) „აქვთ ასე ლხინი, სანამდეც შეუძლიათ („სანამ თუ ძლებენ")"

ხაჯმაგირნა ლოქ უიშამმადურდ, უოდ მოშ ლოქ ხაბიცნა (ლშხ.) „ვემსახურებოდიო (ვმოჯამაგირეობდიო) დაუმადლებლად, სანამდეც შემეძლოო (ზედმიწ. – ˚ნა-მოჯამაგირ-ალ-ა-ო დაუმადლებლად, სანამდეცო შენაძლება)"

უოდ მოშ ღალ ლოხგიმედ, ხომურჯალის (ჩოლ.) „სანამდეც შევძელი, ვეხმარებოდი"...

ვითარების დამოკიდებულ წინადადებებში მოშ ნაწილაკი ჰალ||ხალ კავშირს ახლავს და მოქმედების შესრულების შესაძლებლობას უსვამს ხაზს, მეტ ექსპრესიულობას ანიჭებს კავშირს. მაგ.:

ჰარაყს გთრახ, ჰალ მოშ ხეკუჴდხ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 38) „არაყს სვამდნენ, როგორც უნდოდათ"

ხალ მოშ ხობიცდა, ეჯჟი ხეჭამ ღოშკინ (ჩოლ.) „როგორც {კი} შეეძლო, ისე მისდევდა უკან"

ლგმწრად იფხანჭუდა, ხალ მრშ ხეიმედან, ეჯჟი (ჩოლ.) „გამწარებული ბოჭავდა, როგორც კი შეეძლო, ისე"...

უნდა აღინიშნოს, რომ რთულ ქვეწყობილ წინადადებებში მოშ ნაწილაკი დამოკიდებული წინადადების საკავშირებელ წევრებს (მიმართებით ნაცვალსახელებსა და მიმართებით ზმნიზედებს) ახლავს და უმეტეს წილად უკან მოსდევს ამ უკანასკნელთ.

აღნიშნულ წინადადებებში მოშ ნაწილაკს „თუ, თუ კი, როგორმე, როგორღაც“ კავშირთა სემანტიკა აქვს. მაგ.:

ამჟინ იხრესიჲელხ, ჲერუჽჲ მოშ ხჽსრე ლჽსკნას (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 34) „ასე ენაცვლებიან ერთმანეთს, თუ ვინ აჯობებს გადახტომაში (ზედმიწ. – ასე მორიგეობენ, ვინ თუ აჯობებს ხტომას)“

ერუჽჲ მოშ ახოჩიშხ ისკა, ეჯი მჽნჯუი ჯედენი აგხო (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 303) „ვინც კი შემოასწრებს, ის პირველი მოდის სახლში“

ეჯ ქუთს იღეშგალხ დინაშ აფხნეგჽრ, ჲერუჽჲ მოშ ხონკი ესფხიჭისგხ (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 178) „იმ ხაჭაპურს ცილაობენ გოგოს ამხანაგები, ვინც კი პირველი დასტაცებს“

ჲერუჽჲ სუმინ ფაუს ქა მოშ ხატყცი, ეჯა ეზერ ბჟგი ხაბჟახ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 34) „სამჯერ ჯოხს თუკი ვინმე მოარტყამს, ის ძალიან ძლიერი ჰგონიათ (ზედმიწ. – ვინც სამ-ჯერ ჯოხს თუ მოარტყამს, ის კარგი მაგარი ჰგონიათ)“

იმუჽჲ მოშ ლჟმსახუთინხ, დჟმნოუშ ლჟმზჽრუინხ უშხუჽრ, მჽ მოშ ლჽთიჽლს ხჽრახ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 65) „რასაც კი მოახერხებდნენ, არაფრით ზოგავდნენ ერთმანეთს, რაც კი შეეძლოთ (ზედმიწ. – რასაც კი ნახერხებან, არაფრით ზოგავან ერთმანეთს, რაც კი მცდელობა ჰქონიათ)“

მჽზუმუჽჲს მოშ რჽქუნინა, ეჩზუმს ხაკჽდდა (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 70) „რამდენსაც კი იტყოდა, იმდენს ართმევდა („აღებდა“)“

ქა ლეცხპე ხჽრ ლიშდრჽლე ლჽბნახჽნქა, იმუჽდ მოშ ლი მეჩდე ქა მგსრე (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 34) „უნდა შემოუაროს თამაშის დასაწყისიდან, სანამდეცაა წასული მჯობნი (ზედმიწ. – შემოსავლები აქვს თამაში{ს} დასაწყისიდანგა, სანამდეც კი არის წასული გამსწრები)“

ეჩქანღო, მეზგე შომჽდ მოშ ჟჽნმჽრი, იჩო ბეფშიშ ლიპრისდალს (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 179) „მერე, ოჯახი როცა კი მოემზადება, გადაიხდის („იქმს“) ბავშვის ნათლობას“...

როგორც განხილულმა მასალამ აჩვენა, მოშ ნაწილაკის სინტაქსური ფუნქცია მრავალფეროვანია. გარდა ნეგაციისა, აქვს მოქმედების შესრულების შესაძლებლობის გამოხატვის ფუნქციაც (რაც მეორეული მოვლენა უნდა იყოს) და რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მისი მონაწილეობა და კავშირებზე დართვა წინადადებას მეტ ექსპრესიულობას მატებს.

§ 7. ასინდეტური ქვეწყობილი წინადადება

ქვეწყობილ წინადადებაში გვაქვს შემთხვევები, როცა დაქვემდებარების გარეგანი ნიშნები (მაქვემდებარებელი კავშირები, წევრ-კავშირები) ფორმობრივად გამოხატული არ არის, მიუხედავად ამისა, წინადადებათა ურთიერთმიმართება მაინც დაქვემდებარებითია. ასეთ ჰიპოტაქსურ წინადადებაში შემავალი დამოკიდებული წინადადების მიმართება მთავართან ინტონაციით გამოიხატება. აქედან გამომდინარე სინტაქსში ინტონაცია სიტყვათა და წინადადებათა შეერთების ისეთივე მნიშვნელოვანი საშუალებაა, როგორიც არის კავშირი ან საკავშირებელი სიტყვა.

წინადადების ინტონაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნააზრევისა და წარმოთქმულის გაგება-აღქმაში „წინადადების ინტონაცია განსაკუთრებული რიგის ენობრივი საშუალებაა, რამდენადაც მას კავშირი არა აქვს წინადადების შინაგან სტრუქტურულ გაფორმებასთან. იგი მთლიანად წინადადების „გამაწინადადებელ“ საშუალებად გვევლინება და აფორმებს მას, როგორც ენობრივი ურთიერთობის საშუალებას... ინტონაცია ზეპირი მეტყველების დამახასიათებელი თვისებაა. ინტონაციას სინტაქსური დაქვემდებარების გაფორმების ფუნქციაც აქვს“ (დავითიანი 1973: 153-156).

ქართულ გრამატიკებში (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ა. კიზირია, ნ. ბასილაია, ი. ახალაია) უკავშირო რთული წინადადება გამოყოფილია, თუმცა არა როგორც კავშირიანი რთული წინადადებისაგან ცალკე აღებული სინტაქსური მოვლენა, არამედ როგორც დაპირისპირებულ მოვლენათა ერთიანობა. რთული წინადადების ეს ორი სახე წარმოდგენილია ერთმანეთთან კავშირში.

როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, „უკავშირო რთული წინადადება უმთავრესად ისეთი წინადადებაა, სადაც კავშირი გამოტოვებულია და წინადადებათა შეერთების საპირისპირო ფორმათა წარმოსადგენად მისი აღდგენა შეიძლება. სწორედ ამით ვლინდება უკავშირო და

კავშირიან რთულ წინადადებებს შორის ორგანული კავშირი, რადგანაც კავშირი და ინტონაცია წინადადების გარკვეულ სინტაქსურ ტიპში შემავალ ნაწილთა შეერთების ორი ერთმანეთის შემცვლელი საშუალებაა: რთულ თანწყობილ წინადადებაში მაერთებელი კავშირის ნაცვლად გამოიყენება მაერთებელი ინტონაცია, რთულ ქვეწყობილ წინადადებაში კი – მაქვემდებარებელი კავშირის ან საკავშირებელი სიტყვის ნაცვლად – მაქვემდებარებელი ინტონაცია“ (ბასილაია 1974: 13).

წარმოვადგენთ უკავშირო ქვეწყობილ წინადადებას სვანურში, რომელიც ქვემოსვანურ დიალექტებში იშვიათად დასტურდება. სხვადასხვაობაა ინტონაციის თვალსაზრისითაც, უკავშირო წინადადებებში ინტონაცია ყველაზე უფრო მეტად გამოკვეთილია ზემოსვანურ დიალექტებში, განსაკუთრებით ბალსქვემოურში (ზოგჯერ ბალსზემოურშიც), რომელიც აშკარად გვაგრძნობინებს კავშირის ან საკავშირებელი სიტყვის კომპენსირებას სვანურის სხვა დიალექტებთან შედარებით. უკავშირო ჰიპოტაქსურ წინადადებაში გამოყენებული მაქვემდებარებელი ინტონაციისათვის დამახასიათებელია ხმის ამაღლება დამოკიდებული წინადადების შემასმენელზე, ხმის დადაბლება მთავარზე და პირველის გამოყოფა მეორისაგან პაუზით[6]. მაგ.:

> ლარლარჩუნ ესღრ'ეჩქას ლიზგრზე ლაგბინე (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 69) „მინდორზე {რომ} ჩადიოდა, მაშინ ბუტბუტი დაიწყო („სათიბებ{ს}ქვე მიდის, მაშინ ბუტბუტი დაიწყო)“
>
> ლიგემს ქა ილიესგხ, ეჩქანღუე სგა ხოშუემხ ლემასგუ (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 198) „აშენებას {რომ} დაამთავრებენ, მერე შეუნთებენ ცეცხლს („ა-გ-ებ-ა-ს დაამთავრებენ, მაშინს მერე შეუნთებენ ცეცხლს“)“
>
> ალე ბესის ქა ხასგნდ, ჯ'ენკიდ ჟაჯ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 249) „ეს ბესის {რომ} შემოესმა, აიღო ტიკი („ეს ბეს-ი-ს შემოესმა, აიღო ტიკი“)“

---

[6] აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბალსქვემოურში ინტონაცია კეთდება, ძირითადად, დამოკიდებული წინადადების ბოლოში, მიუხედავად ამისა, წინადადების რა წევრია.

ზა ქ'ამეჩედ, ხოშკომნა ეჩქა მიჩა გასამრჯელო (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 321) „წელიწადი {რომ} გასულა, მოუთხოვია მაშინ თავისი გასამრჯელო („წელი გასულა, უთხოვია მაშინ მისი გასამრჯელო")"

ლეგჯას ეჯღა ხათრეხ ამზუმ ხანს, ხოჩჳმდ ლოქ იცხემ (ჩოლ.) „რძეს იმიტომ ასმევენ ამდენი ხანი, {რომ} კარგად გაიზრდებაო („რძეს იმისთვის ასმევენ ამ-ზომა ხან-ს, კარგადო იზრდება")" და ა. შ.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ უკავშირო წინადადებებს გარკვეული ექსპრესიული ფუნქცია აქვთ, ხოლო დინამიკურობა და ელიფსურობა, რაც მათ ახასიათებთ, ქმნის რიტმის გაძლიერების, თხრობისა და დაძაბულობის შთაბეჭდილებას, რაც განსაკუთრებულად კარგად ჩანს ზემოსვანური დიალექტების მაგალითზე, სადაც ინტონაცია აშკარად ექსპრესიულ ხასიათს ატარებს.

როცა უკავშირო ჰიპოტაქსზე ვსაუბრობთ, ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს ზემოსვანურ დიალექტებზე, ვინაიდან ქვემოსვანურ დიალექტებში, მათ შორის ჩოლურულში, უკავშირო დამოკიდებული წინადადება იშვიათად დასტურდება, რაც შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ ქვემოსვანური დიალექტები, ზემოსვანურისგან განსხვავებით, გამოტოვებული კავშირის ინტონაციით კომპენსირებას ვერ ახერხებენ.

სვანური ენის ქვეწყობილ წინადადებებში, ძირითადად, გამოყენებულია მაქვემდებარებელი კავშირები, ვიდრე მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზედები. ერთ-ერთი ასეთი მაქვემდებარებელი კავშირია ერე „რომ", რომელიც თითქმის თანაბარი სიხშირით გვხვდება როგორც სახელით გამოხატული წევრების, ისე შემასმენლის ამხსნელ წინადადებათა ყველა ტიპში. აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ აღნიშნული ერე კავშირი იგულისხმება და აღდგება უკავშირო ჰიპოტაქსურ წინადადებებში. მაგ.:

ჟინაღ დის ქა ხეყულენი, ეჩქას დარბაზთ'აგნეხ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 24) „ბატკანი {რომ} დედას სცილდება, მაშინ სათივეში შეუშვებენ ხოლმე („ბატკანი დე-და-ს გა-მო-ე-ყ-ოფ-ა, მაშინ დარბაზ-{ის}-კენ ა-დგ-ამ-ენ")"

ჯუინლიშჯუინელ მურყუმარდ თერახ, ეჯდარ სემი სართულიან ლიხ (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 200) „ძველისძველ კოშკებად {რომ} ითვლებიან, ისინი სამსართულიანია („ძველისძველ კოშკებად ჩანან, ისინი სამ-ი სართულ-იან-ი არიან“)“

ეშხუ ნაგზი ქა ლახბადა, ეჩანღრნენ აჯაღ აჩად ლათხუიართე (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 275) „ერთი კვირა {რომ} დაყო, მერე კიდევ წავიდა სანადიროდ („ერთი კვირა ქე ეყო, მაშინს მერე კიდევ წავიდა სა-სა-თხ-ევ-ლ-ო-დ“)“

შუკუისა ლოქ ზურაღ ხაბ, ეჩის ლოქ ჩიქე ქ'ანუ ლეხყადანხ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 281) „გზაში {რომ} ქალი აბია, იმას ჯერ აკოცონო („შუკა-ში-ო ქალი ა-ბ-ი-ა, იმასო ჯერ აკოცესმცა“)“

ჟ'ენბინეხ ლრტუ, ეჩქა ოხთოფედ სერ ჩიემ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 252) „გაქცევა {რომ} დაიწყეს, მაშინ ვესროლეთ ყველამ („დაიწყეს ლტ-ოლ-ვ-ა, მაშინ უ-თოფ-ე-თ მეტი ყველამ“)“

ჲერხი ფურალ ეჯჟი ლუმითქუ ხაყახ, ამსუალდი გარგლა ხესმიხ (ჩოლ.) „ზოგიერთი ძროხა ისე ჰყავთ შეჩვეული, {რომ} ადამიანის ლაპარაკი ესმით („ზოგი ფურ-ებ-ი ისზე შეჩვეული ჰ-ყ-ავ-თ, ადამიანის ლაპარაკი ე-სმ-ი-თ“)“

ამეჩუ ლეგუჭერი შირალ მუღუა, ეჯიარს ოხბიდნიხუი ჟი (ჩოლ.) „აქ {რომ} წისქვილის დოლაბები მაქვს, იმათ ავწევ ზევით („აქ წისქვილის დოლაბები მაქვს, იმეებს ამოვწევ“)“ ...

მეორე მაქვემდებარებელი კავშირი, რომელიც ასევე ხშირად დასტურდება სვანურში, არის **ლახ** „რომ/თუ“ კავშირი. იგი თითქმის არ გვხვდება ლენტეხურში, იშვიათობაა ჩოლურულშიც და ლაშხურშიც და, ძირითადად, გამოიყენება ზემოსვანურ დიალექტებში. იშვიათად, მაგრამ მაინც უკავშირო ქვეწყობილ წინადადებებში გამოტოვებულია **ლახ** „რომ/თუ“ კავშირი. მაგ.:

ლუგუჭარ ლაშხუ, ეჩქას ღენდარჭისგა ჩუჭადსენდახ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 23) „მსუქნები {თუ} იყვნენ, მაშინ დღესასწაულებზე დაკლავდნენ ხოლმე („მსუქნები იყვნენ, მაშინ დღეობებში დაკლავდნენ“)“

ალი ლი, უართე ხეგნი გუნეშ, ეჩქას (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 175) „ეს არის, მაშინ, როცა უარი ითქმება („ეს არის, უარ-{ის}-კენ ა-დგ-ებ-ა საქმე, მაშინ“)“

ალ ქუერწლარ დინაშ ლამუართესგა ჯედნიბ, ეჩქას მანკუი ეჯარს გარ ხოგემხ ჰაში ტაბაგს (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 176) „ეს მექორწილეები გოგოს ხალხში {რომ} მოდიან, მაშინ პირველად მხოლოდ მათ უშლიან მცირე სუფრას („ეს ქორწილ-ებ-ი გოგოს სა-მა-მ-ო-ს-კენ-ში მოვლენ, მაშინ ჯერ იმეებს მხოლოდ უ-დგ-ამ-ენ მჩატე ტაბლა-ს")" და სხვ.

ხშირ შემთხვევაში, როგორც წესი, ზემოაღნიშნული კავშირი ქვეწყობილში დასტურდება. მაგ.:

ფიტკირშუ ლილგიმაღს ლახა იდრაღხ, ეჩქას ჩიდ მანკუი კირ ი ქუიშე ხეკუეს ანმარახ (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 197) „ქვით მშენებლობას როცა აპირებენ, მაშინ თავდაპირველად კირი და ქვიშა უნდა მოამზადონ („ქვ-ით-კირ-ით დგ-მ-ულ-ობ-ა-ს როცა აპირებენ, მაშინ ყველაზე პირველად კირ-ი და ქვიშა უნდა მოამზადონ")"

ქალაქთე ლიზის ლახ ხაპირეხ, ეჩქას მანკუ ხარჯს ამარეხ ჟი (ბქ.) „ქალაქში გამგზავრებას როცა აპირებენ, მაშინ პირველად საგზალს გაამზადებენ ხოლმე („ქალაქ-{ის}-კენ სვლას როცა ა-პირ-ებ-ენ, მაშინ ჯერ ხარჯ-ს გა-ა-მზარ-ეულ-ებ-ენ")" და ა. შ.

სვანურში დადასტურდა უკავშირო ქვეწყობილ წინადადებათა შემდეგი ტიპის დამოკიდებული წინადადებები: ქვემდებარული, დამატებითი, განსაზღვრებითი, დროის გარემოებითი, ადგილის გარემოებითი, მიზეზის გარემოებითი და ვითარების გარემოებითი დამოკიდებული. ჩამოთვლილი უკავშირო ქვეწყობილი წინადადებებიდან, სვანურის ყველა დიალექტში, ყველაზე ხშირად დასტურდება დროის გარემოებითი, მიზეზის გარემოებითი და ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები. მაგ.:

ლეჩხუმს ლახუბ'ათსედა გულედანს, ეჯაარს ახმაჭრინენახ შუანთე ლიჯედ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 77) „ლეჩხუმში {რომ} ძმები დარჩენია გულედანს, იმათ დაზარებიათ სვანეთში წასვლა („ლეჩხუმ-ს ძმები დარჩენია გულედანს, იმეებს დაზარებიათ სვანეთ-{ის}-კენ მოსვლა")"

ჯუინლიშჯუინელ მურყუმარდ თერახ, ეჯაარ სემი სართულიან ლიხ (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 200) „ძველისძველ კოშკებად {რომ} ით-

ვლებიან, ისინი სამსართულიანია („ძველისძველ კოშკებად ჩანან, ისინი სამ-ი სართულ-იან-ი არიან“)“

ეჯის ოხრომბუედ, მაშენე **ამეჩუ ლოქ ხაშთხუა** (ჩოლ.) „მას მოვუყევით, {რომ} უფროსი აქ მარხიაო („იმას ვ-უ-ა-მბ-ე-თ, ყველაზე დიდი აქო მარხია“)“

ამეჩუ ლეგუუერი შირალ მულუა, ეჯიარს ოხბიდნირხუი ჟი (ჩოლ.) „აქ {რომ} წისქვილის დოლაბები მაქვს, იმათ ავწევ ზევით („აქ წისქვილის დოლაბები მაქვს, იმეებს ამოვწევ“)“

შგილს ჩუქუან არტაბ ხრზ, ეჩეჟინ ყუელფი ნაჭა ხოწიბ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 115) „სხვენს ქვევით {რომ} ძელი არის გადებული, იმაზე კერიის ჯაჭვი არის ჩამოკონწიალებული („სხვენს ქვევით **არტახ**-ი უ-მ-ევ-ს, იმაზე ყველფ-ის **ნაჭა** უკონწიალია“)“

ბეფშ ეჭკაჲ ლგმარ, ეშხუ ლადეღისა ლგმცხემინ კამინს (ჩოლ.) „ბავშვი იმისთანა ყოფილა, {რომ} დღეში მტკაველს იზრდებოდა თურმე („**ბავშვ**-ი ის-ყალიბ-ი ყოფილა, ერთ დღეში ნაზარდა **მტკაველ**-ს“)“

სერ ამანღო ალ უქმი მუკუშას მამა **ხაყლუნდა, ქა ლუხუშშნე ხადა** თხუმ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 244) „ამის მერე უკვე ამ უქმეების გამტეხს არ ეშინოდა {იმიტომ}, {რომ} ცოდვა მონანიებული ჰქონდა („მეტი ამის მერე ამ უქმ-ი{ს} გამტეხს არ ეშინოდა, მონანიებული ჰქონდა თავი“)“

ჟაგარ ოხუიკ მიშგუაშურად, **ხაზეინარს მამა ხუნქარ** (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 262) „წამალი ავიღე ჩემებურად {ისე}, {რომ} მასპინძლებს არ ვუთხარი („წამალი ავიღე ჩემებურად, **ხაზეინ**-ებ-ს არ ვუთხარი“)“

ალე ხელმწიფს ეჯჟი ლახლატუნდა, **გეზალშალ** (ჩოლ.) „ეს ხელმწიფეს ისე შეუყვარდა, {რომ} შვილივით („ეს **ხელმწიფე**-ს ისე შეუყვარდა, შვილივით“)“

ნეხშტარს ქა ხაყულურახ დაჯარს, ეჩქას ნეხშტარს ბოფშარ ხელდაღდახ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 23) „თიკნებს {რომ} მოაშორებდნენ თხებს, მერე თიკნებს ბავშვები მწყემსავდნენ („თიკნებს გა-მო-ა-ყ-ოფ-დ-ნენ თხებს, მაშინ თიკნებს **ბავშვ**-ებ-ი *მე-დღე-ურ-ობ-დ-ნენ“)“

თაშ სგლგინდ ნეკუდი, ეჩქას ჩუ ხუაქცურედ ი უედრათეისგა ხუადისგდ (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 204) „ყველი {თუ} სულგუნად გვენდომება, მაშინ დავჭრით ხოლმე და სათლში ვდებთ („ყველი სულგუნად გვენდომება, მაშინ და-ვ-ა-ქუც-მაც-ებ-თ და ვედრო-{ს}-კენ-ში ვ-დ-ებ-თ“)“

ალეუ ლოქ მეცუპალ, დებუდ ლოქ მრდ ეჯქემე (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 279) „ეს გამიწყრესო {მაშინ}, ცოლად {რომ} არ გამოგყვეო („ესმცაო მეჩხუბება, ცოლადო არ გამოგყვე“)“

მუს ანღრი, ეჩქა ჩუ შჷდნი წიფ (ჩოლ.) „თოვლი {რომ} მოდის, მაშინ ჩამოიყრება ხოლმე წიწიბო („თოვლი მოდის, მაშინ ჩამოიყრება წიწიბო“)“ და მისთ...

აღნიშნული უკავშირო რთული წინადადების სინტაქსურ მთლიანობას, როგორც წესი, განაპირობებს მისი ნაწილების სტრუქტურული აგებულება და აზრობრივი მიმართება.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ქართულში უკავშირო რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ყველა ტიპის დამოკიდებული წინადადება დასტურდება, „არა გვაქვს მხოლოდ ადგილის გარემოებითი და მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადებები“ (ბასილაია 1974: 43), რაც შეეხება სვანურს, ზემოთქმულისგან განსხვავებით, არცთუ იშვიათად, გვხვდება უკავშირო ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებებიც. მაგ.:

ნჯჳს გჳნხჳნ ლამტჳარჯრ ხორიკ, ეჩეჟრნ ლეთჳშ მუგჳპალს ხადესგიხ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 115) „ჯაჳვს გვერდიდან სანათური {რომ} ჰკიდია, იმაზე ღამით კვარს დებენ („ნაჭა-ს გან-იდან სანათურები ჰკიდია, იმაზე ღამით კვარს ა-დ-ებ-ენ“)“

მგჰი ლეხლერ მახად ლამღჳპის ხეტეხეს, ეჩეჩოღჳ ლი ისგუე ლაქუნ (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 174) „მწიფე ხილნარი {რომ} ხელახლა ყვაოდეს, იქ ყოფილიყოს თქვენი სასუფეველი („მწიფე საბილე ახლად ყვავილობას ებრუნებოდეს, იქმცა არის თქვენი სასულეთი“)“

ჰამაშჯრ, ათხე გელა იზგე, ეჩეჟი ლგმზიგლიხ სემი მეზგე (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 188) „ჰამაშარში, ახლა {რომ} გელა ცხოვრობს, იქ ცხოვრობდა თურმე სამი ოჯახი („ჰამაშარ-ს, ახლა გელა სახლობს, იმაზე ნასახლარან სამ-ი მოსახლე“)“

მაგ ქა იკუშე ნაჩომ ცოდობს ეჩეჩუ, ჟ'ინზრრიხ სკალდისა (ჩოლ.) „ყველა გაამხელს ჩადენილ ცოდვას იქ, {რომ} შეგროვდებიან ხოლმე

სკალდის {ეკლესიაში} („ყველა გაამხელს ნაქნარ ცოდ-ობ-{ა}-ს იქ, შეგროვდებიან სკალდ-ში“)“ და ა. შ.

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა კონტექსტის მიხედვითაც კი ძნელდება გარჩევა იმისა, უკავშირო წინადადება თანწყობილია, ქვეწყობილი, თუ შერწყმული. ზოგჯერ მათი გამოცნობა ძნელია იმის გამო, რომ მაქვემდებარებელი ინტონაცია რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ისეთი სიძლიერითა და სიზუსტით ვერ გამოხატავს ერთი წინადადების მეორეზე დაქვემდებარებას, როგორც, მაგალითად, მაქვემდებარებელი კავშირი ან საკავშირებელი სიტყვა. მაგ.:

ჩრლირ კუბ ოხტაბახ, ეჩხაუთესგ'ესუდახ ჯიჯუარ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 106) „ჩოლურში {რომ} კუბო გამოუთლიათ, იმაში ჩაუდიათ ძვლები („ჩოლურ-{ს} კუბო გამოუთლიათ, იქითკენში და-უ-დ-ი-ა-თ ძვლ-ებ-ი“)“

შგილს ჩუქუბან არტახ ხრზ, ეჩეჟრნ ყუელფი ნაჭა ხოწიბ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 115) „სხვენს ქვევით {რომ} ძელი არის გადებული, იმაზე კერიის ჯაჭვი არის ჩამოკონწიალებული სხვენს ქვევით არტახ-ი უ-ძევ-ს, იმაზე ყველფ-ის ნაჭა უკონწიალია“)“

აფხზარ ოლმახხ ჯგგრაგიშ ლაპგრტახითე, მოკილ ლგმარ ბგტაშერ ხოშა (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 186) „{რომ} მიდიოდნენ წმინდა გიორგის ასაოხრებლად, {მაშინ} ეკლესიის მცველი ყოფილა ბუტასაანთ წინაპარი („აფხაზ-ებ-ი მინავალან წმინდა გიორგის გა-სა-პარტახ-ებ-ლად, მე-კლიტ-ულ-ე ყოფილა ბუტა-ს-ა-ან-თ უფროსი“)“

ქა ადჯად ყორუჯლხოქა, ხაჯიდ ბურთ ჭყეროჲ ყორუჯლს (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 324) „{რომ} გავიდა კარში, {მაშინ} მიარტყა ბურთი კვარცის კარებს („გავიდა კარებში, დაარტყა ბურთ-ი კვარცის კარებს“)“ და სხვ.

თუმცა, როგორც ცნობილია, გამოცნობის სიძნელე არა მარტო უკავშირო რთულ წინადადებას ახლავს, არამედ კავშირიანსაც, „მსგავსი გაურკვევლობისგან ზოგჯერ არც კავშირიანი რთული წინადადებაა დაზღვეული“, მაგალითად, ცნობილია, რომ „თორემ“ კავშირიანი წინადადება ზოგჯერ რთუ-

ლი თანწყობილია, ზოგჯერ – ქვეწყობილი: თანწყ. კაცს კაცობა უნდა, თორემ ულვაში კატასაც კი აქვსო (ანდ); ქვეწყ. ნურც დაანახვებ შენს ქურანს ცხენსა, თორემ ის ბიჭი განანებს ბევრსა („კაკო ყაჩაღი“) (ბასილაია 1974: 32).

როგორც უკვე აღინიშნა, ქვემოსვანურ დიალექტებში, კავშირიანი დამოკიდებული იმდენად ჭარბობს უკავშიროს, რომ ხშირ შემთხვევაში ერთდროულად გვხვდება ორი კავშირი, ან წევრ-კავშირი და კავშირი. კავშირთა ასეთი თავმოყრა დასტურდება ზემოსვანურ დიალექტებშიც, თუმცა არა ისეთი სიხშირით, როგორც ქვემოსვანურში. მაგ.:

ეჩქას მიჩა ნახახუს, **ხედუ̆ჲი** ერე მიჩნემ ა̆ნთხე, ეჩის ხა̆ქუე (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 171) „მაშინ თავის ნაცოლარს, რომელიც რომ მან მოძებნა, იმას უთხრა („მაშინ მის ნაცოლარს, რომელიც რომ თვითონ მოძებნა, იმას უთხრა“)“

ალე დეშ ემსყე, **შომას ერე** მი ჟი ლგჰნე ხუ̆სუ̆ (ბქ.) „ეს ვერ გამიკეთა, როცა რომ მე გადაყოლილი ვიყავი („ეს ვერ გამიკეთა, როცა რომ მე გადამდნარი ვიყავი“)“

სერ **შომაი ერ** ჟი ხებდერ, ეჩქას ჟი ხეგნი ნეპრლილ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 257) „მოკლეთ როცა ამოწევს, მაშინ დააჯდება ხოლმე ჩიტი („მეტი როცა რომ ამოწევს, მაშინ და-ა-დგ-ებ-ა ჩიტი“)“

ეჩქა უ̆იჯუ̆არ ჩუ̆ იდგარრლხ, **შომაი ერე** სპირტს ქა ხოცა̆დდახ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 261) „მაშინ გველები კვდებოდნენ, როცა რომ სპირტს გამოუცვლიდნენ ხოლმე“

ლახ ერე ლრცუ̆ნა̆ლ ჩუ̆ედჯიდხ, „თხუმს ლოქ ხოწად“, – მექუ̆ეხ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 263) „როცა სიცილისგან გული იჯერეს, „თავს უშველეო“, – მითხრეს („როცა რომ სიცილი გადაიხადეს, „თავსო უშველა“, – მითხრეს“)“

შომა̆ი ერე ხოჩა მალგფხ ლი, ეჩქა მუს ლა̆ი იჩუ̆ეფი ხუნკუ̆ი (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 301) „როცა კარგი გაზაფხულია, მაშინ თოვლიც მალე დნება („როცა რომ კარგი გაზაფხული არის, მაშინ თოვლიც დნება ადრე“)“

ალე ლი ძინარა მიჟ, **ხედუ̆აი ერ** თელ ქუ̆ეყანას ხომტუ̆არე (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 322) „ეს არის დილის მზე, რომელიც რომ მთელ ქვეყანას ანათებს („უნათებს“)“

სომეხ ანჯად ქარაუანშუ, ხედუაის ერ ხეყად სემი აშირ აქლემ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 322) „სომეხი მოვიდა ქარავნით, რომელსაც რომ ჰყავდა სამასი აქლემი“

ჩ'ოთშდუხუახ ეჩეჩუ, იმუაი ერ ათხე ბაპშა ნალზიგს ხატულ'იხ (ჩოლ.) „დაუკრმალავთ იქ, სადაც რომ ახლა ბაპიანთ ნასახლარს ეძახიან“...

ნია აბესაძის აზრით, მსგავსი ვითარება დასტურდება სხვა ქართველურ ენებშიც: „ქართული რომ, სვანური ერე||ერ||ე და ზანური -ნა||-ნი||-ნ შეიძლება სხვა წევრ-კავშირებთან ერთადაც ვიხმაროთ“ (აბესაძე 1963: 17).

ხშირად ჰიპოტაქსური წინადადებების ნაწილებს შორის დაკავშირება ცალმხრივია. მთავარში არ არის წარმოდგენილი საკორელაციო სიტყვები, თუმცა მათი აღდგენა, ქართულის მსგავსად, ადვილად შეიძლება. სვანურის დიალექტებში ამ სახის წინადადებებშიც არაერთგვაროვანი სურათია. ქვემოსვანურისთვის (განსაკუთრებით ჩოლურულისათვის, და, ასევე, ლაშხურისათვის) აბსოლუტურად ჩვეულებრივი მოვლენაა საკორელაციო წევრთა გამოტოვება, და შეიძლება ითქვას, რომ უკავშირო წინადადებებს გაცილებით სჭარბობს უკორელაციო მთავარი; ერთსა და იმავე წინადადებაში საკავშირებელი წევრი ხან წარმოდგენილია და ხან არა. მაგ.:

სემი ზაი დეშ ირი, მი ერ ლითხუიარ ოხბინ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 252) „სამი წელი ვერ იქნება, მე რომ ნადირობა დავიწყე“

მიჩ ლოქ ე ხონჯრინჯლუნიხუი, ლითხუიარსი სგა ლოქ ამმითქუნე (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 252) „ჩემთან ერთად თუ ივლიო, ნადირობასაც შეგაჩვევო („მასო რომ ვეახლებოდე იქნება, ნადირობასაც შემაჩვევსო“)“

ჩ'უერ ახოფანიხ, ჩუ ხოშონდობიხ ლჳდგარუს (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 291) „რომ წაუდგამენ მიცვალებულთა სულებს საკურთხს, ჭიქას წაუქცევენ მიცვალებულებს („რომ ჩამოუფენენ, ქვე შე-უ-ნდ-ობენ და-დგრ-ომ-ილ-ებ-ს“)“

შესაწირს ერუაი ჯიდე, ხაუედი საროსტას (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 295) „შესაწირს ვინც მოიტანს, აძლევს მლოცველს“

სგ'ერ ონჯუადდ ფანაგა შუკუთე, ჟ'ოგხურდა, ლეშხი, ბოჩიკ (ჩოლ.) „რომ შემოვედით ფანაგის გზაზე, {მაშინ} ვიპოვეთ, დასაწვავი, საქონელი"

ხალ ქა ხუეწდ, შიშდ თოფს ხუაფხიჭ (ჩოლ.) „როგორც კი დავინახე, მაშინვე თოფს წავავლე ხელი" და სხვ.

ზემოსვანურ დიალექტებში, ქვემოსვანურისაგან განსხვავებით, მთავარ წინადადებაში ეს დანაკლისი არ არის ხშირი, თუმცა დასტურდება შემთხვევები, როცა საკორელაციო სიტყვა აკლია. მაგ.:

ჯუნალდ ხეჯრაუჯნხ, ერე თოფრე ჰერ ესერ საფლაუთესგა სგა ხესმი ლეწურისი (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 24) „ძველად სჯეროდათ, რომ თოფების ხმა საფლავში ესმისო მიცვალებულს („ძველად ს-ჯერ-ოდ-ა-თ, რომ თოფ-ებ-ის ხმაო საფლავ-{ის}-კენ-ში ჩა-ე-სმ-ი-ს სასისხლებელსაც")"

ლერსგუენ თალაფა ლახე ხოქუთან მარა, ნათი ხოჩემი ლიკუჰე როქუ ხოხა (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 24) „მარჯვენა წამწამი როცა უთამაშებს ადამიანს, ნათესავზე კარგი ამბის გაგება იცისო („მარჯვენა წამწამი როცა ერყევა კაცს, ნათესავ-ი{ს} კარგი{ს} გაგებაომცა იცის")"

ისგე ლაშგდაშ პატიუ ე დეშ ჯაყრიდ, ნომა ნანდროუად, მალდიანუ (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 186) „თქვენი საკადრისი პატივი თუ ვერ გეცით, არ დაგვემდუროთ, მადლიანებო („თქვენი საკადრისი პატივ-ი თუ ვერ დაგმართოთ, ნუ-არ და-გვ-ე-მდურ-ო-თ, მადლ-იან-ებ-ო")"

ლალგიმალჟი ჩუიბე სართულ ლახა ქა ილიი, დგრარ ლიხ ლედისგ (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 196) „მშენებლობისას როცა ქვედა სართული დამთავრდება, დირეები არის გასადები („და-დგ-მ-ულ-ობ-ა-ზე ქვემო სართულ-ი თუ დამთავრდება, დირე-ებ-ი არიან და-სა-დ-ებ-ი")"...

უნდა აღინიშნოს, რომ ქვემოსვანურის ყველა იმ ილუსტრაციაში, სადაც გამოტოვებული იყო მისათითებელი სიტყვა, ბალსქვემოურმა თითქმის ყველგან აღადგინა იგი, თუმცა გამოტოვა დამოკიდებულში მაქვემდებარებელი კავშირი. თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ ამ პარალელურ შედარებებს. მაგ.:

ჯეი ჟ'ესგურდა სუჭი ი სგ'ერ ადაე სოფელთე, ამეჩუ ჩის ჟ'ახყალუნდა... (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 91) „თვითონ დაჯდა მარხილზე და რომ შეიტანა სოფელში, აქ ყველას შეეშინდა“

შდრ. ბქ. ჯი ჟ'ახსგურდა სჭუჭი ი სოფელთე სგ'ადიე, ეჩქას ამეჩუ ჩის ათყალინდა „თვითონ დაჯდა მარხილზე და სოფელში რომ შეიტანა, მაშინ აქ ყველას შეეშინდა“

ამჟი ანჯადხ დაჭარ, გიორგის ერ ქა ხეწადხ, ჟ'ახყალუნდახ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 91) „ასე მოვიდნენ დევები, გიორგი რომ დაინახეს, შეეშინდათ“

შდრ. ბქ. ამჟი ანჯადხ დაჭარ ი გიორგის ქა ხეწადხ, ეჩქას ათყალინდახ „ასე მოვიდნენ დევები და გიორგი რომ დაინახეს, მაშინ შეეშინდათ“

შის ერ ეხბიშდა დაჭ, გიორგიდ ეჟჟი ოხთგლგრე ტოტისა, ერე დაჭ ყულ-ყულდ აფაშგ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 91) „ხელი რომ ჩამოართვა დევმა, გიორგიმ ისე მოუჭირა ხელში, რომ დევი აყვირდა („ხელს რომ წაართვა დევ-ი, გიორგი-მ ისზე მოუჭირა ტოტ-ში, რომ დევ-ი ყმუ-ილ-ყმუ-ილ-ად გაიხსნა“)“

შდრ. ბქ. დაჭ შის ეხბიშდა, ეჩქას გიორგიდ ეჯჟი ოხთგრლე ტუეტისგა, ერე დაჭ ყულ-ყულდ აფაშგ (ბქ.) „დევმა რომ ხელი ჩამოართვა, მაშინ გიორგიმ ისე მოუჭირა ხელში, რომ დევი აყვირდა („დევ-ი ხელს წაართვა, მაშინ გიორგი-მ ისზე მოუჭირა ტოტ-ში, რომ დევ-ი ყმუ-ილ-ყმუ-ილ-ად გაიხსნა“)“ და ა. შ.

თუ ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებულში კავშირად გამოყენებულია წევრ-კავშირი, მაშინ, როგორც წესი, მთავარშიც დასტურდება მისათითებელი ნაცვალსახელი ან ზმნიზედა, და დაკავშირებაც ორმხრივია, თუმცა იშვიათად შეიძლება გამონაკლისიც დაფიქსირდეს და საკორელაციო სიტყვა გამოტოვებული იყოს. მაგ.:

> მუნყუნწლ'ერუჭი ლასუ, ეჯას მიჩა ჭაშმიშდ ხალსარუგნ ნაყუნ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 26) „მზარეული ვინც იყო, იმას თავისი მეუღლისთვის ემეტებოდა კერძი („კერძების გამკეთებელი ვინც იყო, იმას მისი ქმრისთვის ემეტებოდა შეჭამანდი“)“

ჩიდ მაწკური ოშუჯიდ ქორაჩ ხრგაწნხ, ეჯიაჩს აყულურახ (გზ., სვან. ქრესტ., 1978: 27) „თავდაპირველად რამდენი სახლიც ედგათ, იმათ არიგებდნენ („თავდაპირველად რამდენიც სახლები ე-დგ-ა-თ, იმეებს ყ-ოფ-დ-ნენ")"

მეგამშუ ლილგიმაწლს ცერუა იდრაწლ, ეჯნემ მანკური ქორიაქ შდუხორ ხეკუეს ანმარას (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 196) „ვინც ხით მშენებლობას აპირებს, იმან ჯერ სახლისთვის ხის მასალა უნდა გაამზადოს („ხით დგ-მ-ულ-ობ-ა-ს ვინც ფიქრობს, იმან ჯერ სახლისთვის ხის მასალა უნდა გა-ა-მზარ-ეულ-ო-ს")"

იმგუა ბუირ ლი ბაჩ, ეჩეჩუ სგებნაუ ხარხ ბაჩუემ ლამარასი (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 198) „სადაც ქვა ბვირი არის, იქ წინდაწინ შეუდგებიან ხოლმე ქვის მომზადებასაც"

არაყ იმუუაი ეს ხეკუად, ეიჟი ხუღუნ ჩის (ლშხ.) „არაყი ვისაც როგორ უნდოდა, ისე ჰქონდა ყველას („არაყ-ი როგორც ვინმეს უნდოდა, ისზე ჰქონდა ყველას")"

ქა იმთეი ღგრიხ, ჩიაგ კინჩხს იქუცეხ (ჩოლ.) „სადაც წავლენ, ყველგან კისერს იჭრიან"

სოფლის ჟიბე ბგიდს ლგგ კლას, ხედას ჯუინელ მაგ ჩუ ლუდუაშე ხარ (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 185) „სოფლის თავში დგას სკოლა, რომელსაც ბველი ყველაფერი გაფუჭებული აქვს („სოფლ-ის ზემო ბგიდე-ს დგ-ა-ს კლას-ი, რომელსაც ბველი ყველა ქვე და-შავ-ებ-ულ-ი აქვს")"

შომუჯი თენგიზ ლეჩხუმთ'ემჩედ, ალ ლარტყ შუნ ლრხუია (გზ., სვან. ქრესტ., 1978: 60) „როდესაც თენგიზი ლეჩხუმში წასულა, ეს ქამარი თან წაუღია („როდესაც თენგიზ-ი ლეჩხუმ-{ის}-კენ წასულა, ეს სარტყ-ელ-ი ხელთ წაუღია")"

შომასრ ხოჩერება ესამა ხუღუახ ლეზუბრრა, მახა ლგდგარუს ქა ხოგემხ კოტრლ ტაბგრლს ნაფანუნდ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 242) „როდესაც კარგი საჭმელი აქვთ, ახალ მიცვალებულებს პატარა საკურთხს დაუდგამენ ხოლმე („როდესაც კარგეულობა თუ რაიმე აქვთ საჭმელები, ახალ და-მე-დგ-რ-ილ-ებ-ს გა-უ-დგ-ამ-ენ პატარა ტაბლ-უკა-ს დასა-ფენ-ად")"

შესაწირს ერუაი ჯიდე, ხაუედი საროსტას (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 295) „შესაწირს ვინც მოიტანს, აძლევს მლოცველს"...

ქართულის მსგავსად სვანურშიც გვხვდება შემთხვევები, როცა დამოკიდებულ წინადადებას კავშირი აკლია, ხოლო მთავარს – საკორელაციო. მაგ.:

ბესი დეუდრიანს დეშმა ხაყერხ, ჟ'ახყალუნდახ ბესი დეუდრიანაშდ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 249) „ბესი დევდარიანს ვერაფერი უქნეს {იმიტომ}, {რომ} შეეშინდათ ბესი დევდარიანის („ბეს-ი დევდარ-იან-ს ვერარა დამართეს, შეეშინდათ ბეს-ი დევდარ-იან-ის-ად")"

გუიანდ გუდ ონჯუადდ, ნანდუილდ ხორჲელაჲ ლი (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 261) „გვიან მივხვდით {იმას}, {რომ} ნამდვილად ხორველა იყო („გვიან-ად გულ-ად მოვედით, ნამდვილ-ად ხორველა არის")"

ლახუჯ მარჯილი ლილაჯი ჩის მად ხოხალ, მერბეწარ ლილაჯი ხაკუ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 301) „მთის მარხილის შეკვრა ყველამ არ იცის {იმიტომ}, {რომ} სხვანაირი შეკვრა უნდა („მთის მარხილ-ი{ს} შეკვრა ყველას არ იცის, მე-ორ-ე-ნარ-ი შეკვრა ე-ნუკვ-ი-ს")"

ალ დიენაცად ხოლამდ ხახელნენა მიჩა გეზალუთაწლს, მად ხაკუედა ეჯმინცახენ ლირდე (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 315) „ეს დედინაცვალი ცუდად ექცეოდა თურმე თავის გერს {იმიტომ}, {რომ} არ უნდოდა მათთან ყოფნა („ეს დე-დ-ი-ნა-ცვ-ალ-ი ცუდად ნაქცევა მის შვილ უცნობს, არ სდომებია იმათთან ყოფნა")"

ერბრ ლისყი მჳმ ხაზნახ, ერბო ქა ლგბირ თაშ მჳმ ხასდამხ (ჩოლ.) „ერბოს გაკეთება არ სჩვევიათ {იმიტომ}, {რომ} ერბო გამოცლილი ყველი არ მოსწონთ („ერბო-ს კეთება არ სჩვევიათ, ერბო გა-მო-ბრ-ილ-ი ყველი არ სიამოვნ-ებ-თ")"

კუმში ნაძიენს ხელკიხ კუმაშ, იბნეხ ლაგუანია კალიბ ლიბღულის (ჩოლ.) „საქონლის დანაკლავს {რომ} წააწყდება საქონელი, {მაშინ} იწყებენ გასვენების ნაირ ბღავილს („კუმაშ-ი{ს} ნაკლავს აწყდებიან კუმაშ-ი, იწყებენ სატირლის ყალიბ ბღავ-ილ-ს")" და მისთ.

ამრიგად, როგორც სვანურ დიალექტოლოგიურ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, გავრცელების თვალსაზრისით, უკავშირო ქვეწყობილი წინადადებები ყველაზე უფრო მეტად დამახასიათებელია ზემოსვანური დიალექტებისათვის, ქვემოსვანურ დიალექტებში კი იშვიათად დასტურდება. სხვადასხვაო-

ბაა ინტონაციის თვალსაზრისითაც: უკავშირო წინადადებებში ინტონაცია ყველაზე უფრო მეტად გამოკვეთილია ზემოსვანურ დიალექტებში, განსაკუთრებით კი ბალსქვემოურში (იშვიათად, მაგრამ მაინც ბალსზემოურშიც), რომელიც აშკარად გვაგრძნობინებს კავშირის ან საკავშირებელი სიტყვის კომპენსირებას სვანურის სხვა დიალექტებთან შედარებით.

ვინაიდან სვანური ენის ქვეწყობილ წინადადებებში, ძირითადად, გამოყენებულია მაქვემდებარებელი კავშირები (ვიდრე მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზედები) ერე „რომ“ (რომელიც თითქმის თანაბარი სიხშირით გვხვდება როგორც სახელით გამოხატული წევრების, ისე შემასმენლის ამხსნელ წინადადებათა ყველა ტიპში) და ლახ „რომ/თუ“, ამიტომ სწორედ აღნიშნული კავშირები იგულისხმება და აღსდგება უკავშირო ჰიპოტაქსურ წინადადებებში; უფრო ხშირად ერე „რომ“ კავშირი, იშვიათად, მაგრამ მაინც ლახ „რომ/თუ“ კავშირი.

განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვემოსვანურის უკავშირო ქვეწყობილ წინადადებებში თითქმის ისეთივე ვითარებაა, როგორიც სხვა ქართველურ ენებში, რასაც ვერ ვიტყვით ზემოსვანურ დიალექტებზე, რომლებმაც, ქვემოსვანურისაგან განსხვავებით, დაჰკიდებულ წინადადებათა განვითარების უფრო ადრინდელი საფეხური შემოინახეს, ვინაიდან ცნობილია, რომ „ასიდენტური შეერთება უფრო ადრინდელი საფეხურია და უსწრებს კავშირიანს“ (ახალაია 2012: 70).

§ 8. ქვემდებარულდამოკიდებულიანი ჰიპოტაქსური წინადადება

ქვემდებარულია დამოკიდებული წინადადება, რომელიც მიემართება, ხსნის და აზუსტებს მთავარ წინადადებაში ნაცვალსახელით გამოხატულ ან ნაგულისხმევ ქვემდებარეს. მაგ.:

> Უთა ქორ ესუ̈ჲ ხეხრლდ', ეჯას გიმ ხოხურა ხეხრლდა (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 27) „გაუყრელი სახლი ვისაც ხვდებოდა, მას მიწა ნაკლები ხვდებოდა“
>
> Აერუ̈ჲ ზორს ხოჴდე, ეჩა ყორჟი ეჯა ჟი ხამზგრი ეჯ მეზგემ ნაშდობახენ (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 179) „ვინც შესაწირს მოუტანს, მის კარზე ის ილოცებს იმ ოჯახის მშვიდობის მხრიდან“
>
> Აერუ̈ჲ ალ შუკულეჟა ადინე, ა̈გხო ლუუ̈რ დემ ლოქ ანჴედენი (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 255) „ვინც ამ გზაზე წავა, {ის} სახლში ცოცხალი ვერ მოვაო“
>
> იარრ ხიმნარიდ ათხე მიშგუ̈ი გარგლას, ეჯიარ გარ ახგა̈ნდად ჟრ (ლშხ.) „ვინც ისმენთ ახლა ჩემ საუბარს, მხოლოდ ისინი წამოდექით“
>
> მეჴდა̈ისა მაურენე Დარრ ხეჩგდიხ, ეჯი სედნი ღოშტ (ჩოლ.) „მოსულებში უმცროსი ვინც იქნება, ის რჩება უკან“...

როგორც ცნობილია, სახელით გამოხატული წევრების ამხსნელ დამოკიდებულ წინადადებებში საკავშირებელ საშუალებებად, ძირითადად, მიმართებითი ნაცვალსახელები გამოიყენება. სვანურში ქვემდებარულ დამოკიდებულ წინადაღებაში დამოკიდებულის მთავართან შესაერთებლად გვხვდება მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქციის მქონე შემდეგი მიმართებითი ნაცვალსახელები: **ერუ̈ჲ||ერუ̈ჲი||Აერუ̈ჲი||Აერუ̈ჲი||ერუა||Დარრ** „ვინც“, **ესუ̈ა||Აერუ̈ჲისრ**, **იარსრ** „ვისაც“, **ხედუ̈ჲი||ხედუ̈ჲი||ხედუ̈ჲ||ხედუ̈ჲი||ხედრ||ხედი** „რომელიც“, **მა̈||მა̈ი||მა̈იუ̈ჲი** „რაც“... სხვადასხვა ბრუნვის ფორმით და **ერე||ერ||ე** „რომ“ მაქვემდებარებელი კავშირი. მაგ.:

> **ერუ̈ჲის** ჩა̈ჟ მა̈დ ხაყა, ეჯემ ხეკუ̈ეს ჟ'ა̈ნდიანას (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 293) „ვისაც ცხენი არ ჰყავს, მან უნდა ითხოვოს“

ალი ესერ ერდუშიდ (/ერუშიდ) ქა რექეს, ეჯ'ესერ ბაჩდუ ოლსიპელი! (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 60) „ეს ვინც თქვასო, ის ქვად გადაიქცესო!“

ლეტკლებ ლჳდგარ დესუა ხასკორა, ეჯი ლეგამჳნქა ქუნრე ღჳნრეშდ ნახუნსარ ხოშამ იმარალ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 174) „დასანანი მკვდარი ვისაც ეფიქრება, ის საკურთხი ტაბლის გარდა სულთა დღესასწაულებისათვის განსაკუთრებულად ემზადება“

ხოჩა ლეღუჟალ ესუში ხად, ეჯას ქუინ ხესდენდა (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 37) „კარგი მშობიარობა ვისაც ჰქონდა, მას სიცოცხლეც უნარჩუნდებოდა („სული შერჩებოდა“)“

ხედუში ბეფშ არჩეუანს ლექნე, ეჯი აირჩეუს მანკური (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 42) „რომელი ბავშვიც არჩევანს იტყვის, ის აირჩევს პირველი“

მაი ღერბათდ სგა მიჰგრალა, ეჯი ჩიგარ ხოჩამდ ედგათუან (ჩოლ.) „რაც ღმერთისთვის მითხოვია, ის ყოველთვის კარგად დასრულებულა (ზედმიწ. – რაც ღმერთისთვის შემივედრებია, ის ყოველთვის კარგად გა-თავ-დ-ა)“

ხოშემი გარგლას დარი დემ იმნარი, ეჯი ჩიგარ იტენტალ (ჩოლ.) „უფროსის საუბარს ვინც არ ისმენს, ის ყოველთვის თავში იცემს ხელებს“ და სხვ.

აღნიშნული მიმართებითი ნაცვალსახელების შემცველი დამოკიდებული წინადადებები ხსნიან და ავრცობენ მთავარ წინადადებაში ვინ და რა ჯგუფის ქვემდებარეებს – დერუში „ვინც“ მაშინ გამოიყენება, როცა ქვემდებარედ ადამიანი იგულისხმება, ხოლო მაი „რაც“ მაშინ, როცა ასეთად სხვა რამ არის ნაგულისხმევი.

საკავშირებელ სიტყვათაგან სვანურში ქვემდებარულ დამოკიდებულ წინადადებაში გაბატონებულია ერუშ||ერუში||დარი „ვინც“ მიმართებითი ნაცვალსახელი, რომელიც -უში, -ი „ც, ცა“ ნაწილაკდართული დასტურდება. აღნიშნულ ნაწილაკთა გამოყენების თვალსაზრისით, სვანურის დიალექტებში არაერთგვაროვანი სურათი გვაქვს. ლაშხური და ჩოლურული -ი ნაწილაკიან მიმართებით ნაცვალსახელებს ანიჭებენ უპირატესობას (თუმცა უში ნა-

წილაკდართულიც დასტურდება), დანარჩენი დიალექტებისაგან განსხვავებით, სადაც -უ̈ა̈||-უ̈ა̈ ნაწილაკი დომინირებს. მაგ.:

ეჯი დემ იგნი თამადად, **Დარ-ი** არაყს დეშსა ითრე (ლშხ.) „ის არ დგება თამადად, ვინც არაყს ვერ სვამს“

მახე ამსუ̈ალდი დაგრას **იარ-ი** ქა იკუ̈ენი, მეუ̈არ ხამჭირ ეჯის ლიბჟინ̃ალ (ჩოლ.) „ახალგაზრდა ადამიანის სიკვდილს ვინც გებულობს, ძალიან ეზარება მას ამის გაგებინება (ზედმიწ. – ახალი ადამიანი{ს} სიკვდილს ვინც გაიგებს, ძალიან ეზარება იმას გაგებინება)“

Დერ-უ̈ა̈ ლოქ ნათხუ̈იარემი თუ̈ალს ჩუ̈ედხუ̈ინე, მეთხუ̈იარ, ეჩის ლოქ ნათხუ̈იარე ჩიგარ მუღუ̈არალარ̃დ ხეუ̈დრლნი... (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 18) „ვინც ნანადირევის ძვირფას თვალს იხვედრებს, მონადირე, მას ნანადირევი ყოველთვის უხვად მიეცემაო“

საინტერესოა მაქვემდებარებელი კავშირებისა და წევრ-კავშირების განაწილების ტენდენცია. უნდა აღინიშნოს, რომ საკავშირებელი საშუალებები ერთგვაროვან სურათს ქმნიან და ორივე პოზიციის დამოკიდებული წინადადების თავში ან შუაში შეიძლება შეგვხვდეს. თუმცა სხვაობას ქმნის ის, რომ წევრ-კავშირები ყოველთვის წარმოდგენილია, ხოლო მაქვემდებარებელი კავშირი ერე შეიძლება აკლდეს, თუმცა ივარაუდება და ადვილად აღდგება. მაგ.:

ჩრლირ [ერ] კუბ ოხტაბახ, ეჩხარუთესგ'ესუდახ ჯიჯუარ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 106) „ჩოლურში [რომ] კუბო გამოუთლიათ, იმაში ჩაუდიათ მვლები“

სერ ანჯად ეჩა დროი, ქ'[ერ] ახდწურლახ მინე ასუშ (ლშხ.) „მოკლედ მოვიდა იმისი დრო, რომ გაათხოვონ თავიანთი ასული“

ლეთი [ერ] ღემარდელხიდ ჟორაშმოყ, ეჩა ბებია ლას ბგგი მგჯშალი (ჩოლ.) „წუხელ [რომ] იყავით („ყოფილხართ“) ჟორასთან, იმისი ბებია იყო კარგი („მაგარი“) მქსოველი“...

განსახილველ ქვეწყობილ კონსტრუქციებში მთავარი და დამოკიდებული წინადადებების შემდეგი სახის განაწილების შემთხვევები გვხვდება: მთავარი + დამოკიდებული; დამოკიდებული + მთავარი და მთავარი + დამოკიდებული + საკორელაციო სიტყვა. მაგ.:

აშხუნღო სორთმანს გუი ლოჰოდა, ერე მიჩა ფამლი მაჲდარობჟიშდ ხოშა ლუწხუაუე ღემარ (ბქ., სვან., პროზ. ქრესტ., 1957: 8) „კარგა ხნის შემდეგ სორთმანს ყურადღება მიუქცევია, რომ მისი შინაყმა შიმშილიანობის პერიოდზე უფრო მეტად შეწუხებული ყოფილა“

ათხეი ეჯნრუშ ოფუ, მაჲ სი ლამშტებ (ჩოლ.) „ახლაც იმითი გავუშვი, რაც შენ მასესხე“

ჲერუაჲ უჩმრნა ბრი, ეჩა ყუიჟე ლოქ ხარ ხოჩა (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 98) „ვინც უქნარა იქნება, იმისი ღვიძლი მომიხდებაო (ზედმიწ. – ვინც უქნარა იქნება, იმისი ღვიძლიო აქვს კარგი)“

ხედისრ ერე თეთრ ოთბაცე, ეჩაცხან ახცხენე ლიზი ამნემდრ (ჩოლ.) „რომელსაც რომ ფულს („თეთრ-ი“) შეპირდა, იმასთან ერთად არჩია ამანაც წასვლა“

ჩუათოჭებდახ, უიწს ერ მურყუამ ლგგ, ეჩეიხკა (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 92) „დაუმწყვდევიათ, ვიწში რომ კომკი დგას, იმაში“

ალე მაი ლი, მი ერ გემ მაყა, ეჩაცახან (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 71) „ეს რა არის, მე რომ გემი მყავს, იმასთან“

ხენწიფს ქ'ორხფხარ თერალე, ერ ხადა ეჩქად, ეჩან ხოჩულ (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 116) „ხელმწიფეს აეხილა თვალები, რომ ჰქონდა მანამდე, იმაზე უკეთესად“...

როგორც განხილულმა მასალამ აჩვენა, სვანურის დიალექტებში, ასევე ჩოლურულ მეტყველებაში მრავლად დასტურდება უბრალოდამატებითდამოკიდებულიანი რთული ქვეწყობილი წინადადებები. დიალექტებს შორის არსებითი სხვაობა არ შეინიშნება, თუ არ ჩავთვლით ღენ მაწარმოებლის შემცველ დამოკიდებულ წინადადებებს, რომელსაც ჩოლურულში „თუ“ მაქვემდებარებელი კავშირის სემანტიკა აქვს, განსხვავებით სხვა დიალექტებისაგან (ბალსზემოურში, ლენტეხურში და ლაშხურში, ხოლო ბალსქვემოურში აღნიშნული მაწარმოებელი არ დასტურდება), სადაც მისი ფუნქცია დროთა განმავლობაში დაკარგული ჩანს.

§ 11. განსაზღვრებითდამოკიდებულიანი ჰიპოტაქსური წინადადება

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება, როგორც ცნობილია, რაიმე ნიშნის მიხედვით ახასიათებს ან განსაზღვრავს მთავარ წინადადებაში სახელით გამოხატულ წევრს, ან გადმოგვცემს აღნიშნულ წევრთან განსაზღვრებად დაკავშირებული მისათითებელი ნაცვალსახელის კონკრეტულ შინაარს.

განვიხილოთ განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება სვანურის ყველა დიალექტის (მათ შორის ჩოლურული მეტყველებისა და ლახამულური კილოკავის) მონაცემთა გათვალისწინებით. მაგ.:

მაგუაღუაღ ესერ მიჩემდ პატიუ ხადენა, ეჩთან ესერ მიჩა გეზალსრ ჟ'რუ ესდე (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 274) „როგორ პატივშიც შენ მყავდიო, ისეთი პატივი ჩემს შვილსაც ეციო (ზედმიწ. – რა-გვარ-ი-ც-ო მისად პატივ-ი ნ-ა-დ-ებ-ა, იმისთანაო მის შვილსაც და-ა-დო-მცა)“

კალთაჲთეისგა ხოდისგ მურგუაღლ მანათს, **ხედუაჲს ხაჟხა ცხუიმიშ მგქაფ ი ქა ხაჰუდი ჭიქ გუეში არაყს** (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 175) „კალთაში უდებს მრგვალ მანეთიანს („მანეთ-ს“), რომელსაც ჰქვია გოგოს დასანიშნი ტყვიის მაგიერი და აძლევს ჭიქა სავსე არაყს“

ეჩეჩუ რრდი ეჭკაი მეგემ, **ხედსრ თხუმ ლგკანკულე ხერი** (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 36) „იქ იქნება ისეთი („ის-ყალიბ-ი“) ხე, რომელსაც თავი მოკაკული ექნება“

მელაბუიუ ხაჟახა ეჯ მარას, **ხედუაჲ ლაჯეხოლი სკუებინ ჩემიშდ ხუნკუი** (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 76) „შემხვედრი ჰქვია იმ კაცს, რომელიც პირველი შეგხვდება წინ (ზედმიწ. – რომელიც შეგხვდება წინ ყველასად ადრე)“

მეზუბელდ ეჭკაჲ მაღენა ლახსაყუდრე, მაჲ მიჩჯნის გარ ხოხაღლდა (ჩოლ.) „მეზობელმა იმისთანა („ის-ყალიბ-ი“) რაღაცა წამოაძახა, რაც მხოლოდ მისიანმა იცოდა“ და ა. შ.

ქართველურ ენებში განსახილველი დამოკიდებული წინადადება, როგორც ცნობილია, არაერთგვაროვან სურათს გვიჩვენებს. სამეცნიერო ლიტე-

რატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, „ჰანურისათვის უჩვეულოა განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება", რაც არნ. ჩიქობავას აზრით, სავსებით გასაგებია, ვინაიდან „რომელიც" სიტყვით დაკავშირებული წინადადება ქართულშიც წიგნური წარმოშობისაა და ხალხურ მეტყველებას არ ახასიათებს. მისი დაკვირვებით, ნაწილობრივ მსგავსი ვითარებაა სვანურშიც, თუმცა ამ მხრივ ზემოსვანურსა და ქვემოსვანურ დიალექტებს შორისაც არსებითი სხვაობა შეინიშნება (ჩიქობავა 1936: 184).

როგორც მრავალფეროვან სვანურ დიალექტოლოგიურ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, ქვემოსვანური დიალექტები, ზემოსვანური დიალექტებისაგან განსხვავებით, განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში მიმართებითი ნაცვალსახელის გამოყენებას ანიჭებენ უპირატესობას. განსხვავებაა თვით ზემოსვანურ დიალექტებს შორისაც. უნდა ითქვას, რომ ხედუშა „რომელიც" წევრ-კავშირის გამოყენებას დამოკიდებულ წინადადებაში ბალსქვემოური აშკარად თავს არიდებს (იშვიათად გამოყენებისას კი უნაწილაკოდ გამოხატავს მიმართებითობას), რითაც იგი მკვეთრად ემიჯნება სხვა დიალექტებს, მათ შორის ჩოლურულსაც, სადაც დასახელებული წევრ-კავშირი გაბატონებულია. მაგ.:

> მი ეჭკალიბ ჭაშ მირდა, ხედი სამ ზაუ ხეკუნეს ერე ჭ'ოხუინგლოუა (ბქ.) „მე ისეთი („ის-ყალიბ-ი") მეუღლე მყავდა, რომელიც სამი წელი უნდა ვიგლოვო"
>
> მგლქტერის ესერ ალ ნაღუჭურ ეჯ უისგხენქ'ესერ ახწესენა, ხედი ესერ ლგლჰანთეასგა ომშყედელი (ბქ.) „მეწისქვილეს ეს ვაჟი იმ ვაშლისაგან ეყოლაო, რომელიც რუში ჩავარდაო"...

თუმცა პროზაულ ტექსტებსა და სვანური ენის ქრესტომათიაში ნაწილაკდართული ხედუშა წევრ-კავშირის გამოყენების იშვიათი შემთხვევები ბალსქვემოურშიც დადასტურდა. ესენია.:

ნიშანდ ეჯი ბადღუ ლახთონე, ხედუჰათე ჯი გაჴს შიდა (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 44) „ნიშნად ის ფუტურო ხე აჩვენა, რომელშიც თვითონ ქატოს ყრიდა“

ეჯ უსგარ ჩუაუ ოხშიდ, ხედუჰა ესერ ლგცთ'აშყეს, ეჯი ნომოუ ანკიდ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 55) „ის ვაშლები ჩამოყარეო, რომელიც წყალში ჩაიყრება, ის არ აიღოო (ზედმიწ. – ის ვაშლ-ებ-ი ჩამოყარამცა, რომელიცო წყლ[ის]კენ ჩავარდეს, ის ნუ-არმცა აიღო)“

კალთაჲთეჲსგა ხოდისგ მურგუჰალ მანაჲთს, ხედუჰაჲს ხაჟხა ცხუიმიშ მგქაფ ი ქა ხაჰუდი ჭიქ გუეში არაყს (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 175) „კალთაში უდებს მრგვალ მანეთიანს, რომელსაც ჰქვია გოგოს დასანიშნი ტყვიის მაგიერი და აძლევს ჭიქა არაყს“...

იგივეს ვერ ვიტყვით ჩვენ მიერ საველე პირობებში მოძიებულ ემპირიულ მასალაზე, სადაც აღნიშნული ჰიპოტაქსური წინადადებები ან უკავშიროდ გვევლინება, ან სხვა მიმართებითი ნაცვალსახელები (ესუა, ერუა, მა „რომელიც“ და ა. შ.) ენაცვლება. მაგ.:

ესღრი, ესღრი ი სგაიდ ლახხუიდდ ეჯ მარე, ე, მიჩა მუხუბეს ოთღორუე (ბქ.) „მიდის, მიდის და ისევ შეხვდა ის კაცი, ე, მისი ძმა {რომ} მოატყუა (ზედმიწ. – მის ძმას მოატყუა)“

არდახ ეშხუ მეჩი ხეხუ-ჭაშ, ესუაჲს მამაგუეშ ხაბადგნდახ ეშხუ ქათალგნქა (ბქ.) „იყვნენ ერთი მოხუცი ცოლქმარი, რომელთაც არაფერი ებადათ ერთი ქათმის გარდა“

ლიმზგრ ჩუ ხედუჰაში ეჯ მეზგა, მა მეზგაისგა ზურალ ჩუ იღუჟალ (ბქ.) „ლოცვა ჩაეშლება ხოლმე იმ ოჯახს, რომელ ოჯახშიც ქალი იმშობიარებს“...

სვანურში განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში დამოკიდებულის მთავართან შესაერთებლად გამოიყენება მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქციის მქონე შემდეგი მიმართებითი ნაცვალსახელები (ხედუჰა||ხედუჰაი||ხედუჰ||ხედუჰაი||ხედჩ||ხედი „რომელიც“, ერუჰ||ერუჰაი||ერუჰაი||ერუჰაი||ერუა||ალჩ „რომელიც, ვინც“, ეშუჰაი||ესუჰაშ „ვისიც“, ესუა „რომელსაც, ვისაც“, მა||მაი „რაც“, მაზუმჩ||მაზუმუჰაი||მაზუმუჰაი||მაიზუმჩ||მაზუმჩ||

მაზუ „რამდენიც, რამხელაც“, უოშაი||უოშუაი||უოშა||ოშ„რამდენიც“, მახუაიუაი||მახუაი „რამდენიც“, მაკაი||მაკაი||მაკაიბი||მაკაუაი||მაკალიბ||იმკალიბ||იმკალი||იმკაი||იმკაი||იმკაიუაი||იმკაიბი „როგორიც“, მაგუაიუაი „როგორიც“, იმუაჟი||იმუაიჟი „როგორც“... სხვადასხვა ბრუნვის უთანდებულო და თანდებულიანი ფორმით), მიმართებითი ზმნიზედები (იმეი||იმაიჩუ||იმეჩუ „სადაც“, იმხენ||იმხენი||იმხენუაი||იმხენქაი „საიდანაც“, იმაიხო „საითკენაც“, შომა||შომაი||შომუაი||შომაუაი||შომას||შომასი „როცა“) და მაქვემდებარებელი კავშირი – ერე||ერ||ე „რომ“...

საილუსტრაციო მასალა:

გაცხაიდ, ამე'სგა მაიდ არია ეჯი დინ'ე, ხედუაიი ლათხელს მინს ხარხ დეშდსემი ზაი (გზ., სვან. ქრესტ., 1978: 169) „მართლაც, ამაში არ არის ის გოგო, ე, რომლის ძებნაშიც მათ ცამეტი წელი გაატარეს (ზედმიწ. – ცხად-ად, ამაში არ არის ის გოგო, ე, რომლის ძებნას მათ აქვთ ათასამ-ი წელი)“

მაჩენე ნაკუარუ ეშუაიშ ლასუ, ქა მგსრეი ეჯ კათ ლასუ ი ლესრა ჰარაყ ხად ლეყდი (გზ., სვან. ქრესტ., 1978: 35) „ყველაზე კარგი ნასროლი ვისიც იყო, გამარჯვებულიც ის ხალხი იყო და წაგებულს არაყი უნდა ეყიდა“

მინე ქორს ესერ ეჯკალიბ კუაიმუ ესრზიხ ლეზგრჟინ, იმუაიჟი ალ ი ალ ლგფშირ მეზგ'ესრზი! (გზ., სვან. ქრესტ., 1978: 28) „თქვენს სახლს იმისთანა კვამლი აუვიდესო სახურავზე, როგორც ამა და ამ მრავალრიცხოვან ოჯახს ასდის (ზედმიწ. – მათ სახლსო ის-ყალიბ-ი კვამლ-ი-მც ასდით სახურავზე, როგორც ამა და ამ გამრავლებულ მოსახლეს ასდის!)!“

შუკუჟი ალ დაუ ლახხუიდდახ, ა, ერუად|ერუაიდ მინე მუ ადდაუშე (ბქ.) „გზაში ეს დევი შეხვდათ, აი, ვინც მათი მამა დაღუპა („დაა-შავ-ა“)“

ლიმზგრ ჩუ ხედუაში ეჯ მეზგა, მა მეზგაისგა ზურალ ჩუ იღუჟალ (ბქ.) „ლოცვა ჩაეშლება ხოლმე იმ ოჯახს, რომელ ოჯახშიც ქალი იმშობიარებს“

ეჩანღო ანჯად ეჯი ჭყინტ ი ჩუადგე ეჭკაიბ ქორალ, იმკაიბი მეფესი მრ ხუღუან (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 71) „მერე მოვიდა ის

ბიჭი და ააშენა იმისთანა („ის-ყალიბ-ი“) სახლი, როგორიც მეფესაც არ ჰქონდა“

ჳოშა ჳედ ლოქ ალ წერექჳს ხაბგდენა, ეჩშელდ ზაჲაჳ ლოქ ხარი ჳმზიგპრად! (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 38) „რამდენი წვეთიც ამ თომს დასხმია, იმდენი წელი გეცოცხლოსო ტკივილის გარეშე!“

ჲეშმპ ლეჟაშხენ ალმპზლი ქჳეყანპჲ ლპშენპჳიხენ, ხედჳპჲ კერეტპნჟი ხპსკურენა (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 295) „ეშმა ზემო მხრიდან მოდიოდა თურმე ქვეყნის აყვავებიდან, რომელიც ზღაპრულ ტახზე („კერატ-ზე“) მჯდარა“

საქართჳელოჲსა დემე პრი ჯინიხდ ამზუმ პდგილჟი, მაზუმჳპჲ ლენტეხას (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 290) „საქართველოში არსად არის ერთად იმდენი ხე-ტყე, რამდენიც ლენტეხში“

ეჭკპჲ ლადეღ ოსატყუფ, მაკპიბრ ხეშგდრლ ამჟი მგპლპნტუნეს (ჩოლ.) „ისეთი („ის-ყალიბ-ი“) დღე დავაყენე, როგორიც ეკადრებოდა ასე მოტლიკინეს“

ეჯშელდს აჯტიხჳნიხ ეჯრ ღოშტ, მახჳპჲაჳპჲა||მახჳპჲრ ხაგდგნხ ისგუეარს (ჩოლ.) „იმდენს დაგაბრუნებინებთ ისიც უკან, რამდენიც თქვენებს ემართათ“ და ა. შ.

სხვა ქართველური ენების მსგავსად, სვანურშიც განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებებში წევრ-კავშირებად იშვიათად, მაგრამ მაინც შეიძლება შეგვხვდეს მიმართებითი ზმნიზედები. მაგ.:

აჩად, იმგუა ითხუპრ, ეჯ პდგილთე (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 102) „წავიდა, სადაც ნადირობს, იმ ადგილას“

აშხუ ლადეღ, შომპჲა ლანპდირთ'ესღგრდახ, ამნემ ხექე მიჩა მუხუბა (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 44) „ერთ დღეს, როდესაც სანადიროდ მიდიოდნენ, ამან უთხრა თავის ძმას“

ეშიეში ეჯი ლეცხეკს ლახპგან, იმეჲ დესა ითხრლ გუიჯრა (ლშხ.) „მაინცდამაინც იმ ტყეს მიადგა, სადაც არ იშოვებოდა წაბლის ხე“

ეჩქას ჭიმკპრ ღგრიხ ლოქ ჯოდიპჲა ლახჳპრხო, ეჭკპლი პგიხო, იმპჲიჩუ მარე დემ სიპ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 70) „მაშინ ჭინკები წავლენო ხოლმე შორეულ მთაში, ისეთ ადგილას, სადაც ადამიანის ნასახი არ არის“

შომაუ̈ა მაშენე მაწგხ თეთრ, ეჯ ზაი მეყრენი ჩიხენ კუანტ (ჩოლ.) „როცა ყველაზე მეტად მჭირდება ფული, იმ წელს მემართება ყველა მხრიდან ცუდი“

ხალმოშ ესჭომდახ {ეჯი} ქორთე, ბეფში ლიკილი იმხენრ ისმრლ (ჩოლ.) „ჩქარა გარბოდნენ იმ სახლისაკენ, ბავშვის კივილი საიდანაც ისმოდა“ და მისთ.

განსაზღვრებითდამოკიდებულიანი ქვეწყობილის მთავარ წინადადებაში მისათითებელ სიტყვებად გვხვდება ჩვენებითი ნაცვალსახელები, რომლებიც საზღვრული წევრის თანხლებით დასტურდება: ეჯი||ეჯ||ეი||ეჩი||ეც „ის, ამ“, ალე||ალა||ალ „ეს, ამ“, ეჯკაი||ეჭკაი||ეჭკალიბ||ეჯკალიბ||ეკალი||ეიკაი||ეიკალი||ეჯგუარ||ეჯგუარ||ეჯთან||ეჯჟიშ||ეჩითან „ისეთი, იმისთანა“, ეჯიმაგ||ეჯიმაგ||ეჯმაგ „იმდენი“, ეჯზუ||ეჯზუმ||ეჩზუმ||ეჯზუმაში||ეჯშელდ|ეჩშელდ „იმდენი, იმხელა“... მაგ.:

ხედუაი ფეკუნა ლიცს ჟეღშალ ᲂგთრე, ეჯ ფეკუნას ჩუადგარი, ხედუაი ერე მანგარშალ ᲂგთრე, ეჩის (/ეცს) ჩუ იცურე ი ჟი ირრდი (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 80) „რომელი ლეკვიც წყალს ძაღლივით სვამს, იმ ლეკვს კლავს, რომელიც საქონელივით სვამს, იმას იტოვებს და ზრდის“

სგა ლახხურდხ ალ მარა, ხედუაიხან მიჯნემ ალ გუეშ ანთონე ი ლოხბინე ამნემ ლიღუჭარაწლ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 224) „შეხვდნენ ამ კაცს, რომლისგანაც თვითონ ეს საქმე ისწავლა და დაუწყო ამან ვაჭრობა“

საქმე გარჩეუათე ხეთხელიხ ეჯკაი მარას, ერე ხედისი ერე სისწორე ხოხალ, იშგენ – დენსმა (ჩოლ.) „საქმის გასარჩევად ეძებენ ისეთ კაცს, რომელიც სამართლიანია („სისწორე იცის“), სხვა – არაფერი“

ეჯზუმაში გიმარ გუღუა შუანს, ერე დესა ხუიდ ქა მუცურე (ჩოლ.) „იმხელა მიწები გვაქვს სვანეთში, რომ არ ვაპირებთ მიტოვებას“

ეჯჟიშ ხილ ანღგრდა ეჩეჩუ, ხედუაი დალს დემეგ..., ეჯ ხილი გამი ჩუ მაშყიდ, ათხეი ჩუ მაშყიდ ეჯ ხილიშ გამ (კოდ. ტექსტ.) „ისეთი ხილი ხარობდა („მოდიოდა“) იქ, რომელიც კოდორის ხეობაში არ {ხარობდა}..., იმ ხილის გემოც მახსოვს, ახლაც მახსოვს იმ ხილის გემო“

ალას უოშუჴად ბინტყილ ხად, ეჩშელდ ნუკუი ლეზრბ-ლეთრე იმარი ტაბაგჟი (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 264) „ამას რამდენი ბურტყლიც ჰქონდა, იმდენნაირი საჭმელ-სასმელი მზადდება მაგიდაზე“

ქუეყანაჟი დარ იზბი ეჯიმაგ ნაქაშ ბალხარს, მაიზუმსუჴი შუანარ თერხ ი იზბიხ (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 247) „არსად („ქვეყანაზე“) არავინ ჭამს იმდენ გარეულ ბალახს, რამდენსაც სვანები ცნობენ და ჭამენ“ და ა. შ.

სვანურში დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა მთავარ წინადადებაში არაა წარმოდგენილი ზემოაღნიშნული ნაცვალსახელები, რომელთაც კორელატის ფუნქცია აქვთ, თუმცა ისინი იგულისხმება და მათი აღდგენა კონტექსტის მეშვეობით სავსებით შესაძლებელია. ასეთ შემთხვევაში დამოკიდებული წინადადება განმარტავს, განსაზღვრავს მთავარ წინადადებაში არსებითი სახელით გადმოცემულ რომელიმე წევრს, რომელსაც საზღვრული წევრის ფუნქცია აქვს. მაგ.:

ახაგანხ სგა {ეჯ} მეზგაწლს, ხედუჴი ხეზგახ დაბდერს ჰოკერქა (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 33) „მიადგნენ {იმ} ოჯახებს, რომლებიც ცხოვრობდნენ დაბდერის ძირას“

მიშლადაღ ჟ'ახუღუჴრედ ქალაქისგა {ეჯზუმ} ჩაფგლ ი ბარდან, მაზუმუჴი ჲაშ ნაწხგნ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 80) „კვირას ვიყიდეთ („ვ-ი-ვაჭრ-ე-თ“) ქალაქში იმდენი ფეხსაცმელი და ქსოვილი, ვის რამდენიც გვჭირდებოდა“

{ეჯ} ზექროლ ლოქ, ხედუაისა ლგმარდელიხ, ჩუ ლოქ ამეხუერ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 323) „{ის} ხის სახლი, რომელშიც ყოფილან, დაინგრაო“...

სვანურის დიალექტებში განსახილველ ჰიპოტაქსურ წინადადებაში, უმეტესწილად, გამოიყენება ხედჲ (ლშხ., ჩოლ.)/ხედა||ხედი (ბქ.)/ხედუჴი (ბზ., ჩოლ.)/ხედიუჴი (ჩოლ.)/ხედუჴ (ლნტ.)/ხედუჴ (ლხმ.)/ხედუჴი (ლშხ., ჩოლ.) „რომელიც“ მიმართები ნაცვალსახელი, ძირითადად, მაშინ თუ მთავარში საზღვრულ წევრს ახლავს, ან იგულისხმება ეჯი||ეჯ||ეი „ის, ამ“,

ალე||ალა||ალ „ეს, ამ“ ჩვენებითი ნაცვალსახელები (ბალსქვემოურსა და ლახა-მულურ კილოკავში იშვიათად). მაგ.:

ამჩიქქა ეჯ მარე ანჭად, ე, ხედუჭიდ ბაპ ამჩუ აცურ ი ხჭქუ ბერაწლს (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 354) „ამდროს ის კაცი მოვიდა, ე, რომელმაც მღვდელი აქ დატოვა და ბერებს უთხრა“

ნიშნად ეჯი ბადღუ ლახთონე, ხედუჭითე ჯი გაჭს შიდა (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 44) „ნიშნად ის ფუტურო ხე აჩვენა, რომელ-შიც თვითონ ქატოს ყრიდა“

ხოლჩმდ ლოქ ხახლახ ეჯ უოჯახს, ხედიხენქჭი აგის ერ ასდენი, ჟი ლოქ ჭიყრეხ (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 75) „ცუდად ექცევიანო იმ ოჯახს, რომელი ოჯახიდანაც შინ რომ დარჩება [ვინმე], გადაასახლებე-ნო“

ალ სოფელჭლ, ხედუჭი სკუებნაუ ალშელდჭნედ, მაგ ეშხუ საზო-გადოებახიჩსკა ასხგრდახ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 11) „ეს სოფ-ლები, რომლებიც წეღან ჩამოვთვალეთ, ყველა ერთ საზოგადოებაში შე-დიოდნენ“

ქჭი ალ დინად ოთტიხ ღოშტ ნიშან, ხედიდი ოთპგლტაუე ლეჩჟგრი (ჩოლ.) „დაბრუნებითაც ამ გოგომ დაუბრუნა უკან ნიშანი, რომელმაც დაუწუნა სასიძო“ და მისთ.

აღნიშნული მიმართებითი ნაცვალსახელი ქვემოსვანურში იშვიათად მიემართება ეჭკაი „ისეთი“ კორელატის შემცველ მთავარ წინადადებასაც. მაგ.:

ეჩეჩუ ირდი ეჭკჭი მეგემ, ხედსი თხუმ ლგკანკულე ხერი (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 36) „იქ იქნება იმისთანა ხე, რომელსაც თავი მოკაკული ექნება“

ეჭკჭლი (/ეჯკჭლი) მეგამჭრს გარ იმაჯახ, ხედუჭის ლიც ხენწროლ ი ლაცურაუუშ ჭესდა (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 25) „ისეთ ხეებს ეზიდებოდნენ მხოლოდ, რომელსაც წყალი ერეოდა და მიაცურებდა“ და სხვ.

განსაზღვრებითდამოკიდებულიან ჰიპოტაქსურ წინადადებაში **ხედ** „რომელიც“ მიმართებითი ნაცვალსახელი სხვადასხვა ბრუნვისა და რიცხვის ფორმით გვხვდება. მაგ.:

სახ. ქ'ანჯად ეჯი მარე, **ხედ||ხედუჲი** სგობინ ხოჟოღუდახ (ჩოლ.) „გამოვიდა ის კაცი, რომელიც წინ მიუძღოდათ“

მოთხრ. შუკუჟინ ალ დაუ ლახხუიდხ-ა, **ხედუჲინემ** მინე მუ ადდაუშე (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 407) „გზაზე ეს დევი შეხვდათ, აი, რომელმაც მათი მამა დაღუპა („და-ა-შავ-ა“)“

მიც. უქმი მუკუშე მეზგე ... ქა იჴდა ზედმეტს ჲედ ლაძჲას, ჲედ ეშხუ საწურიან არაყს, **ხედისი** ქ'ახჭემნახ ლეთუნად ჩის (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 244) „უქმე დღეების გამტეხი ოჯახი იხდიდა ზედმეტს ან საკლავს, ან ერთ ჩარექა არაყს, რომელსაც ჩამოატარებდნენ და ყველას შესთავაზებდნენ ხოლმე (ზედმიწ. – რომელსაც გამოაყოლებდნენ დასალევად ყველას)“

ნათ. ქ'ახტულეხ მარას, **ხედიმიშ** ხოშა ხაჯრაუჩუნ (ჩოლ.) „დაუძახეს იმ კაცს, რომლისაც უფრო სჯეროდა“, შდრ. ბქ. **ესუჲაშ** ხოშილ ხეჯრაუანხ, ეჯ მარა ახტუილხ ქა „ვისიც უფრო სჯეროდათ, იმ კაცს დაუძახეს" და ა. შ.

ხშირად დასახელებული მიმართებითი ნაცვალსახელი გვევლინება თანდებულდართული, ვინაიდან იგი ხსნის მთავარში თანდებულიან საზღვრულს, თუმცა იშვიათად საზღვრული შეიძლება არ იყოს თანდებულიანი. მაგ.:

სგ'ანჩად **ეჯ ქორთესგა, ხედუჲათესგა** ხელწიფ ლასუ მეზი (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 220) „იმ სახლში შევიდა, რომელშიც ხელმწიფე უნდა შესულიყო („შევიდა იმ სახლ[ის]კენში, რომლ[ის]კენში **ხელმწიფე** იყო მსვლელი“)“

ბიქუ **ხედუჲახან** მრმ'ანღრი, **ეჯ** ფოყხან ხოშამ ჯრდი ჭერს დესგიხ ითქიშ ი უეკი ლაყულად (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 119) „საიდანაც ქარი არ შემოდის, იმ მხრიდან უზარმაზარ გრძელ ფიცარს დებენ მარცვლის და ბზის გასაყოფად“

ნიშანდ ეჯი ბადღუ ლახთონე, ხედუჭაითე[7] ჯი გაჭს შიდა (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 44) „ნიშნად ის ფუტურო ხე აჩვენა, რომელშიც თვითონ ქატოს ყრიდა“

ეჯ მურყუამ, ე, ხედუჭანსგა სგა ლაბსად მარე ი თათრალდ ლაღუმ ოხდეხ, ლადი ჩუ ლგგ ლახრი ლექუჭ პილს (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 1) „ის კოშკი, ე, რომელშიც კაცი შერჩა და თათრებმა ლაღუმი შეუდეს, დღესაც დგას ლახირის ბოლოს“...

სხვადასხვა ბრუნვის ფორმით შეიძლება შეგვხვდეს მაზუმი||მაზუმუჭა||მაზუმუჭაი||მაიზუმი||მაზუმი „რამდენიც, რამხელაც“ უოშაი||უოშუჭაი||ოშა „რამდენიც“ მიმართები ნაცვალსახელებიც, რომელთა გამოყენების თვალსაზრისით თითქმის ერთნაირი სურათი გვაქვს სვანურის ყველა დიალექტში. მაგ.:

მაზუმუჭა ხეკუად ღუინალ, ეჩზუმს ჯიდახ ქანენჩუნ ი ჩუ ითრახ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 82) „რამდენიც უნდოდათ ღვინო, იმდენი გამოჰქონდათ გარეთ და დალევდნენ ხოლმე“

ეჩანღო ეჯზუმ ხეკუეს ალაქუცად ჩუქანქა, მაზუმუჭაის ლალათერდ ფაყუჲაქდ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 32) „მერე იმდენი უნდა მოვაჭრათ ქვემოდან, რამდენსაც შევატყობთ საქუდედ“

უოშუჭაი ღენ ქუნ ამსუალდ ქორს ჯეყენრლ, ქა ხექუნინ მორგაუას ი ეჩშელდ დერუ სეფსკუერს ი ხგნსგა ჩარექაი ლეთრას ლაჯრდნა (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 10) „რამდენი ადამიანიც გეყოლებოდა ოჯახში, ეტყოდი ჩამომრიგებლებს და იმდენ ორ სეფისკვერს და ნახევარ ჩარექა სასმელს მოგცემდა“

ფურალე ლისელუე უოშაიშ ხაამედახ, ეჩშელდს გარ ირდუნეხ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 265) „რამდენი ძროხის რჩენაც შეუძლიათ, მხოლოდ იმდენს იყოლიებენ“

ალ მურყუამთეჟი უოშუჭაიდ მოშ მარე ხასკგდა, ეჩშელდს ჟი ღგრიხ... (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 215) „ამ კოშკზე რამდენი კაციც ეტეოდა, იმდენი ავლენ“

---

[7] აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დღევანდელი მონაცემების მიხედვით ხედუჭაითე'ს ნაცვლად ბალსქვემოელები ხმარობენ იმთეისგა „რომელშიც (ზედმიწ. _ საითკენში)“ ფორმას.

კარტოფილი ფათქს აბგრჯახ ეჯზუმს, მაჲზუმუჽი ხებაჯანხ ქა მარად (ჩოლ.) „კარტოფილის ორმოს თხრიდნენ იმხელას, რამხელაც სამყოფად მიაჩნდათ“

მაზუმუჽადჩ მარემი ქუინ ხოჯეშხ, ეჯზუმს იშგოხ წორსრ (ჩოლ.) „რამდენადაც უღირთ კაცის სული, იმდენს ითხოვენ სისხლის საფასურსაც“

უოშასჩ ღეიმედნა, ეჯშელდ მეშოკ გატს ხაცუემდა ჟი (ჩოლ.) „რამდენსაც შეძლებდა, იმდენ ტომარა ქატოს აჰკიდებდა ხოლმე“ და სხვ.

მიმართებითი ნაცვალსახელების (აგრეთვე, მიმართებითი ზმნიზედების) ფუნქცია რთულ ქვეწყობილ წინადადებაში არ შემოიფარგლება მხოლოდ მაქვემდებარებელ კავშირთა ფუნქციით, ისინი დამოკიდებული წინადადების წევრებსაც წარმოადგენენ და, ამასთანავე, სინტაქსურ კავშირს ამყარებენ წინადადების სხვა წევრებთან.

წევრ-კავშირად გამოყენებული მიმართებითი ნაცვალსახელი სინტაგმას ქმნის ზმნა-შემასმენელთან და მასვე უწევს ანგარიშს ბრუნვაში (ანუ იმართვის ბრუნვაში დამოკიდებული შემასმენლის მიერ). მიმართებითი ნაცვალსახელი სინტაქსურ კავშირშია, ასევე, მისამართ სიტყვასთან, მიმართებითი ნაცვალსახელი კი ხშირ შემთხვევაში ასახსნელ წევრს უთანხმდება რიცხვში. მათანხმებელი მისამართი სიტყვაა, შეთანხმებული – მიმართებითი ნაცვალსახელი. აღნიშნული სინტაქსური ურთიერთობა (რიცხვში შეთანხმება) საინტერესო და ამავე დროს სპეციფიკურია იმდენად, რამდენადაც მათანხმებელი და შეთანხმებული სხვადასხვა წინადადების წევრებია.

მიმართებითი ნაცვალსახელი (წევრ-კავშირი) მისამართ სიტყვას (ასახსნელ წევრს) უთანხმდება ფორმის მიხედვით (რიცხვში) ან აზრობრივად. ფორმის მიხედვით შეთანხმებისას წევრ-კავშირი იმავე რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი, რითაც მისამართი სიტყვა. ხოლო აზრობრივი, ანუ შინაარსობრივი შეთანხმებისას მისამართი სიტყვის მნიშვნელობაა გადამწყვეტი და

შესაბამისად მიმართებითი ნაცვალსახელიც ასახსნელ წევრს მნიშვნელობის მიხედვით უთანხმდება.

მიმოვიხილოთ როდის ან რა შემთხვევაში გვაქვს სვანურში მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის რიცხვში შეთანხმება.

თუ მთავარ წინადადებაში დამოკიდებული წინადადებით განსასაზღვრი სახელი მხოლობით რიცხვშია, მიმართებითი ნაცვალსახელიც მხოლობითშია. მაგ.:

> ათხ'Ამეჩუნ ანჯᲐდ **ალ ჭყინტ, ხედუჭᲐი** ერე ლი მიჩა გეზლᲐ ჭᲐშ ი ქ'Რხრნბუე (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 219) „ახლა ადგა („მოვიდა") ეს ბიჭი, რომელიც არის მისი შვილის მეუღლე და მოუყვა"
>
> ალ ლაჭუᲐმისკა Არი ეშხუ უოქჟრე **ხᲐტ, ხედუჭᲐისა** ხახატაუა იესო ქრისტე ი მიქელ გაბრიელ თაუარანგელოზᲐრ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 295) „ამ ეკლესიაში არის ერთი ოქროს ხატი, რომელსაც ახატია იესო ქრისტე და მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზები"
>
> **ეჯკᲐლიხ პᲐტიუ** ხᲐყერ, მᲐკᲐლიხ უᲐრგს ხეშგდიუ (ბქ.) „იმისთანა პატივი სცა, როგორიც ბატონს ეკადრებოდა"
>
> **ეჭკᲐი ლეზოხ ანმᲐრე, მაკაიბი** ხამქადგნ ნამგზᲐრაუ ღუაჟარდ (ჩოლ.) „ისეთი საჭმელი მოამზადა, როგორიც ემეტებოდა ნამგზავრი კაცებისთვის"და სხვ.

როდესაც განსასაზღვრი სახელი სულიერი, ცოცხალი საგნის აღმნიშვნელია და მრავლობით რიცხვშია, მრავლობითშია მიმართებითი ნაცვალსახელიც სვანურის თითქმის ყველა დიალექტში. მართალია, სვანურ პუბლიკაციებში მსგავსი მაგალითები არ დადასტურებულა, თუმცა ცოცხალ მეტყველებაში იშვიათად, მაგრამ მაინც ფიქსირდება. მაგ.:

> ხოჩა ლუმუჭ ჯანარ ი **ხოჩა ჯანარ, ხედიარი** ერე ხოშა თაუარ ლიხ, ღოშგმᲐუ აგნეხ მახურენე ჯანილარს (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 224) „კარგი რქიანი ხარები და კარგი ხარები, რომლებიც რომ მთავარი არიან, უკან მოიტოვებენ ხოლმე უმცროს ხარებს (ხედმიწ. – უკან ა-დგ-ამ-ენ ყველაზე პატარა ხარ-უკ-ებ-ს)"

მახუაინ ოთჴგრენ ეჭკაი ჯრდი ლეთკუარაწლიჯ ემჟოღუბან, ემზუმუარ ზაურის ოხყიდა ქუთაშ (ჩოლ.) „რამდენჯერ შევეხვეწე ისეთი გრძელი სათოკეები გამომიყოლე-მეთქი, როგორებიც ზაურის უყიდია ქუთაისში“

ჟ'ეხთიშ {ეჭკაი} ლერქუალ, მაკაიბარ ციციდ ეჯქებინე (ჩოლ.) „აარჩიე {ისეთი} ტანსაცმელი, როგორებიც ციციმ გიქო“...

სგა ლამხუიდდახ სოფლიშ ბოფშარ, ხედოლუს მი ხუეთხელიდას (ბქ.) „შემხვდნენ სოფლის ბიჭები, რომლებსაც მე ვეძებდი“

ხოჩა სიმაქარ ი მახელუაჟარ, ხედოლუ ხოშილ თერგნხ სოფელისგა, მაგ ლგწსე ლასუხ ქუერწილთე (ბქ.) „კარგი გოგო-ბიჭები, რომლებიც უფრო გამოირჩეოდნენ სოფელში, ყველანი დაპატიჟებული იყვნენ ქორწილში“

ხოჩა ჴანარ, ხედოლუ ხოშა თაუბარ ლიხ, ღეშგმაუ აგნებ მაჰენ ჴანილდარს (ბქ., ლახამ.) „კარგი ხარები, რომლებიც მთავარი არიან, უკან მოიტოვებენ ხოლმე უმცროს ხარებს (ზედმიწ. – უკან ა-დგ-ამ-ენ ყველაზე პატარა ხარ-უკ-ებ-ს)“ და ა. შ.

უსულო საგნის აღმნიშვნელი განსასაზღვრი წევრი მრავლობითშია, მიმართებითი ნაცვალსახელი მხოლობითშია სვანურის ყველა დიალექტში. მაგ.:

ამჟინ ახჭიმხ ეჯ მეზგაწლს, ე, ხედუბაბანქა ნაქუთარ ბარგ ხუღუებ (გზ.. სვან. ქრესტ., 1978: 19) „ასე დაყვებიან იმ ოჯახებს, ე, საიდანაც მოპარული ნივთები აქვთ“

ჩუადგე ეჭკაიბ ქორალ, იმკაიბრ მეფესრ მრ ხუღუბან (ლშხ.. სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 71) „ააშენა („ააგო“) იმისთანა სახლები, როგორიც მეფესაც არ ჰქონდა“

ალ სოფელაწლ, ხედუბაი სკუებნაუ ალშელდანედ, მაგ ემხუ საზოგადოებახიჩკა ასხგრდახ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 11) „ეს სოფლები, რომლებიც წეღან ჩამოვთვალეთ, ყველა ერთ საზოგადოებაში შედიოდნენ“...

გვაქვს შემთხვევები, როდესაც უსულო საგნით გამოხატული განსასაზღვრი წევრი ითანხმებს რიცხვში მიმართებით ნაცვალსახელს. მაგ.:

ამჟი ახჭიმდახ ეჯ მეზგოლს, ხედოლუხენქა მოლაგუაშ ენჭინდახ (ბქ.) „ასე მოყვებოდნენ იმ ოჯახებს, რომლებისგანაც რაღაცას მოელოდნენ“

ქა ლეცურე ხადახ ეჯ სოფლარ, ხედიარსი ჟაიოშ ხენტუნებ (ჩოლ.) „მისატოვებელი გაუხდათ ის სოფლები, რომელთაც ზვავიანობა ემუქრება“

ქა ტეხე ეჯ ნაგერგალარს, ხედიარუში ეშხუნარ ხარცხუნე ხალხს (ჩოლ.) „მოიტანს („დააბრუნებს“) იმ ნალაპარაკევებს, რომლითაც ერთმანეთს მიაწყვეტს ხალხს“ და სხვ.

როდესაც მთავარ წინადადებაში განსასაზღვრ წევრს მსაზღვრელად ახლავს რაოდენობის გამომხატველი რიცხვითი სახელები (ხუნა „ბევრი“, მაძხუი „ცოტაოდენი“, ჭუეყანა „უამრავი“, ქოყანამაგ „მრავალი“...), ძველი ქართულის მსგავსად, საზღვრული (ამ შემთხვევაში მისამართი სიტყვა) შეიძლება მხოლობითშიც იყოს და მრავლობითშიც, ხოლო სვანურში მიმართებითი ნაცვალსახელი მრავლობით რიცხვში იქნება. მაგ.:

ჩ'ოსწუნენ ქოყანამაგ ბოფშარ, ხედიანრსი ნაქუთარ უისკულარ ხოყდანანხ (ჩოლ.) „დავინახე უამრავი ბავშვები, რომელთაც მოპარული ვაშლები ეჭირათ“

აშყუდუდახ მაძხუნი ზურლალ, ხედიარდუნი ოთბაცეხ სგობნე ლადეღ ლიმურჯი (ჩოლ.) „რამდენიმე ქალი რეცხავდა, რომლებიც შეპირდნენ წინა დღეს დახმარებას“

ჟი ლუზურე ლას ხუნა ზურლალ, ხედიარდი ხოლა მრმან ანსყეხ (ჩოლ.) „შეგროვილი იყვნენ ბევრი ქალები, რომლებმაც ხმაური ატეხეს“, თუმცა ბალსქვემოური ამ შემთხვევაშიც არღვევს რიცხვში შეთანხმების საკითხს [შდრ. ბქ. ჟი ლუნჭურე ლასუხ მასარდ ზურალარ, ერუნად მერმესობ ანსყეხ „შეგროვილი იყვნენ ბევრი ქალები, რომლებმაც ერთი ამბავი ატეხეს“].

ხშირად განსასაზღვრი წევრი კომპოზიტს (ე. წ. ტოლადშერწყმულ სახელს) წარმოადგენს, ამ შემთხვევაში მიმართებითი ნაცვალსახელი ხან მრავლობითშია, ხან მხოლობით რიცხვში. მაგ.:

მაგ ხეტბიდალ ეჯი ასუიშ-ნიბაშილს, ხედიარრ ნათი-მგნათას ხედდებხ (ლშხ.) „ყველა ეფერება იმ გათხოვილ ქალებს და მათ შვილებს, რომლებიც ნათესაობის სახელზე ლოცულობენ“

ჟი ლოქ ახითხ გუშკუე დედე ი მამა, ხედუაიდ ერე ნა მაშენე კლათხი სემი კოჯჟინ აგუცუირხ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 305) „მოძებნეო ჩვენი დედა და მამა, ვინც ჩვენ ყველაზე მაღალ სამ კლდეზე დაგვტოვა“

არდახ ეშხუ მეჩი ეხუ-ჭაშ, ხედუაის მინე ბედჟი მადმა ხებადაუნდახ ეშხუ ქათალსერ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 328) „იყო და არა იყო, იყო ერთი ცოლ-ქმარი, რომელთაც ერთი ქათმის მეტი არაფერი გააჩნდათ („ებადათ“)“

ლახმუშგურენახ ეჯ დი-გეზალ, ხედიარსუაი ღოშგინ ლგფეთე ხალხ ხაჭმა (ჩოლ.) „ესტუმრათ თურმე ის დედა-შვილი, რომელთაც უკან დაბეზღებული ხალხი მოყვებოდათ“...

განსაზღვრებით დამოკიდებულ ჰიპოტაქსურ წინადადებაში მიმართებითი ნაცვლასახელი არ შემოიფარგლება მხოლოდ კავშირის ფუნქციით, ის შეიძლება წინადადების სხვადასხა წევრის ფუნქციით მოგვევლინოს, მათ შორის ყველაზე ხშირად ქვემდებარისა და უბრალო დამატების ფუნქციით დასტურდება. მაგ.:

ათხ'ამეჩუნ ანჭად ალ ჭყინტ, ხედუაი ერე ლი მიჩა გეზლა ჭაშ ი ქ'რხრნბუე (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 219) „ადგა („მოვიდა“) ეს ბიჭი, რომელიც მისი შვილის მეუღლეა, და უამბო“

ლახუისგა ეჯი მეთხუარს ხეწად, ერუად მიჩა თუეფ ედქუით (ბქ.) „მთაში ის მონადირე დაინახა, რომელმაც მისი თოფი მოიპარა“

ეშიეშრ ეჯი ყრრს ხოძგარ, ხედრ დემ იკრენრლ (ჩოლ.) „მაინცდამაინც იმ კარს დაეტაკა, რომელიც არ იღებოდა“

ამ დურეს ბეფშ, ხედუაი ლიცხოდსა ადაკუარხ ფუსტე ხოშა ლათეელეღგრდ, ჟ'ახახეიდა მულეგუერის ი ჟ'ანირდე (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 259) „ამ დროს ბავშვი, რომელიც წყალში ჩააგდეს ბატონის უფრისმა რძლებმა, მეწისქვილემ იპოვა და გაზარდა“ ...

ყორქა ლაზჟი დადა ხეწად ხემწიფეშ ხეხუს, ხედუაის ერე მაგ ნაშხუს ხატბგნა (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 49) „გარეთ გასვლისას მოხუცმა ქალმა დაინახა ხელმწიფის მეუღლე, რომელსაც ყველა აფურ-

თხებდა (ზედმიწ. – კარში გასვლისას ბებია{მ} დაინახა ხელმწიფ-ის ცოლს, რომელსაც რომ ყველა ნაფურთხს აფურთხებდა)"

ათხე ალე ქაქაოზ მეფედ ენმეკრე, ხედისი როსტომ ხემსახურდა (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 118) „ახლა ეს {იმ} ქაქაოზ მეფემ გაიგო, რომელსაც როსტომი ემსახურებოდა"

ამჟინ ახჭიმხ ეჯ მეზგჲლს, ე, ხედუჲაიხჲნქა ნაქუთარ ბჲრგ ხუღუეხ (გზ., სვან. ქრესტ., 1978: 19) „ასე მოყვებიან იმ ოჯახებს, საიდანაც აქვთ მოპარული ნივთები"

ალ ლაჯუჲამისკა ჲრი ეშხუ უოქურე ხჲტ, ხედუჲაისა ხახატაუა იესო ქრისტე ი მიქელ გაბრიელ თაუარანგელოზჲრ (გზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 295) „ამ ეკლესიაში არის ერთი ოქროს ხატი, რომელსაც ახატია იესო ქრისტე და მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზები"

კიბდონისა ხაშხუნენა ეჯი ხანჯალ, ხედინრუში უარგს ოხხანეხ ყია (ჩოლ.) „კიდობანში ჰქონია შენახული ის ხანჯალი, რომლითაც ყელი გამოღადრეს ბატონს"და მისთ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსაზღვრებითდამოკიდებულიან ქვეწყობილ წინადადებაში, ზემოსვანური დიალექტები Ერუჲი||Ერუჲიდ||ერუჲა||ესუჲი||ესუჲ „ვინც" მიმართებით ნაცვალსახელს ანიჭებენ უპირატესობას (რომელიც სხვადასხვა ბრუნვის უთანდებულო და თანდებულიანი ფორმით დასტურდება), განსხვავებით ქვემოსვანური დიალექტებისაგან, სადაც განსაზღვრებითდამოკიდებულიან ჰიპოტაქსურ წინადადებაში, აშკარად, დომინირებს ხედუჲი „რომელიც" მიმართებითი ნაცვალსახელი. მაგ.:

ერუჲი მარემი ნადგარუ ლასუ ი ამსუალდა ზისხ ხეცუმან, ეჯ მარე აშხუ ზაუ დეშ აბდაუდა ლაჯუჲამთე ლიზის (გზ., სვან. ქრესტ., 1978: 40) „ვინც მკვლელი იყო და ადამიანის სისხლში ჰქონდა ხელები გასვრილი, ის ადამიანი ერთი წელი ვერ ბედავდა ეკლესიაში შესვლას (ზედმიწ. – ვინც კაცი{ს} ნაკლავი იყო და ადამიანი{ს} სისხლი ეცხო, ის კაცი ერთი წელი ვერ ბედ-ავ-დ-ა სალოცავ{ის}კენ სვლას)"

ესუჲი ლაღობ ხრგ, ეჯ მეზგა წაქაშ, წერქუჲშ ი მუგული ლიჰუდი მად ხოშიდ (გზ., სვან. ქრესტ., 1978: 30) „ვისაც ფუტკარი ჰყავს, იმ ოჯახს წაქას, თომის და კვარის გაცემის უფლება არ აქვს"

მეხოლ ხაჟხა ეჯ მარა, ერუა ლეჯხოლი სგუებინ ჩიმიშდ ხონკუი (ბქ.) „შემხვედრი ჰქვია იმ კაცს, ვინც ყველაზე პირველი შეგხვდება წინ“

შუკუჟი ალ დაუ ლახხუიდხ, ა, ერუად||ერუაჲდ მინე მუ ადდაუშე (ბქ.) „გზაზე ის დევი შეხვდათ, აი, ვინც მათი მამა დაღუპა („და-ა-შავა“)“

თანაფ ჰამს ქორაშ ხოშა ზურალ, ესუა ხოლა თემი ლიმზგრ ჩუ ხოხალ, ჟი იგნალ მამლაშ ლიყგლალჟი უშკუშუნდ (ბქ.) „აღდგომა დილას ოჯახის უფროსი ქალბატონი, ვინც ცუდი თვალის საწიინააღმდეგო შელოცვა იცის, ადგება ხოლმე მამლის ყივილისას უხმოდ“

არდახ ეშხუ მეჩი ხეხუ-ჭაშ, ესუაჲს მამაგუეშ ხაბადგნდახ ეშხუ ქათალგნქა (ბქ.) „იყო ერთი მოხუცი ცოლ-ქმარი, რომელთაც არაფერი გააჩნდათ ერთი ქათმის გარდა“

სგა ლახხუიდხ ეჯ მარა, ესუაჲშხენქა ჯინემდ ალ გუეშ ენთონე (ბქ.) „შეხვდნენ იმ კაცს, ვისგანაც თვითონ ეს საქმე ისწავლა“

ტკისდ ამეისგა მად ბრია ეჯი დინა, ე, ესუაჲშ ლაუთხელის სემი ზაჲ ხარხ (ბქ.) „მართლაც ამაში არ არის ის გოგო, ე, ვისაც სამი წელი ეძებენ“ და სხვ.

როდესაც წევრ-კავშირის ფუნქციით ჲერუაჲ „ვინც“ მიმართებითი ნაცვალსახელი გვხვდება, ქართულის მსგავსად, სვანურშიც აღნიშნული წევრ-კავშირი ერთნაირად მიემართება მხოლობითსა თუ მრავლობით რიცხვში დასმულ განსასაზღვრ წევრს. მაგ.:

ნეჯდარშუ დაბარისგა ჲგრმეჲდახ ეჯ ნაპრლარს, ე, ერუაჲ მეგამჟინ დემ ხეგნიხ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 125) „კაკანათებით ყანებში იჭერდნენ იმ ჩიტებს, ე, რომლებიც ხეებზე არ დგებიან“

ამკალიბ მგსმინალა ლუაჟარსი ხეყადხ, ჲერუაჲ ხოშა მენშგუე ლასუხ, ეჯჲარს (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 26) „ასეთი დამბეზღებლები მამაკაცებსაც ჰყავდათ, ვინც უფრო სუსტი ნებისყოფის („რბილი“) იყვნენ, იმათ“

მანკუ ეჯი ბეფშუ ანთიშნე, ერუა არჩეუანს რექინე (ბქ.) „პირველად ის ბავშვი აირჩევს, ვინც არჩევანს იტყვის“

აშხუ ლადეღ ლეხშყადხ მიჩა ჯუინელ აფხნეგარს, ერუა ლითურის ქ'ათყეჩახ, ეჯარს, ი ომჩედელიხ მინე ჯუინელ აფხნეგიშ ლაუთხელითე (ბქ.) „ერთ დღეს გაახსენდათ მის ძველ ამხანაგებს, ვინც

სწავლას თავი დაანებეს, იმათ, და წასულან თავიანთი ძველი ამხანაგის საძებნელად“

ჟ'ანხორიელანხ ლგთიშ ჰკუუჱერ ღუაჟარ, ეჯკჭალჱარ, ერუჭჱი ფედიჭჱშ ლასხ გიორგიჱშ ი დჭუითი ოჯახჭრეშ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 50) „შეიკრიბნენ გამორჩეული ჰკვიანი კაცები, ისეთები, ვინც გიორგის და დავითის ოჯახის ახლობლები იყვნენ“...

როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში წევრ-კავშირად დასტურდება მჱი (ბზ.)/მჳ (ბქ.)/მჱი (ლშხ., ჩოლ.) „რაც“ მიმართებითი ნაცვალსახელიც, რომელიც ბალსქვემოურ დიალექტში მიმართებითობას უნაწილაკოდ გამოხატავს, ხოლო ქვემოსვანურ დიალექტებში უჱი||უჱი||უჱრ||რ „ც“ ნაწილაკის სხვადასხვა ვარიანტით დასტურდება. მაგ.:

ალჱარს ჩი ქრხრმბუე ალ წერილ, ა, მჱი პასუხ ოხუჭირეხ მინეშთე (ბზ.) „ამათ ყველას უამბო ამ წერილის შესახებ, აი, რა პასუხი შემოუთვალეს (ზედმიწ. – ამეებს ყველას უამბო ეს წერილ-ი, აი, რა პასუხ-ი დააბარეს მათისკენ)“

ლიმზგრ ჩუ ხედუჱში ეჯ მეზგა, მჳ მეზგაჱსგა ზურალ ჩუ იღუჭალ (ბქ.) „ლოცვა უფუჭდება იმ ოჯახს, რომელ ოჯახშიც ქალი იმშობიარებს“

ქ'აჩად ეჯ ლიცთექა, ე, მჳ ლიცს გუელერმჱპ ხჳმთქუანდა (ბქ.) „იმ წყალთან გავიდა, ე, რომელ წყალსაც გველეშაპი იყო დაპატრონებული“

ეჯი ბეჩარრ ჩ'ოთლაფრა ნიცს, მჱი ჟიხიქა ჳრდა (ლშხ.) „ის ქვებიც დაუფარია წყალს, რაც ზემოდან იყო“

შუანს მარტისჱი ეჭკაი ყაფრჱნობ ლი, მაიუჱი||მაიუჱრ დეკემბერისა ხოხალ (ჩოლ.) „სვანეთში მარტშიც ისეთი ყინვებია, რაც დეკემბერში იცის“

ჩიგარ ალე მუჭხუირრას ხიყდი, მჱი||მარ მაშენე მასისკ (ჩოლ.) „ყოველთვის ამ ტკბილეულს ყიდულობ, რაც ყველაზე მეტად მეზიზღება“ და ა. შ.

განსაზღვრებითდამოკიდებულიან ჰიპოტაქსურ წინადადებაში სვანურში მაქვემდებარებელ კავშირთაგან გვხვდება ერე||ერ||ე „რომ“ კავშირი, რომელიც ყველა დიალექტში საკმაოდ ინტენსიურად დასტურდება. მისი

ადგილი არ არის მკაცრად განსაზღვრული, იგი უმეტესწილად დამოკიდებული წინადადების დასაწყისში გვხვდება, ხან კი შუაშია მოქცეული. მაგ.:

ეჯგუჴარ რაჭუ ესერ ამჩედელი ალ აჯთესგ'ერე ღუაშზუმ ესერ ლიზ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 432) „იმისთანა კურდღელი შევიდაო ამ ზვინში, რომ ჯიხვისხელა არისო“

ეჩქანღუე ეხჭამ ხოლა დჴრ, ეჯკჴლი უჩხე ლი, ერე ქუეყანა ესღუა ზუღუას (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 98) „მერე ამას მოყვა ცუდი ამინდი, იმისთანა წვიმაა, რომ ქვეყანა წყალს („ზღვას“) მიაქვს“

ჲერეხი ეჭკჴლი ლახუ ლი, ერე კუმჴშს ლილღეღ მჴდ ხაკუხ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 301) „ზოგი იმისთანა მთა არის, რომ საქონელს მწყემსვა არ უნდა“

კარუჴალისა ეჭკა ხოჩა ლარდა ლას, ერე სიგრილე ლას ი მაგ (ლშხ.) „კარვებში იმისთანა კარგი სამყოფი იყო, რომ სიგრილე იყო და ყველაფერი“

ეჯკა ჩჴუ ესუადე, დეცე მეფხაქა ერ ისკნჴლ (ლშხ.) „ისეთი ცხენი ინატრა, ცის კამარაზე რომ დაფრინავს („დახტის“)“

ეჯგუჴარ ლესგდი ლჟმჴრ, ერე მაგ ეჯის ხანტიელნა (ჩოლ.) „ისეთი შესახედავი ყოფილა, რომ ყველა იმას შენატროდა თურმე“

ეჭკჴი ლირდეუ ეჯიახ, ცხუადისა ერ მერხელს ხჴრ! (ჩოლ.) „ისეთი ცხოვრება გაგეტარებინოთ, ქვაბში რომ ჭინჭარს აქვს (ზედმიწ. – ის-ყალიბ-ი ყოფამც მოგსწრებიათ, ქვაბში რომ ჭინჭარს აქვს!“)!“...

როგორც განხილულმა მასალამ აჩვენა, მაქვემდებარებელი კავშირი, ძირითადად, გვაქვს მაშინ, როცა მთავარში საზღვრულ წევრს ახლავს ან ივარაუდება ეჯკაი||ეჭკჴი||ეიკაი||ეჯკჴლიბ||ეჯგუჴარ||ეჯგუჴრ||ეჯთჴნ||ეჩითჴნ „ისეთი, იმისთანა“ ჩვენებითი ნაცვალსახელები.

სვანურის დიალექტებში, განსაკუთრებით, ქვემოსვანურში (ბალსქვემოურში მსგავსი სინტაქსური კონსტრუქციები არ შეგვხვედრია.) განსაზღვრებითდამოკიდებულიან ჰიპოტაქსურ წინადადებაში კავშირად განსაკუთრებული სიხშირით ერთდროულად დასტურდება წევრ-კავშირები (მიმართებითი ნაცვალსახელები ჲერუჴი, ხედუჴი) და ერე „რომ“ მაქვემდებარებელი კავშირი. საწყის პოზიციაზე, იშვიათი გამონაკლისების გარდა, უმე-

ტესწილად მიმართებითი ნაცვალსახელია და მას მოსდევს მაქვემდებარებელი კავშირი. მაგ.:

ნამდუილდ ერე აშამ მაკუ ლუექე ეჯი ღუაჟარე მიმართ, ერუბაიდ ერე ამკა სიძლიერე გამოიჩინა (ბზ.) „ნამდვილად მინდა მადლობა გადავუხადო იმ მამაკაცებს (ზედმიწ. – ნამდვილ-ად რომ მადლობა მინდა ვთქვა იმ ვაჟ-ებ-ი{ს} მიმართ), ვინც ასეთი სიძლიერე გამოიჩინა“

სგაიდ ლახხურიდ ალ მარე, ხედუბაიდ ერე მიჩა მუხუბა ოთღორუე (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 223) „ისევ შეხვდა ეს კაცი, რომელმაც მისი ძმა მოატყუა“

ალე ქ'ათასგმდა ეჯ მარას, ხედუბაი ერე მგშკარს გარგალს ხომნარდა (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 201) „ეს მოესმა იმ კაცს, რომელიც ჭიანჭველების საუბარს ისმენდა“

ამ დურეს ეჯ მაულ ანჭად, ხედუბაი ერე შაუ-დედალაი გეზალს ხებორგაელდა (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 330) „ამ დროს ის მელია მოვიდა, რომელიც შავ-დედალას შვილს ეჭიდავებოდა“

ქა ხეწად ეჯი თხერეს, ხედი ერ მიჩაშთე ანღგრდა პირდაპირ (ლშხ.) „დაინახა ის მგელი, რომელიც მისკენ მოდიოდა პირდაპირ“

ეჯი ფეკუნას ჩუადგარი, ხედი ერ ჟეღშალ ითრე ნიცს (ლშხ.) „იმ ლეკვს კლავს, რომელიც ძაღლივით სვამს წყალს“

ეჩქა მოსოტდ ქა ლახტულე ეჯ მარას, ლესთე ხედი ერ ისგდგდა (ჩოლ.) „მაშინ მოსოტმა დაუბახა იმ კაცს, გვერდზე რომელიც რომ იყურებოდა“

საქმე გარჩეუათე ხეთხელიხ ეჯკაი მარას, ერე ხედისი ერე სისწორე ხოხალ, იშგენ – დესმა (ლშხ.) „საქმის გასარჩევად ეძებენ ისეთ კაცს, რომელიც სამართლიანია („სისწორე იცის“), სხვა – არაფერი“

ლაგუეიდ აიესხ ეჭკაი სიმინდი კაკალს, ერე ხედი ფეჩმოყ ხუუახ ლგფრე (ჩოლ.) „დასაფქვავად მიაქვთ ხოლმე ისეთი სიმინდის მარცვალი (ზედმიწ. – საფქვავად წაიღებენ იმ-ყალიბ სიმინდ-ი{ს} კაკალ-ს), რომელიც ღუმელთან აქვთ გამხმარი“ და სხვ.

აღნიშნულ ერე „რომ“ მაქვემდებარებელკავშირიან განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში, როგორც საანალიზო მასალამ აჩვენა, მთავარში უმეტესწილად დასტურდება ეჯთან||ეჯგუარ||ეჯკალიბ||ეჭკაი||ეკაი „ისეთი“ მისათითებელი სიტყვა. ასეთ შემთხვევაში, ხშირად, დამოკიდებული წინა-

დადება ერთგვარ შედეგს გადმოგვცემს, რითაც ის მთავარი წინადადების თვისობრივ დახასიათებას იძლევა. მაგ.:

ეჯკჳლიბ ზურალ ანჴიდ ქორთეიხგ'ერე ჟიბოურიშჩუბოურ ხჳყერ ჩიგურაშ (ბქ.) „იმისთანა ქალი შემოიყვანა ოჯახში, რომ ყირაზე დააყენა ყველაფერი“

ლჳდი ამნემდ ეჯგურჳრ ხოლა ლადეღ ემგენე ცურიდდიშმეურარ, ერე თხურიმ მიხპენი ათხეი (ბქ.) „დღეს ამან იმისთანა დღეში ჩამაგდო ტყუილუბრალოდ, რომ ახლაც თავი მისკდება“

ეჭკაი ლეჭურიარ ეშშიდ ჟიქჳნჩუ, ერე ჩუახშიდურნე მახე ლგჴიდ აშხლარ (ლშხ.) „ისეთი ლოდები დააყარა ზემოდან, რომ ჩამოაყრევინა ახალი გამოტანილი ტოტები“

ცურიდუმქადნად ეჯთაჳნ ლადეღ ემგენე, ერე ეშხუ ნაგზი ლი დესა მიურჟა (ჩოლ.) „ტყუილუბრალოდ ისეთი დღე მაყარა, რომ ერთი კვირაა არ მიძინია“ და ა. შ.

განსაზღვრებითდამოკიდებულიან ქვეწყობილში შემავალ წინადადებათა დაქვემდებარება შეიძლება იყოს უკავშიროც. ასეთ შემთხვევაში ჰიპოტაქსურ წინადადებაში შემავალი დამოკიდებული წინადადების მიმართება მთავართან ინტონაციით გამოიხატება. სვანურის დიალექტებიდან მკვეთრი ინტონაციით გამოირჩევა ზემოსვანური დიალექტები, განსაკუთრებით ბალსქვემოური, რომელიც უკავშირო ქვეწყობას ანიჭებს უპირატესობას და მკვეთრი ინტონაციით აშკარად გვაგრძნობინებს დამოკიდებულში კავშირის კონპენსირებას. მაგ.:

ამეჩუ ეჯკჳლი ზურჳლ ჳრი, {ერე} მიჩა თერჳლს ამრთჳნ დჳრ ხოწურა (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 115) „აქ იმისთანა ქალი არის, მის თვალებს ამისთანა არავინ უნახავს“

ალ სოფლჳრ, ეშდანხი {ერ} ოლშელდედ, ალჳრ მჳგ ეშხუ საზოგადოებათეიხგა ესღერდახ (ბქ.) „ეს სოფლები, წეღან რომ ჩამოვთვალეთ, ესენი ყველა ერთ საზოგადოებაში შედიოდნენ“

ჯი ეჯ თეუშუ გარ ისგიდრჳლიუ, ე, {ხედა} ნებგუჳჟი ხადდა (ბქ.) „თვითონ მხოლოდ იმ თვალით იყურებოდა, ე, შუბლზე რომ ჰქონდა“

ლელტხას ლგმარდ ეშხუ მეზგე, {ხედას} დათუშერ ხაჟხენახ (ბქ.) „ლენტეხში ყოფილა ერთი ოჯახი, დათვისანი რქმევიათ“

ზურალ ეჯგუჯარ ლგმარ, {ერე} ხოჩილ წესდე ლი (ბქ.) „ქალი იმისთანა ყოფილა, უკეთესი შეუძლებელია“

ლახახუიდახ სკუებინ ეჭკალი მარე, {ესუა} დაჭგლ ასაყა ლგნეღეშტ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 171) „შეხვდათ წინ იმისთანა კაცი, {რომელსაც} თხა მიჰყავს თიკნებიანად“

ეჭკაიბ სეუ ანტაბე, {ერე} ქუეყანა ეის ხენაქუალდა (ლშხ.) „ისეთი მარხილი გამოთალა, {რომ} ქვეყანა გააკვირვა („იმას ეკვირვებოდა“)“

ეჯკაბი ათუიერუ ეხჭამ თანაფს, {ერე} სგ'ეთბიდდა ჩის (ჩოლ.) „ისეთი სიცხეები მოჰყვა აღდგომას, ცეცხლი წაეკიდა ყველაფერს“ და მისთ.

ჰიპოტაქსური წინადადების განხილვისას ყურადღებას იქცევს ე და ა დეიქტიკური (მითითებითი, გაძლიერებითი) ნაწილაკები, რომლებიც კავშირიანი ან უკავშირო დამოკიდებული წინადადების საზღვარზე დასტურდება და მახვილიანია. აღნიშნული ნაწილაკები ყოველთვის მთავარი წინადადების საზღვრულზე მიუთითებს და საზღვრულს ყოველთვის თან ახლავს ესა თუ ის ჩვენებითი ნაცვალსახელი. სვანურის დიალექტებში მათი გამოყენების თვალსაზრისითაც არაერთგვაროვანი სურათია, ვინაიდან ზემოსვანური დიალექტებისაგან განსხვავებით, ისინი ქვემოსვანურ დიალექტებში ნაკლებად დასტურდება. მაგ.:

აჩად ალ'ან, ჭყინტ, ი ათანსდ ალ ბამბი კარაბუს, ა, ხედუბიდგა დრინა აცუირ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 330) „წავიდა ეს, აი, ბიჭი, და გადააწყდა იმ ბამბის კარავს, აი, რომელშიც გოგო დატოვა“

ამჩიქქა ეჯ მარე ანჯად, ე, ხედუბიდ ბაპ ამჩუ აცუირ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 354) „ამდროს ის კაცი მოვიდა, ე, რომელმაც მღვდელი აქ დატოვა“

ქ'აჩად ეჯ ლიცთექა, ე, მა ლიცს გუელერშაპ ხამთქუანდა (ბქ.) „გავიდა იმ წყლამდე, ე, რომელ წყალსაც გველეშაპი იყო დაპატრონებული“

ათხე ამხაუ ანჯად **ეჯ ნალუჭურ**, ე, ერუა ლი მიჩა გეზლაშ ჭაშ (ბქ.) „ახლა აქ მოვიდა ის ბიჭი, ე, ვინც არის მისი შვილის ქმარი“

მარკუზან ხაჭხა **ეჯ ჭინჭილს**, ე, შამფურის ხაჭონა ჟი ლეწლაუე ი შგილ ჩუქაქა ხაჩხინა (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 16) „მარკვზანი“ ჰქვია იმ ნაწლავს, ე, მოწალული შამფურზე რომ არის დახვეული და სხვენს ქვემოთ რომ არის გაჩხერილი“ და სხვ.

განსახილველი ნაწილაკის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ხშირად იხმარება მიმართებითი ზმნიზედების შემცველ ქვეწყობილ წინადადებებში“ (აბესაძე 1960: 128). უნდა აღინიშნოს, რომ განსაზღვრებითდამოკიდებულიან ქვეწყობილ წინადადებაში, ე და ა მითითებითი ნაწილაკები დასტურდება არა მარტო მიმართებითი ზმნიზედის შემცველ ქვეწყობაში, არამედ მიმართებით ნაცვალსახელიან და მაქვემდებარებელ კავშირიან ჰიპოტაქსურ წინადადებაშიც. მაგ.:

აჩად ალი, ა, **ნალუჭურ**, ი ათასდა **ეჯ** ბამბიშ კარაჳს, ე, **იმეისგა** დინა აცუირ, მარე ალ სიმაქ დემეგ ესხუიდდა ამეისგა (ბქ.) „წავიდა ეს, აი, ვაჟი, და გადააწყდა იმ ბამბის კარავს, ე, რომელშიც გოგო დატოვა, მაგრამ ეს ქალიშვილი არ დახვდა ამაში“

ნიშანდ **ეჯ ბადლუ** ლახთონე, ე, იმთე ჯი გაჭს შიდა (ბქ.) „ნიშნად ის ფუტურო ხე აჩვენა, რომელშიც თვითონ ქატოს ყრიდა“

ეჯ სოფელს ათაჲსდ, ე, **ხედუჭი** სოფელისგა ხუეჯე იზგა (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 169) „იმ სოფელს გადააწყდა, ე, რომელ სოფელშიც ხვეჯე ცხოვრობდა“

ქ'აჩად **ეჯ ლიცთექა**, ე, მაჲ ლიცს გუელერშაჰ ხამთქუანდა (ბქ.) „მივიდა იმ წყლამდე, ე, რომელ წყალსაც გველეშაპი იყო დაპატრონებული“

ეჯ ზურაჲლს ოსხუწაღე, ე, მიჩა გეზალ **ერ** ოთტყეცნა (ლშხ.) „იმ ქალს დაემუქრა, ე, მისი შვილი რომ უცემია“

ლამრრაუთე **ეჭკაი** მარას ხეთხეღლიხ, ე, ტკიც-სამართგლს **ერ** ხაჭიმ (ჩოლ.) „სამედიატოროდ ისეთ („იმ-ყალიბ“) კაცს ეძებენ, ე, სიმართლეს რომ მისდევს“...

აღნიშნული ნაწილაკები, ძირითადად, კონკრეტულად ასახსნელ (საზღვრულ) წევრს მოსდევს. მაგ.:

ათხე ამხაუ ანჯად ეჯ ნაღუჟურ, ე, ერუა ლი მიჩა გეზლაშ ჭაშ (ბქ.) „ახლა აქ მოვიდა ის ბიჭი, ე, ვინც არის მისი შვილის ქმარი“

ესღრი, ესღრი ი სგაიდ ლახხუბდდ ეჯ მარე, ე, მიჩა მუხუბეს {ერ} ოთღორუე (ბქ.) „მიდის, მიდის და ისევ შეხვდა ის კაცი, ე, თავისი ძმა რომ მოატყუა“ და ა. შ.

ზოგჯერ კი დასახელებული ნაწილაკები მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენელს ახლავს, თუმცა მიუთითებს საზღვრულზე. მაგ.:

სერ ხარხ ხოლა მიჰმან ი ამჩიქქა ეჯ მარე ანჯად, ე, ხედუბაიდ ბაპ ამჩუ აცუირ ი ხაქუ ბერალს (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 354) „მოკლეთ აქვთ ერთი ამბავი და ამდროს ის კაცი მოვიდა, ე, რომელმაც მღვდელი აქ დატოვა და ბერებს უთხრა“

შუკუჟურ ალ დაუ ლახხურდხ, ა, ხედუბაინემ მინე მუ ადდაუშე (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 407) „გზაში ის დევი შეხვდათ, ე, რომელმაც თავიანთი მამა დაღუპა („და-ა-შავ-ა)“...

იშვიათად საზღვრულ წევრს უსწრებს წინ და მისათითებელ სიტყვას დაერთვის. მაგ.:

ანჯადხ მიჩა ლახუბა აგითე ი ლაბჭუედდა ალ'ა, ხოხურა მუხუბე, ხედუბაი ტგტს ხასგურდა (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 171) „მოვიდნენ თავისი ძმები სახლში და შეეკითხა ეს, აი, უმცროსი ძმა, რომელიც ნაცარს ეჯდა“...

განსახილველი ნაწილაკები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ისინი მიუთითებენ ისეთ ასახსნელ წევრზე, რომელსაც, თავის მხრივ, ახლავს ჩვენებითი ნაცვალსახელი და ეს უკანასკნელი ისედაც მიუთითებს საზღვრულ წევრზე. აშკარაა, რომ დეიქტიკური ნაწილაკები გახაზავენ, აძლიერებენ და მეტ ექსპრესიულობას ანიჭებენ წევრს, რომელზეც მიუთითებენ.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი, მახვილს ტონის მოძრაობის საფუძველზე გარკვეული სინტაქსური შენაერთის გამოხატვის ფუნქცია აქვს დაკისრებული (ჟღენტი 1949: 104), რაც ზემოწარმოდგენილი დეიქტიკური ნაწილაკების შემცველი ილუსტრაციებიდანაც ნათლად

ჩანს, თუმცა ბალსქვემოურში ინტონაციას იმ შემთხვევაშიც აქვს ადგილი, როდესაც განსაზღვრებით დამოკიდებულიან ქვეწყობილში შემავალ წინადადებათა დაქვემდებარება უკავშიროა და არც დეიქტური ნაწილაკები ღებულობენ მონაწილეობას ქვეწყობაში. მთავარი და დამოკიდებული წინადადების მიჯნაზე ინტონაცია, როგორც მასალაზე დაკვირვებამ გვაჩვენა, მკვეთრად გამოიხატება უკავშირო დამოკიდებული წინადადების აბსოლუტურ ბოლოში მოქცეულ წინადადების ნებისმიერ წევრზე, რაც აშკარად გარკვეულ სინტაქსურ მთლიანობას ქმნის და ამით ბალსქვემოური მკვეთრად ემიჯნება სვანურის სხვა დიალექტებს.

განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში სვანურში ხშირად დასტურდება ე. წ. სინტაქსური ასიმილაციის (ატრაქციის) შემთხვევები, ვინაიდან აღნიშნულ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში კავშირის ფუნქციას, ძირითადად, მიმართებითი ნაცვალსახელები ასრულებენ და ეს სინტაქსური მოვლენა, სწორედ, მიმართებით ნაცვალსახელებთან არის დაკავშირებული.

სინტაქსური ასიმილაციის დროს მისამართი სიტყვა კავშირს წყვეტს თავის შემასმენელთან და დამოკიდებულის ზმნა-შემასმენელს უწევს ანგარიშს. მთავარში მისამართი სიტყვის ნაცვლად ჩნდება ნაცვალსახელი („კომპრომისული ფორმა“), რომელიც ბრუნვაში იმართვის მთავარი წინადადების შემასმენლის მიერ.

აღნიშნულ საკითხს ყურადღება მიაქცია მკვლევარმა ნ. აბესაძემ: „სვანურში, როგორც წესი, თუ მისამართი სიტყვა მიმართებით ნაცვალსახელთანაა შეთანხმებული ბრუნვაში, მაშინ მთავარი წინადადების მეორე ნაწილში მისამართი სიტყვის მონაცვლედ ჩნდება ნაცვალსახელი, რომელიც ბრუნვაში საკუთარ შემასმენელთან არის შეწყობილი. ეჯ მარე, დერუბა ცხეკთ'აჩად, ეჯას ქაჯ სგა ლახხურდდა „ის კაცი, რომელიც ტყეში წავიდა, იმას ქაჯი შეხვდა“ (აბესაძე 1963: 114).

სამეცნიერო ლიტერატურაში ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში შემავალი კომპონენტების განლაგების სამ ძირითად სახეს გამოყოფენ: დამოკიდებული მოსდევს მთავარ წინადადებას, წინ უსწრებს მას ან შუაშია ჩართული.

სვანურშიც, ძირითადად, დამოკიდებული წინადადების განლაგების სამ სახეს ვხვდებით:

დამოკიდებული შეიძლება იწყებდეს განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებას. მაგ.:

ერუ̆ჲი მა̆რე̆მი ნადგარუ̆ ლა̆სუ̆ ი ამსუ̆ალდა̆ ზისხ ხეცუ̆მა̆ნ, ეჯ მა̆რე აშხუ̆ ზაუ̆ დეშ ა̆ბდა̆უ̆და ლაჯუ̆ა̆მთე ლიზის (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 40) „ვინც მკვლელი იყო და ადამიანის სისხლში ჰქონდა ხელები გასვრილი, ის კაცი ერთი წელი ვერ ბედავდა ეკლესიაში შესვლას“

თალა̆ ნა̆ყირუნღო სერ მა̆ზუმუ̆ჲი ხეღუ̆ენი მეზგა კირ, ეჩზუმს ჩრ ჟიქა̆ნ ჟი ხა̆შდეხ (ბზ., სვან. ქრესტ., 1939: 107) „სოლის ჩარჭობის შემდეგ რამდენიც ექნება ოჯახს კირი, იმდენს აყრის ზემოდან“

წა̆ნჯუ̆ედი მაზუმა̆ი გუ̆აკუ, ეჯზუმს ცუ̆ირედ (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 22) „სიგრძე რამდენიც გვინდა, იმდენს ვტოვებთ“

ფურალე ლისუ̆ლუ̆ე უ̆მშუ̆ა̆იშ ხა̆იმედახ, ეჩშელდს გარ ირდუ̆ნეხ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 265) „რამდენი ძროხის რჩენაც შეუძლიათ, მხოლოდ იმდენს იყოლიებენ“

ხედი̆ ხოჩილ ლექსს ლექუ̆ნა, ეჯი ბოფშს ხაბშა უ̆ისკუ̆ს (ჩოლ.) „რომელიც უკეთეს ლექსს იტყოდა, იმ ბავშვს აწვდიდა ვაშლს“...

დამოკიდებული მთავარი წინადადების შუაგულშია მოქცეული:

წგრნი გუ̆ელიერშაპ, ხედისი̆ ამირან ჯადისა ხეყუ̆და, ჩუ̆ედიტუ̆ან (ლშხ. სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 127) „წითელი გველეშაპი, რომელსაც ამირანი მუცელში ჰყავდა, გაიქცა“

მუჟუ̆ეღ ზურა̆ლ, ერუ̆ჲი ესამა ლგდგა̆რ ჩუ ხაშყიდ სოფელისგა, ჩრ ქა იშგლდა̆ნი (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ.,1939: 7) „წინამძღოლი ქალი, თუკი ვინმე მკვდარი ახსოვს სოფელში, ყველას ჩამოთვლის ხოლმე“

აშხუ̆ ლადეღ, შომა̆ი ლანა̆დირთ’ესღგრდახ, ამნემ ხექე მიჩა მუხუ̆ბა (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 44) „ერთ დღეს, როდესაც სანადიროდ მიდიოდნენ, ამან უთხრა თავის ძმას“

ეჯი გუელეშაპ, ხედნემი ამირან ადუნტყუე, ხოლამდ აჭად ი ქ'ედბელან (ჩოლ.) „ის გველეშაპი, რომელმაც ამირანი ჩაყლაპა, ცუდად გახდა და გაიბერა"...

დამოკიდებული მოსდევს მთავარ წინადადებას და ეს პოზიცია სხვა ქართველური ენების მსგავსად, სვანურშიც დომინანტია:

სგა ლახხურდხ ალ მარა, ხედუჭიხან მიჯნემ ალ გუეშ ანთრნე (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 224) „შეხვდნენ ამ კაცს, რომლისგანაც მან ეს საქმე ისწავლა"

ნიშანდ ეჯი ბადღუ ლახთონე, ხედუჭითე ჯი გატს შიდა (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 44) „ნიშნად ის ფუტურო ხე აჩვენა, რომელშიც თვითონ ქატოს ყრიდა"

ეჩუნღო მიჩა ძეხუს ქა ლეხუოდან ჭყინტ ეჭკაიბ ღონძერ, ერე თელდ ქუეყანაჰასა ამკალიბ დარ არდა (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 71) „მერე მის მეუღლეს შეეძინა იმისთანა („ის-ყალიბ-ი") ღონიერი ვაჟი, რომ მთელ ქუეყანაზე ამისთანა არავინ იყო"

ჩიაგუ ეჭკალი ლოქ ნომამაუ ლექუ, ერე მერბას მად ლახასიამგნდეს (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 321) „ყველგან არ თქვაო ისეთი რამ (ზედმიწ. – ყველგან ის-ყალიბ-ი-ო ნუ-არმცაო თქვა), რომ სხვას არ ესიამოვნოსო"

ლარბიელ ჯიც ეჭკაძი დგთხელ აცუირხ, იმკაიბი მერბიელად იკუდუნეხ (ჩოლ.) „გამოსაცხობი ცომი ისეთი თხელი დატოვეს, როგორიც მცხობელებმა ისურვეს"და სხვ.

რაც შეეხება სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულ „მეოთხე რიგის კონსტრუქციას", როდესაც დამოკიდებული მოქცეულია მთავარ წინადადებასა და კორელატს შორის, მსგავსი შემთხვევები სვანურშიც დასტურდება:

ეჯარს შუკუისგა სგა ლახხუახ ბეუა, ესუაძშ ლათხელითე ოლმაზხ, ეჯი (ბქ.) „იმათ გზაში შეხვედრიათ ბევა, ვის საძებნელადაც მიდიოდნენ თურმე, ის"

ამკალიბ მგსმინალა ღუაჟარსი ხეყადხ, ძერუაძ ხოშა მენშგუე ლასუხ, ეჯძარს (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 26) „ამისთანა დამბეზღებლები მამაკაცებსაც ჰყავდათ, რომლებიც უფრო სუსტი ნებისყოფის („რბილი") იყვნენ, იმათ"

აშხუ ლაადეღ ლახეშყადხ მიჩა ჯუინელ აფხანიკარს, ხედუაი ერ ლითუერის ქ'ათაყეჩახ, ეჯმინს (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 183) „ერთ დღეს გაახსენდათ მის ძველ ამხანაგებს, ვინც სწავლას თავი დაანება, იმათ"

ფანაგას ხატულიხ სოფელს, ხედი ლეუშერი ლაიღუერჟი არი, ეჯის (ლშხ.) „ფანაგას ეძახიან სოფელს, რომელიც ლეუშერის საზღვარზეა, იმას"

ეჯიარს ლახხუიენახ გუელეშაპ, ხედიმი ლადგართეი დიენაცადს ოთზგზა, ეჯი (ჩოლ.) „მათ შეხვედრიათ გველეშაპი, რომლის მოსაკლავადაც დედინაცვალს გაუგზავნია, ის" ...

ამრიგად, როგორც მრავალფეროვან სვანურ დიალექტოლოგიურ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, სვანურის ყველა დიალექტი მდიდარია განსაზღვრებით დამოკიდებულიანი ჰიპოტაქსური წინადადებებითა და მათი გამოხატვის საშუალებებით (საკორელაციო სიტყვებითა და წევრ-კავშირებით), თუმცა დიალექტთა შორის არსებითი სხვაობა შეინიშნება ამა თუ იმ წევრ-კავშირთა გამოყენების თვალსაზრისით.

§ 12. შემასმენლურდამოკიდებულიანი ჰიპოტაქსური წინადადება

სამეცნირო ლიტერატურის თანახმად, „მთავარი წინადადების წევრთა შინაარსის გადმომცემი რთული ქვეწყობილი წინადადებები იმდენი სახისანი არიან, რამდენი წევრიც არსებობს“ (გეგუჩაძე 2009: 100), თუმცა მეცნიერთა ნაწილი შემასმენლურდამოკიდებულიან ქვეწყობილ წინადადადებას ცალკე არ განიხილავს, ნაწილი კი თვლის რომ „ამ სახის რთული ქვეწობილი წინადადების არსებობა თანამედროვე ქართულში მაინც რეალური ფაქტია და იგი უნდა განიხილებოდეს როგორც დამოუკიდებელი ერთეული სკოლის სახლემძღვანელოებშიც კი“ (გეგუჩაძე 2009: 133).

შემასმენლური დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების გაშლილი ნაწილია და ხსნის, აზუსტებს მთავარში შედგენილი შემასმენლის ნაცვალსახელით გამოხატულ სახელად ნაწილს, რომელიც ყოველთვის სახელობით ბრუნვაშია.

მთავარი წინადადების ამხსნელი შემასმენლურდამოკიდებულიანი წინადადებები სვანურშიც დასტურდება, თუმცა სხვა წევრთა გამომხატველი დამოკიდებული წინადადებისაგან განსხვავებით მათი რაოდენობა არ არის ბევრი. აღნიშნულ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებს სვანურის ოთხივე დიალექტისა და ჩოლურული მეტყველების ნიმუშების გათვალისწინებით წარმოვადგენთ. მაგ.:

ხედუ̈ჲ ეჩქას ჟი ა̈ლწინიდ, შიყმიშ მგსგემ ეჯა ლირიდ (ბზ., სვან. პოეზ., 1939: 54) „რომელიც მაშინ მოვერევით, ზურგშემქცევი ის ვიქნებით“

ლემბაჟ ესერ ეჯი ლი, ერე ჯუაშ გეზალ ელთუქტარს სემი და̈ჳ ესერ ჩოთდაგრა (ბქ., სვან პროზ. ტექსტ., 1957: 99) „საკვირველი ის არისო, რომ ძუკნა ძაღლის შვილს ელთუქვარს სამი დევი მოუკლავსო“

ერუ̈ჲ ადაბგწკგრი ალ მეგამს ტოტა̈რშუ, ეჯი ირა ლამარგ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 318) „ვინც დაანაწევრებს ამ მორს ხელებით, ის იქნება მარჯვე“

დერუშა ლოქ ჟ'ანტუარნე, ეჯი ლოქ ბრი ხელწიფი მომსისგ (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 111) „ვინც აანთებსო, ის იქნებაო ხელმწიფის მომსულე"

ეჯი ლი ლუქუჩნე, დერუშა ღომტ სედნი ლატუჟი (ჩოლ.) „ის არის ჩაჭრილი, ვინც უკან რჩება გაქცევისას"...

განსახილველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში ქვემდებარე შეიძლება წარმოდგენილი იყოს, თუმცა გვაქვს შემთხვევები, როცა გამოტოვებულია. მაგ.:

ერუშა ალეს ათეჭემენდა, ეჯი ლას მებარგ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 47) „ვინც ამას გაჰყვებოდა, ის იყო მებარგე"

მეთხუიარ ეჭკალი ლას ბატუენი ჭყინტ, ერე ნათხუიარს დემე ლგმაცუირლი (ლნტ.) „მონადირე ისეთი იყო ბატონის ბიჭი, რომ ნანადირევს არსად ტოვებდა თურმე („ნატოვება")"

ეჯ'რჯ ხუი, ფედიაითეიჯ ერ მად ეთხინდ (ჩოლ.) „ის ვარ მეთქი, ახლოს რომ არ მიუშვით მეთქი"...

შემასმენლურდამოკიდებულიან ქვეწყობილ წინადადებაში მთავარი წინადადების შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად გვხვდება ეჯი/ეჯა/ეი „ის", ეჭკალი/ეჭკაი/ეჭკაიბ/ეჯგუარ „ისეთი, იმისთანა", ეჩთან/ეშთან „იმისთანა", ამთან „ამისთანა" ნაცვალსახელები. მაგ.:

ეჯა ლგმარ მაშენე მახეღუაჟ, დერუშა ათრიგუენა მესუფელს ჰარყი მგთრად (ბზ.) „ის ყოფილა უფროსი ვაჟკაცი, ვინც გარიგებია თანასოფლელს არყის მსმელად"

ხედუშა ღოშკინ ასედენი, ეი ლი ეჩღო მეჯუეგ (ლნტ.) „რომელიც უკან დარჩება, ის არის შემდეგ მეჯოგე"

ხოჩა ქორწილ ეჯი ლი, სოფელრ ერ ხეჩდა ლამარათე (ლშხ.) „ჯარგი ქორწილი ისაა, სოფელიც რომ მონაწილეობს სამზადისში"

ბეფშ ეჭკალი ლგმარელი, ერე ეშხუ ლადეღისა ლგმაცხემლი ეშხუ კამილს (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 324) „ბავშვი ისეთი ყოფილა, რომ ერთ დღეში იზრდებოდა თურმე ერთ მტკაველს"

ბაგურელ **ეჭკაი** ლას, ერე მაი ხეკუდრლ ლირუალნუნ ჩუათმა (ჩოლ.) „ქურდი ისეთი იყო, რომ რაც ენდომებოდა გათენებამდე შოულობდა“

ქორთ'ანჭიდხ, მარე **ეჯგუარ** ლასუ გუამი, ერე სგა უენდ გარ ანჭიდხ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 257) „სახლში მოიტანეს, მაგრამ ისეთი მძიმე იყო, რომ ძლივს შემოიტანეს“

უარგი ასუიშ **უეჩთან** ლგმარ, ერე მაგ ეჯის ხანტიელნა (ჩოლ.) „ბატონის ასული ისეთი ყოფილა, რომ ყველა მას შენატროდა“

ხოლამდ ერ მახლინრლნან მიშგუი ჭაშ, ამთან ხუირრლ'ა ათხე?! (ჩოლ.) „ცუდად რომ მომქცეოდა ხოლმე ჩემი ქმარი, ამისთანა ვიქნებოდი ახლა?!“...

შედგენილი შემასმენლის ზმნურ ნაწილად კი **ხუი** „ვარ“ და მისი მონაცვლე ზმნათა ფორმებია წარმოდგენილი. მაგ.:

მაკაუაი მანკუიდა ლითრეღლგრჟი ხუას, ეჭკაი **ხუი** აჯახუდ (ჩოლ.) „როგორიც პირველ რძლობაზე ვიყავი, ისეთი ვარ კვლავ“

დერუაი კაცხეში ანჭედენდა, ეჯი ლას მარემი (||ქორა) მგჭშხი, მერბად დერუაი ანჭედენდა, ეჯი იროლ კუმაში მგჭშხი (ლნტ., სვან. პროზ., ტექსტ., 1967: 60) „ვინც პირველი მოვიდოდა, ის იყო ადამიანის (||სახლის) მეკვლე, მეორედ ვინც მოვიდოდა, ის იქნებოდა საქონლის მეკვლე (ზედმიწ. – ვინც თავში მოვიდოდა, ის იყო კაცი{ს} (||სახლი{ს}) მეფეხური, მე-ორ-ედ ვინც მოვიდოდა, ის იქნებოდა საქონლი{ს} მეფეხური)“

ძინარს მელახუას ე ხამაჭირ ლიგენალ, ეი ლი ლასაყუედურ (ლნტ.) „დილას მთაში საქონლის მომვლელებს რომ ეზარება{თ} ადგომა, ისაა დასაძრახი (ზედმიწ. – დილას მემთეებს რომ ეზარება ა-დგ-ომა, ის არის სა-სა-ყვედურ-ო)“

დარრ ბგგიდ იზგალდა, ეჯი ლას გოში მეზგე (ლშხ.) „ვინც მაგრად შრომობდა („მოსახლეობდა“), ის იყო სავსე ოჯახი („მოსახლე“)“

მარა ხედისრ ჟ'ოგჟანდეს, ეჯი ლესედ თხუმი ლექუცე (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 282) „ადამიანი ვისაც მოგვბეზრდეს, ის ვიყოთ თავის მოსაჭრელი“

ხუაიდ ეჭკალიბრ ლგმარ, ერე დერხი ზურლარ ქა დემ ტღნახ მეშხალს მინე იუალადეღ (ჩოლ.) „ბევრჯერ ისეთიც ყოფილა, რომ ზოგიერთი ქალი ვერ იხდიდა შავებს მთელი ცხოვრება (ზედმიწ. – ბევ-

რჯერ ის-ყალიბ-ი-ც ყოფილა, რომ ზოგი ქალები ვერ იხდიდნენ შავებს მათი ევა-[ს]-დღე)"...

ხშირად სახელად ნაწილსა და მეშველ ზმნას შორის სხვათა სიტყვის ნაწილაკია მოქცეული. მაგ.:

დერუ̆ა ლოქ ხოშა მენშკუე ლი, ეჯი ლოქ ლი ჩიგარ ზურლალხენ ნანწირ (ლშხ.) „ვინც უფრო რბილიაო, ის არისო ყოველთვის ქალებისგან დამარცხებული („მორეული")"

დერუ̆ა ეჩის ხუნკვი ა̆ნჭდე. ეი ლოქ ირა ტაბა̆გი მგგემ ი დია̆რს ლაი ეი ახონა̆ყნე (ლნტ.) „ვინც იმას პირველი მოიტანს, ის იქნებაო სუფრის დამდგმელი და პურსაც ის გამოუცხობსო"

და̆რი ლოქ მაშენე ხასისკ, ეჯი ლოქ ლი დერა ამჩუი სტოლა მახუში! (ჩოლ.) „ვინც ყველაზე მეტად მძულსო, ის არ არისო აქაც სუფრის უფროსი! (ზედმიწ. – ვინცო ყველაზე მეტად სძულს, ისო არის არა აქაც სტოლ-ი[ს] უფროსი)"...

განსახილველ ქვეწყობილ წინადადებებში კომპონენტთა დასაკავშირებლად დამოკიდებულში გვხვდება მაქვემდებარებელი კავშირი ერე/ე „რომ" და მიმართებითი ნაცვალსახელები დარი/დერუ̆ა „ვინც", მაი „რაც", ხედი/ხედუ̆ა „რომელიც", მაკა̆ი/მაკაიბი „როგორიც"...

მასხარაი ეჭკაიბ ლი, ერე ლაღიჯეუ̆ჟი ზურალ-მარე ეშხუ ხა̆რ (ლშხ.) „ხუმარა ისეთია, რომ ხუმრობისას კაცი და ქალი მისთვის სულერთიაა (ზედმიწ. – მასხარა ის-ყალიბ-ი იყო, რომ ხუმრობისას ქალი-კაცი ერთი აქვს)"

იარი ლესკხენ ლოხრგა̆ნ, ეჯი ლი მიჩა ერდგულ (ლშხ.) „ვინც გვერდით დაუდგა, ისაა მისი ერთგული"

ღოშკიმპილს ეჯი ლი ლგსერ, დერუ̆ა ა̆სედენი პილხო (ლნტ.) „ბოლოს ის არის დამარცხებული, რომელიც დარჩება გვერდზე"

მა̆იჯ ათხე ეჯის ესშგლდან, ს'ჩჯ ეჭკაიბ ხი (ჩოლ.) „რაც ახლა მას უთხარი („დაათვალე"), შენც ისეთი ხარ-მეთქი"

ხედუ̆ალე ლულკუ̆ჰე ჟიბაუ̆ ხეყრენი, ეჯა ლი მგბნე ლიყა̆ნსგურა̆ლა̆შ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 37) „რომელი არჩეულიც ზემოთ გადაბრუნდება, ის არის დამწყები რიკტაფელას თამაშისა"

მაკაი ნიჩურ ლამჭიდხ ეჩქა, ეჭკაიბ ხური მრმაგ ათხე ი ნომა ხეკუეს ლახსაკურელუნდეხ მინსრ (ჩოლ.) „როგორი სახეც მიჩვენეს („მომაყუდეს“) მაშინ, ისეთი („ის-ყალიბ-ი“) ვარ ახლა მეც და არ უნდა გაუკვირდეთ თვითონაც“...

უნდა აღინიშნოს, რომ სხვა სახის ჰიპოტაქსური კონსტრუქციების დაკვირვებისას, ნათლად გამოჩნდა, რომ სვანურის დიალექტებში კავშირად განსაკუთრებული ინსტენსივობით გვხვდება ხოლმე წევრ-კავშირები, მიმართებითი ნაცვალსახელები **ᲔᲠᲣᲨᲐ, ᲮᲔᲓᲣᲨᲐ** და გამონაკლისი არც შემასმენლურდამოკიდებულიანი წინადადებაა და აქაც მაქვემდებარებელი **ერე/ე** „რომ“ კავშირის გამოყენების შემთხვევებს არ ჩამოუვარდება. მაგ.:

მᲐნკუ ხოშა **ერუა** ირი ქორისგა, ეჯი ირი სგუებინ მეზი (ბქ.) „ჯერ უფროსი ვინც იქნება ოჯახში, ის იქნება წინ წამსვლელი“

ხოჩილ ჭელუან **ერუᲐ** ლი, ეჯი ლი ქᲐმენხენ მელგმალ (ლშხ.) „უკეთესი კალატოზი ვინცაა, ის არის გარეთა ფასადის ამშენებელი (ზედმიწ. – უკეთესი ხელოვან-ი ვინც არის, ის არის გარედან მშენებელი)“

ეჯი ლას ყრრი მგკრენი, **ხედᲐ** სგობინ ხოჟოღუდახ (ჩოლ.) „ის იყო კარის გამღები, რომელიც წინ მოუძღოდათ“

ხედᲐ ლოქ დრმ იჯრაუი ხოშემი გარგლას, ეჯი ლოქ არი ჩიგარ ღოშტ (ჩოლ.) „რომელიც არ იჯერებსო უფროსის ლაპარაკს, ის არისო ყოველთვის უკან“...

რაც შეეხება საკორელაციო სიტყვის ადგილს მთავარში და მაქვემდებარებელი კავშირისა და საკავშირებელი სიტყვის პოზიციას დამოკიდებულ კომპონენტში, შეიძლება ითქვას, რომ მათი ადგილი არ არის მკაცრად განსაზღვრული, შეიძლება შეგვხდეს როგორც წინადადების თავში, ისე შუაში.

დამოკიდებულ წინადადებაში მიმართებითი ნაცვალსახელი ყოველთვის გამოხატულია, ასევე მაქვემდებარებელი კავშირიც უმეტესწილად წარმოდგენილია, თუმცა გვაქვს იშვიათი შემთხვევები, როცა აკლია და კონტექსტით ადვილად ივარაუდება. მაგ.:

ეჯა ლი ხოლა, ნაღუჟურს ბანგს ხათრეხ ი მინ რანგს გთრეხ (ბქ.) „ისაა ცუდი, ვაჟს ბანგს ასმევენ და თვითონ რანგს სვამენ“

ლეჭკგრე ეჯი ლას, მრდ ოხმეკრანხ ქა ლგმითრულე ღუაჟარს (ლშხ.) „საფიქრალი ის იყო, არ გაეგოთ გაგიჟებულ კაცებს („ვაჟ-ებ-ს“)“

ღუეშგიმ ოდაგრ, ეჯი ლასუ ფგთ (ნეკშდ) (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 86) „ბოლოს [რომ] მოვკალი, ის იყო ფოთრი (თიკანი)“

ბაგირ ეჯი ლი, ხამი ძაგუხენქა თაკუს ახშტგრნის ჟი (ჩოლ.) „ბაგირი ის არის, ღორის ჯაგრისაგან [რომ] თოკს დაგრეხ“...

ხსენებულ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში დამოკიდებული წინადადება უმეტესწილად გვხვდება როგორც წინა, ისე ბოლო პოზიციაზე, იშვიათად კი მთავარი წინადადების შუაშია მოქცეული და ასეთ დამოკიდებულს მაქვემდებარებელი კავშირი აკლია. მაგ.:

მარე ხოშა გუეშ ეჯი ლი, ერე ალ კეცისა მარემი ჯიჯუჯარ ანთხეხ... (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 5) „მაგრამ დიდი საქმე ისაა, რომ ამ კეცში კაცის ძვლები იპოვეს“

ხონკუი ლოქ ერ ჲეზუისა ხატცინა მადრაჯს, ეჯი ლოქ ლი ალე (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 285) „წეღან რომ ეზოში ურტყამდაო მათრახს, ის არისო ეს“

ისკლადეღ ერ ქა ოგბწი, ეჯი ლი ლიმაჲდალ (ჩოლ.) „შუადღე რომ გადაიხრება, ის არის სამხრობა“

...ხოჩ'ესერ ეჯა ლი, ერე ხედუაჲ უოქურაშ ლი (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 21) „კარგი ის არისო, რომ რომელიც ოქროსიაო“

ეშთან ლი, ერე მაშა ხოჩა ამშა ლისგდის (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 176) „იმისთანაა, რომ არაფერი სჯობს ამის ყურებას“

მიჩა როქ ლეჲხური, მაშენე როქ მუხუბა ხორი მიჟ ი დოშდლაშ უწდუნა, ეჯი როქ ლი (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 161) „მისი საცოლეო, უფროს ძმას ჰყავსო მზეთუნახავი („მზისა და მთვარის უნახავი“), ის არისო“

მგპტყგნე, ჴელტრიშ ხეხლი, ეჯი ლი (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 305) „მპენტავი, რთვა {რომ} იცის, ის არის“ ...

თუმცა დამოკიდებული წინადადება, რომლის თავშიცაა მოქცეული მაქვემდებარებელი კავშირი, ყოველთვის მოსდევს მთავარ წინადადებას. მაგ.:

ჰერუჲად მეკუჰე ზურალ ეჯკაალიბ ლასუ, ერე დესუჽი ნათი მრმ ხორდა (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 54) „კუდიანად განთქმული ქალი ისეთი იყო, რომ ვისაც ნათესავი არ ჰყავდა“

ეჭკაჲ ლი თათრულ უინტოუკა, ერე იმი ახთოფნე ქა დემ ხაქდენრხი (ჩოლ.) „ისეთია თათრული ვინტოვკა, რომ რასაც ესვრი არ აააცილებ“...

შემასმენლურდამოკიდებულიანი წინადადება ნარევი სახის წინადადებაშიც დასტურდება, სადაც პარატაქსული და ჰიპოტაქსური წინადადებების ადგილი ხშირად მკაცრადაა განსაზღვრული. მაგ.:

სამ ლეთი ი ლადეღუნღუე გუერახენქა ქ'აბჯად ი ეჯკალიბ ლი ლესგდი მახეღუჽჟ, ერე ლესგდიდ ლი ცოდ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 257) „სამი დღე-ღამის შემდეგ ტყავიდან გამოვიდა და ისეთი შესახედავია ვაჟკაცი, რომ მის ყურებას არაფერი სჯობს (ზედმიწ. – სამ-ი ღამისა და დღ-{ის} შემდეგ ტყავიდან გამოვიდა და ის-ყალიბ-ი არის შესახედავი ახალ-ვაჟ-ი, რომ შესახედავად არის ცოდ-ვ-ა)“

დირიშდ ჩრ ჩუ შალ ხაყა, მარე მაჩენე ეჯა ლ'ე, ხედუჽას ნალჯამში ზუმულდუშ გარ ხულუ... (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 140) „დირესთვის თითქოს ყველაფერი ვარგა, მაგრამ ყველაზე უკეთესი ის არის, ე, რომელსაც სიმაგრე ოდნავ აქვს (ზედმიწ. – დირე-სთვის ყველას ვარგასავით, მაგრამ ყველაზე კარგი ის არის, ე, რომელსაც სიძლიერე ოდნავ მხოლოდ აქვს)“

ლენაბაჟ ეჯი ლი, ერ უბრალ ჟას დარმოშ ხასელა ი ალ მეთხუჲარა ლუუჽრდ ახოჯიდა ძირხოჩუ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 80) „საკვირველი ის არის, რომ უბრალო ზვავს ვერავინ გადარჩენია და ეს მონადირეები ცოცხლად ჩამოუყვანია ძირს („ძირ-{ის}-კენ ქვე“)“

ჲერხი ეჯკაიბ ლი, ერე მახე ჭყინტ მეჯრჯლს ქა დეშ ხაჲჯლნა ი ჟი ლიკრდესრ, ცხაჲ, დეშ იჩო ამკაჲ ბეჩიშ (ლშხ.) „ზოგი ისეთია, რომ ახალგაზრდა ბიჭი მხრებს ვერ აწვდენდა და აწევასაც, ცხადია, ვერ შვრება ქვისას“

ათხად იშგნაცხან მბი ლოქ ხომშია, ეჯი ლოქ ლი მეთუფე ი მიჩაცა-ხან ნრმშა ღედუ ლოქ ხარ (ჩოლ.) „აქამდე სხვასთან რაც გიმუშავიაო, ის არისო დაკარგული და ჩემთან ნურაფრის დარდი გაქვსო (ზედმიწ. – აქამდე სხვასთან ერთად რაცო უმუშავია, ის არისო დაკარგული და ჩემთან ერთად ნურაფრის დარდიმცაო აქვს)"...

განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ შემასმენ-ლურდამოკიდებულიანი ჰიპოტაქსური კონსტრუქციები სვანურის ყველა დიალექტში გვხვდება, თუმცა უკავშირო დამოკიდებული ბალსქვემოურის-თვის უფროა დამახასიათებელი. მაქვემდებარებელი კავშირისაგან განსხვა-ვებით დამოკიდებულ წინადადებაში მიმართებითი ნაცვალსახელი ყოველ-თვის გამოხატულია, ხოლო კავშირი ერე „რომ" ხან არის წარმოდგენილი, ხან კი კონტექსტით ივარაუდება.

დამოკიდებული წინადადების პოზიცია, ძირითადად, თავისუფალია, გვხვდება როგორც წინადადების დასაწყისში, ისე მთავრის მომდევნოდ და იშვიათად შუა პოზიციაში (ეს უკანასკნელი ბალსქვემოურისთვისაა დამახა-სიათებელი), თუმცა მაქვემდებარებელი კავშირით დაწყებული დამოკიდე-ბულის ადგილი ყოველთვის განსაზღვრულია და მთავარ წინადადებას მო-სდევს.

§ 13. ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები იმდენივე სახისაა, რამდენიც თავად გარემოება, შესაბამისად დასტურდება: ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზის და მიზნის დამოკიდებული წინადადებები.

იგივე ჰიპოტაქსური კონსტრუქციები გამოიყოფა სვანურის ოთხივე დიალექტში (მათ შორის ჩოლურულ მეტყველებაშიც), სადაც საინტერესოა მისათითებელი სიტყვების, მიმართებითი ზმნიზედებისა და კავშირების სიუხვე ფონეტიკური ვარიანტებითურთ.

განვიხილოთ ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება სვანურის მონაცემთა გათვალისწინებით.

როგორც ცნობილია, „ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება მიემართება მთავარ წინადადებაში ადგილის ზმნიზედით გადმოცემულ (თუ ნავარაუდევ) მისათითებელ სიტყვას და მიუთითებს, თუ სად ხდება, საიდან იწყება ან საითკენაა მიმართული მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლით გადმოცემული მოქმედება“ (გეგუჩაძე 2009: 119).

საილუსტრაციო მასალა:

იმუ̈ჲ ხოჲხენი, ეჩეჩუ̈ნ ლა̈ნშანს დეშგიხ მერმა̈ლ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 33) „სადაც დაეცემა, იქ სანიშნეს დებენ სხვები („მე-ორ-ეებ-ი“)“

იმგუ̈ა ზეთშუ̈ უჩხადეს ი ბამბა̈შუ̈ შდუადეს, ეჩეჩუ̈ოღუ̈ ჯარხ ლაქუნ (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 174) „სადაც ზეთით წვიმდეს და ბამბით თოვდეს, იქ გქონოდეთ ნათელი (ზედმიწ. – იქმცა გაქვთ სასულეთი)“

ღოშკინპილს ჩუ ჯედენიხ ეჩოხ, იმა̈ჰჩუ̈ხ ბა̈ლხ ყურხ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 292) „ბოლოს ჩამოდიან იქ, სადაც ხალხი წევს („წვანან“)“

ჭყინტრლ ატახ ეჩხა̈ჳ, იმე̈ჲ ნეპრლრილ ადგრმე (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 102) „ბიჭი გაბრუნდა იქ, სადაც ჩიტუნა დაიჭირა“

ალე ეშჩუ ასდღუელა, ღუაჟმპრე იმჩუუპაჲ ლგმსგურელი (ჩოლ.) „ეს იქ დამალულა, მამაკაცი („ვაჟ-კაცი“) სადაც მჯდარა“...

საკვლევ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში დამოკიდებული წინადადება პასუხობს ადგილის გარემოების კითხვებზე: იმე?/იმეგ? „სად?“; იმხენ/იმხაწ? „საიდან?“; იმთე/იმოხ? „საით?“; იმხაუ? „საითკენ?“; იმაუ/იმაუნ/იმაუწუნ „სადამდე“.

საილუსტრაციო მასალა:

ბაჩ იმგუა მასარდ წუა, ეჩეჩუ ლაალგიმალ ბაჩუ სგებინჩუ დემის ამარეხ (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 198) „ქვა სადაც ბევრი მოიპოვება, იქ სამოსახლო ქვას წინასწარ არ ამზადებენ (ზედმიწ. – იქ და-სა-დგ-ამ ქვას წინქვე არ ამზადებენ)“

ეჩხენ ნაჭად ხუიდ ნაჩ, იმხენჩ ლეუშერი შაურეშიანალ (ჩოლ.) „იქიდან მონასვლელი ვართ ჩვენც, საიდანაც ლეუშერის შავრეშიანები“

ეჩანღო ლელუნთუად ხეკუეს ათოგენხ შუკუს ეჩოხ, იმაჲხო ასხრიხ იშკენ მინეშკალიარ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 290) „მერე საზამთროდ უნდა გაუდგნენ გზას იქით, საითაც მიდიან მათნაირები (ზედმიწ. – სანამდეც მიდიან სხვა მათი-ყალიბ-ებ-ი)“

იმუპაჲთ'ესერ ხოცხენხ, ეჩხაუ ადზიზნე ძეუალდ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 62) „საითაც გერჩიოთო, იქით გაგაგზავნითო მძევლად (ზედმიწ. – საითკენო ერჩიოთ, იქით გააგზავნის მძევლ-ად)“

ლაჭთარდ ეშჩ ეჩაუნ ატიხ აღურა, იმაუნჩ ნაჲ გუეხრლ (ლშხ.) „საწყევრად მაინც იქამდე გაწია საზღვარი, სანამდეც ჩვენ გვეკუთვნოდა“...

ადგილის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში მისათითებელ სიტყვებად შესაბამისი გარემოებები გვხვდება: ეჩე/ეჩეჩუ (სვ.)/ეჩჩუნ (ბზ.)/ეჩჩუ (ბზ., ლნტ.)/ეჩეჩუნ (ბქ., ლნტ.,)/ეჩეჩუნ/ეჩეჩუნენ (ლშხ., ჩოლ.)/ეჩეჩო/ეჩეჩულა/ეჩეილა (ბქ.)/ეჩეგ (ზს.)/ეშჩუ/ეშჩუნენ (ლშხ., ჩოლ.) „იქ“; ეჩხაუ (ბზ., ლშხ. ჩოლ.)/ეჩხაუ (ბქ., ლნტ.)/ეჩხო (ლნტ.) „იქით“; ეჩხაწ (ბზ., ლნტ.)/ეჩხენ (ქს.) „იქიდან“; ეჩაუ (ბზ., ჩოლ.)/ეჩაუნ (ლშხ., ჩოლ.)/ეჩაუნუნ (ჩოლ.) „იქამდე“; ეჩხაწთე (ბზ.,)/ეჩხენთე (ქს.) „იქითკენ“; ჩიაგუ (ლნტ.)/ჩიაგ (ლშხ., ჩოლ.) „ყველგან“...

საილუსტრაციო მასალა:

ახგლშენს ერ მაშენა ეკლესია ლგგ, ეჩე იმზგრხ გოგიჩშერ (ლშხ.) „ახალშენში რომ უზენაესის ეკლესია დგას, იქ ლოცულობენ გოგიჩსანი“

იმუჯი მაშენე წყგლიან ადგილ ხაბჟა, ეჩეჩუნ იგნი (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 53) „სადაც ყველაზე სუფთა ადგილი ჰგონია, იქ ჩერდება“

მგჰი ლეჰლერ მახად ლამღუჯის ხეტეხეს, ეჩეჩუოლუ ლი ისგე ლაქუნ (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 176) „მწიფე ხილნარი რომ ხელახლა ყვაოდეს, იქ გქონდეს სასუფეველი (ზედმიწ. – (მწიფე სახილე ახლად ყვავილობას უბრუნდებოდეს, იქამც არის თქვენი სასულეთი)“

ლაშხურ კოჯს ერ ხაწცი, ე, ეჩეჩუნენ ედყიმან ლიცისა (ჩოლ.) „ცხენისწყალი კლდეს რომ ეჯახება („ურტყამს“), აი, იქ დაიხრჩო წყალში“

აჩად ეჩოხ, იმაიხენ ისმოლდა ლიუსისკაალ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 307) „წავიდა იქით, საიდანაც ისმოდა კივილი“

ქორა ყორ იმუჯიხან ლი, ეჩხან ლგტაბა მეგამს დასგდა... (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 112) „სახლის კარი საიდანაც არის, იქით გათლილ მორს დებდა...“

სგაი ერ ეშხუდ ხამურჯიდ მგხარ ლიზის, მახრბჟი მიგარ მიზნა ეჩაუნ (ლშხ.) „თქვენ რომ ერთად აპირებთ ხვალ წასვლას, ახალგაზრდობაში მე მარტო წავსულვარ („მივლია“) იქამდე“

ეჩხენთე ხეკუად ლაშხურქა ლიზი, იმხენი ბოფშარე ყარყაშ ისმრლ (ჩოლ.) „იქით უნდოდა ცხენისწყლით („ლაშხურზე“) გადასვლა, საიდანაც ბავშვების ხმაური ისმოდა“...

მისათითებელი სიტყვა მთავარ წინადადებაში უმეტესწილად წარმოდგენილია, თუმცა გვაქვს შემთხვევები (ქვემოსვანურში უფრო ხშირად, ვიდრე ზემოსვანურ დიალექტებში), როცა მისათითებელი ზმნიზედით გამოხატული ადგილის გარემოება აკლია და მათი აღდგენა თავისუფლად შეიძლება. მაგ.:

ციცუ სგუებინ ოთჟოღ [ეჩხაუ], იმუჯათესგა ხელწიფ ლასუ მეზი (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 220) „კატა წინ წაუძღვა [იქით], საითკენაც ხელმწიფე უნდა წასულიყო“

ეჩანღო ალ სიმინდს ჩუ შგდეხ [ეჩჩუ], ნაწლიას ერ ხუღუა ნესკაჩუ ლაჯურა (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 296) „მერე ამ სიმინდს დაყრიან [იქ], ნალიას რომ აქვს შუაში ფანჯარა“

იმთეი ხაწგხ ლიზი, ხოშა ფედიჲ ლანხუბურარალ ხენჯრინჯალხ [ეჩხაჯ] (ლშხ.) „საითაც სჭირდება წასვლა, უფრო ახლო ნათესავები მიჰყვებიან ხოლმე [იქით]“

ჟ'ოთიახ სოფლი თხუმდ, ხოშა ღელა ერ ანღრი, [ეჩე] (ჩოლ.) „აუტანიათ სოფლის თავში, დიდი ღელე რომ მოდის, [იქ]“...

მთავარ წინადადებაში მისათითებელი სიტყვის ადგილი ხშირად თავისუფალია, არა აქვს მნიშვნელობა მთავარი წინადადების პოზიციას, შეიძლება შეგვხვდეს თავში, შუაში და ბოლოში. მაგ.:

ეჩეჩუ ხეთხელდახ ჯეი ი მიჩა გეზლირ, იმეი ოთსად (ლშხ.) „იქ ეძებდნენ თვითონ და თავისი შვილები, სადაც დარჩა“

უედშუ ლახეთხაფხ ეჩჩუ, იმაი ჯუეგ ხეყადხ (ლნტ.) „ძლივს მიაღწიეს იქ[ამდე], სადაც ჯოგი ჰყავდათ“

რაშ ესერ იმხანი ამჩედ ლახუთე, ეჩე ესერ არი თუეთნე ჭაგ-რაშ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 160) „რაში საიდანაც წავიდაო მთაში, იქ არისო თეთრი ჭაკი რაში“

ეჯი იმუნაი ითხრლნრლ სერ, ღგრდახ ზურლაჲ ეჩხაჯ (ჩოლ.) „ის სადაც იშოვებოდა ხოლმე, მიდიოდნენ ქალები იქით“...

რაც შეეხება დამოკიდებულ წინადადებას, მთავართან დასაკავშირებლად იყენებს საკავშირებელ სიტყვებსა და მაქვემდებარებელ კავშირს. მიმართებითი ზმნიზედების, იგივე წევრ-კავშირების საშუალებით დამოკიდებული წინადადება გადმოგვცემს მთავარი წინადადების შემასმენელ-ზმნაში გამოხატული მოქმედების ადგილს.

სვანურის დიალექტებსა და ჩოლურულ მეტყველებაში ადგილის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში დასტურდება შემდეგი საკავშირებელი საშუალებები, მიმართებითი ზმნიზედები: იმუნაი (ზს., ლნტ.)/იმუნჯ/უმუნაი (ბზ.)/იმგუნა/იმგუნა/იმეგ (ბქ.)/იმუნაი/იმაი (ლნტ.)/იმეუნაი (ჩოლ.)/იმეი (ლშხ., ჩოლ.)/იმეჩუი/იმჩუი (ლშხ., ჩოლ.)/იმეჩუი (ლშხ.)/იმაიჩუ

(ლნტ.)/იმეჩუტუჲი/იმჩუტუჲი/იმჩუნენი/იმექაუჲი (ჩოლ.) „სადაც“; იმუჲითე/იმთუჲი (ბზ.)/იმთუჲი (ჩოლ.)/იმთეი (ლშხ., ჩოლ.)/იმჲიხო (ლნტ.) „საითაც, საითკენაც“; იმხჲნტუჲი (ბზ.)/იმხენტუჲი (ჩოლ.)/იმუჲხენ (ბქ.)/იმხენი (ლშხ., ჩოლ.) „საიდანაც“... და მაქვემდებარებელი კავშირი: ერე/ერ/ე (სვ.) „რომ“.

საილუსტრაციო მასალა:

იმუჲი მიჩა მუ ჲრი ლჲთხუიარს, ეჯაი ეჩხაუ ღგრი (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 144) „სადაც მამამისია სანადიროდ (ზედმიწ. – სადაც მისი მამა არის სანადიროს), ისიც იქით მიდის“

იმგუჲა ბტირ ლი ბჲჩ, ეჩეჩუ სგებნაუ ხარხ ბაჩუემ ლამარასი (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 198) „სადაც ძნელად იშოვება ქვა (ზედმიწ. – სადაც ძვირ-ი არის ქვა), იქ წინასწარ იწყებენ ქვის მომზადებასაც“

მიჩ იმეგ ხეკუდოლ, ეჩეჩუ მუწუჲალ ხეგნიუ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 68) „თვითონ სადაც ენდომებოდა, იქ ქორფა ბალახი ამოვიდოდა („დგ-ებ-ოდ-ა“)“

იმეი ლოქ ალე კუჲში ედკჲფი, ეჩე ლოქ რრდი ლიც (ჩოლ.) „სადაც ეს მჭადი დავარდებაო (ზედმიწ. – სადაცო ეს მჭადი გადაიქცევა), იქ იქნებაო წყალი“

იმეჩუჲ მჲრე ედშგუდი, ეშჩუ აჩრაუი ლიც თიკანს (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 241) „სადაც კაცი დაიხრჩობა, იქ აჩერებს წყალი თიკანს“

მიჩა ფაქუტოლ აჯაღ ეჩეჩუ ლგგდა, იმჲჩუნ აცუირ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 323) „მისი პატარა სახლი კიდევ იქ იდგა, სადაც დატოვა“

იმჲიხო ლოქ მიჩ ხაკუედა ლიზი, ეჩოხ ლოქ დჲრ ათაჭემა (ლნტ.) „საითაც მე მინდოდაო წასვლა, იქით არავინ გამყვაო (ზედმიწ. – საითკენო მას სდომებია სვლა, იქამდეო არავინ გაყოლია)“

ეშხუჲრე ბაჟინუნღო მაგ ეჩხჲუ ხაგნრლნახ, იმხენუჲი ახღელდათ ამახუს (ჩოლ.) „ერთმანეთის შეტყობინების შემდეგ ყველანი იქით გაუდგებოდნენ ხოლმე გზას, საიდანაც მოელოდნენ მტერს“

ხოჩა გუჲარი ნამზიგუ ლოქ ლგმრ ეშჩუ, მინ ლოქ ერ იზგეხ ათხე (ლშხ.) „კარგი გვარის ნამოსახლარი იყოო იქ, ახლა რომ თქვენ ცხოვრობთო (ზედმიწ. – კარგი გვარ-ი{ს} ნასახლარიო ყოფილა იქ, თვითონო რომ სახლობენ ახლა)“...

დადასტურდა რამდენიმე შემთხვევა, როცა განსახილველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში, დამოკიდებული წინადადება მთავარს მიმართებითი ნა-

ცვალსახელებით უკავშირდება, ხოლო მთავარშ.ი მისათითებლად ადგილის გარემოებებია წარმოდგენილი. მაგ.:

ქ'ჳჩჳდხ **ეჩხჳნთე**, **ხედუჳითე** (||იმუჳითე) მიჩ ლიზი ხეკუჳდ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 105) „გავიდნენ იქითკენ, რომლისკენაც (||საითკენაც) თვითონ წასვლა უნდოდა"

აშხუ ლადეღ, **ხედუჳი** ადგილს ამჟი თეფნიხ, **ეჩხაუ** ადიე უეთხმალ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 10) „ერთ დღეს, რომელ ადგილზეც ასე იკარგებიან, იქით წაიყვანა საქონელი"

ხედუჳი ფოყითე ჳნჯდენრლ, **ეჩხაუ** ჟიბე ი ჩუაბე ჯეუს ხოჩა ზჳის ოხღელიდად (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 5) „რომელი მხრისკენაც წამოვიდოდა, იქით ზემო და ქვემო ხევში კარგ წელს მოველოდით"

ხედ სოფელისჳი ლოქ ეჯი ესკრლნე, **ეჩეჩუ** ლოქ იდგარი მჳრე (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 32) „რომელ სოფელშიც ის დაიკივლებსო, იქ მოკვდებაო ადამიანი („კაცი")"

ეშჩუ ოხსყეხ ლარდა, **ხედუჳითესჳი** მჷჟე ნჳრი დესა ჯედნრლ (ჩოლ.) „იქ გაუკეთეს სამყოფი, რომელშიც მზის სინათლე არ შემოდიოდა"

მჳი უბჳნისგა ხოფშირა მეზგე იზგე, **ეჩხჳნქა** ხოფშირა ითშრლდა (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 95) „რომელ უბანშიც უფრო მეტი ოჯახი ცხოვრობს, იქიდან უფრო მეტი ირჩეოდა"

ჲესუჳი ლოქ მოჯმაგრრ ხეწხრ, **ეჩხჳუ** ლოქ ღური (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 282) „ვისაც მოჯამაგირე ესაჭიროებაო, იქით წავალო"...

როგორც განხილულმა მასალამ აჩვენა, მთავარში წარმოდგენილ მისათითებელ სიტყვებსა და მიმართებით ზმნიზედებს ხშირად დაერთვის სხვადასხვა თანდებულები. რიგ შემთხვევებში მათი დართვით სემანტიკური სხვაობა არ შეიმჩნევა (ამე/ამ-ჩუ/ამ-ჩუ-ნენ „აქ"; იმეჲ/იმე-ჩუჲ/იმ-ჩუ-ნენ-ტ „სადაც"), თუმცა თანდებულთა ნაწილის (-თე, -ხო, -ხჳნ) დართვა აუცილებელია მიმართულების გამოსახატავად. მაგ.:

ლეთუშ **ეჩეჩუ** ასხუიენახ მგდგარჳლა, **იმჩუნენტ** დესა ახღელდა ალე (ჩოლ.) „ღამით იქ დახვედრიან მკვლელები, სადაც არ ელოდა ეს"

ჩტთე ეშხუდ ესღგრდახ, **იმთეჲ** ლეზი ხჳდახ (ლშხ.) „ყველგან ერთად მიდიოდნენ, სადაც წასასვლელი ჰქონდათ"

იმ**ᲣᲮᲐ**მგყუ აჰესგი, ეჩაუ იტხეხ ჩუბე ფაუს (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 34) „სადამდეც მიაღწევს, იქამდე წევენ („აბრუნებენ“) ქვედა ჯოხს“

იმექა**ᲣᲮᲐ** ლოქ მინ ადინეხ, დერა, ეჩექა ლოქ ლეხჭემნიხ დრნოლარრ (ჩოლ.) „სადაც თქვენ წახვალთო, ხომ, იქ გამოყვებიანო გოგოებიც (ზედმიწ. – სადაცო თვითონ წავლენ, ხომ, იქო გაჰყვებიან გოგონები)“...

განსახილველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში დადასტურებულ მიმართებით ზმნიზედებს თუ დავაკვირდებით, -**ᲣᲮᲐ**/-უა/-ო („ც, ცა“) ნაწილაკიანი წევრ-კავშირების დიალექტთა მიხედვით განაწილების თვალსაზრისით სხვაობა არც აქ შეინიშნება, ზემოსვანურ დიალექტებსა და ლენტეხურში -**ᲣᲮᲐ** ნაწილაკიანია, ხოლო ლაშხურსა და ჩოლურულ მეტყველებაში ორივე ნაწილაკიანი გვხვდება. მაგ.:

ამჟინ უცხუდ ჩ'ოთშდუღუ**ᲣᲮᲐ** ეჩეჩუნ ე, იმ**ᲣᲮᲐ** ათხე რიყი გოუარდ ლი (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 98) „ასე უცხოდ დაუკრძალავთ იქ, აი, სადაც ახლა რიყივით („რიყ-ი[ს] გვარ-ად“) არის“

სიმინდს იმგუ'აჴნიხ, ეჩეჩუ სიმინდიშ შდამი ლაშხუნიდ მაღაზასი გგემხ (ბჭ., სვან. ქრესტ., 1978: 202) „სიმინდს სადაც თესავენ („ხნავენ“), იქ სიმინდის ტაროს შესანახად ნალიასაც („მაღაზია-ს-ა-ც“) აგებენ“

იმოხუ**ᲣᲮᲐ** ლოქ აჩეს, ჩიაგუ ლოქუ ხოჩა ლაქუე (ლნტ.) „საითაც წახვალო, ყველგან კარგი თქვიო (ზედმიწ. – საითაცო წავიდეს, ყველგანომცა კარგი თქვა)“

იშგენ სგაშურას ჩუ ცურე ეჩეჩუ, იმეჩუ**ᲣᲮᲐ** ჩუადგარ ნათხუიარე (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 16) „სხვა შიგნეულობას ტოვებს იქ, სადაც მოკლა ნანადირევი“

ათხე კუასტიანარ იმჩუ**ᲣᲮᲐ** იზგეხ, ეშჩუნენ მურყუამ [ლგგდა] (ჩოლ.) „ახლა კვასტიანები სადაც ცხოვრობენ, იქ კომკი [იდგა]“

იმე**ᲣᲮᲐ** ეჯდარ იზგგდახ, ეჩე ლას უდუმბირ ცხეკ (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 91) „სადაც ისინი ცხოვრობდნენ, იქ იყო უღრანი ტყე“

ლამარია კალთაუ ლოქ ხაფრახ ჩიაგ, იმთე'ი ლოქ ქა ღგრდეხ (ჩოლ.) „წმინდა მარიამის კალთა ფარავდეთ ყველგან, სადაც კი წახვალთო (ზედმიწ. – მარიამ-ი[ს] კალთა-მც-ო აფარიათ ყველგან, საითაცო წავლენ)“...

დაბებნილ მასალაში ნათლად გამოჩნდა, რომ ადგილის გარემოებით-დამოკიდებულიან წინადადებაში წევრ-კავშირთა გამოყენების შემთხვევები ჭარბობს ყველა დიალექტში, ვიდრე მაქვემდებარებელი კავშირისა, ამასთანავე მიმართებითი ზმნიზედები ყოველთვის წარმოდგენილია, განსხვავებით მაქვემდებარებელი კავშირისა (ერე „რომ"), რომელიც შეიძლება აკლდეს, თუმცა ივარაუდება და ადვილად აღდგება. მაგ.:

იმუ̆ჱდ იგსა̆რი, ეჩეჩუ ჩუ̆დ დეს̆გიხ ჩუბე ფაუს (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 34) „სადამდეც გასრიალდება, იქ ისევ დადებენ ხოლმე ქვედა ჯოხს"

ჟ'ანწირქეხ ლიშთხრი ეჩეჩუ, იმეჩუ̆ გუმან გუღუ̆ნ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 259) „გადაწყვიტეს გათხრა იქ, სადაც გუმანი გვქონდა"

მაჩენე ლარდა ლი ეჩეჩუ, იმუ̆ე ხოჩა ხალხ არი (ჩოლ.) „ყველაზე კარგი სამყოფია იქ, სადაც კარგი ხალხია"

ისკუ̆ი ჩხარა ლახუ̆ბა ერ ადურტყუ̆ე და̆უ̆დ, ეჩეჩუ ლა̆ბყედან ამკა̆ლი ლიმარ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 316) „შენი ცხრა ძმა („ძმები") რომ გადაყლაპა დევმა, იქ გამოიჩინე („დაიჭირე") ასეთი კაცობა"

მაზერთე ლაწეუ̆ [ე] ლი, ეჩეჩუ იგნიხ ჭა̆რიდ მა̆გ (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 179) „მაზერისკენ სამზერი [რომ] არის, იქ დგებიან ერთმანეთის მიყოლებით ყველა"

დაბრიშ [ერ] დაბ ხუ̆ნხ, ეშჩუ ახხუ̆რდახ ლგდგარ მიჩა ბებე (ლშხ.) „დაბიშში [რომ] ყანა ჰქონდათ, იქ იპოვეს მკვდარი ბებიამისი"

ლეღუ̆ ხალხს ქა ლოხრმდ ეჩე, მელახუ̆ა [ერ] ხუ̆არდად (ჩოლ.) „ხორცი ხალხს მივეცით იქ, მემთეები [რომ] ვიყავით"...

როგორც კვლევამ გვიჩვენა, საკავშირებელი საშუალებების ადგილი დამოკიდებულ წინადადებებში გარკვეულწილად განსაზღვრულია, ვინაიდან გვხვდება ორ პოზიციაზე, მთავრის წინა და მომდევნო პოზიციის დამოკიდებულ წინადადებაში თავკიდურა, ან შუა ადგილას. ხოლო რაც შეეხება დამოკიდებული წინადადების ადგილს მთავარ წინადადებასთან მიმართებაში, შეიძლება ითქვას, რომ თავისუფალია და დასტურდება, როგორც წინა, ისე შუა და ბოლო პოზიციებზე. შუა პოზიციის დამოკიდებულს შეიძლება

მოსდევდეს მთავარი წინადადების რამდენიმე წევრი, ან მხოლოდ მისათითებელი სიტყვა. მაგ.:

იმგუა ხოსყიხ, ეჩეჩუ ქათლარე ლარდას ლაქთალარი ხაშხა (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 202) „სადაც უკეთებენ, იქ ქათმების სამყოფს საქათმე ჰქვია“

იმაჲჩუ ლოქ ალ კურუუაალ ადყუინიხ ჩუ, ეჩეჩუ ლოქ ალ ხატი ლარდად ლაჯუამს ადგემხ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 293) „სადაც ეს კუროები დაწვებიანო, იქ ამ ხატისთვის („ხატ-ი[ს] სამყოფად“) ეკლესიას ავაშენებთო („და-დგ-ამ-ენ“)“

სგმინ ქა ლეცხპე ხარ ლიშდრალე ლაბნახაანქა, იმუაჲდ მოშ ლი მეჩდე ქა მგსრე, ეჩაუ (გზ., სვან. ქრესტ., 1978: 34) „სამჯერ უნდა შემოუაროს თამაშის დასაწყისიდან, სადამდეცაა მისული მჯობნი, იქამდე“

ალი აჩად მგშკიდთე, მაჩენე მგშკიდ არდა, ეჩხაუ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 116) „ეს წავიდა მჭედელთან, საუკეთესო მჭედელი {რომ} იყო, იქით“

ოდე ნეანა, იმეჩუუაჲ მემგგნანხ სადგურმოყ, ეჩეჩუნენ ლათხელთე (ჩოლ.) „წავედი შარშან, სადაც მეგულებოდნენ სადგურთან, იქ საძებნელად“

დეუის ადჯად [ეჩოხ], იმაიჩუნ იზგოლდა დაუ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 324) „დევისი მივიდა იქ, სადაც ცხოვრობდა დევი“

ეჯღა ოთგახ ეშჩუ, იმეი ათხე ლგგ მუჩფა საყდარ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 238) „იმიტომ აუგიათ იქ, სადაც ახლა დგას მუჩფის საყდარი“...

ზემოსვანურ დიალექტებში ჭარბობს წინა პოზიციის დამოკიდებული, ასევე გვხვდება ჩართული დამოკიდებულიც, ხოლო ქვემოსვანურ დიალექტებში სამივე პოზიციის დამოკიდებული ერთნაირი სიხშირით დადასტურდა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ადგილისგარემოებიანი ჰიპოტაქსური წინადადებები დიალექტთა მიხედვით განსაკუთრებულ სხვაობას არ გვიჩვენებს, თუ არ ჩავთვლით ამათუიმ საკავშირებელ საშუალებათა (კონკრეტულ ფონეტიკურ ვარიანტთა) ცალკეული გამოყენებისა და ქვემოსვანურში, ზოგჯერ, მისათითებელი სიტყვების გამოტოვების შემთხვევებს.

§ 14. დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

დროის გარემოებითია დამოკიდებული წინადადება, რომელიც აზუსტებს, ხსნის მთავარ წინადადებაში ზმნიზედით გამოხატულ თუ ნავარაუდევ დროის გარემოების როლს.

სვანურში გარემოებითდამოკიდებულიან წინადადებებში ყველაზე მეტი რაოდენება, სწორედ, დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებზე მოდის, ყველა დიალექტში უხვად დასტურდება, მათ შორის ჩოლურულ მეტყველებაშიც. მაგ.:

თხუმჟიქანქა ბაჩა ლიკუანე ხემურჯალხ, ეჩქას აშხუ ადგილს ჩუანშანიხ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 34) „თავს ზევით ქვის გადაგდება {როცა} გამოსდით, მაშინ ერთ ადგილს დანიშნავენ ხოლმე“

გუეშ ამკალიბდ ლი, ეჩქას ლეჭშგრი ხოთური მარა დინაშ ქორშართე ფიშირამგნ (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 175) „საქმე რომ ასეა, მაშინ საქმრო აგზავნის შუამავალს გოგოს ოჯახში რამდენჯერმე (ზედმიწ. – საქმე ამ-ყალიბ-ად არის, მაშინ საქმრო მიასწავლის კაცს გოგოს სახლისანებთან მრავალჯერ)“

უოდდო ლერექუალს ლაიქუემხ, ეჩქად სკა ხეშიაშიხ გუეში ლაფაქს (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 292) „სანამ ტანსაცმელს ჩაიცვამენ, მანამ ხელს კიდებენ ფქვილით სავსე ჯამს“

შომაა ლეზობ ლეხშდეხნრლ, ეჩქა ესღგდა ლანგზარაუთე (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1978: 73) „როცა საჭმელი დაუმთავრდებოდა, მაშინ მიდიოდა საშოვარზე“

ჩ'უერ ედჩერუან ამშა ლიჯედ, ა, ჟაა, ეჩქა სგ'ემტიხ სერ ამხუაუ, ქაშანთეასა (ჩოლ.) „რომ გაჩერდა ამისი ჩამოსვლა, აი, ზვავის, მაშინ შემომაბრუნა უკვე ამაში, ბილიკში“...

ამ სახის რთული ქვეწყობილის მთავარ წინადადებებში მისათითებელ სიტყვებად დასტურდება შემდეგი დროის ზმნიზედები (გარემოებები): **ათხე** „ახლა“, **ეჩქა/ეჩქას** „მაშინ“, **ეჩქად/ეშქად/ექად** „მანამ“, **ეჩანღო/ეჩქანღო/ექანღუე** „მერე, შემდეგ“, **შიშტ/შიშდ** „მაშინვე, მყის“...

საილუსტრაციო მასალა:

დე ლათხუიართე მოშერ ღგრი ათხე, უოდ ალ წუირჟი მეყურე ზურჳლ დო ენნაწლი (ლშხ.) „ვერც სანადიროდ ვერ წავა ვინმე ახლა, სანამ ამ წვირეზე მწოლიარე ქალი არ გაიწმინდება“

შომუჴჲ მეზგაისგა ჟინღჳრ ... იყუროურლდახ, ეჩქჴ მად შიდდა საციქური ლიჰუდი (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 30) „როდესაც ოჯახში ბატკნები იკოდებოდნენ ხოლმე, მაშინაც არ შეიძლებოდა საციქველის მიცემა“

ურდდო ეჯი ბუღუირდ დო ედგენრლ ე კუეცენ, ეჩქად სერ ხასპგნჳლნრლ ალეს ლერსგუანთე (ჩოლ.) „სანამ ის მტვრად არ იქცეოდა, აი, ხორბალი, მანამდე მოკლედ ატრიალებდი ამას მარჯვნისაკენ“

მაჩურბს ჩუ ჲგგემხ, ეჩქანღო ჩუ ლიდგრი ხაკუჩ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 110) „მაჩუბს {რომ} დადგამენ, შემდეგ დირეები უნდა გაიდოს (ზედმიწ. – მერე გა-დირ-ებ-ა უნდა)“

ხოჩამდ ქ'ოუყუუფედ, ექანლუე დანაშუ ქა ხუახკგნედ ი ტაბაგჟი ხუაადისგდ (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 206) „კარგად {რომ} დავფუუქავთ, შემდეგ დანით გადავფხეკთ ხოლმე და ტაბლაზე ვდებთ“

ბეფშუს ხემოლ არა ზა ლაბერა, შიშტ მგლდაღდ ალშანიხ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 304) „ბავშვს როგორც კი რვა წელი შეუსრულდება, ხელად მწყემსად („მე-დღე-ურ-ად“) ნიშნავენ“

ეჯჲარე რიგ ერ ქ'ეთგანთურლ, შიშდ მერბე ბაბაშერალ იბნახ (ჩოლ.) „იმათი რიგი რომ დამთავრდებოდა („გა-თავ-დ-ებ-ოდ-ა“), მაშინვე მეორე დედულები („ბაბ-უა-ს-ან-ი“) იწყებდნენ“...

მოცემულ ილუსტრაციებში მთავარი წინადადების კორელატები წარმოდგენილია, თუმცა ხშირად შეიძლება აკლდეს და ასეთ შემთხვევაში მათი აღდგენა კონტექსტის მეშვეობით შესაძლებელია. მაგ.:

ალდარ ჰაალ ქა ხეწადხ, [ეჩქას] სგა ახტუილხ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 162) „ამათმა როგორც კი დაინახეს, [მაშინ] შემოიპატიჟეს (ზედმიწ. – ესენი როგორც კი დაინახეს, მაშინ შემოიძახეს)“

ქორაშ ლიგემს შომა ქა ილიესგხ, ყერბიშ ლაშდბუნას ხეგნიხ [ეჩქას] (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 199) „სახლის აგებას როცა დაამთავრებენ, სოხანეს კეთილმოწყობას იწყებენ [მაშინ] (ზედმიწ. – სოხანეს დამუშავებას ა-დგ-ებ-ი-ან)“

შომას ადჯად ჭყინტმოყ, ლახათხეპ [ეჩქა] ყია ჩუქანქა ღალე (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 330) „როცა მივიდა ბიჭთან, მოუსვა [მაშინ] ყელს ქვევით ფრთა“

ერ ოხღუჰნ დრნას ლეზობ, ნაფტარს დაუა დეზუთე ეთჰამ [ეჩქა] (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 89) „რომ მოჰქონდა გოგოს საჭმელი, ნაფოტებს დევის ეზოში შეჰყვა [მაშინ]“

სასადილოთ’ერ სგა ღგრდახ, მანკური ჩრლირს ამზგრდახ [ეჩქა] (ჩოლ.) „სასადილოში რომ შედიოდნენ, პირველად ჩოლურს ლოცავდნენ [მაშინ]“...

განსახილველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში კომპონენტთა (დამოკიდებულისა და მთავარი წინადადების) ერთმანეთთან დასაკავშირებლად სვანურში გამოყენებულია მაქვემდებარებელი კავშირები და მიმართებითი სიტყვები: ერ (სვ.)/ენ (ლნტ.)/ი (ჩოლ.) „რომ“; ლახ/ლახე (ბზ., ჩოლ.)/ლახა (ბქ.)/ალახ (ლშხ., ჩოლ.) „რომ“; ჰაჲლ (ბზ.)/ხაჲლ (ლშხ., ჩოლ.) „როგორც კი, როდესაც“; ხამუჰა/ჰამუჰ (ბზ.)/ხემოლ/ხემოლუჰა (ლნტ.)/ხემაჰა (ლშხ.) „როგორც კი“; ხაშოშ (ჩოლ.) „რაც, როგორც“; შომაჰა/შომასი (ლშხ., ჩოლ.)/შომაჰა (ბქ., ლნტ.)/შომაჰ (ბქ.)/შომაჰას (ლნტ.)/შომუჰა (ზს.) „როცა, როდესაც“; უოდ (ქს.)/უოდემჩიქა (ბზ.) უოდემჩიქად/უოდემჩიქას/უოდგდო (ლნტ.)/უოდდ (ქს.)/ოდ (ლშხ., ჩოლ.) „სანამ“...

ზარას ერ ადშემნა, ეჩქა უსგუნეშტ მარე ხელათ ხეკუერ ალხურიელჰნ (ჩოლ.) „ზარს რომ დაუკრავდა, მაშინ სამოცი კაცი უცებ უნდა მოგროვილიყო“

ეჯის ენ ხაწედა, ეჩქა გარ ლახაშყედა ეჩა ნამახალ ბოჭოჭოლ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 263) „ის რომ დაუნახავს, მაშინ მარტო გახსენებია მისი დანაბარები ყვავილი“

ი ოთზგზა ბოფშარ, ეჩქა ჩ’უათაშტნენა დიარი ლიმხალი (ჩოლ.) „რომ გაუგზავნია ბავშვები, მაშინ დავიწყებია პურის დაბარება“

ლახ მრდ ლაჲსიმნე ნაჭუ სემშდარდ, ქ’აფიშუდხ მერმა ლადეღ ლალდაღთე (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 307) „რომ არ შეისმინა ნათქვამი სემშდარმა, გაუშვეს მეორე დღეს სამწყემსად“

ხემოლ სგა’დჰად ალ ღარიბ მაროლ, შიმტ ლახეჭუედდახ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 322) „როგორც კი შევიდა ეს ღარიბი კაცი, ხელად ჰკითხეს“

ხემაჲ სგ'ოხგუდურდა ზურაბ როსტომს, შიშდ ჟი ხაჭიდ (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 119) „როგორც კი მოჰკიდა ზურაბმა როსტომს ხელი, მყის დააგდო ძირს"

ხჳმოშ უქობრშ ეთქუითნას დიარს, ეჩქა ხას ლამარგ (ჩოლ., საყდრ.) „რაც შეიძლება ჩუმად მოიპარავდი პურს, მაშინ იყავი მარჯვე"

შომაჲ ხაწლხ ფიშირ იწზრრი, ეჩქას ხეგნიხ ლაგუანას (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 182) „როცა ბევრი ხალხი გროვდება, მაშინ იწყებენ („ა-დგ-ებ-ი-ან") სატირალს"

უოდემჩიქქა სგა ხეგუდირნი, ეჩქად ხაძგერ უიშდ ჩირიხაჲს (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 161) „სანამ ხელს მოკიდებს, მანამ კრა წიხლი ჩირიხას"

უოდგდო ალეს ქა ხექნა მოჯამაგირაწლს, ეჩქად ღერბეთ აჩად (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 265) „სანამ ამას ეტყოდა მოჯამაგირეებს, მანამ ღმერთი წავიდა"...

მაქვემდებარებელ კავშირთაგან ლენტეხურსა და ჩოლურულში დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში ჩვენი ყურადღება მიიქცია ერ „რომ" კავშირის ეკვივალენტმა ენ (ლნტ.)/რ (ჩოლ.) „რომ" ფორმებმა. უნდა აღინიშნოს, რომ ენ ვარიანტი ლენტეხურ დიალექტში ხშირად პარალელურ ფორმებთან ერთადაა წარმოდგენილი, ხოლო რ ვარიანტი ლენტეხური დიალექტის მოსაზღვრე საყდრულ მეტყველებაში დადასტურდა. მაგ.:

ე (||ერ||ენ) აჩად ღერბეთ, ლერწ ლაჲ ლეღუმრად ადსიპან (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 265) „რომ წავიდა ღმერთი, ვაზიც („ლერწ-ი") კი ნამვნარად გადაიქცა"

ჟ'ენ (||ჟ'ერ) ჴედენი, ეჩანღო ჩუაბარჯეხ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 300) „რომ ამოდის, მერე გათოხნიან ხოლმე („ჩათხრიან")"

ჩუენ (||ჩუერ) იმიი სიმინდ, ეჩქა ჟი იქაჩეხ, მგჟოღირს (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 300) „რომ დამწიფდება სიმინდი, მაშინ მოჭრიან, შემოდგომას"

სკამეჩედ ლაკჩაღო ი ჟ'ენ ახოკიჩა, ქ'ახაჭემა ძღუდ გოლდაშაპ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 263) „მესულა მოსაწყვეტად და რომ მოუწყვეტია, გამოჰკიდებია დიდი გველეშაპი"

ენ ᾰმეჭედ ჭიშკᾰრმოყ, ქა ლახაᲫაზა მაურენე გეზალ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 263) „რომ მოსულა ჭიშკართან, მიჰგებებია უმცროსი შვილი“

ქ'ენ ᾰმეჩედ დურე, ეჩქა ᾰმეჭედ დენᾰᲫ ჯუმილ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 263) „რომ გასულა დრო, მაშინ მოსულა გოგოს ძმა“

ეჩქა Რრრლხ ეჯᲫარ მოსწაულეარ, ი აგᾰთუახ კლასს (ჩოლ., საყდრ.) „მაშინ იქნებოდნენ ისინი მოსწავლეები, რომ ამთავრებდნენ სკოლას“

ნებოზს ლეფᾰნად ი ხაკუხ ჭᾰნტი, ეჩქა სკობნე ლეთ ხაგემხ ლაჯაბდ (ჩოლ., საყდრ.) „საღამოს წასადგმელად რომ უნდათ კორკოტი, მაშინ წინა საღამოს ადგამენ მოსახარშად“...

დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში მაქვემდებარებელ კავშირთა გამოყენების თვალსაზრისით სვანურის დიალექტები აშკარად უპირისპირდებიან ერთმანეთს: ბალსქვემოურში საკავშირებელ საშუალებად მიმართებითი სიტყვების გამოყენების შემთხვევები ჭარბობს, ხოლო მაქვემდებარებელი კავშირები დამოკიდებულ წინადადებაში ყოველთვის აკლია (როგორც მოსალოდნელი იყო), თუმცა ივარაუდება, განსხვავებით მიმართებითი სიტყვებისაგან, რომლებიც ყოველთვის წარმოდგენილია ყველა დიალექტში. ბალსზემოურ დიალექტში ძირითადად წარმოდგენილია ლახე (რომ კავშირის მნიშვნელობით) მაქვემდებარებელი კავშირი, თუმცა შეიძლება არ ახლდეს დამოკიდებულს. ქვემოსვანურ დიალექტებში მაქვემდებარებელი კავშირი უმეტესწილად წარმოდგენილია, ხოლო ჩოლურულში აშკარად ერე „რომ“ მაქვემდებარებელკავშირიანი დამოკიდებული ჭარბობს მიმართებითი სიტყვების გამოყენების შემთხვევებს. მაგ.:

ლიფანᾰლიუნღო სემი-უოშთხუ ლადეღ ქა ღგრი, ეჩქას ხატულიხ ნᾰლტეხულს (ბქ., სვან., პროზ. ტექსტ., 1957: 6) „საკურთხის წადგმის შემდეგ სამი-ოთხი დღე {რომ} გადის, მაშინ ეშახიან ნალტეხულს“

გოლერშᾰპს ᾰთუ ლახადა, ეჩქას თხუიმ ქ'ოხთენა (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 11) „გველეშაპს {რომ} დასცხა, მაშინ თავი გამოაჩინა („გამოუჩენია“)“

ხათარდახ ზურალარ, ეჩქას მინგდ გარ აშუახ ლემასგუ ნადიარობენ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 30) „{რომ} შეატყობდნენ ქალები, მაშინ ისევ თვითონ მარტო ანთებდნენ ცეცხლს ჭამის შემდეგ“

ლახე დრმის ჯიდე პილს ჰაუდარ, ეჩქას ქა ითშიხ აშხუ მარა დარა მგჰაუდრად (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 32) „რომ არ გამოიდარებს, მაშინ ამოარჩევენ ხოლმე ერთ კაცს გასაავდრებლად (ზედმიწ. – თუ არ მოიტანს პირ-ს ავდარ-ი, მაშინ გამოარჩევენ ერთ კაცს დარ-ი{ს} გა-მ-ა-ავდრ-ებ-ლ-ად)“

ერ ამეჯედ აგიხო, ლახუბა უოშთხუედა აგის ასახუიახ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 94) „რომ მოსულა სახლში, მმები ოთხივე სახლში დახვედრიან“

ერ ხაკუდა ეჩა ლიჯდე, ეჩქა ოხბინა დაუა ჩაჟს ლიჭიხუინი (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 107) „რომ სდომებია იმისი მოტანა, მაშინ დაუწყია დეცის ცხენს ჭიხვინი“

ლიცარს ერ ასყედახ ამგნ სგობდ, ჲეშტრშთხუ მარე მეყადა (ჩოლ.) „წყლებს რომ აკეთებდნენ ამასწინათ, თოთხმეტი კაცი მყავდა“

ბეფშ ხუას მი ეჩქა, ალეს ერ ხეშდაბდახ (ჩოლ.) „ბავშვი ვიყავი მე მაშინ, ამას რომ აკეთებდნენ“...

განსახილველი რთულ ქვეწყობილ წინადადებებში ლაშხურსა და ლენტეხურს ისიც გამოარჩევს სხვა დიალექტთაგან, რომ დამოკიდებულში, ძალიან ხშირად, ერთდროულად გვხვდება მიმართებითი ზმნიზედები და მაქვემდებარებელი კავშირი ერე/ერ „რომ“, რაც ბალსქვემოურში და ჩოლურულში ვერ დავადასტურეთ, ხოლო ბალსზემოურში შედარებით იშვიათად. აღნიშნული საკავშირებელი საშუალებები, ძირითადად, წინა პოზიციის დამოკიდებული წინადადების თავშია მოქცეული და ცხადია, რომ კავშირის ფუნქციას ამ შემთხვევაში მთლიანად მიმართებითი სიტყვა ითავსებს, რადგან ამ პოზიციაზე მაქვემდებარებელი კავშირის დართვის გარეშეც გვხვდება, ხოლო მისი ჩამოშორებით მაქვემდებარებელი კავშირი ამ კონსტრუქციებში თანმხლები წევრების გათვალისწინებით მისთვის არაბუნებრივ პოზიციაზე აღმოჩნდება. მაგ.:

შომპის ერე ალ ჭიშკპრი ფედიახო იფედურიელხ, ეჩქა ამწემ ჯორ-ხენქა ჩუნანასკინე (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 337) „როდესაც რომ ამ ჭიშ-კრის ახლოს უახლოვდება, მაშინ მან ჯორიდან ისკუპა“

შომას ერე ჟ'ანგგან ალ ჭყინტ, ეჩქას ლაჭუ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 330) „როდესაც რომ ადგა ეს ბიჭი, მაშინ თქვა“

შომასრ ერ ლისმინდი ენბინპნ, ეჩქა ენბინეხ ტარუალე შედდ ნა-ლიეელ (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 39) „როდესაც რომ სიმინდის აღება დაიწყო, მაშინ დაიწყეს ტაროების შესანახად ნალიები“

შომპი ერე ჲამან ჩუედმეჩპნდა, ეჩქა ჲეშდჲერუ ლუთხუმ დპუ ახწრნდა (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 124) „როდესაც რომ იამანი დაბერდა, მაშინ თორმეტთავიანი დევი მოერია“

ეჯ ტაბგლს მინპრს დოსკ ჩუ იზბიხ, უოდ ერე ხპლხი ლილაკალ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 292) „იმ კვერს დილას ადრე შეჭამენ, სანამ რომ ხალხი.წაასწრებთ („ხალხ-ი-[ს] წასწრებამდე“)“

მახა ნათაუ ბობშსრ ჩი ლადეღ აბრპლიხ ტებდი ლიცისა, უოდ ერე ზაინუნ (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 10) „ახალდაბადებულ ბავ-შვსაც ყოველ დღე ბანენ თბილ წყალში, სანამ რომ წლამდე“

შომუპჲი ერე მიჩა ფედიათეისგა აჩე, აჩქა ჰერ ახიკდ ძღგდ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 79) „როდესაც რომ მის ახლოს მიხვალ, მაშინ ხმა ამოიღე დიდი“

შომუპჲი როქ ერე ზპი ქ'პდზგრას, ეჩქას როქ მიჩა ჯოგ მპგ ჩუუ ათბე (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 223) „როდესაც რომ წელიწადი გა-ლიო, მაშინ შენი ჯოგი სულ დააბიო“

ხემოლ ერე ჟი პსეჯაფ, უხეირო ქ'პდკაფან (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 223) „როგორც რომ ჩაკბიჩა, უხეირო გადავარდა („გადაიქ-ცა“)“

თოთ ბობშარს ლახ ჯადარ ესა ხეზგუნიხ, ეჩქა ბატი ნანღუელს ხათრეხ (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 30) „ჩვილ ბავშვებს როცა მუ-ცელი თუ სტკივდებათ, მაშინ ბატის ნაღველს ასმევენ“...

რაც შეეხება საკავშირებელი საშუალებების განაწილებას დამოკიდე-ბულ წინადადებაში, შეიძლება შეგვხვდეს სამივე პოზიციის დამოკიდებულ-ში, როგორც თავში, ისე შუაში. მაგ.:

შომპი ესერ ლესგქა ლახშდორენა, ეჩქას ესერ გუდ ომჯედელი (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 37) „როცა გვერდზე შემომახტაო, მაშინ უკვე

მივხვდიო (ზედმიწ. – როცაო გვერდზე ˚მინახტომა, მაშინო გულ-ად მოსულა)“

შომუშა ერე ღო ღულაინუნ ჯ'ონჯუედ, ჭიშხი ფხულარ ქ'ეხთენანდა (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 262) „როცა რომ მუხლამდე ამოვედი, ფეხის თითები გამოუჩნდა“

ერ ლოქ ანჭდენი ეჯი ნებოზს აგითე, ლისკნალუ ლოქ ახადახ (ჩოლ.) „რომ მოვაო ის საღამოს სახლში, ხტომაში შევეჯიბროთო ერთმანეთს („ხტომამცაო ჰქონდეთ“)“

ციგინს ამბუდახ, აც, ლიფანალი ერ იბნრლ, ეჩქა ხოშალ (ჩოლ.) „ზღაპარს ყვებოდნენ აი, საკურთხის წადგმა რომ იწყებოდა, მაშინ უფროსები“

ლაზალჟი ქა ჰალ ათუე გეზალს, ეჩქა შიშდ თხერალ ხოღეშგიხ გეზალს (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 160) „მშობიარობისას როგორც კი აჩენს შვილს, მაშინ უცებ მგლები ართმევენ შვილს“

ალი ამჯ'ესჭიმ, უოდე დო ტაბაგს მესგურე ქა დ'ადხერსი მაგ (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 177) „ეს ასე მიყვება, სანამ ტაბლასთან მჯდომს ყველას არ ჩამოურიგებენ“

დემ ლოქ ხატხე პატრონს, უოდ თიკანს ლოქ დრმ ოთკუნენნეხ ლიცთე (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 241) „არ უბრუნებსო პატრონს, სანამ თიკანს არ ჩაუგდებენო წყალში“

ჲერუ დაშტუ ოდგარდ ეჩქა, ფერმაჲსა ერ ხუარდად (ჩოლ.) „ორი დათვი მოვკალით მაშინ, ფერმაში რომ ვიყავით“...

აღნიშნულ ჰიპოტაქსურ წინადადებებში დამოკიდებული გვხვდება სამივე პოზიციაში, თუმცა, აშკარად, ჭარბობს წინა პოზიციის დამოკიდებული ყველა დიალექტში. ასევე გვხვდება შემთხვევები, როცა მთავრის შუაში მოქცეულ დამოკიდებულს, ხან მთავარი წინადადების რამდენიმე წევრი მოჰყვება, ხან მხოლოდ კორელატი, შესაბამისად გვაქვს შემდეგი პოზიციები: დამოკიდებული + მთავარი; მთავარი + დამოკიდებული; მთავარი + დამოკიდებული + მთავარი; მთავარი + დამოკიდებული + კორელატი.

საილუსტრაციო მასალა:

ალა ჰალ ქა რაჭე, ჯეცდ ესფხიჭე დრინას (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 158) „ეს როგორც კი თქვა, მხეცმა დასტაცა ხელი გოგოს“

ზურალ უოდე უშდა ლი, ხოლა ჯუინელ ლერექუ გარ იქუემ (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 180) „ქალი სანამ უწმინდურია, ცუდ ძველ ტანსაცმელს მარტო იცმევს“

ერ ლოქ ესწვხახ მიჩა ში, რაშს ლოქ ოხზგზნეხ (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 92) „რომ დაგჭირდებათო ჩემი ხელი, რაშს გამოგიგზავნითო (ზედმიწ. – რომო დასჭირტდებათ მისი ხელი, რაშ-ს-ო გამოუგზავნიან)“

ლგშრაუას, ოდ ჭირისუფალ დრმ ენხურიელრლ, ეჩქად დემ იზბგდახ (ჩოლ.) „სახსნილოს, სანამ ჭირისუფალი არ მოგროვდებოდა, მანამ არ ჭამდნენ“

ალე მიჩა მგზნანი ლოქ ლი, მინ ლოქ ერ დესა ჰრიხ, ეჩქა (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 318) „ეს ჩემი მომვლელიაო, თქვენ როცა არ ხართ, მაშინ (ზედმიწ. – ეს მისი მომვლელიო არის, თვითონო რომ არ არიან, მაშინ)“

მუყრრნტალ ჴედნიხ ლილფხუჴლთე ნაღალდ, შომჴი მაშენე აუდრიანობ ლი, ეჩქა (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 29) „ჩიტები მოდიან გაზაფხულისკენ უფრო, როცა ყველაზე მეტი ავდრიანობაა, მაშინ“

ეჯის მი მაჩ ხუეწდ, უოდ ქა დო ონჴუედ ფედიას (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 84) „ის („მას“) მე ვერ დავინახე („შევხედე“), სანამ არ მოვედი ახლოს“

საციქუი ლიდჲანგრი ხამჭირხ ეჩქა, კროხ ერ ხოსგურხ ლაკუშად (ჩოლ.) „საციქველის თხოვება ეზარებათ მაშინ, კრუხი რომ უზით გამოსაჩეკად“...

როგორც ცნობილია, ამ სახის ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში დამოკიდებული წინადადებით გამოხატულ მოქმედებასა და მთავარი წინადადების შემასმენლით გადმოცემულ მოქმედებას შორის გარკვეული დროული მიმართება არსებობს „ამა თუ იმ მიმართების გამოხატვის საშუალებაა კავშირი, პირიან ზმნათა დროისა და მწკრივის ფორმები, მთავარისა და დამოკიდებულის წყობა, მისათითებელი სიტყვები მთავარში და სხვა ლექსიკური საშუალებანი, რომლებიც მთავარისა და დამოკიდებული წინადადების ამა თუ იმ მიმართებას უფრო თვალნათლივ გახაზავენ“ (კვაჭაძე 1977: 365).

სვანურშიც, ბირითადად, დროის ორი მიმართება დასტურდება, მოქმედებათა ერთდროულობა (როდესაც მთავარსა და დამოკიდებულში გამოხატული ორივე მოქმედება, დროის თვალსაზრისით, ერთდროულად ხდება) და თანამიმდევრობა (როდესაც დამოკიდებულში გამოხატული მოქმედება უსწრებს მთავარში გადმოცემულ მოქმედებას, ან პირიქით). მაგ.:

ნინჩუარისკა ხეკუეს ხოფხეჭან, ეჩქა თხუიმ ქ'ასოქდ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 84) „სახეში უნდა მცემოდა („სცემოდა"), მაშინ თავი გავწიე"

ალდარ ერ იხურიელალდახ, ამინდდი ეჩქა ჩომინ ტურსინა (ჩოლ.) „ესენი რომ გროვდებოდნენ, ამინდმაც მაშინ ქნა ორომტრიალი"

ეჯას ხეწებალ მელუჟალ, ლახე თემი ხოჯდენი (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 38) „იმას ეკონწიალება მშობიარე, რომ გაუჭირდება (ზედმიწ. – თუ თმენა მოუვა)"

მუწურა აგითე შუიდებდ ჯედნიხ, ეჩქას მინე ლეწური საფლაუჟინ თოფარს აკუანეხ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 46) „სისხლის ამღებნი {რომ} სახლში მშვიდობით მოვლენ („მოდიან"), მაშინ მათი სასისხლებელის საფლავზე თოფებს ისვრიან"

ხალ სგა ღგრდახ დაბთეხსა, შიშდ მუსი მურყუამს ხებგრრლხ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 239) „როგორც კი შევიდოდნენ ყანაში, ხელად თოვლის კოშკს ებგერებოდნენ"

რეუოლუცია ერ ემბინან, ეჩქა ამხაუ გელოუან ერე ემჯედელი სგა (ჩოლ.) „რევოლუცია რომ დაიწყო, მაშინ აქ გელოვანი მოსულა ვიღაცა"...

კომპონენტთა შორის დროის მიმართების თვალსაზრისით რომ საკავშირებელ საშუალებებს გარკვეული როლი ეკისრებათ, ამას უოდ/ოდე/უოდდო/უოდემჩიქა „სანამ" მიმართებითი ზმნიზედის პარალელური ვარიანტებიც ნათლად გვიჩვენებს. მისი გამოყენების დროს განირჩევა შემდეგი შემთხვევები: მთავარ წინადადებაში ასახული მოქმედება, დამოკიდებულის შემასმენლით გამოხატულ მოქმედებაზე ადრე სრულდება; მთავარში გადმოცემული მოქმედება სრულდება, დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლით გამოხატული მოქმედების შესრულების შემდეგ და მთავარში გამო-

ხატული მოქმედება შესრულდა იმ დროს, სანამ მიმდინარეობდა დამოკიდებულ წინადადებაში გადმოცემული მოქმედება. მაგ.:

ამჟრნ აკლაუიხ, ოდე ლიშდბენრ დო ჯედნი (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 118) „ასე ლეწაენ, სანამ გასუფთავების დრო არ მოვა“

მი ბაჟდ უოდ ონჯუედ, ეჩქად ალდარს ჩუ ლუტფურე ხუუბნხ (ჩოლ.) „მე გონზე სანამ მოვედი, მანამდე ამათ გატყავებული ჰქონდათ“

ოდე გიმს ჟი დო ხოქჯბდა ნაწლგიმაწუ, ეჩქად ფიკუიდ გარ იჩომდახ ლიგემს (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 110) „სანამ მიწას არ ამოსცდებოდა ნაგებობა, მანამდე მხოლოდ მშრალად აგებდნენ (ზედმიწ. – მაშინად მშრალად მხოლოდ იქმოდნენ ა-გ-ებ-ა-ს)“

უოდე ამტყუასგარ ჟ'ახწადხ, ეჩქად ლაზ-მიზ დემთე ნარ (ბქ., სვან., პროზ. ქრესტ., 1957: 206) „სანამ ვარსკვლავები ამობრწყინდნენ, მანამ წასასვლელი არსად გვაქვს“

უოდდედე ჟ'ანთხენეხ, ეჩქად ქორთე მეტეხ დემეგ ლასუხ (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 221) „სანამ არ მოძებნიან, მანამ სახლში მომსვლელები არ იყვნენ“

უოდე ჲარუ მარემი საჯსარ დ'რხტჯიდახ, ეჩქად ქა მად ოთფრშუდახ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 70) „სანამ ორი კაცის გადასახადს („სახსარ-ს“) არ მოუტანდნენ, მანამ არ გაუშვიათ“

უოდიმჩიქქად ჩუ იშხრლ, ეჩქად ღერბათუ ხაშგუმინ დორაჲ ლიც (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 256) „სანამ დაიწვებოდა, მანამ ღმერთს სთხოვა კოკა წყალი“

უოდიმჩიქქას დაუითს კინჩხს ჟი ხაქუცა, ეჩქად დაუითდ ქა ლახუნთურე მიჩა თხუიმ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 271) „სანამ დავითს კისერს მოაჭრიდა, მანამ დავითმა გაახსენა თავისი თავი“...

ჩვენი ყურადღება მიიქცია ზემოსვანურ დიალექტებსა და ჩოლურულში ერთი შეხედვით ჰიპოტაქსურმა კონსტრუქციებმა, რომელთა კომპონენტებსაც დროის თვალსაზრისით ერთმანეთის მიმართ გარკვეული მიმართება (მოქმედებათა ერთდროულობა) აკავშირებთ. აღნიშნულ კონსტრუქციებში სავარაუდო დამოკიდებულს კავშირი აკლია, ხოლო მთავარში ყველგან **ეჯი** „ასე“, ამჟი „ისე“ მიმართებითი სიტყვა ახლავს თან, რომელსაც პირვანდელი

მნიშვნელობა სავარაუდოდ დაკარგული აქვს და მეორეული სემანტიკით ეჩქა „მაშინ“ დროის ზმნიზედის მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. მაგ.:

ხოჩამთექა ქა მეჯდე ლი, ეჯჟი კესარშერდ ხამარ ჟ'ოხხუიტხ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 21) „წამოზრდილია უკვე (ზედმიწ. – კარგისკენ მოსული არის), ისე (/მაშინ) კეისრისანებმა ღორები ამოუწყვიტეს“

ჲორი საჯენ გარ ნიზიდა უშხუართე, ეჯჟი უშხუარ ხუეწადდ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 15) „ორი საჟენი მარტო გვაშორებდა ერთმანეთს, ისე (/ მაშინ) ერთმანეთი დავინახეთ“

მერმე ღუაშაშ ლიტმურე ქა ულია ხად, ეჯჟი მარემ ჰერ ლახსგმდა (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 84) „მეორე ჯიხვის გატყავება დასრულებელი არ ჰქონდა, ისე (/მაშინ) კაცის ხმა მოესმა“

უოხუშდ ლადეღ გარ ხოკლი უადას, ეჯჟი ანჯად დაუ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 58) „ხუთი დღე აკლია მხოლოდ დათქმულ დროს („ვადა-ს“), ისე (/მაშინ) დევი მოვიდა“

დაუს ჭგშხარ სგა უტმურა ხარ, ეჯჟი მგლქუერიაშ ნაღუჟურს ქა ლგზგგრე ხარ ლიტმურე (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 57) „დევს ფეხები გაუტყავებელი აქვს, ისე (/მაშინ) მეწისქვილის ვაჟს დასრულებული აქვს გატყავება“

სგა ლიჰეს ხუამურჯიდ, ამჟინ სგა ლანჰელან (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 53) „დაწევას ვცდილობთ, ისე (/მაშინ) შემოგვეკარგა“

ნაი ჟ'ესუჭუენდ, ამჟინ ნიშგუეი ჩუხინ ჟ'იდ ანაპარ ლემასგუშალ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 53) „ჩვენ შემოვტრიალდით, ისე (/მაშინ) ჩვენ ქვევით კვლავ ამოვარდა ცეცხლივით“

ლეჴუიდქა ესჭომახ ფადასუშ, ეჯჟი თაბუშერალრ ანჯადხ მუტუარუშ ქამთე (ჩოლ.) „ლეხვიდზე მირბოდნენ შეკრებილები, ისე (/მაშინ) თაბუშერლებიც გამოვიდნენ ჩირაღდნით („ნათებით“) გარეთ“

კოჭრლ გუეცუარ ლეფცხიდ, ეჯჟი ჟ'ოგუიალნეხ ნადარრ (ჩოლ.) „ცოტა გვქონდა დარჩენილი მოსაფარცხი, ისე (/მაშინ) მოგვისწრეს ნადიც (ზედმიწ. – ცოტაოდენი "გვეტოვა" საფარცხავად, ისზე მოგვისწრეს ნად-ებ-ი-ც)...

აღნიშნულ კონსტრუქციებში, კომპონენტთა დასაკავშირებლად თუ ჩავსვამთ ი „და“ კავშირს, მივიღებთ თანწყობილ წინადადებებს, რომელთა შორისაც ისეთივე აზრობრივი მიმართება იქნება, როგორიც ქვეწყობილ წინადადებაში იყო. ერთი შეხედვით, საქმე გვაქვს ისეთ შემთხვევებთან, როდე-

საც რთულ თნაწყობილსა და რთულ ქვეწყობილ წინადადებებს შორის მკვეთრი ზღვარის გავლება ძნელია. თუმცა ჩოლურულში დაიძებნა ისეთი მასალა, სადაც ანალოგიურ შემთხვევებში დამოკიდებულში წარმოდგენილია ქვეწყობის გარეგანი ნიშნები – მაქვემდებარებელი კავშირი, ან მიმართებითი ზმნიზედა, ხოლო მთავარში ეჯჟი „ისე“ კორელატი, რომელიც ადვილად შეიძლება ჩაანაცვლოს დროის ზმნიზედამ. მაგ.:

ქ'ერ რთრგაწდ ლაბჟრნათე, ეჯჟი (/ეჩქა) ქა ლეიტულეხ მამხენრ (ჩოლ.) „რომ გავუდექით ამბის შესატყობინებლად, ისე (/მაშინ) დაიძახეს მამიდანაც“

ეშხუ ძინარს ლიგუნრ ერ ოხშგაბ, ეჯჟი (/ეჩქა) ქ'ანჯად მგრაამხენ შტუგულ (ჩოლ.) „ერთ დილას ტირილი რომ წასკდა, ისე (/მაშინ) გამოვიდა საიდანღაც თაგუნა“

ნალგუან თეთრს ერ იშგლდანდახ ნებოზს, ეჯჟი (/ეჩქა) ესიაალნე ბესიდ ნაწუარ (ჩოლ.) „გასვენების ფულს რომ ითვლიდნენ საღამოს, ისე (/მაშინ) დააწია („მიასწრო“) ბესიმ შესაწევარი“

უოდ ალიარ ქ'ემტეხხ, ეჯჟი (/ეჩქად) ჩ'ოთკილახ ეკლესიაი საყდარაწლს (ჩოლ.) „სანამ ესენი აბრუნებულან, ისე (/მანამ) დაუკეტავთ ეკლესია საყდრელებს“...

ჩოლურულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ვითარებითი ზმნიზედის შემცველ (ეჯჟი „ისე“) ამ ქვეწყობილ კონსტრუქციებში, ცალკე აღებული მთავარი წინადადება არ მიანიშნებს კონკრეტულ დროზე, არამედ დამოკიდებულის შინაარსი განსაზღვრავს მათ შორის დროის გარკვეულ მიმართებას.

როგორც განხილულმა მასალამ აჩვენა, სვანურის დიალექტებში გარემოებითდამოკიდებულიან ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში ყველაზე მეტი რაოდენობით დროის გარემოებითი დამოკიდებული ქვეწყობილი წინადადებები დასტურდება. დიალექტებს შორის არსებითი სხვაობა არ შეინიშნება, თუ არ ჩავთვლით გარკვეული საკავშირებელი საშუალებების დართვა-დაურთველობას.

§ 15. ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

დამოკიდებული წინადადება, რომელიც მიემართება მთავარ წინადადებაში ზმნიზედით გამოხატულ ვითარების გარემოებას და აზუსტებს მის სემანტიკას, თუ რა ვითარებაში ხდება მთავარი წინადადების შემასმენლით გამოხატული მოქმედება, ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადებაა.

სხვა ქართველური ენების მსგავსად, სვანურშიც ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები მთავარ წინადადებასთან მიმართების თვალსაზრისით, შეიძლება გამოხატავდეს ვითარებას, შედეგს, ჯეროზას (მოქმედების განმეორებას) და შედარებას. მაგ.:

იმუ̈ჰიჟი მახე ლჳნაყ ქუთუ̈არ, ეჯჟი ლა̈სუ̈ მთელ ლინთუ̈ ეჯ თა̈შ (ბზ.) „როგორც ახალი გამომცხვარი ხაჭაპურები, ისე იყო მთელი ზამთარი ის ყველი“

ეჩჟინ ლჳჯმაშუ̈დ ლჳმა̈რდ, ერე მესმე ნა̈თი̈ დეშ ოთცუ̈რრა (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 85) „ისეთი შეძლებული ყოფილა (ზედმიწ. – ისზე ძლიერად ნამყოფა), რომ მესამე წილიც ვერ დაუტოვებია“

ჩუ̈რბა̈ქი ეჯი კუპტა̈რალ ეჯჟი, ერე და̈რს ხა̈მნეხ (ჩოლ.) „ისე გამოილევა ხოლმე ის კუბდარები (ზედმიწ. – გაქრება ის კუბდ-არ-ებ-ი ისზე), რომ არავის აჭმევენ“

ლჳც ეჩეხენისკა ლამშა̈ხენ მუგუ̈დაჲ ანღუ̈რი, ეჯჟი ხეკჯუ̈ეს გუ̈იქჯუ̈ან (ლნტ., სვან. პროზ., ტექსტ., 1967: 73) „გაღმა წყლიდან თითქოს სამუშაოდან მოვდივარ, ისე უნდა გვეთქვა“

უ̈შელდ დადა ლა̈მზგრთე ღჳრდა, ეჩშელდჳნ ქორ ქა ლჳჯელჯუ̈ე ხეხოლიდა (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 67) „რამდენჯერაც ბებია სალოცავად წავიდოდა, იმდენჯერ სახლი გამოხვეტილი ხვდებოდა“

მულქჯუ̈აჲთე ეჩჟი ცქჯუ̈იტდ ედჩტჯუ̈ნ, ერე დოლაბ-შჩრა ერ ედგურნი (ლშხ.) „დაღმართში ისე ცქვიტად ჩაირბინა (ზედმიწ. – ისზე ცქვიტ-ად გაიქცა), როგორც წისქვილის ქვა დაგორდება“...

ოშელდინრმაგ ალეს ეჩხა̈ჯ ლრზი ლეხშყედნი, ეჩშელდინ იმხენ ონჯ̈უ̈დე ლეზგზს (ჩოლ.) „რამდენჯერაც ამას იქ წასვლა გაახსენდება, იმდენჯერ საიდან მოვიტან საგზალს“...

განსახილველ ქვეწყობილ წინადადებათა მთავარ წინადადებებში კორელატებად წარმოდგენილია ვითარების, ზომა-ოდენობისა და ჯერობის ზმნიზედები: ეჯი/ეჯინ/ეჩი/ეჩინ/ეჯინ/ეჯი „ისე“; აშ „ისე“ ამჯი/ამჯინ „ასე“; ეჭკაიბდ/ეჯკალიბდ „ისეთნაირად“; ამკალიბდ/ამკალიბდ „ამნაირად“; ეჯზუმუშ „იმდენად“; ეჩშელდინ „იმდენჯერ“; ეჯგუარ/ეჯგუა/ეჯგუაიდ „იმგვარად“; ამგუარდ/ამგუა/ამგუაიდ „ამგვარად“...

საილუსტრაციო მასალა:

ალიარ ეჩჯინ მალტარ ჩუ ლგმარხ, ერე მგფცხგრე მამგუეშ მოშ ლგმფგცხგრუინ (გზ., სვან. ქრესტ., 1978: 59) „ესენი ისეთი მოსიყვარულეები {ქე} ყოფილან, რომ ვერავინ აშორებდა ერთმანეთს (ზედმიწ. – რომ დამცილებელი არა საქმე ვერ დანაშორება)“

ალე ეჯჯინენ ლოხგახ სგა, ერე ჟიქანჩუ ესსგურენა ჟაი (ჩოლ.) „ეს ისე შეუდგამთ, რომ ზემოდან დასჯდომია ზვავი“

იმჟრი ლოქ ხექუას, ეიჟიუ ჩომინ (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 132) „როგორც გეტყვის, ისე გააკეთეო (ზედმიწ. – როგორცო უთხრას, ისემც ქმნა)“

ღუედარ აშ ოხთგლგრე, ერე ჩუ ღოთ აქუიც (ლშხ., სვან. ქრესტ., 1979: 289) „ღვედები ისე მოუჭირა, რომ კინაღამ გაჭრა“

ამნემ ამჟი ჩომინ, იმჟი მიჩა ციხუდ ხათრნე (ლშხ., სვან. ქრესტ., 1979: 280) „მან ისე ქნა, როგორც თავისმა ცოლმა ასწავლა“

ეჯზუმუშ წმინდ ხეკუეს ლეს ოჯახ, ერე სკამარსრ აშყუდუდახ (ჩოლ.) „იმდენად წმინდა უნდა იყოს ოჯახი, რომ სკამებსაც რეცხავდნენ“

უოშელდინ ადგბარიხ ტაშტისა, ეჩშელდინ ლიც ქა ხეკუეს აგოშიხ (ლნტ.) „რამდენჯერაც იბანავებენ („დაიბანენ“) ტაშტში, იმდენჯერ წყალი უნდა გადაასხან“

ეჯგუარ ხაჯიდ ფაუ, ერე ჯან ჩ'უადგან (ბქ., სვან. ლექს., 2000: 244) „ისე („იმ-გვარ-ი“) დაარტყა ჯოხი, რომ ხარი მოკვდა“

ეჯკალიბდ დემგუაშ ხაყლე, ერე ამნემ მადშ ანაჯგრჯის ლექუის (ლნტ.) „იმნაირად ვერაფერს ეტყვის („ეუბნება“), რომ ამან ვერ მოახერხოს სათქმელი“

ხოშალ ერ ხეშტაბდახ ჯუინელდ, ათხეი ამგუარდ ხუემარალდ ზომხას (ჩოლ.) „როგორც წინაპრები ემზადებოდნენ ძველად (ზედმიწ. – უფროსები რომ მუშაობდნენ ძველად), ახლაც ისე ვემზადებით საახალწლოდ (ზედმიწ. – ახლაც ამ-გვარ-ად ვემზადებით ახალ წელს)"...

ზემოთ წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალისაგან განსხვავებით, ქვემოსვანურ მეტყველებაში (ზემოსვანურ დიალექტებში ნაკლებად) არის შემთხვევები, როცა მთავარ წინადადებებში ეჯჟი „ისე" მისათითებელი სიტყვა არ გვხვდება, თუმცა ივარაუდება და აღდგენა შესაძლებელია. მაგ.:

ჰკუერიაწნდ ჟ'ახოზნე დაწუი დედეს [ეჯჟი], იმაჲჟი დაწუდ ასომახალე (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 326) „ჰკვიანურამ მოუარა დევის დედას [ისე], როგორც დევმა დაუბარა"

ალ ფაყუ აწოლს ილეჩე უჩხახენქა [ეჯჟი], იმაჲჟი ლგყარ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 297) „ეს ქუდი ზვინს იცავს წვიმისგან [ისე], როგორც სახურავი"

ხაწლ ლეზობურ მაწრას მრ ხაყა, [ეჯჟი] ასტამურ მეზგას მაწხაყა (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 46) „როგორც საჭმლის გარეშე არ ვარგა ადამიანი, [ისე] ასტამის გარეშე ოჯახი („მოსახლეს") არ ვარგა"

ხაწლ ისგუაწუ დრრს ხოუდა ეჩეჩუნენ ნამშაუ, დერა, [ეჯჟი] ეჯჲარემდრ დესმა ხოუდახ (ჩოლ.) „როგორც შენთვის არავის მოუცია იქ ნამუშევარი, ხომ, [ისე] იმათთვისაც არაფერი მიუციათ"

ეჯის ქა ხეჭრიხ იშგენ ზურლწლ [ეჯჟი], იმაჲჟი ღუაჟარ ლგგხ (ჩოლ.) „იმას გადაებმებიან ხოლმე სხვა ქალები [ისე], როგორც კაცები დგანან" და ა. შ.

ვითარებისდამოკიდებულიან წინადადებებში შეიძლება განმეორდეს მისათითებელი ზმნიზედა ან მთავარი წინადადების შემასმენელი, რაც ექსპრესიის გაძლიერებით უნდა აიხსნას. მაგ.:

ალ დიჲაწრ ეჩჟრნ ჟი იფუნჩი, ეჟრნ, ერე კამინუს ღეთ სგაწნჩრნ ჯურუაწრს იყენე (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 140) „ეს პური ისე ამოფუვდება ხოლმე, ისე, რომ მტკაველამდე ხვრელებს იკეთებს შიგნით"

ეჯგუშარ ხაცუნი, ეჯგუშარ, ერე ლაცუნალჟი ჩ'უაბაჭკუ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 19) „ისე („იმ-გვარ-ი") ეცინება, ისე („იმ-გვარ-ი"), რომ სიცილისას გასკდა"

მგში ლი ეჱჟი, ეჱჟი, ერე ჭიშხი სახ მა თერგნ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 262) „გასიებულია ისე, ისე, რომ ფეხის ნასახი არ ჩანდა"

ალე ჩაჟს ეჯჟი ოხრზნანეხ, ეჯჟი, ერე დეცქა იპენალ (ჩოლ.) „ამ ცხენს ისე მოუარეს, ისე, რომ ცაზე დაფრინავს"

ესხრიხ, ესხრიხ, უშხუარ დარ ხარგაჱდიხ, ეჯჟი (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 60) „მიდიან, მიდიან, ერთმანეთს არავინ ელაპარაკებიან, ისე"...

განსახილველ რთულ ქვეწყობილ წინადადებებში, მთავარი წინადადების მისათითებელი ზმნიზედა შეიძლება მიეკედლოს დამოკიდებული წინადადების მაქვემდებარებელ კავშირს და მიიღება რთული კავშირი ეჯჟი ერე „ისე რომ". აღნიშნული შემთხვევები მაშინ ხდება, როცა მთავარში მისათითებელი სიტყვა დამოკიდებულის კავშირის მომიჯნავედაა წარმოდგენილი. მაგ.:

მაროლი ლჟმთუეფოლნელიხ, ეჯჟი ერე მამაგუეშ ლჟმმეკროლინ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 10) „კაცებიც იკარგებოდნენ თურმე, ისე რომ არაფერი ხდებოდა ცნობილი"

ეჩეისა ლოქ შუშჱარს იჩოხ, ეჯჟი ერე ფხულეს ლოქ დემ ჱდშიხნეხ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 320) „იმაში იცეკვებენო („ცეკვას იზამენო"), ისე რომ თითს არ დაიწვავენო"

ხმალ ქახიქა ესდე, ეჱჟი ერე ამირან დოშ ხეჱალდეს (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 129) „ხმალი მოშორებით დადო, ისე რომ ამირანი ვერ მიწვდეს"

ამასობაჱსა ჩუენრყე ეჯი ეჩაუნუნ, ეჯჟი ერე ჯეჱ ჟი ლებრდა (ჩოლ.) „ამასობაში ჩამოწია ის იქამდე, ისე რომ თვითონ მისწვდა"...

აღნიშნულ ჰიპოტაქსური კონსტრუქციებში დამოკიდებული წინადადება მთავარს უკავშირდება წევრ-კავშირებითა და მაქვემდებარებელი კავშირებით, რომელთა რაოდენობა და ფონეტიკური ვარიანტები სვანურის დი-

ალექტთა გათვალისწინებით საკმაოდ მრავალფეროვან სურათს გვიჩვენებს: იმჟრ/იმჟიუჽი (ლშხ., ჩოლ.)/იმჟინრ (ლშხ.)/იმუჽუჟი (ბზ.)/იმჽიჟი/იმჽუჟი (ლნტ.) „როგორც“; უოშუჽიდინ (ბზ.)/უოშელდინრ (ლშხ., ჩოლ.)/უოშელდ (ბქ.) „რამდენჯერაც“; ხალ (ლნტ.)/ხჽლ (ჩოლ.)/ჰჽლ (ბზ.) „როგორც“; ხემა (ბქ., ჩოლ.)/ჰჽმუჽი/ხამუჽი (ბზ.)/ხემოლუჽი (ლნტ.) „როგორც“; ხონ (ზს.)/ხონრ „თითქოს“; მუგუდა/მუგუდჽ (ბქ.)/მუგუდჽი (ბზ., ლნტ.)/მუგუდაი (ლშხ., ჩოლ.) „თითქოს“; ერე/ერ/ე (სვ.) „რომ“; ელო (ჩოლ.)/აღუე (ლნტ.) „თუ“...

ჰარაყ იმუჽუჟი ჹას ხეკჯად, ეჩჟრნ ჹგთრა მაგ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 31) „არაყი ვისაც როგორ („როგორც ვის“) უნდოდა, ისე სვამდა ყველა“

იმჽიჟი ხოშა ხუჽი ღგრჩჽლ აშგდენი, ეჯჯი ხოჩილ ლი (ლნტ., სვან. პროზ., ტექსტ., 1967: 62) „რაც („როგორც“) მეტი ნაკვერჩხალი დაიყრება, ისე უკეთესია“

უოშუჽიდინ ჽნგუეშა, ეჩშელდინ უერცხლდ ესსიჰდა (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 163) „რამდენჯერაც აავსო, იმდენჯერ ვერცხლად გადაიქცა“

ჩუი ადკარე მჽლდ ჯარჯ, ჰჽლ მოშ ხემიჹედნ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 364) „გააღო მელამ ხახა, როგორც შეეძლო“

ხჽლ მოშ დრსკ ლეხერრლ, ეჯჯი ხოჩილდ სედნრლ ნამშაი (ჩოლ.) „რაც უფრო ადრე შეუდგებოდი საქმეს („როგორც უფრო ადრე შეუდგებოდი“), მით უფრო კარგი გამოდიოდა ნათესები („ისე უკეთესად რჩებოდა ნამუშევარი“)“

ხემოლუჽი ალ მაჯედა ახოჯერჯახ, ეჯჯი ლოქ ჲდღგრიხ იშკენ ლაი (ლნტ.) „როგორ ეს გადასახადი მოუხერხებიათ, ისე მოიცილონო სხვაც (ზედმიწ. – ისზეო მოიცილონ სხვა, აგრეთვე)“

მუგუდაი დრსმა ხოხჽლდა, ეჯჯი ედჩუმჽნ (ლშხ., სვან. ლექს., 2000: 574) „თითქოს არაფერი იცოდა, ისე გაჩუმდა“

სორთმანს ეჯჯ’ათუჽშგდუნა, ერე სამ ლეთ-ლადეღ ლაყურახენჯი მად ოლგენელი (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 13) „სორთმანს ისე უთაკილებია, რომ სამი დღე და ღამე საწოლიდან არ ამდგარა“

ჟიქჽნქა ჟი ხაფრენიხ ესიამ ეჯჯი, ნრრ ერ ისდგდეს სგ’ჽმენთე (ჩოლ.) „ზემოდან დააფარებენ ხოლომე რამეს ისე, არავინ რომ არ იყურებოდეს შიგნით“

მად ხეფასი ეჯჟი აშხუმდ ლირდე, აღუე მად ახათგმინნე მადხუჴას (ლნტ.) „არ გამოვა ისე ერთად ყოფნა, თუ არ მოითმენ ცოტაოდენს“...

მოცემულ მასალაში საკავშირებელი საშუალებები (წევრ-კავშირები და მაქვემდებარებელი კავშირები) წარმოდგენილია, თუმცა იშვიათად გვაქვს შემთხვევები, როცა მაქვემდებარებელი კავშირი აკლია და იგულისხმება. იშვიათად უკავშირო დამოკიდებულს შეიძლება ახლდეს უკერელაციო მთავარი წინადადებაც, თუმცა მათი აღდგენა ადვილად შეიძლება. მაგ.:

ქახიქა ხოდისგხ ჩუ, სგა [ერ] დემ ხეთლენიხ, ეჯჟი (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 180) „მოშორებით დაუდგამენ ხოლმე („დაუდებენ“), ახლოს არ ეკარებიან (ზედმიწ. – {რომ} არ შეეხებიან, ისე“

ეჯი სოფელ [ერ] ანჲაყრჳნ, ეჯჟი დემსკი სოფელ ლჳგყრჳელი (ჩოლ.) „ის სოფელი [რომ] დაიცალა („ა-ი-ყარ-ა“), ისე არცერთი სოფელი არ დაცლილა („ა-ყრ-ილ-ა)“

ეჯჟი ლიყულის იბნა, [ერე] მანჳგას ლახუარს ხასწჳდა (ჩოლ.) „ისეთ ყვირილს იწყებდა, [რომ] ექოს მთებს გადასცემდა“

მჳლჲლს [ეჯჟი] ხაჩა, [ერე] ჯადი კან მჳ ლეხსად ლჳცუნჳალს (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 84) „მელიას [ისე] ეცინება, [რომ] მუცლის კანი არ შერჩა სიცილისგან („სიცილს“)“...

მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება კავშირი არ იყოს წარმოდგენილი, ლაშხურსა და ჩოლურულში ორმაგკავშირიანი წინადადებებიც დასტურდება, როცა მიმართებით ზმნიზედებთან ერთად მაქვემდებარებელი კავშირიც მონაწილეობს. ასეთ შემთხვევებში კავშირის ფუნქციას აშკარად წევრ-კავშირი უნდა ასრულებდეს, ვინაიდან მისი ჩამოშორების შემდეგ მაქვემდებარებელი კავშირი წინადადების სხვა წევრთა პოზიციის გათვალისწინებით ამ ადგილზე ვერ დარჩება, ხოლო მიმართებითი ზმნიზედისთვის (მაქვემდებარებელი კავშირის ჩამოშორებით) ეს პოზიცია ბუნებრივია. მაგ.:

ქანს ათხჳი ეჲჟი ალჳშიხ, **იმჟ** ერე ჯუჳინელდ (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 53) „კანაფს ახლაც ისე თესავენ, როგორც რომ ადრე“

ხალ ერე მეთხუიარა ითეხ ნათხუიარას მეთხუიარი შელდჟი, ეიჟ'ითი ხილ სანხუბისა მგნათი მუხუბემი შელდჟი (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 44) „როგორც რომ მონადირეები ინაწილებენ ნანადირევს მონადირეთა რაოდენობაზე, ისე იყოფა ხილიც საძმოში მოწილე ძმათა რაოდენობაზე“

ხონი ერე მაჴედ ნამშაუ ახჴედენხ, ეიჟი ხაბჟახ (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 53) „თითქოს რომ მოსავალი მოეწიოთ („ნამუშევარი მოსვლოდათ“), ისე მიაჩნიათ“

ეჯჟი იშტაბდა, მუგუდაი ერე დოსა ახღელდა ეჩა ლიწურლაშს (ჩოლ.) „ისე ჩხუბობდა, თითქოს რომ არ ელოდა მის გათხოვებას“

ჩუაჭშხგდახ ეჯჟი, ერე იმჟიუშაი ლი ფაყუ თხუმჟი (ჩოლ.) „ფორმას მისცემდნენ ისე, რომ როგორც არის თავზე ქუდი“

გაცხაიდ ეჯჟი ხუაჭიმდ ნაი, იმჟიუშაი ერე ეჩე, შუანს (ჩოლ.) „ნამდვილად („ცხად-ად“) ისე მივყვებით ჩვენ, როგორც რომ იქ, სვანეთში“...

ვითარების გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში მაქვემდებარებელ კავშირთაგან ერე/ერ „რომ“ კავშირი სვანურის ყველა დიალექტში გვხვდება, მათ შორის ჩოლურულშიც, თუმცა ალუე/ეუე/ელო „თუ“ მხოლოდ ლენტეხურისა და ჩოლურულის მასალაში დასტურდება (ისევე როგორც პირობითდამოკიდებულიან წინადადებებში). მაგ.:

ეუე მიჩა სკუებინ ჲერბი მეტრი ნამაშარიჟი ქ'ადასკინოლ, ეჯჟი დეშ ხაჩეშნა ღუაშ (ლნტ.) „თუ თავის წინ ორი მეტრის სიფართეზე გადახტებოდა, ისე ვერ გაასწრებდა ჯიხვი“

ალუე დემ ათუაქუთნოლ, ეჯჟი დემ მატყაცდა ტორაშლს (ლნტ.) „თუ არ გავინძრეოდი, ისე არ მირტყამდა ტორებს“

ამშა მუფუშტანს ეჯჟი დეშ ლენწირდ, ელო ალე ისარს დეშ ალყუიფედ (ჩოლ.) „ამის მსროლელს ისე ვერ მოვერევით, თუ ამ ისარს ვერ ამოვაძრობთ“

ეჯჟი დემღა მეცაძრლ, ელო დრმ ოთბაცნას ესჲამ (ჩოლ.) „ისე არაფრით მეგზავნებოდა, თუ არ შევპირდებოდი რამეს“...

ასევე, საინტერესოა ჩოლურულში დადასტურებული ისეთი მასალა, სადაც დამოკიდებული მთავარს უკავშირდება არა მიმართებითი ზმნიზედით, არამედ მიმართებითი ნაცვალსახელით იმჩ „რასაც“ და მთავარში ეჯჯი „ისე“ მისათითებელი სიტყვა გვხვდება. მაგ.:

იმჩ ტულდახ სოფელისა, ზუსტად ეჯჯი ლას (ჩოლ.) „რასაც ამბობდნენ სოფელში, ზუსტად ისე იყო“

დუეშტი ბინარს იმჩ ესუადნა, ეჯჯი ხესკეთრლ მაგ (ჩოლ.) „ორშაბათ დილას რასაც ინატრებდა, ისე უკეთდებოდა ყველაფერი“

ეჯი იმჩ ლექუნა ი ლახთერნა, ეჯჯი ხეფსრლ ჩიგარ (ჩოლ.) „ის რასაც იტყოდა და შეატყობდა, ისე ხდებოდა ყოველთვის“...

რაც შეეხება მიმართებით ზმნიზედებს, ხშირად -უჭა/-უაა/-ი „-ცა“ ნაწილაკისა და -ჟი „ზე“ თანდებულის (რომელიც შეიძლება ორჯერ დაერთოს, ჯერ კითხვით სიტყვას, შემდეგ კი მიმართებით ზმნიზედას) დართვით იწარმოება, ხოლო რიგ დიალექტებში პარალელურად უნაწილაკო (და უთანდებულო) მიმართებითი სიტყვებიც გვხვდება და ასეთ შემთხვევაში ფორმობრივი დამთხვევაა კითხვით სიტყვებთან. მაგ.:

მაგ ქ'რხგმბაუე მიჩა ხეხუდ, იმუჭაჟი ლაშუ მიჩა ლაქმათე მეჩდანღო (გზ., სვან. ქრესტ., 1978: 163) „ყველაფერი უამბო მისმა ცოლმა, როგორც იყო მისი საშოვარზე წასვლის შემდეგ“

ჭ'ანრექტუნ ეჯჯი, იმყგუჭაჟი მგხმგრრლს ხეკუთუნიუ (გზ., აბესაძე 1960: 124) „ჩაიცვა ისე, როგორც მეღორეს შეეფერებოდა („ე-კუთვნ-ოდა“)“

იმაჟი სკამ ლოქ ლი ლუკურთხან, ეჯჯი ლოქ იკურთხანი ნადირ (ლნტ., სვან. პროზ., ტექსტ., 1967: 71) „როგორც სკამიაო შებოჭილი, ისე შეიბოჭებაო ნადირი“

მგლქუერიაშ ნაღუჟურს ქა ხაქუე, იმჟი ტურად ოხუმბაუე, ეჯჯი (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 59) „მეწისიქვილის ვაჟს უთხრა, როგორც ტურამ უამბო, ისე“

იმჟი ლოქ მეკუედი, ეჯჯი ლოქ მაყა ეჯ ხალხ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 91) „როგორც მენდომებაო, ისე მყავსო ის ხალხი“

იმჟიუ̈ჰი მიშგური ბებია-ბაბუას ხადა ეჯი ჳოჯახ, ეჯი ხადახ სამსონს ი მიჩა დეხუს (ჩოლ.) „როგორც ჩემს ბებია-ბაბუას ეკუთვნოდა ის ოჯახი, ისე ეკუთვნოდათ სამსონს და მის ცოლს“

ეჯი ჩომინ, იმჟუ̈ჰი მიჩა დეხუდ ხათრნე (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 280) „ისე გააკეთა („ქნა“), როგორც თავისმა ცოლმა დაარიგა („აჩვენა/ასწავლა“)“

იმჟრ ეჩქად აგაწყობლდა ლეზობ-ლეთრას, ეჯი ასყი ამ ლეთრ (ჩოლ.) „როგორც მანამდე აწყობდა საჭმელ-სასმელს, ისე აკეთებს ამ ღამესაც“...

განსახილველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში, დამოკიდებული წინადადება, რომელიც საკავშირებელ საშუალებად **ერე** „რომ“ მაქვემდებარებელ კავშირს იყენებს, უმეტესწილად მთავარი წინადადების მომდევნო პოზიციაზეა, განსხვავებით ეღო „თუ“ მაქვემდებარებელი კავშირისა (რომელიც პრეპოზიციაშია უფრო ხშირად). მიმართებითი ზმნიზედების შემცველი დამოკიდებული კი სამივე პოზიციაში თანაბარი სიხშირით დასტურდება. მაგ.:

ყარ ლეტუ̈ბე ლი ეჯკა̈ლიბდ, **ერე აშხუ̈ხან შიმი ლაგუ̈დირ ხარ** (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 34) „ყავარი გათლილია ისე („იმ-ყალიბ-ად“), რომ ერთი მხრიდან ხელის მოსაკიდი აქვს“

ეჯირუ̈ ლოქ ადბიზე, **.ერე ნებოზს ლოქ ერ მადლობას ხაყლგდებ** (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 106) „ისე გააძღეო (ზედმიწ. – ისემცო გააძღო), რომ საღამოს მადლობას გეუბნებოდნენო“

აშ აჯიდ ხოშა ტყენუ̈შ, **ერე სგა ღრთ ლახდაგან** (ჩოლ.) „ისე სცემა დიდი კეტით, რომ კინაღამ შემოაკვდა“

ეჯჟი ხარახ ლესყი ეშრ, **იმჟიუ̈ჰი სარას ხრჭუა** (ჩოლ.) „ისე ჰქონიათ მაინც გასაკეთებელი, როგორც სარას უთქვამს“

აუე, ქა ლოქ ეჯჟი ა̈ნსკიდნი, **იმა̈ჟი ლოქ ხეშკედოლნი** (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 94) „აბა, ისე გამოვიხედავო, როგორც გეკადრებაო“

მგლჭერიაშ გეზალ ხემა̈ჰი შომა̈ჰი, ამჟი ა̈დსიპდა (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 61) „მეწისქვილის შვილი როგორც ყოველთვის („როდესაც“), ასე გადაიქცა“

ჰარაყ ი რაბნგ იმუბაიი დას ხეკუბად, ეჩჩინ ხუღუბნდა ჩი (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 46) „არაყი და რანგი ვისაც როგორც უნდოდა, ისე ჰქონდა ყველას“

მუგდაი დენას დესა ხოწუან, ეჯჯი ლახოქაბე (ლნტ., სვან. ლექს., 2000: 574) „თითქოს გოგოს არ ენახოს, ისე აუარა გვერდი“

ჩიდაბ ლასენტყუადუ ამსედეხი, ჰბლ ჩუ მესდე ხი, ამჟი (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 57) „ყველას სატირლად დარჩენილიყავი, როგორც ხარ დარჩენილი, ასე (ზედმიწ. – ყველას დასატირლადმცა დარჩენილხარ, როგორც დარჩენილი ხარ, ისე)“

ქ'აპარ ქორ ღოშკინქა, იმჟი მიჩა მუხუბე, ეჯჯი (ჩოლ.) „გავარდა („გაფრინდა“) სახლის უკან, როგორც თავისი ძმა, ისე“

მუჭდურას ხოკედხ გუტეჭს, კაპრა სგა ხაყა, ეჯჯი (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 71) „მკერდეულს უღებენ გოჭს, ნიკაპი {რომ} შერჩენილი აქვს, ისე“...

საანალიზო მასალამ აჩვენა, რომ ვითარების გარემოებითი დამოკიდებული ჰიპოტაქსური კონსტრუქციები მრავლად გვხვდება სვანურის ყველა დიალექტში და მათ შორის არსებითი სხვაობა არ შეინიშნება, თუ არ ჩავთვლით გარკვეული საკავშირებელი საშუალებების გამოყენების სიხშირესა და თავისებურებებს, რაც დამოკიდებული წინადადების პოზიციაზეც აისახება.

§ 16. მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

მიზეზის გარემოებითი დამოკიდებულის შემცველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში, დამოკიდებული მიემართება და აზუსტებს მთავარ წინადადებაში მისათითებელი ზმნიზედით (მიზეზის გარემოებით) გამოხატული სიტყვის სემანტიკას და, შესაბამისად, გადმოგვცემს (ხსნის) მიზეზს იმისას, რაზეც მთავარ წინადადებაშია საუბარი.

მოძიებულმა მასალამ ცხადყო, რომ სვანურში საკმაოდ მრავლად გვხვდება ასეთი რთული ქვეწყობილი წინადადებები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში (განსხვავებით ზემოთ განხილულ დამოკიდებულთაგან) არა გვაქვს საკავშირებელი საშუალებების მრავალფეროვანი ფონეტიკური ვარიანტები. მაგ.:

ბიკს ეჯღა ჲგგჳმდახ, ერე თუ̈ეფი ფინდხჳრ ეჩექა ქა დეშ ჰჳსკნახ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 34) „კუნძს იმიტომ დგამდნენ, რომ თოფის ტყვიები მასში არ გაივლიდა („იმაზე ვერ ხტებოდნენ“)“

მაღაზიასგა შდა შიშდ ჩუ̈იფრი ეჯღა, ერე ჰჳერს ჩი ფოყხენ ლჳსიპ ხარ (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 202) „ნალიაში ტარო ხელად შრება იმიტომ, რომ ჰაერს ყველა მხრიდან აქვს სატრიალო“

ალ ლახუ̈ჳრ ალბათ ეჩაღა გაჩდენ, ერე ზაუ̈ლჳდეღ წჳმეტჳნ მიჟხენ ახოლეჩანხ სოფელ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 290) „ეს მთები ალბათ იმიტომ გაჩნდნენ, რომ ზაფხულში ნამეტანი მზისგან დაეცვათ სოფელი“

ქონს ქა ხუ̈ჳნედ, ეჯღად ერე ხოჩულდ გეჭნი (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 21) „ქონს გამოვადნობთ ხოლმე, იმიტომ რომ უკეთესად ძლებს“

უ̈ჳმღა ონჯუ̈ადდ სერ მულახხენქა ქა, დადაშერ ერ ოხკად მიშგუ̈ი ბებიას (ჩოლ.) „ამიტომაც გამოვედით მულახიდან, დედულები („ბებიასაანი“) რომ ამოუწყდა ბებიაჩემს“...

მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება პასუხობს იმავე კითხვაზე, რაზეც მიზეზის გარემოება: იმღა? „რატომ?“; იმშა გუ̈ნღა? „რის

გამო?“, ხოლო მთავარ წინადადებაში გვხვდება შემდეგი მისათითებელი სიტყვები: ეჯღა (სვ.)/ეჯღად (ლშხ., ჩოლ.)/ეჩაღა (ლნტ.)/აჯღა (უშგ.) „იმიტომ“; ეჯნაჯნიდ (ბზ.)/ეჯნაჯნიდ (ბქ.)/ეჯნიჯნიდ (ჩოლ.) „იმიტომ, იმის გამო“; ამღა (სვ.)/ამაღა (ლნტ.) „ამიტომ“; ეჩა გუნღა (სვ.)/ეჩა გუნღა (ლშხ., ჩოლ.) „იმის გამო“; ამშა გუნღა (სვ.)/ამჩ გუნღა (ბზ.) „ამის გამო“...

საილუსტრაციო მასალა:

ჯიმილდ მოდე ლამო, ეჯღა ჯეყარ ალი (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 212) „მარილი [რომ] არ მომეცი, იმიტომ დაგემართა ეს“

კუირია ლრქუჩსს ჟაჯუნდერალ ხოჩშახ ხოშა ნაღალდ ეჯღად, ერე მებცარს ი ლეკოსანდარს ლაკურიელ გოლანი ყუბათეჟი ხადახ ლეზი (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 239) „კვირიას წარმოთქმას ჟახუნდერლები ასწრებდნენ უმეტესად იმიტომ, რომ მებეცელებს და ლეკოსანდელებს გორაზე უწევდათ ასვლა“

ამჟი ეჩაღა იჩოხ, ერე გუშკუე ლაშხუირ ლექუა ლებაჩუ ლი მეუარ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 290) „ასე იმიტომ შვრებიან, რომ ჩვენი ცხენისწყლის ქვევით ქვიანია ძალიან“

მი აჯიხუტ გეზლირ, აჯღა ერე მიშგუი ნაშგურან ჩუაჯაშდგნდა (უშგ., ტიტ. მას.) „მე ამოგიწყვიტე შვილები, იმიტომ რომ ჩემი დარიგება დაგავიწყდა“

მაყმაყიშ ლაზგა-ლარდ'ოხხუიტა ეჯნანიდ, ერე მიჩა ბაბაშ ხუეტ'ოთდა გუთე ქეშეკ დაჭუს (ბქ., სვან. ლექს., 2000: 245) „ბაყბაყდევის სახლკარი ამოუწყვეტია იმიტომ, რომ ბაბუამისის ამოწყვეტა ჩაუდია გულში ქეშეკ დევს“

ამაღა ხეკუეს ხადეს ლაჯოგსარე გირტან, ერე ნადირს შიშტ ლაპაჟუ მად ხადეს (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 300) „ამიტომ უნდა ჰქონდეს საჯოგის ირგვლივ, რომ ნადირს უცებ არ ჰქონდეს დასამალი“

ლაზგალ გიმ ერ ლოხრდანხ, ეჩა გუნღა მადა ფერმათენსა ლეზი (ჩოლ.) „სამოსახლო მიწა რომ მოეცათ, იმის გამო შევედი ფერმაში (ზედმიწ. – სამოსახლო მიწა რომ მიეცათ, იმის გამო მქონდა ფერმ-{ის}-კენ-ში სასვლელი)“

ამჩ გუნღა ამყალუინდა, ერე მრჯ ნოსმა მეყერს ამჩ ლათრინალჟი (ბზ., ტიტ. მას.) „ამის გამო შემეშინდა, რომ მე არაფერი დამემართოს-მეთქი ამის თრევისას“...

სხვა სახის დამოკიდებული წინადადებების მსგავსად, განსახილველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში დასტურდება შემთხვევები (სვანურის ყველა დიალექტში), როცა მთავარ წინადადებაში მისათითებელი ზმნიზედა არაა წარმოდგენილი. მაგ.:

ყრრჟრნ მგლჩად ეშხუ დრნა ხორდახ, ერე ღუეშგდ ლატჯხ მჯმ ხჯრენს (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 30) „კართან მცველად ერთი გოგო ჰყავდათ, რომ უკან არ გაბრუნებულიყო (ზედმიწ. – კარზე მცველად ერთი გოგო ჰყავდათ, რომ უკან საბრუნებელი არ ჰქონოდა)“

ლგდგჯრ მჯრემ ნჯთსაუდ ლიმორეუ ლჯჲბინეხ ამხაუ, ერე მინს ესერ მჯრემ ქუინ ხაკლიხ (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 190) „გარდაცვლილი კაცის ნათესავებმა საქმის გარჩევა („მოურავ-ობ-ა“) დაიწყეს აქეთ, რომ ჩვენ („მათ“) ადამიანის სული გვაკლიაო (ზედმიწ. – რომ მათო კაცის სული აკლიათ)“

გჯჩს ლოქ აშერე, ერე ჴჯნ ლოქ ადჯბჲას (ლნტ.) „დანას ლესავსო, რომ ხარი დაკლასო“

გუჟი ბეჭკუნრლ, ერე დეშდუ დეშ ადგარ (ლშხ.) „გულზე სკდებოდა, რომ დათვი ვერ მოკლა“

დჯრს ერ ხაკუ ლიმშიე, დესმა ხუტუახ ლეზობრ (ჩოლ.) „რომ არავის უნდა მუშაობა, საჭმელიც არაფერი აქვთ“...

სვანურის დიალექტებში ხშირად გვხვდება შემთხვევები, როცა მთავარი წინადადების კორელატი, რომელიც წინადადების ბოლოშია დამოკიდებულის კავშირთან მომიჯნავედ, ხშირად ეკედლება მაქვემდებარებელ კავშირს და როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული (კვაჭაძე 1977: 376), სწორედ კორელატის პოზიციითაა განპირობებული გარკვეული ინტონაციაც. მაგ.:

ალ ლახუბას გუიხოლა ლახჯდხ, ეჯღა ერე იმხჯნ ანჭგდახ ამჩუ ლედჲარჯლ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 162) „ამ ძმებს ეწყინათ („გულ-ი ცუდი მიეცათ“), იმიტომ რომ საიდან მოიტანონ აქ საჭმელი“

ნეპოლჯლ უშომად იპერიელხ, ეჩაღა ერ დროებით გარ ჯრიხ მინე სამშობლოჲსა (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 290) „ჩიტები შეუსვენებლად

დაფრინავენ, იმიტომ რომ დროებით მარტო არიან თავიანთ სამშობლოში“

ლიშკადალი ხოშა ნაღალდ ლუნთისა ხაზნახ, ეჯღა ერე ხოშა მაჟებ ლი (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 47) „დაჭედვაც უმეტესად ზამთარში სჩვევიათ, იმიტომ რომ უფრო მეტი მოცლილობაა“

მი ღოშტ ლატახ მამ მარ, ეჯღად ერე ეჩქა ღელალ ხად (ჩოლ.) „მე უკან ვერ გავბრუნდები (ზედმიწ. – მე უკან საბრუნებელი არ მაქვს), იმიტომ რომ იმაზე ღელეები იყო („ჰქონდა“)“...

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში დამოკიდებული მთავარს უკავშირდება ერე „რომ“ და ლახ/ალახ (ლშხ., ჩოლ.) „რაკი“ მაქვემდებარებელი კავშირებით, რომლებიც უმეტესწილად წარმოდგენილია, თუმცა შეგვხვდა ისეთი შემთხვევებიც, როცა ერე „რომ“ აკლია და ივარაუდება. მაგ.:

ალ ზურალ გუნ ლუწხუაუე არი ეჯღა, ერე მიჩა ჭაშმი ლიყუელ ხამჭირ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 158) „ეს ქალი ძალიან შეწუხებულია იმიტომ, რომ თავისი ქმრის მიტოვება არ უნდა („ეზარება“)“

თხუიმ ჲქდაშმი ჯინემ ადიე, ეჯღა ერე თხუიმ ხეკუეს მგდგარიაშ ლესეს (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 84) „ორივეს თავი თვითონ წაიღო, იმიტომ რომ თავი მკვლელის უნდა იყოს“

ალეს ეჩაღა იჩოხ, ერე ნადირს შიშტ ლაკუანა მად ხადეს კუმაშიშ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 299) „ამას იმიტომ შვრებიან, რომ ნადირმა უცებ არ გადააგდოს საქონელი (ზედმიწ. – რომ ნადირ-ს ხელად საგდები არ ჰქონდეს საქონლის)“

ამის ეჯღა ხაშდახ, ერე ამირანდ ლოქ დოსა ენფუშდის (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 45) „ამას იმიტომ აკეთებენ („მუშაობენ“), რომ ამირანმა არ აიშვასო“

ჩუ ლოქ ლახ ოთღორაუ, ამღა ლოქ მგრეს ჯენდროუ (ლშხ.) „რაკი მოატყუეო, ამიტომ გენდურისო ალბათ“

ლიც ლოქ ალახ მიჩ ოთცხურდა, მაუ ლოქ ხაყრის ამშა გუნღა (ჩოლ.) „წყალი რაკი შენ შეწყვიტეო, რა გიყოო ამის გამო“

მასარდ ლიცუალ ხადხ, თე დემეგ ლოხხუეტა, ეჯღა (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 85) „დიდი კამათი ჰქონდათ, ყურადღება რომ არ

მიუქცევია, იმიტომ (ზედმიწ. – ბევრი ცილაობა ჰქონდათ, თვალ-ი არ მიუქცევია, იმისთვის)“

ამჟი [ერ] ხეფასოლ, ეჩაღა ჯაყლაჰს უარს (ლნტ., სვან. პროზ. ტექს., 1967: 85) „ასეთი რამ რომ მოხდებოდა (ზედმიწ. – ასე რომ მოყვებოდა), იმიტომ გეუბნებოდი უარს“

ეჯღა მჰმ ადჲე სტალინდ, თხუიმ [ერ] ხომშია (ჩოლ.) „იმიტომ არ წაიყვანა სტალინმა, თავი რომ უმუშავებდა“...

ამ სახის ჰიპოტაქსურ წინადადებებში, ლაშხურსა და ჩოლურულში დადასტურდა ორმაგმაქვემდებარებელკავშირიანი დამოკიდებულიც, რაც ზოგადად სვანურისთვის დამახასიათებელია. მაგ.:

ლახ ერე ღო მი ლურუსუ მესმრლდა, ეჩა ცახან ლემგნჯერნეხ ეჩა გუნღა (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 261) „რაკი, რომ მე რუსული მესმოდა, იმას გამაყოლეს ამის გამო“

ეჯი ფანდურ ეჯღა (||ეჩღა) ლახრმე, ერე ჟ'ერ ოხმეჯრანწ ეჩა ლრზი (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 96) „ის ფანდური იმიტომ მისცა, რომ, რომ გაეგო მისი წასვლა“

ალე დრნა ლახსიამენა, ეჯღა ერე მამ ერ ახყალრნენა (ჩოლ.) „ეს გოგო მოსწონებია, იმიტომ რომ, რომ არ შეეშინდა [გოგოს] („შეშინებია“)“

ლიგუნი ენბინე ეჯღა, ერე ჩ'უერ ოთდაგრეხ ჩაჟ (ჩოლ.) „ტირილი დაიწყო იმიტომ, რომ ცხენი მოუკლეს“...

განსახილველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციათა კომპონენტებს ხშირად ერთდროულად აკლიათ გარეგანი ნიშნები, მთავარს კორელატი, ხოლო დამოკიდებულ წინადადებას კავშირი, თუმცა მათი აღდგენა კონტექსტის გათვალისწინებით ადვილია. მაგ.:

მგცხი მასარდ ლასუ [ეჯღა], [ერე] მიჟ დემეგ ხაწდა ჩიქი (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 84) „სიცივე ძალიან იყო [იმიტომ], [რომ] მზე არ ამოსულა ჯერ“

ისგუ გეზლირცახან ემისყ ბინა [ეჯღა], [ერე] მალატხ ისგუ გეზლირ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 94) „შენ შვილებთან გამიკეთე ბინა [იმიტომ], [რომ] მიყვარს შენი შვილები“

ეჯმინს ხომკურხ ლოქ [ეჩაღა], [ერე] ტიტუელაბლ ლოქ ლიხ (ლნტ., სვან. ენის. ქრესტ., 1967: 315) „მათ სრცხვენიათო [იმიტომ], [რომ] შიშვლები არიანო („იმათ სრცხვენიათო, ტიტვლ-ებ-ი-ო არიან)“

დაუარს დეამ ჯადგარაბლდუნედ დოხტურს, [ეჯღა ერე] ისგუე ლედგარიდ ცოდ ლი (ლშხ., სვან. ქრესტ., 1979: 261) „დევებს არ მოგაკვლევინებთ ექიმს („დოქტორ-ს“), [იმიტომ რომ] თქვენ მოსაკლაედ ცოდოა“

ხალხ ჩუუდ ედნაქუბნ [ეჯღა], [ერე] ამკალიბ იუა ლადეღ დეუსამა ხოწუბნხ (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 133) „ხალხი ისევ გაოცდა [იმიტომ], [რომ] ასეთი რამ არასდროს არაფერი ენახათ (ზედმიწ. – ხალხ-ი ისევ გაგიჟდამცა იმისთვის, რომ ამ-ყალიბ-ი ევა-ს] დღე არაფერი ენახათ)“

ამშა ლიუშხი მა ლოქ შიდ [ეჯღა], [ერე] დაგრაბლობ ლოქ ხეფსი (ჩოლ.) „ამისი გამხელა არ შეიძლებაო [იმიტომ], [რომ] მკვლელობა მოჰყვებაო“...

რაც შეეხება პოზიციას, როგორც მისათითებელი სიტყვებისა, ისე მაქვემდებარებელი კავშირებისას, აღმოჩნდა რომ, თუკი მთავარი წინადადება წინ უსწრებს დამოკიდებულს, კორელატი გვხვდება სამივე პოზიციაში, ხოლო დამოკიდებულის მომდევნოდ, ძირითადად, წინადადების თავში. მთავარი წინადადების წინ მდგომ დამოკიდებულში მაქვემდებარებელი კავშირი იშვიათად თავშია, უფრო ხშირად კი შუაშია მოქცეული, ხოლო მთავარი წინადადების მომდევნო დამოკიდებულში, ძირითადად, წინადადების თავშია, თუმცა შუაშიც გვხვდება. მაგ.:

ამღა ჩი ნუკუი ჯერჯს იჯმარდა, ერე შგუირ ქა იმჟინ მოშ ლოხუტიხჲელენს (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 45) „ამიტომ ყველა სახის ხერხს ხმარობდა, რომ შერცხვენისათვის როგორმე შური ეძიებინა (ზედმიწ. – ამისთვის ყველა სახის ხერხ-ს ხმარობდა, რომ სირცხვილი როგორმე დაებრუნებინა)“

ლგჯას ეჯღა ხოფანახ, ერე ლგდგარს ეჩაბუას მაკახ ლოქ ხარ (ჩოლ.) „რბეს იმიტომ წაუდგამდნენ ხოლმე, რომ მიცვალებულს იმიერში წაადგებაო“

ქა ღალ დარ მოშ ლგმპირტინ მაყალტშ ეჯღ,ერე გტელაშაპს ქა დარ მოშ ხსდატნა (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 101) „ვერავინ ვერ ბედავდა შიშით იმიტომ, რომ გველეშაპს ვერავინ გადაურჩებოდა“

ხოჩა ნალხტრ ერ ხარ, ამღა მაკუ ეჩა ლიხრლ (ლშხ.) „კარგი შენახვედრი რომ აქვს, ამიტომ მინდა მისი შეხვედრა“

ქ'ერ ხტაწდან, ეჯღა ოდერ ათხე მი (ჩოლ.) „რომ მენახა, იმიტომ წავედი ახლა მე“

ლახ ლოქ მრ ხოწიახ მინ, ამღა ლოქ დეამ ხატხეხ განარს (ჩოლ.) „რახან არ დაგვპატიჟეთო ჩვენ, ამიტომ არ ვიძიებთო შურს (ზედმიწ. – თუო არ დაუპატიჟებიათ თვითონ, ამისთვისო არ უბრუნებენ უკურეაქციას)“

ალდარი ტოტარს უშხუარ ბარჯარჟი ხადესგიხ, ერე ჩუ ნომა ანშყეხ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 34) „ესენიც ერთმანეთს ხელებს ბეჭებზე ადებენ, რომ არ ჩამოვარდნენ“

გულიდ მანკური ეჩაღა ალზიგელი ქურსპედ, გულდაშ ერ ხარა ფედიას (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 302) „გულდაში (მთა) თავიდან იმიტომ დასახლებულა ქურსპედი, გულდაში (მთა) რომ ჰქონია ახლოს“...

დამოკიდებული წინადადების პოზიციაც მკვეთრად გამოკვეთილია ყველა დიალექტში, უმეტესწილად მთავარს მოსდევს, შედარებით ნაკლები შემთხვევებია პრეპოზიციისა, ხოლო შუა პოზიციაში, ჩვენ მიერ დაძებნილ მასალებში, მხოლოდ ბალსქვემოურ დიალექტში დადასტურდა. მაგ.:

ამის ეჯღა ხორკინეხ ლალაშს, ერე ლაშის ესერ ბარაქ ლაჰჭედი (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 118) „ამას იმიტომ ჰკიდებენ სათესლეს, რომ თესლს ბარაქა მიეცემაო“

ალ ლიცს ლაშხტირ ეჩაღა ხაჟახა, ერე ეჯი ლაშხხენ ანღრი (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 3) „ამ წყალს ლაშხური იმიტომ ჰქვია, რომ ლაშხეთიდან მოდის“

ამღა ხოკტინიბხ ქამ აგის ლიცტრეს ლგდგარა ჯიჯტარეშს მიჩა მეხუბიშ, ერე თელდ სანხუბს ლოქ მოდ ოსსეხ საყდურდ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 234) „ამიტომ უფრთხილდებიან გარეთ მიცვალებულის ძვლების დატოვებას, რომ მთელ სამოს არ დარჩეთ საყვედურად“

ეჩქაი ჯიც ხაცუმა, **ᾰдрᾰ́ყ** ქ**ᾰ́**мჩუ дем **ᾰ́**нჯдени, ეჯღა (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 205) „იმაზეც ცომი უსვია, არაყი {რომ} გარეთ არ გადმოვიდეს, იმიტომ“

ბღუიდს ქა დეშ ᾰ́ჰიდ უსუპდ, ჰაკედ ქ'ათქიც, ეჯღა (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 213) „ზღუდეს ვერ მიწვდა უსუპი, კუდი {რომ} მოაჭრა, იმიტომ“

ეჯ ლადეღ ლგჯმ**ᾰ́**შ **ᾰ́**რ**ᾰ́**ყ გარ ხუღუა ჩი, ღერმეთ ესერ ნალჯმ**ᾰ́**შის ხა**ᾰ́**ჰუდი ჩი, ეჯღა (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 74) „იმ დღეს ძლიერი არაყი აქვს ყველას, ღმერთი სიძლიერეს აძლევსო ყველას, იმიტომ“...

როგორც განხილულმა მასალამ აჩვენა, მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება მრავლად დადასტურდა ყველა დიალექტში, მათ შორის ჩოლურულ მეტყველებაშიც. მთავარ წინადადებას ხშირად აკლია კორელატი, განსხვავებით დამოკიდებული წინადადებისაგან, სადაც მაქვემდებარებელი კავშირები უმეტესწილად წარმოდგენილია. რაც შეეხება ჰიპოტაქსური კონსტრუქციის კომპონენტთა პოზიციას, ცალსახად ნათელია, რომ დამოკიდებული წინადადება პოსტპოზიციურ წყობას ანიჭებს უპირატესობას.

§ 17. მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

დამოკიდებულ წინადადებას, რომელიც მიემართება და აზუსტებს მთავარში ზმნიზედით გამოხატულ, ან ნავარუდევ მიზნის გარემოების სემანტიკას, მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ეწოდება. დამოკიდებული წინადადება გვიჩვენებს მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლით გამოხატული მოქმედების მიზანს.

სვანურში, უკვე განხილულ დამოკიდებულ წინადადებათაგან განსხვავებით, მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები შედარებით ნაკლებად დასტურდება, თუმცა დიალექტებს შორის არსებული მცირეოდენი სხვაობები მოძიებული მასალის საფუძველზე მაინც გამოიკვეთა. მაგ.:

ათხე შუ̈ან უშხუ̈არ ლა̈ხნაბნა̈ნ, ერე უშხუ̈არე თხუ̈იმი უცუ̈რუნა ლჷმა̈რლესუ̈ხ ხინშუ̈ ი ჭირუ̈შ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 4) „ახლა სვანებმა ერთმანეთს შეჰფიცეს, რომ არ მიეტოვებინათ ერთმანეთი ჭირსა და ლხინში (ზედმიწ. – ახლა სვანეთ-ი ერთმანეთს შეეფიცა, რომ ერთმანეთი{ს} თავი{ს} უტოვებელი ყოფილიყვნენ ლხინ-ით და ჭირ-ით)“

აშხუდ ოთრა̈გდინახ, ერე ხეკუ̈ეს ჩ’ოთდარჯენხ ბატონიშდ (ბქ.) „მოუთათბირებიათ, რომ უნდა ჩასაფრებოდნენ ბატონს (ზედმიწ. – ერთად მოულაპარაკებიათ, რომ უნდა და-ე-დარაჯ-ებ-ი-ნ-ა-თ ბატონ-ის-თვის)“

ალეს ეჯნა̈რ ხაშტაბახ, ერ ხოლა თეს ლოქ და̈რმოშ ლახაფხირე მინე ნამშაუ̈ს ი მაღუ̈ანს (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 66) „ამას იმიტომ აკეთებენ, რომ ცუდი თვალით არავის შეეხედა მათი მოსავლისა და ქონებისთვის (ზედმიწ. – ამას იმისთვის მუშაობენ, რომ ცუდ თვალ-ს-ო ვერავინ ვერ მიაპყრობს მათ ნა-მუშ-ევ-არ-ს და ქონებას)“

ეჩქა ლჷდგარი პატრონ იდჲანი მიჩა მეზუ̈ბელი ქორს, ერე ხალხ ეჩჷჲსა ესსგურას (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 242) „მაშინ მიცვალებულის პატრონი ინათხოვრებს ხოლმე თავისი მეზობლის სახლს, რომ ხალხი იმაში დასვას“

ეჯნარ ანხურიელეხ მეზგახენქა თუ̈ით მა̈რე, ერე ლაღუ̈რიელთე ოთჲა̈ნხ (ჩოლ.) „იმისთვის მოაგროვეს ოჯახიდან თითო კაცი, რომ დაესაფიცებლად წაეყვანათ“...

მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება მიუგებს მიზნის გარემოების კითხვაზე იმნარ/იმნარ „რისთვის“? და მთავარ წინადადებაში კორელატად ნაცვალსახელური წარმოშობის მიზნის ზმნიზედაა წარმოდგენილი: ეჯნარ (სვ.)/ეჯნარ (ბზ., ლნტ.)/ეჯინარ (ლშხ., ჩოლ.) „იმისთვის“...

საილუსტრაციო მასალა:

ჭიქშუ ლიმზგრი ეჯნარ ენგრმეხ გუშგუეი ხოშალდ, ერე ხოშელ ლილატ ლახწუენახ უშხუარ (ბზ.) „ჭიქით დალოცვაც იმისთვის მოიგონეს ჩვენმა წინაპრებმა („უფროსებმა“), რომ მეტი სიყვარული ანახონ ერთმანეთს“

ბარბგანს ეჯნარ გდესკხ ქორჟი ი დაბისკა, ერე ხოლა თეხენ ლოქ ანალეჩას ლაზგა ი ნამშატ (ლნტ.) „ეკლიან ჯოხს იმისთვის დებენ სახლზე და ყანაში, რომ ცუდი თვალისგან დაიცვას სახლი და მოსავალი („ნა-მუშ-ევ-არ-ი“)“

ჩუერ მრდ ათდაგრან, ეჯინარ ხათუნუდა მიჩა შიხენქა ფაშატელს ნიცრლს (ლშხ.) „რომ არ მოკვდომოდა, იმისთვის ასმევდა თავისი ხელიდან ფაშატს წყალს“

ჭიშხილს ჟი ხოსყიდ ეჯნარ, ერე ჭიშხჟი ერ ესგგიენდეს (ჩოლ.) „ფეხს ვუკეთებთ იმისთვის, რომ ფეხზე დადგეს“...

სვანურში იშვიათად, მაგრამ დადასტურდა **ამნარ/ამნარ** „ამისთვის“ მიზნის ზმნიზედის გამოყენების შემთხვევებიც. მაგ.:

ამნარ ათოფიშტუა ხენწიფს შტაშუ, ერე ნოთი ლოქ ჩუადაგგლგრახ ჯეცარდ (ლნტ.) „ამისთვის გაუშვია ხელმწიფეს მარტო, რომ იქნებ დაგლიჯონო მხეცებმა“

ისტორიულჟი ლითური **ამნარ** მეკუად, ერე ხოჩამდ ემმეჯრან იმხენი ალჯადდ (ლშხ.) „ისტორიულზე სწავლა ამისთვის მინდოდა, რომ კარგად გამეგო საიდანაც მოვედით“

ნადირ მრ ლახქალან ღოშკინ, **ამნარ** ლოხჭენ ქა კუმაშ (ჩოლ.) „ნადირი {რომ} არ მიპარებოდა უკან, ამისთვის წავიმძღვარე წინ საქონელი“...

უნდა აღინიშნოს, რომ სვანურის ყველა დიალექტი, მათ შორის ჩოლურული მეტყველებაც აშკარად თავს არიდებს კორელატის გამოყენებას და გა-

ცილებით ჭარბობს მთავარი წინადადება მისათითებელი სიტყვის გარეშე, ხოლო ბალსქვემოურ დიალექტში ვერ დაიძებნა ეჯნარ „იმისთვის“ კორელატიანი მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების ერთი ილუსტრაციაც კი. მაგ.:

მეთხუიარაწლს უეშგნე ფოყხაწ სგა ლეჭემ ხადდახ, ერე შუკუ ოხქუიცანხ ნეღაშდრეშდ (ბზ.) „მონადირეებს უკანა მხრიდან უნდა შემოევლოთ, რომ გზა მოეჭრათ თიკნებისთვის“

ოთხზგზე მეცქუილდ ხოშა უდილ, ერე ჭაშუდუუ ოთოგან (უშგ., ტიტ. მას.) „გაუგზავნა მოციქულად უფროსი და, რომ ქმრად დაუდგესო (ზედმიწ. – რომ ქმრადმცა და-უ-დგ-ა)“

მაჰრენე ადიტუეხ ქორხენქა, ერე ეშხუ ამსუალდ ეჯღაჲ ახსედენ ქა (ბქ.) „უმცროსი გააპარეს სახლიდან, რომ ერთი ადამიანი მაინც გადარჩენილიყო“

ეჩქა დადიანს საბუთ ლახოუოდა დაუით ბაპაშუდ, ერე ჩიჲს ნაბ ჯუღუანდეხ ეჩელეჟა ლიზიჲშ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 92) „მაშინ დადიანს საბუთი მიუცია მღვდელი დავითისთვის, რომ ყველას ნება გქონდეთ იქ გავლის („წასვლის“)“

ასხრი აფხანიკი ლათხელიხო, ერე აჯახ ლოქ ატეხენიხ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 122) „მიდის ამხანაგის სამებნელად, რომ კიდევ დავბრუნდებითო (ზედმიწ. – რომ კიდევო დაბრუნდებიან)“

ლაგუანი სგობნე ღადეღ აზზიხ მებჟინალის, ერე ჟ’ახმეჯრაწლუნახ ასაბიაჲს (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 241-242) „გასვენების წინა დღეს აგზავნიან მაცნეებს, რომ გააგებინონ ახლობლებს („ასაბია-ს“)“

ჩუასპეჟუახ მაურენე დრნრლარ, სგამეკედ ერ ჩოთყალუანხ (ჩოლ.) „დამალულან უმცროსი გოგონები, შემომსვლელები რომ შეეშინებინათ“...

დამოკიდებული წინადადება მთავარს უკავშირდება ერე „რომ“ მაქვემდებარებელი კავშირით, რომელიც უმეტესად წარმოდგენილია და ძირითადად პოსტპოზიციური დამოკიდებული წინადადების თავშია, ან შუაში, ხოლო მთავარის წინა პოზიციის დამოკიდებულის შემთხვევაში უმეტესად შუაშია მოქცეული. მაგ.:

თელ მიᲘგუ ლირდე ეჯღა ხუითმინᲔს, ერე გეᲮლᲘრს სგუებინ ნუმა ლახხუენᲔნხ ალიარე ხოლა ლიმᲔრ (ბზ.) „მთელი ჩემი ცხოვრება იმისთვის ვითმენდი, შვილებს {რომ} წინ არ დახვედროდათ ამათი ავკაცობა („ცუდი კაცობა“)“

კუბმოყ ჩუადღუერიელანხ, ერ მგქაფ ლოქ ათატგხეხ უშბას ამეჩუნᲔ ალპინისტᲔრდ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 99) „კუბოსთან დაიფიცეს, რომ სამაგიერო გადაუხადონო უშბას აქაურმა ალპინისტებმა“

ეჯ ფიცარᲔლ ლიხ ლგსყე Ეერი ლაზდ, ეჯნᲔრ ერე სიმინდ ჩუ ადაფგრას (ლნტ.) „ის ფიცრები გაკეთებულია ჰაერის გასასვლელად, იმისთვის რომ სიმინდი გაახმოს“

ჩქᲔრდ ეხჭამხ ღოშკინ მინრ, სგ’Ერ ემჟი ათიᲔნხ (ლშხ.) „ჩქარა გამოჰყვნენ უკან თვითონაც, რომ როგორმე დაწეოდნენ“

ᲫᲔრუ თუეᲫთექა ეჯნარ ხაჩგუნᲔლნეხ ღუნს, ერე ხოჩა ჯან ეხფასენს (ჩოლ.) „ორ თვემდე იმისთვის აწოვებენ ხბოს, რომ კარგი ხარი გამოვიდეს“

ჩუ ნომა ოლკუერმელᲔსუს, ფგრი აშხლᲔრეშ ლᲔთხელითე აჩადხ (ბქ.) „რომ არ გაყინულიყვნენ, გამხმარი ტოტების მოსაძებნად წავიდნენ“...

რაც შეეხება წინადადებათა პოზიციას, ამ სახის ჰიპოტაქსურ წინადადებებში დამოკიდებული უმეტესწილად მოსდევს მთავარ წინადადებას, იშვიათ შემთხვევაში წინ უსწრებს...

მინ იბნახ ლიღრᲔლს, ერე მეზგა ლიხᲘრუᲔლ ოხბინენს (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 40) „თვითონ იწყებდნენ სიმღერას, რომ ოჯახს მხიარულება დაეწყო“

ჩუათაპეჟუა, ერე მი მᲔტეკან (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 84) „დამალულა, რომ მე დამტაკებოდა“

შიხლეჭუა აწუდიხ არაყს, ერე შურაი მრმ ეხფასენს (ლშხ.) „ნახშირში წურავენ არაყს, რომ მაწყინარი არ გამოვიდეს“

საუიარ ანჯადხ, ერე ალიარცახან, დერა, ხოჩა კაუშირ ხალუენᲔნხ (ჩოლ.) „ოსები მოვიდნენ, რომ ამათთან, ხომ, კარგი ურთიერთობა („კავშირ-ი“) ჰქონოდათ“

ჟი ერ ესჰიენან ლგიარ აფხნეგს, ლგსრყე ესყᲔნ ჩაჟ (ბზ.) „რომ მიესწრო ცოცხალი მეგობრისთვის, გაგიჟებული მიჰყავდა ცხენი“

ბოფშარ ერ ჩ'ოთუჟნა ნებოზს, ლაყურაჲსა ხრმბუი მიშგუაუშ ნაგნოუ ციგინს (ჩოლ.) „ბავშვები რომ დავაძინო საღამოს, ლოგინში ვუყვები ჩემ („ჩემით") მოგონილ ზღაპარს"...

მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში (ისევე როგორც სხვა დანარჩენ ქვეწყობილ კონსტრუქციებში), მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ზმნა-შემასმენელთა შეფარდება ნებისმიერი არ არის, ძირითადად, დამოკიდებულის ზმნა-შემასმენლით გამოხატული დრო მომავალია (შემდგომია) მთავარი წინადადების შემასმენლით გადმოცემულ დროსთან მიმართებით. მაგ.:

მგჭშხის განსაკუთრებით ხოჩამდ ასაჩუქუჲარიხ, ერე ჩუ მაჲდ ადაჭათუნახ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 292) „მეკვლეს განსაკუთრებით კარგად ასაჩუქრებენ, რომ არ დაწყევლონ"

ჩუჳრ ნომა ედქუჳლენს, ქა ლიკენე ხაკუ დიარს (ჩოლ.) „რომ არ გაცივდეს, შეხვევა უნდა პურს"...

როგორც აღვნიშნეთ, სვანურში ფორმობრივად განირჩევა მიზეზისა და მიზნის გამომხატველი ზმნიზედები, თუმცა მათი გამოყენების თვალსაზრისით არაერთგვაროვანი სურათი გვაქვს სვანურის დიალექტებში, მათ შორის ჩოლურულ მეტყველებაშიც.

მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში, მთავარი წინადადების გარეგანი ნიშანი არის ეჯნარ „იმისთვის", თუმცა სვანურში იგი სისტემატურად ანაცვლებს ეჯღა „იმიტომ" მისათითებელ ზმნიზედას (რომელიც მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში მთავარი წინადადების კორელატია), განსაკუთრებით ქვემოსვანურში, სადაც უმეტესად მისათითებელი სიტყვა წარმოდგენილია ხოლმე. მაგ.:

ჩუ მაჲდ ადაგაჲრ დაჲუდ, ეჯნაჲრ [ეჩაღა] ერ ხონკუი მიჩემ მაჲდ ადაგაჲრ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 187) „არ მოკლა დევმა, იმიტომ რომ პირველად თვითონ არ მოკლა"

ნაჲწეუჲარს დემ იჴდე მელგუჲანი მგჯდე, ეჯნაჲრ [ეჩაღა] ერ მიჩა ხაჲრჯუშ ჯედენი ლაგუჲანხო (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 53) „შესა-

წირს არ იხდის მოტირალთა მომყვანი, იმიტომ რომ თავისი ხარჯით მოდის გასვენებაში“

გუნ ლინთუისა თორნქა დეშ ხუირბიელდ, ხელათ იქუელი მგცხაშსა, ეჯნარ [ეჩაღა] (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 35) „შუა ზამთარში თონეში ვერ ვაცხობთ, უცებ ცივდება სიცივეში, იმიტომ“

ყორჟი ხეკუეს ასოკაკუნან, ეჯნარ [ეჩაღა] ერე ლიჭშხიელ ძინარს საერთოდ ლიტულანიელ მად შიდდა (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 60) „კარზე უნდა დაეკაკუნებინა, იმიტომ რომ მეკვლეობის დილას საერთოდ დაძახება არ შეიძლებოდა“

ამაღა ჩუ ალაშიხ ლერწალისკა სიმინდს ი ლობიოს ეჯნარ [ეჩაღა], ერე ეჯმინს ხაკუხ ლიბარჯე (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 27) „ამიტომ თესავენ ლერწებში სიმინდს და ლობიოს იმიტომ, რომ მათ უნდათ თოხნა“

ალ ადგილს ალ ჟახე ეჯნარ [ეჩაღა] ხაჟახა, ერე ჯუინელ დურეისა ამოჩუ ლგმარ ლეცხუმარ ცხეკ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 108) „ამ ადგილს ეს სახელი იმიტომ ჰქვია, რომ ძველ დროში აქ ყოფილა რცხილნარი ტყე“

...შიშდ ხეჭმენიხ, ეჯნარ [ეჩაღა] ერე ლიმწირ ლოქ ხაკუხ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 240) „უცებ გამოეკიდებიან, იმიტომ რომ მორევა უნდათო“

თური მად ხეფასი ხუაჲ ეჯნარ [ეჩაღა], ერე მგცხაშსა ბუზულალ ძურად გარ ამშაჲეხ (ლნტ.) „თაფლი არ გამოდის ბევრი იმიტომ, რომ სიცივეში ფუტკრები („ბუზ-ებ-ი“) იშვიათად („ძვირ-ად“) მუშაობენ“

სგ’ათძგუება ზალა პოლ ეჯნარ [ეჯღა], ერე ჩუ მექურე ლას ჩუქუანხენჟი (ლშხ.) „ჩანგრეულა ზალის იატაკი იმიტომ, რომ დამპალი იყო ქვემოდან“

მახე გუეში ლაბნად გოში დოშტულ ხოცხახ, ეჯინარ [ეჯღა] ერე ხოჩულ ლოქ ლი (ლშხ.) „ახალი საქმის დასაწყებად სავსე მთვარე ურჩევნიათ, იმიტომ რომ უკეთესიაო“

ჟიქანთე დეშ ოსღურის მიგარ, ეჯნარ [ეჯღა] ერე მაყლუნდა უტკუინისა (ჩოლ.) „ზევით ვერ ავდიოდი მარტო მე, იმიტომ რომ მეშინოდა სიბნელეში“

ხოშა თანაფ ხაჲშხა ეჯნარ [ეჯღა], ერე ალეს ხაჲშხა აჯაღ თომა მიშლადეღ (ჩოლ.) „დიდი აღდგომა ჰქვია იმიტომ, რომ ამას ჰქვია კიდევ თომას კვირა“...

ასეთივე მონაცვლეობის შემთხვევები გვაქვს ამნარ „ამისთვის“ მიზნის ზმნიზედის გამოყენების შემთხვევებშიც, როცა ის ამღა/ამაღა „ამიტომ“ მიზეზის ზმნიზედას ანაცვლებს და ლენტეხურში დადასტურდა შემთხვევა, როცა პარალელურად მიზეზის ზმნიზედაცაა გამოყენებული კორელატად. მაგ.:

ამნარ (||ამაღა) თუ̈ეფს ხუ̈აპეჟუ̈ნა̈სუ̈, ერ თუ̈ეფ მა̈დ ათოხინან (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 84) „ამისთვის (||ამიტომ) თოფს ვმალავდი, რომ თოფი არ წაერთმია“

ლუგონ ერ მოდ ესდე დიმთიელს, ამნარ [ამღა] მა̈ ხეხრ̈ლი ლიმურჯრ̈ (ლშხ.) „ფასი რომ არ დაადო დედამთიელს, ამიტომ არ ეკუთვნის დახმარება“

მეგუ̈იდ ერ მა̈მ ოთრ̈თახ, ამნარ [ამღა] ახფასეხ ლიცუ̈ა̈ლ (ჩოლ.) „თანაბრად რომ არ გაუნაწილებიათ, ამიტომ მოუხდათ ჩხუბი“

ჯუმა ლადეღ ერ მრ̈ ხაყა ლგშრაუ̈ეს, ამნარ [ამღა] ამა̈რეხ ჩრ̈ის ზეთუ̈შ (ჩოლ.) „ოთხშაბათ დღეს რომ არ ვარგა („შეიძლება“) სახსნილო, ამიტომ ამზადებენ ყველაფერს ზეთით“...

ქართულში, აღნიშნულ ზმნიზედათა მონაცვლეობის შესახებ, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ამისთვის ზმნიზედის გამოყენება მიზეზის ზმნიზედის მნიშვნელობით იმითაა გამოწვეული, რომ ძველ ქართულში იმასვე ნიშნავდა, რასაც ახლანდელი „ამიტომ“ ან „ამის გამო“ (გეგუჩაძე 2009: 131).

ჩვენ ასევე განვიხილეთ სვანურში მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები, სადაც ყველაზე ხშირად გამოიყენება ეჯღა „იმიტომ“ მისათითებელი სიტყვა, რომელსაც, როგორც ჩანს მეორე მნიშვნელობაც აქვს „იმისთვის“, განსაკუთრებით ზემოსვანურ დიალექტებში და ასევეა ის განმარტებული სვანურის ლექსიკონში – ეჯღა „იმიტომ, იმისთვის“ (გვ. 245), თუმცა მეორე მნიშვნელობის სათანადო ილუსტრაცია არაა წარმოდგენილი. ჩვენ მიერ დაბეჭდილ მასალაში აღნიშნული (ეჯღა) კორელატი ხშირად გვხვდება შინაარსობრივად მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში. მაგ.:

ალ უდუმბირუ ცხეკქა ჰეკუეს ა̈მჩედელა̈ნ, ეჯღა ერე შუკუ ჟი ოხუნკუეშდა̈ნ (ბზ.) „ამ უღრან ტყეში უნდა გაევლო („წასულიყო“), იმისთვის რომ გზა შეემოკლებინა“

რა̈ჭუ ეჯღა ოხუზიზ ა̈გითე, ერე სა̈დილ ა̈ჯჰიდენს (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 334) „კურდღელი იმისთვის გამოვაგზავნე შინ, რომ სადილი მოგეტანა („მოგეტანოს“)“

ეჩხენ-ამხენ მეგჭად ოხთგრგლე თაკუ̈ა̈რ, ეჯღა ერე კაჩჩუ ჭემ ქა ნომა ოლშგდელლა̈სგუ̈ სა̈უხენქა (ბქ.) „აქეთ-იქიდან მაგრად მოუჭირა თოკები, იმისთვის რომ დაღმართში თივა არ გადმოყრილიყო მარხილიდან“

ჩუ ნომა ოლკუ̈რმელა̈სუ̈ხ, ეჯღა ფგრი აშხლა̈რე ლა̈თხელითე აჩად (ბქ.) „[რომ] არ გაყინულიყვნენ, იმისთვის გამხმარი ტოტების მოსაძებნად წავიდა“

აფხნეგა̈რს ეჯღა ოთჟოღე სგებინ, ერე მა̈რცხ-მაუ̈ინ ქ'ოთქადენს (ბქ.) „მეგობრებს იმისთვის გაუძღვა წინ, რომ საშიშროება („მარცხ-იმავნე“) აეცილებინა“

მგქაფალა აჯაღ ხოშა დოსკ ღგრიხ ლახუ̈ხო, ეჩაღა ერ ნენი ხეკუ̈ეს სკ'ა̈ნქაფიხ ჯანა̈რე ლიჯედა̈ლ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 303) „{ტვირთის} მზიდავები კიდევ უფრო ადრე მიდიან მთაში, იმისთვის რომ თივა შემოზიდონ ხარების მოსვლამდე“

ეჯღა იზურიელდა ქ̈ამთე, ალდარეშდ ერ მრდ ოსშიდა̈ნ ჯა̈უ̈რ (ლშხ.) „იმისთვის იწეოდა გარეთ, ამათზე რომ არ ეყარა ჯავრი (ზედმიწ. – ამეებისთვის რომ არ დაეყარა ჯავრ-ი)“

ეჯღა ადეს̈დახ ქ̈ამ, ერე ნადირ მრდ ლახთელა̈ნ (ჩოლ.) „იმისთვის დებდნენ გარეთ, რომ ნადირი არ მიჰკარებოდა“...

ეს მონაცვლეობა, თუ სემანტიკური აღრევა ორივე დასახელებული ზმნიზედისა (ეჯღა, ეჯნარ) ჩანს ტიტუსის მასალაშიც, ილუსტრაციათა ქართულად თარგმნისას, სადაც ეჯნარ „ამისთვის“ ზმნიზედა რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, დამოკიდებულსა და მთავარს შორის არსებული შინაარსობრივი მიმართებიდან გამომდინარე, სწორედ „იმიტომ“ მნიშვნელობითაა გადმოცემული და ზოგჯერ „იმისთვის“ სემანტიკაც მითითებულია. მაგ.:

კიბე თხუმთეჟი ოლჩედ ეჯნა̈რ, ერე გადაჰყურებს ჩისგჲა სალოცაუ̈არს კიბე თხუმ (ბზ., ტიტ. მას.) „კიბის თავზე ავიდეთ იმიტომ, რომ გადაჰყურებს კიბის თავიდან ყველა მხრის სალოცავებს“

მი დემ ყულე სახელდობრ, ეჯნარ ერე დრმ ენმეჴრახ მიშგუი ნაგგრგა̈ლ (ბზ., ტიტ. მას.) „მე არ ვამბობ სახელდობრ, იმიტომ რომ არ გაიგონ ჩემი ნალაპარაკევი“

ალე მაგ ჩ’რთშიხახ კომუნისტარს, ეჯნა̈რ ერე ეჯდარ ლოქ მენშეუ̈იკარე მომხრე ლგმარე̈ლიხ (ლშხ., ტიტ. მას.) „ეს ყველაფერი დაუწვავთ კომუნისტებს, იმიტომ რომ ისინი მენშენიკების მომხრეები ყოფილანო“

ათხე მი ეჯინარ ჯქე̈არ ალე სი, ერე ...გადმოცემე̈ლ ჩუ ჯიხა̈ლდეს მაგ (ლშხ., ტიტ. მას.) „ახლა მე იმიტომ („იმისთვის“) გითხარი ეს შენ, რომ ...გადმოცემები ყველაფერი იცოდე“

დემ მეჩო გუ ეჯნარ, ერე მიშგუი ლაჯმილა დეს’ა̈რიხ ლუარ (ლშხ., ტიტ. მას.) „გული არ მიშვრება იმიტომ („იმისთვის“), რომ ჩემი ძმები არ არიან ცოცხლები“...

აღნიშნული კორელატების გამოყენების თვალსაზრისით დიალექტებს შორის არსებული მსგავსება თუ განსხვავება ერთი და იგივე წინადადებათა შედარების გზით უკეთ გამოჩნდება, შესაბამისად გამოქვეყნებული ტექსტებიდან ლაშხურსა და ლენტეხურში ეჯნარ მისათითებელი სიტყვის შემცველი წინადადებები (რომელთაც მიზეზის გარემოებითი დამოკიდებულის შინაარსი აქვთ) შევადარეთ დანარჩენ დიალექტებს. მაგ.:

ლნტ. მინეშ̈დ ხოშილ გაღაბ ლოქ ხუღუ̈ა, ეჯნა̈რ ლოქ ლი ბაპ (სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 185) „მათზე მეტი გონება აქვსო, ამიტომ არისო მღვდელი“

ლშხ. ეჯ მხარეხენი ხალხ ლასხ გამარჯჯუ̈ებულ, ეჯნარ ერე ეჯდართე ხოჩელ მოსაულობ ლოქ ხოხალ (სვან. ქრესტ., 1978: 239) „იმ მხარის ხალხი იყო გამარჯვებული, იმიტომ რომ მათკენ უკეთესი მოსავლიანობა იცისო“

ბზ: მინეშდ ხოშილ გაღა̈ბ ესერ ხუღუ̈ა, ეჯნა̈რ ესერ ლი ბაპ „თქვენზე („მათისად“) მეტი გონება აქვსო, ამიტომ არისო მღვდელი“

ბზ: ეჯ მხარე ხალხ ღასხ გამარჯუებულ, ეჯღა ერე ეჯდართე ხოჩილ მოსაუალ ესერ ხოხალ „იმ მხარის ხალხი იყო გამარჯვებული, იმიტომ რომ მათკენ უკეთესი მოსავლიანობა იცისო“

ბქ: მინეშდ ხოშილ გაღაბ როქ ხუღუა, ეჯღა როქ ლი ბაპ „თქვენზე („მათისად“) მეტი გონება აქვსო, ამიტომ არისო მღვდელი“

ბქ: ეჯ მხარეხენიშ ხალხ ღასუხ გამარჯუებულ, ეჯღა ერე ეჯდართე ხოჩილ მოსაუალ როქ ხოხალ „იმ მხარის ხალხი იყო გამარჯვებული, იმიტომ რომ მათკენ უკეთესი მოსავლიანობა იცისო“

ჩოლ: მინეშდ ხოშა გაღაბ ლოქ ხუუა, ეჯნარ ლოქ ლი ბაპ „თქვენზე („მათისად“) მეტი გონება აქვსო, ამიტომ არისო მღვდელი“

ჩოლ: ეჯი მხარეხენი ხალხ ღასხ გამარჯუებულ, ეჯღა ერე ეჯდართე ხოჩილ მოსაუალ ლოქ ხოხა „იმ მხარეს ხალხი იყო გამარჯვებული, იმიტომ, რომ მათკენ უკეთესი მოსავალი იცისო“...

როგორც შედარების საფუძველზე ვნახეთ, ბალსზემოურსა და ჩოლურულში ერთნაირი ვითარებაა, პირველ წინადადებაში იგივე დარჩა, ხოლო მეორეში ეჯნარ კორელატი ეჯღა მიზეზის ზმნიზედამ ჩაანაცვლა. რაც შეეხება ბალსქვემოურს, იგი ისედაც არ იყენებს **ეჯნარ** კორელატს მიზნის სემანტიკის გამოსახატავად და, შესაბამისად, მოსალოდნელი იყო ეჯღა ზმნიზედა, ან უკოერელატო მთავარი წინადადება.

როგორც ცნობილია, ქართულშიც ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში ხშირად ვხვდებით მიზეზისა და მიზნის ზმნიზედათა არასათანადო, ერთიმეორის ნაცვლად გამოყენების შემთხვევებს, „რაც თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ნორმათა მიხედვით დაუშვებელია... ამიტომ მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების მისათითებლად მთავარში მიზნის ზმნიზედა უნდა ვიხმაროთ, მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების მთავარში კი – მიზეზისა“ (კვაჭაძე 1977: 379), თუმცა ეს შეზღუდვები სვანურს არ ეხება და ეს პროცესიც შედარებით შორსაა წასული.

განხილული მასალის საფუძველზე ჩნდება კითხვები, ეს მონაცვლეობა თუ სემანტიკური აღრევა ხომ არ არის ანალოგიით გამოწვეული (რაკიღა ეჯღა გამოხატავს ორივე სახის მისათითებელ სიტყვას „იმიტომ, იმისთვის“,

ეჯნარ ზმნიზედაშიც ანალოგიური პროცესი ხომ არ განვითარდა?), ან იყო თუ არა როდისმე ეს სემანტიკური სხვაობა მკვეთრად გამიჯნული? შესაძლოა, ნაცვალსახელური წარმომავლობის ეჯნარ „იმისთვის“ კორელატის გამოყენება მიზნის ზმნიზედის ფუნქციით გვიანდელი მოვლენაა და ერთნაირად არ გატარდა ყველა დიალექტში და ამიტომაც არიდებს თავს ზემოსვანური დიალექტები მის გამოყენებას. საკითხი მოითხოვს სამომავლო კვლევას, თუმცა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სვანურში ნელ-ნელა იშლება სემანტიკური ზღვარი ეჯღა და ეჯნარ ზმნიზედებს შორის და ისე ბუნებრივად ენაცვლება ერთმანეთს ეს მისათითებელი ზმნიზედები, რომ საჭიროა მთავარისა და დამოკიდებული წინადადების აზრობრივი მიმართების მეშვეობით დადგინდეს, თუ რა სახისაა დამოკიდებული წინადადება.

§ 18. პირობითდამოკიდებულიანი ჰიპოტაქსური წინადადება

სვანურში წევრთა შესაბამისი დამოკიდებული წინადადებების გარდა გვხვდება ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ისეთი კომპონენტები, რომლებიც არ მიემართებიან მთავარი წინადადების რომელიმე წევრს, არამედ ხსნიან და აზუსტებენ მთლიანად მთავარ წინადადებას და გვიჩვენებენ შედეგს იმისას, რაც მთავარ წინადადებაშია ნათქვამი, ან აღნიშნავენ პირობას, რაზეცაა დამოკიდებული მთავარში აღნიშნული მოქმედების შესრულება, ან მიუთითებენ ისეთ რამეზე, რომლის მიხედვითაც არ არის მოსალოდნელი ის, რაზეც მთავარ წინადადებაშია საუბარი.

სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთ რთულ ქვეწყობილ წინადადებებს სხვა სახის დამოკიდებულ წინადადებებში განიხილავენ, მათ შორისაა პირობითდამოკიდებულიანი ჰიპოტაქსური წინადადებები.

პირობით დამოკიდებულ წინადადებაში, როგორც ცნობილია, დასახელებულია პირობა, რომელზეც დამოკიდებულია იმის შესრულება, რაზეც მთავარ წინადადებაშია საუბარი. დამოკიდებული წინადადება გულისხმობს პირობას, ხოლო მთავარში შედეგია მოცემული. მაგ.:

ხოშა ლახუ̈ბა ლახ ირრლხ, ლჳგა̈რს დჳმის ფიშუ̈დას (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 110) „უფროსი ძმები რომ ყოფილიყვნენ, ცოცხალს არ გავუშვებდი“

ემმა როქ ბაც ხარ, მიჩ როქ ნაგჯურიშ ხოხრა დინა ხაკუჩ ხახუ̈დ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 26) „თუ მერგებაო, მე ნაგჯურის უმცროსი გოგო მინდაო ცოლად (ზედმიწ. – თუო შესაძლებლობა აქვს, მასო ნაგჯურ-ის პატარა გოგო უნდა ცოლად)“

ლახ როქ ამგუ̈არს ოლმარგელი, გადდოღუ̈ ხაგდჳნ მჭკხა̈შ ღუ̈აშა̈რ (ლხმ., სვან. პოეზ, 1939: 276) „რახან ასე ივარგეო, ვალად მედვას სექტემბრის ჯიხვები (ზედმიწ – თუო ამ-გვარ-ს ვარგებულა, ვალადმცა ევალოს სექტემბრის ჯიხვები“)“

ჩუ ლოქუ ა̈დჩქუმან, ედო ქა ლოქ ადაიესკ ჯირკხო ი ეჯჟი-ამჟი ლოქ ხეჩომ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 313) „გაჩუმდიო, თორემ გაგიყვანო ჯირკთან და ისე და ასე გიზამო (ზედმიწ. – გაჩუმდაომცა, თორემ გაიტანსო ჯირკ-თან და ისე-ასე უზამსო“

სოფელთე ლოქ ნომაუ ანჯად, ედო მიჩი ლოქ ჩუადგარიხ (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 60) „სოფელში არ მოხვიდეო, თორემ შენც მოგკლავენო (ზედმიწ. – სოფლ-ი-[ს]-კენ-ო ნუ-არ-მცა მოვიდა, თორემ მასაცო მოკლავენ)“

გუშგუე ქორა ლიწედს ქ'ეღო ხუეღრისენ, დემ ხუიდგარი სერ (ჩოლ.) „ჩვენი სახლის ნახვას თუ ვეღირსე, არ მოვკვდები აწი“...

აღნიშნული სახის დამოკიდებული წინადადების მთავართან შესაერთებლად სვანურში გამოყენებულია შემდეგი კავშირები: ერ/ე (ზს., ქს.)/ლახ[ა]/ლახე (ზს.)/ახ[ა]ა (ბქ.)/[ა]ლახ (ქს.) „რომ, თუ“, ემა (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/ემა (ბქ.)/ემო (ლშხ., ჩოლ.)/ესა (ბზ., ლშხ.)/ჰესა (ბზ.)/ესა/ესა (ქს.) „თუ, თუკი“; ედო/ადო (ზს.)/ოდო (ბქ.)/დედო/ოდო (ლშხ.)/ედო (ლნტ.) „თორემ“; ჰე/ე (ზს., ქს.) „თუ“, ალუე/აუე (ლნტ.)/აღო/ელო/ოღო (ჩოლ.) „თუ“ და ა. შ.

საილუსტრაციო მასალა:

ხილს ერ მრმ ლახჭგდნელჳნ, ქა ისპრლ ღოშგმაუ (ლშხ.) „ხეს („ხილ-ს“) რომ არ მიყუდებოდა, გადავარდებოდა უკან“

ამკა დანწყუჳაისა ქა ხექდრლ ლერში-ლექუემი ლიქურე, ლაყურაღ ე ეჩხენ-ამხენ ოსგან (ჩოლ.) „ასეთ ავდარში ასცდებოდა ქვეშაგებლის („დასაფენ-დასახურის“) დალპობა, ლოგინები რომ აქეთიქით დაედგა“

ჟიქანჩუ ძღგდ ჯუედიანეშ ლახ აბჭემნი, ჩუ ანჯდენი უმუჳლაჟი (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 1) „ზემოდან ძალიან შორიდან თუ ჩამოყვები, ჩამოხვალ როგორმე“

ლახა ამახუ მურყუმაშ ფედილთე ანჯდენიუ, ამ ბაჩარს ხაშდახ ჟიბხენჩუ, შდურარ ლექუა (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 200) „თუ მტერი კოშკთან ახლოს მოვიდოდა, ამ ქვებს აყრიდნენ ზემოდან, ქონგურებიდან“

მადილ ჯერი, გუიშგე ლიმხუბ ემმა ჯანწამ, ლადი ამმარგ აშხუ გუაშლისგა (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 186) „გემუდარები („მადლ-ი გექნება“), ჩვენი ძმობა თუ გწამს, დღეს გამომადექი ერთ საქმეში“

ჩუ ჰესა ამძიჰეხ, მიშგუ ხარშუ ნოსა ლახემა ი ჯიჯუარ ნრსა აშგდა ი ათბაქა (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 327) „თუ დამკლავენ („დამკლეს“), ჩემი ნახარში არ ჭამო და ძვლები არ გადაყარო და გაფანტო“

მიჩა მუ ესა ოხჯედნი გუდ, მიჩა იშუსი ადყალნე ი ჯიჯუსრ (ჩოლ.) „მამამისი თუ მიუხვდება, მის რბილობსაც დანაყავს და ძვალსაც“

შიშდუ აჩად ამხანქა, ედო წგრნი მარილ ესერ ჩუ ადგარი (გზ., სვან. ქრესტ., 1978: 169) „ხელად წადიო აქედან, თორემ წითელი კაცი მოგკლავსო (ზედმიწ. – ხელადმცა წავიდა აქედან, თორემ წითელი კაციო მოკლავს)“

ჰენ ესერ გარგლა ჩუ ხახლენა, იმღა ესერ მრდ ლგმგგრგალინ (გზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 370) „თუ ლაპარაკი იცოდიო, რატომ არ ლაპარაკობდიო („თუო ლაპარაკი ქე სცოდნია, რისთვისო არ ნალაპარაკევა)“

სგობინ ლოქ ოთჟოღუდ, სი ლოქ ე ამთან ჯაბჟა თხუმ (ლშხ.) „წინ გაუმეხიო, შენ თუ ამისთანა გგონიაო თავი“

აღუე მინე ღუაჟარ ი მინე ჩაჟარ ლგრმ ლოქ ხაყახ ი ემმა ჯანმედახ, ჟ'ახეთხელდად ი საჯსარ ანჯიდდ! (ლნტ., სვან., პროზ. ტექსტ., 1967: 105) „აბა თქვენი კაცები და თქვენი ცხენები დაჭერიღი გვყავსო და თუ შეგიძლიათ, დაბებნეთ და გადასახადი („სახსარ-ი“) მოიტანეთ!“

შიშტ ეღო ჯაკუ ათჯაბა, მამფუა ლიცს ხეკუეს ხაქმგდე (ჩოლ.) „მალე თუ გინდა მოხარშო, მდუღარე წყალს უნდა ამატებდე“...

ჩამოთვლილ კავშირთა გამოყენების თვალსაზრისით სვანურის დიალექტები არაერთგვაროვან სურათს გვიჩვენებენ; ზემოსვანური დიალექტებისაგან განსხვავებით, სადაც ჭარბობს თუ კავშირის მნიშვნელობით გამოყენებული ლახ[ა]/ლახე, ჰემა, ემმა კავშირიანი შეერთება, ქვემოსვანურ დიალექტებში (მათ შორის ჩოლურულში) ემა, ესა/ესა (ქს.) „თუ, თუკი“; აღუე/აუე (ლნტ.) აღო/ელო (ჩოლ.) „თუ“ კავშირებს ენიჭება უპირატესობა, თუმცა პირობით დამოკიდებულ წინადადებაში ეს უკანასკნელი შეიძლება ჩაენაცვლოს „თუ“-ს მნიშვნელობით გამოყენებულ ერ/ე, ესა კავშირებს. მაგ.:

აჯახ ლოქ ერ||ელო ქა ხენჭნე, ცოდ მიჩ ლოქ ხერი (ჩოლ.) „კიდევ თუ ეტყვიო, ცოდვა შენ გექნებაო“

ალე ლოქ ე||ელო მრ ხაკურ, ჯეი ლოქ აიეს ეებუდ (ჩოლ.) „ეს თუ არ გინდაო, მე წაგიყვანო ცოლად (ზედმიწ. – თვითონო წაიღებს ცოლად)“

ესა||ელო ჯაკჭრლხ ალე მაჯდა, სგაი ათჯიდუნედ ხოშილ (ჩოლ.) „თუ გეცოტავებათ ეს გადასახადი, თქვენ გადაახდევინეთ მეტი“...

განვიხილოთ პირობითდამოკიდებულიან წინადადებაში შემავალი მთავარი და დამოკიდებული წინადადებების, კავშირებისა და კორელატის

(ასეთის არსებობის შემთხვევაში) პოზიციები, რაც ხშირ შემთხვევაში განპირობებულია ამა თუ იმ კავშირთა გამოყენებით; დამოკიდებული წინადადება წინ უძღვის მთავარს. მაგ.:

მინეშთ'ესერ ჰესა ათჯადგნა, მაგიერ პატიუს ესერ ხაჩომხ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 52) „ჩვენთან თუ მოხვდებიო, სამაგიერო პატივს გცემთო (ზედმიწ. – მათთანო თუ მინასვლელა, მაგიერ პატივ-ს-ო უზამენ")"

აუე ქ'ათაქადნე, ეჩქა იშკენ ხაფშუტე (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 42.) „თუ ააცილებს, მაშინ სხვა ესვრის"

ესა ენხირნ'ი ედჟოჟღინი, ჩუ ხეჩო ალდარს სინტი-პინტის (ჩოლ.) „თუ გაბრაზდა და აყვირდა, მიმოფანტავს ამათ (ზედმიწ. – ქე უზამს ამათ გაფანტვას)"

მინე გეზალ ლოქ ე ახსერნე, ქა ლოქ ხაუდი დინას (ლშხ.) „თუ თქვენი შვილი აჯობებსო, მივცემო ქალიშვილს (ზედმიწ. – მათი შვილიო თუ გაასწრებს, მისცემსო გოგოს)"

ნაუკედას ლოქ ერ დრმ იჩო, ლადეღ ნარიდ ეში ლოქ ანკად (ჩოლ.) „მოუსვლელობას თუ არ იშლიო, დღის სინათლეზე მაინც მოდიო (ზედმიწ. – მოუსვლელობასო თუ არ იქმს, დღ-{ის} სინათლედ მაინცო მოვიდა)"

ლეგმერდე ღალ ლახ ჟი დოშ იხჩოუპალ ი ჩუ იდგარი, ქორისგაშ მაგ ლიგუნის ი ლილჭალს იბნეხ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 7) „ავადმყოფი თუ ვერ გამოკეთდება და კვდება, ოჯახის წევრები ყველა ტირილს და მოთქმას იწყებენ"

მოლე ფელტშალ ადგი ლახა ლი, ლადჴგლიშ აშხუ ჭუედს გიმჟი გგემხ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 7) „რამე ფერდობივით ადგილი თუა, სათხებოს ერთ კედელს მიწაზე დგამენ"

ემმა გეზალ ჯაკუ სი, ვაზირ ემმა ჯაკუ, გალტხარ შუიდებდ სგ'ანფუ! (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 63) „თუ შვილი გინდა შენ, ვეზირი თუ გინდა, კალატოზები მშვიდობიანად შემოუშვი"

ქა ლუცურრ ნადიენს ბღედ გუი ემა ხედრლ, მიჩა გუეშს ულგუენად დემღა ცურდა (ჩოლ.) „მიტოვებული გოგო თუ გულადი იყო, თავის საქმეს დაუფასებლად არ დატოვებდა (ზედმიწ. – მიტოვებულ გოგოს დიდი გულ-ი თუ ედებოდა, მის საქმეს დაუფასებლად არაფრით ტოვებდა"...

საილუსტრაციო მასალიდან ჩანს, რომ კავშირთა ადგილი შედარებით თავისუფალია, ხან დამოკიდებულის თავში გვხვდება, ხან შუაშია მოქცეული. იგივე კავშირები შეიძლება იქნას გამოყენებული ისეთ დამოკიდებულ წინადადებაში, რომელიც მოსდევს მთავარ წინადადებას. მაგ.:

მი ისგუაზუმ ɑარღალ მელტი, ე დო სი დომ ამამწარნე (სვან. პოეზ., 1939: 344) „მე შენოდენა ვინ მეყვარება, თუ შენ არ გამამწარებ“

...ნაუ ლგჭათ ლიშდ, ეშხუ ქა მრდ ესა ლაწჰად კესარ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 337) „ჩვენ დაწყევლილები ვიყოთ, ერთი თუ არ დავპატიჟოთ კეისარი“

ხელწიფხეშ ხეხუდ დემეგ ად̈სისტკე, ლახა ამგუშარ უად ხუღუე ი ხოჩა ლირდ'ანსყე (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 146) „ხემწიფის ცოლმა არ იუარა, თუკი ამგვარი თილისმა („ნატვრა“) აქვს და კარგი დრო გაატარა (ზედმიწ. – თუ ამ-გვარ-ი ნატვრა აქვს და კარგი ყოფა გაიკეთა)“

ზურალ ჟი ხეკუეს ალგენელას, ღუაჟმარეს ეუე ადაშიაშოლ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 59) „ქალი უნდა ამდგარიყო, თუ კაცს ასაჩუქრებდა („გაუხსნიდა ხელს“)“

არაყს სგა ტგხედ ი ნატხანს ხუიხნედ, ხოლჴმაშა ალახ გუიცხა (ჩოლ.) „არაყს ჩავაბრუნებთ ხოლმე და ორნახადს ვუშვებთ (ზედმიწ. – არაყ-ს შევაბრუნებთ და ნათავედს ვუშვებთ), უფრო მაგარი თუ გვირჩევნია“

ქ'ანუ ლოქ ანქუთნე ლეზობ-ლეთრე, ემა ლოქ ხაკუ ამხუა ლისყალ (ჩოლ.) „გამოიტანეო საჭმელ-სასმელი, თუ გინდაო მტერთან შერიგება (ზედმიწ. – გაანძრიამცაო საჭმელი-სასმელი, თუო უნდა მტრი{ს} შერიგება)“...

ჩვენ მიერ დაძებნილ საანალიზო მასალაში ძირითადად ჭარბობს საწყის პოზიციაზე მდგომი დამოკიდებულიანი წინადადებები, რომლებიც წინ უსწრებენ მთავარ წინადადებას. ნაკლებად გვხვდება მთავარის მომდევნო დამოკიდებული, ხოლო მთავარის შიგნით მოქცეული დამოკიდებული შედარებით იშვიათად – ელო „თუ“ კავშირიანი დამოკიდებული დასტურდება ინლაუტ პოზიციაში (დიეშ ი მუე გეზალს, ალუე ჭყინტ ლი, ჭყინტ გეზალ ხაჟახა (ლნტ., სვან.

პროზ. ტექსტ., 1967: 19) „დედ-მამის შვილს, თუ ბიჭია, ვაჟიშვილი ჰქვია“), რომელიც, შესაბამისად, მხოლოდ ლენტეხურსა და ჩოლურულში გვხვდება.

რაც შეეხება ედო||ოდო „თორემ“ კავშირიან პირობითდამოკიდებულ წინადადებას, რომელიც გვიჩვენებს შედეგს იმისას, თუ რა შეიძლება მოჰყვეს მთავარ წინადადებაში ნათქვამი ამბის შეუსრულებლობას, ქართულის მსგავსად, სვანურშიც უგამონაკლისოდ იწყებს დამოკიდებულ წინადადებას და ეს უკანასკნელი (დამოკიდებული წინადადება) ყოველთვის მოსდევს მთავარს. მაგ.:

უწრალად ჰაჯ ამაკდ, ოდო ალ ⴔან მგჳციდრუ ამსიპენა, ბაზი მეშხე ლეთ მრდ ეჯგენა (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 152) „უგინებლად თავი დამანებე, თორემ ეს წმინდა იონას სალოცავი გამიწყრეს, შავ დღეში თუ არ ჩაგაგდო (ზედმიწ. – თორემ ეს იონა დამაქცევლადმცა მომტრიალებია, ამაღამ შავი ღამე არ დაგიდგა)“

ხოჩა გარ ესერუ ოსტეხნე მაგ, ედო მინს ესერ კინჩხარს ჟი ხაქუცურე ჩი (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 60) „მხოლოდ სულ კარგი ამბები მომიტანეო, თორემ თქვენ ყველას თავებს დაგაჭრითო (ზედმიწ. – კარგი მარტომცა მიუბრუნა ყველა, თორემ მათო კისრ-ებ-ს მოაჭრის ყველას)“

ნომ ღგრიხი დაუხო, ედო იჯი ჩუ ჯადგარი სი (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 324) „ნუ მიდიხარ დევთან, თორემ ის მოგკლავს შენ“

ქ'ეუ ლახტიხ მიჩა დაჯგლ, ედო ამეხსა მაიდშუ ჩუ ლოქ ადგარი (ლშხ.) „დამიბრუნეო ჩემი თხა, თორემ ამაში მშიერს მოგკლავო (ზედმიწ. – დაუბრუნამცა მისი თხა, თორემ ამაში შიმშილით მოკლავსო)“

ლაჯურა ლოქუ ანკარე, ოდო მიჩი ლოქ ჩუშგუდი ციცუშალ (ჩოლ.) „სარკმელი გამოაღეო, თორემ შენც დაგახრჩობო კატასავით (ზედმიწ. – ფანჯარაომცა გამოაღო, თორემ მასაცო დაახრჩობს კატასავით)“...

საინტერესო ფორმა დადასტურდა ლენტეხურ დიალექტში – ადოლუე, რომელიც სავარაუდოდ ადო/ედო „თორემ“ და აღუე „თუ“ კავშირთა შერწყმითაა მიღებული, თუმცა მხოლოდ ერთ წინადადებაში დაიძებნა. მაგ.:

ეჩეისკა ეშხუ ცაჲლ ტუეტ ჯიმს ლგმაშიდლი მგფაყ მეთხუიარ, ადოლუე დემ ლგმაფიშტულიხ ამოხ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 91-92) „იმაში ერთ მუჭა მარილს ყრიდა თურმე ფაყელი მონადირე, თორემ არ უშვებდნენ აქეთ“...

ვინაიდან პირობითდამოკიდებულიან ჰიპოტაქსურ წინადადებაში დამოკიდებული მიემართება მთლიანად მთავარს და არა მის რომელიმე წევრს, მთავარ წინადადებაში კორელატი არ არის მოსალოდნელი, თუმცა არცთუ იშვიათად მთავარში შეიძლება შეგვხვდეს ეჩქა/ეჩქას, ღო „მაშინ“ ზმნისართი, მაგრამ აღნიშნულ წინადადებაში მას არ აქვს დროის (როდის?) მნიშვნელობა, არამედ გამოხატავს შედეგს (მაშინ = ამათუიმ პირობის არსებობის შემთხვევაში). მაგ.:

ეჯა ლახ თგრტგნს იკედ, ეჩქა სურასაბ ქა ჯედნი ჭიშგარ ქამენჩუ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 126) „ის როცა ფრუტუნს იწყებს, მაშინ სურასახი გამოდის ჭიშკარს გარეთ“

... ქ'ესერ ჰ'არ ლახწუნენი მიჩ ი ლამშედალ ესერ ჰემა ხემიედი, ეჩქ'ესერ ჯაი მუმურჯი ხერა (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 193) „თუკი ვინმე მაჩვენებსო მე და დახმარება თუ შემეძლებაო, მაშინ მეც დავეხმარებიო (ზედმიწ. – თუ დაანახებსო მას და საშველიო თუ ეიმედება, მაშინო თვითონაც დამხმარე ექნება)“

ისგუ ლიწედ ერ ჩუ მეხლი, ეჩქა მი თხუმს დემ ხუაზარე (სვან. პოეზ., 1939: 342) „შენი ნახვა თუ მეცოდინება, მაშინ მე თავს არ დავზოგავ“

ალახ მინე სოფელისა დრრს ხრგ, ეჩქა იშგნაგ იყდიხ (ჩოლ.) „თუ მათ სოფელში არავის უდგას, მაშინ სხვაგან ყიდულობენ“

აუე ჟი დემ ხუახრაკაუნიდ, ეჩქა ქა ხუაქუცურედ ნაწილალს (ლნტ., სვან., პროზ. ტექსტ., 1967: 39) „თუ არ ვხრაკავთ, მაშინ ვაჭრით ნაწილებს“

ჰემა ჯა ლერდუნე ჩუ ხაც ი ღერთა ლიკგრალ საჭირო ლესუ, ღო ალას ქუინუ ოხგენე (ბზ., სვან., პროზ. ტექსტ., 1939: 86) „თუ თვითონ საცოცხლებელი ყავსო და ღმერთის ვედრება საჭირო იყოსო, მაშინ ამას სული შთაბერეო (ზედმიწ. – თუ თვითონ სამყოფი აქვს და ღმერთი{ს} ვედრება საჭირო იყოს, მერე ამას სულიმც დაუდგა)“

ღერბეთ, ჰემა ჯიჟინდუდ, ღო ალ თხუიმ ალ ტანს სგა ლახალჯ ი ჟ'ახსულაუ (ბზ., სვან., პროზ. ტექსტ., 1939: 101) „ღმერთო, თუ გეცოდებით („თუ გეცოდებოდეთ“), მაშინ ეს თავი ამ ტანს მიაბი და გააცოცხლე“

საბრალ ბეთქან ეჩქას ხუირა, ლახ მუჟალუნარ ფუსნარ მერახ (უშგ., სვან. პოეზ., 1939: 284) „საბრალო ბეთქანი მაშინ ვიქნები, თუ მუჟალელები ბატონებად მეყოლებიან („ბატონები მექნებიან“)“...

როგორც განხილულმა მასალამ აჩვენა, კორელატიანი მთავარი წინადა-

დება ძირითადად მოსდევს დამოკიდებულს, თუმცა იშვიათად შეიძლება წინ უსწრებდეს.

სვანურში არცთუ იშვიათად პირობითი დამოკიდებულის მთავართან შესაერთებლად ერთდროულად გამოყენებულია ორ-ორი კავშირი: **ლახ ესა, ალახ ერე, ერ ესა, ალუ'ერე**, რომელთა მნიშვნელობაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში კონტექსტით ადვილად ირკვევა და „თუ" მაქვემდებარებელი კავშირის ეკვივალენტია, მიუხედავად იმისა, რომ ცალკე აღებულ **ლახ** და **ერე||ერ** კავშირებს შეიძლება „რომ" კავშირის მნიშვნელობაც ჰქონდეს. მაგ.:

ალ'ესერ მინსი ჩრს ამჭრნ ა̈თწინი, **ლახე ჟი ესა** ა̈ნხირნი (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 189) „ეს ჩვენც ყველას ასე მოგვერევაო, თუ გაბრაზდაო (ზედმიწ. – ესო მათაცო ყველას ასე მოერევა, თუ თუ გაბრაზდება)"

ალახ ერე ბუღუთე ლიკუ̈ნე მრ ხაკუ, ბაღო ამხა̈უ̈ აკუ̈ნე (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 123) „თუ რომ ზღვაში ჩაგდება არ უნდა, აბა ამაში ჩააგდებს"

მიშგუი ჭაშ **ერ ესა** ენმეჯრი, ეჩა შიარშუ̈ ეჯჯედნი ნაწერ (ჩოლ.) „ჩემი ქმარი თუ გაიგებს, მისი ხელით მოკვდები (ზედმიწ. – იმისი ხელებით მოგივა ნა-წერ-ი)"

იმრეთალ **ჩუ̈ერ** ესა მიღლატნეხ, მიშგუი გეზლირს ათწორა̈ლნედ მიშგუი თხუმ (ლშხ.) „იმერლები თუ მიღალატებენ, ჩემს შვილებს ასისხლებინეთ ჩემი თავი"

ალუ'ერე (||ელუ'ერე) ზისხ გარ ლი, ეჩქა ჯიმს ხანა̈ჩდეხ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 61) „თუ მხოლოდ სისხლია, მაშინ მარილს ურევენ"...

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი კავშირების ერთდროულად გამოყენება არანაირ დამატებით სემანტიკას არ სძენს წინადადებას, უფრო მეტიც თავისუფლად შეიძლება ჩაენაცვლონ ერთმანეთს. რთულ ქვეწყობილ წინადადებებში კავშირთა მსგავსი თანხვედრა არა მარტო სვანურისათვისაა დამახასიათებელი, არამედ ქართულისთვისაც.

პირობითდამოკიდებულიან წინადადებაში შემავალი მთავარი წინადადება უმეტესწილად თხრობითია, თუმცა შეიძლება იყოს კითხვითი, ბრძანებითი, ბახილისა და კითხვით-ბახილისა. მაგ.:

მიჩა ხეხუს ესერ მაჲ ქა ხრქუა ამკალიბ ბოფშარ ჰესა ახთენენს, ეჩქ'ესერ მუგუსუ ათბარიეხ ლაჲრ მიჩაშთე (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 143) „ჩემმა ცოლმა რაც თქვაო თუ ამისთანა ბავშვები გაუჩნდებაო, მაშინ მტრედს წერილი გამოატანეთო ჩემთან (ზედმიწ. – მის ცოლსო რაც უთქვამს ამ-ყალიბ-ი ბავშვ-ებ-ი თუ გაუჩნდეს, მაშინო მტრედსმცა დააბარეს წერილი მასთან)"

ამთან დერ ლოქ ეღო ხაზნენა ი ამთანდ ლოქ ეღო ლგმღირალინ, ათხად ლოქ დო იკდგნა კუკუმს?! (ჩოლ.) „ამისთანა ხმა თუ გქონდაო და ასე კარგად თუ მღეროდიო, აქამდე რატომ არ იღებდიო ხმას (ზედმიწ. – ამისთანა ხმაო თუ დებია და ამისთანადო თუ ნამღერა, აქამდეო რატომ იღებდა ხმას?!)?!"

უჟდ ესერ ამშდეხლი ჟი ი მიჩა ცოდუ ესერ ხაცუ, მიჯნემ ესერ ჰერ ჟ'ესა ანკგდას ი ჟი ჰესა ანდაცხუნას! (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 178) „ძილი არ გეღირსოსო და ჩემი ცოდვა გქონდესო, შენ თუ ხმა ამოიღოო და თუ გამაღვიძო (ზედმიწ. – ძილადო დამთავრებულა და მისი ცოდ-ვ-ა-მც-ო კიდია, თვითონო ხმა თუ აიღოს და თუ გააღვიძოს!)!"

ამჩუ ერ მრმ ოსდან, ქა დერ ხექდრლხ ჟი ლრგყრალ?! (ჩოლ.) „აქ რომ არ დაედო, ხომ ასცდებოდათ დაქცევა („აყრა")?!"...

პიროზითდამოკიდებულიან ჰიპოტაქსურ წინადადებაში დამოკიდებულისა და მთავარი წინადადებების ზმნა-შემასმენლებად ხან ერთი და იმავე მწკრივის ფორმებია გამოყენებული, ხან კი სხვადასხვა მწკრივისა. მაგ.:

აღუ'ერ ასლანბექ მესემე ლადეღ დემ **ანჭედენ**, ეჩქა ალმაისს ჟ'ანაჯაბნაბ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 140) „თუ ასლანბექი მესამე დღეს არ მოვიდოდა, მაშინ ალმაისს მოხარშავდნენ"

თერალს ლახ ხოჩამდ **ანფხრე**, ქა **ხეწდენიხი** სიმაგ მიშგური ნასკეთს (ჩოლ.) „თვალებს თუ კარგად გაახელ, დაინახავ შენც ჩემ გაკეთებულ საქმეს („*ნა-სიკეთ-არ-ს")"

მიჯნემ ესერ ჰესა **ადუნას**, ეჩქას ესერ მიჯნემუ **ლახუნემ** ძუჰერა (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 152) „თუ მე დაგაძინებო, მაშინ შენ მომეციო საცერი (ზედმიწ. – თვითონო თუ დააძინოს, მაშინო თვითონმცა მისცა საცერი"

ამჟი ნომ მაყლე, ედო თხუიმს სგა **ხუნახე** ბაჩარს (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 24) „ასე ნუ მეუბნები, თორემ თავს მივახლი ქვებს"

ჯრდი ლპრაქა ლოქ ნომპუ ადიე, ედო დპუპარ ლოქ ხეხრლიხ (ლშხ.) „გრძელ მინდორზე არ წაიყვანოო, თორემ დევები შეგხვდებიანო (ზედმიწ. – გრძელ სათიბზეო წუ-არ-მცა წაიღო, თორემ დევ-ებ-ი-ო ხვდებიან)"

ჭირობჟი მეზგახენქა ლახ დპრ მოშ ღგრი, ეშხუ მპრენმი ნპთი ლეზობ-ლეთრას ეჯღპჲ ქა ხოზზიხ (ჩოლ.) „გასვენებაში ოჯახიდან თუ ვერავინ წავა, ერთი ადამიანის წილ სასმელ-საჭმელს ისედაც გაუგზავნიან ხოლმე (ზეძმიწ. – ჭირ-ობ-აზ-ე მოსახლ[ის]გან თუ ვერავინ ვერ წავა, ერთი კაცი[ს] წილ საჭმელ-სასმელს მაინც გაუგზავნიან)"...

განხილულმა მასალამ ცხადყო, რომ სვანურში, ძირითადად, გავრცელებულია ისეთი შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა მწკრივის ზმნა-შემასმენლებია დამოკიდებულსა და მთავარ წინადადებებში გამოყენებული.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ სვანურში მრავლად გვხვდება პირობითდამოკიდებულიანი ქვეწყობილი წინადადებები, რომელთა რაოდენობა, გარკვეულწილად, კავშირთა სიუხვითა და თავისებურებებით არის განპირობებული (რითაც ხასიათდება სვანურის დიალექტები). ჩვენ მიერ დაძებნილ საანალიზო მასალაში, ძირითადად ჭარბობს საწყის პოზიციაზე მდგომი დამოკიდებულიანი წინადადებები, რომლებიც წინ უსწრებენ მთავარ წინადადებას. ნაკლებად გვხვდება მთავრის მომდევნო დამოკიდებული, ხოლო მთავრის შიგნით მოქცეული დამოკიდებული შედარებით იშვიათად. არცთუ იშვიათად მთავარ წინადადებაში წარმოდგენილია საკორელაციო სიტყვა ეჩქა||ეჩქას, ლო „მაშინ", რომელიც გამოხატავს იმ პირობის შედეგს, რაზეც დამოკიდებულშია საუბარი. ხშირად დასტურდება შემთხვევები, როდესაც პირობითი დამოკიდებულის მთავართან შესაერთებლად ერთდროულად გამოყენებულია ორ-ორი კავშირი, რომელთა მნიშვნელობაც კონტექსტში ერთი მაქვემდებარებელი კავშირის ეკვივალენტია. რთულ ქვეწყობილ წინადადებებში კავშირთა მსგვასი თანხვედრა არა მარტო სვანურისათვისაა დამახასიათებელი, არამედ ქართულისთვისაც, თუმცა სვანურისაგან განსხვავებით, ქართულში ორივე კავშირს ფუნქცია და სემანტიკა შენარჩუნებული აქვთ.

თავი II.

შეკვეცილი რთული წინადადებები სვანურში

სრული და უსრული წინადადებების შესახებ მსჯელობასა და მეცნიერულ დისკუსიას პირველად ვხვდებით თ. ჟორდანიას ნაშრომში „ქართული გრამატიკა“ და მას შემდეგ აღნიშნულ საკითხს არაერთი მკვლევარი შეეხო. ხსენებული საკითხის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა ტერმინებია გამოყენებული: „ნაკლული წინადადება“ („უსრული წინადადების აღსანიშნავად გამოიყენებოდა ტერმინი „ნაკლული წინადადება“ კიზირია 1987: 16); „შეკვეცილი წინადადება“ („ამგვარ ჰიპოტაქსს ჩვენ, პირობითად, შეკვეცილს ვუწოდებთ“ – კვანტალიანი 1990: 7).

წინადადების წევრთა კვეცა სხვადასხვა ფაქტორებითაა განპირობებული, მათ შორისაა კონტექსტი, გადმოსაცემი აზრის ექსპრესია და ინტონაცია. წინადადებაში გამოტოვებულია წინადადების ერთი ან რამდენიმე მთავარი ან არამთავარი წევრი, რომელთა აღდგენა შესაძლებელია კონტექსის ან სხვა გარემოების მეშვეობით.

აღნიშნული შემთხვევები ყველაზე ხშირად დასტურდება ზეპირ მეტყველებაში, ვინაიდან ზეპირ მეტყველებას თან სდევს ემოციური ფონი. აქედან გამომდინარე საკვლევი საკითხის მასალა წარმოდგენილია საველე პირობებში მოპოვებული ტექსტების საფუძველზე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი მასალა ეფუძნება ხანდაზმულთა მეტყველებას, ვინაიდან სწორედ მათ საუბარში დასტურდება ინტენსიურად პრედიკატის მოკვეცა, განსხვავებით ახალგაზრდა თაობის მეტყველებისაგან.

დიალოგებში ზმნა-შემასმენლის გამოტოვება ჩვეულებრივი მოვლენაა დანარჩენი ქართველური ენებისთვისაც და ამ მხრივ გამონაკლისი არც სვანურია. მაგ.:

– მაჩუბი სგრრი სგჯმენ ჯაშყიდმა ხოჩჯმდ? – მაჩუბის ქვედა სართული შიგნით გახსოვს კარგად?

– ხრჩჯმდ [მაშყიდ] ეჯი მაგ, სერ! – კარგად [მახსოვს] ის ყველაფერი!...

– იმხენ ლოქ ხი? – საიდან ხარო?

– ლენტხახენიჯ [ხუი]! – ლენტეხიდან [ვარ]-მეთქი!

შეკვეცილ წინადადებად დიალოგებში ძირითადად პასუხის ამსახველი წინადადებები გვევლინება, თუმცა დასტურდება შემთხვევები როცა კითხვით წინადადებასაც აკლია ზმნა-შემასმენელი. მაგ.:

– ალე ჯანარ ხედი ლოქ ლიხ ხოჩილ? – ეს ხარები რომელიაო უკეთესი?

– სულერთია ლოქ ლიხ, სიმჯრე, ალდარ დერქდა ხოჩა ლოქ ლიხ! – სულერთიაარ, შე კაცო, ესენი ორივე კარგიაო („არიან“)!

– ეშრ ლოქ ხედი [ლი], ეშრ?! – მაინც რომელიო [არის], მაინც?!

– დაღო, ალე ლოქ [ლი]! – აბა, ესო [არისო]!

ცალკე აღებული საპასუხო უსრული წინადადება ხშირად მოკლებულია რაიმე სახის აზრს, მისი სრულად წარმოდგენა და შინაარსის გაგება შესაძლებელია გარკვეულ კონტექსტში იმ კითხვითი წინადადების გათვალისწინებით, რომელსაც პასუხად მოუდის.

გარდა დიალოგებისა, შეკვეცილი წინადადება შეიძლება იყოს მარტივი, შერწყმული, თანწყობილი (მასში შემავალი რომელიმე წინადადება), ქვეწყობილისა და ზერთული ანუ ნარევის სახის წინადადებების ნაწილიც.

ამჯერად წარმოვადგენთ ჩოლურული მეტყველების ნიმუშებზე დაკვირვების შედეგს, ვინაიდან ჩოლურელთა ზეპირ მეტყველებაში ყურადღებას იქცევს უშემასმენლო რთულ წინადადებათა სიუხვე, განსაკუთრებით პარატაქსულ კონსტრუქციებში, თუმცა ჰიპოტაქსურ წინადადებებშიც დასტურდება.

შეკვეცილი თანწყობილი წინადადებები:

ამჟი ოთლიედ გუშგუე ლირდე მ'ი მიშგუი ლეჟრი დედედ, ეჯი დაშტუ ზურაღ [ლას] ჩუ, ეჯი ბგგი ზურაღ [ლას] „ასე გავლიეთ ჩვენი ცხოვრება მე და საწყალმა დედაჩემმა, ის ძლიერი („დათვი“) ქალი [იყო], ის მაგარი ქალი [იყო]“

ლინთუისა ხოჩჳმდ ჩუაშყუდუდახ ეჯის, თუითთუითჟი ათშგდახ ქა ი ხოჩა ლეზუებ [ლას] „ზამთარში კარგად გარეცხავდნენ იმას, სათითაოდ გარჩევდნენ ხოლმე და კარგი საჭმელი [იყო]“

მიშგუი იუალადეღ ლოქ ცხეკ ი უელ ლეთუშ ლოქ ლგზნანე [მჳდა/მულუჳნ] ი მაყალ ლოქ მჳ მაშყდა გუითეჸსა ი ჟი ლოქ ამყალუნდა ეჩეჩუ „ჩემი დღედამოსწრება ტყე და ველი დავლილი [მქონდა] ღამითო და შიში არ ჩამვარდნიაო გულში და შემემეშინდაო იქ“...

ჩვენ მიერ მოძიებულ მასალაში უმეტესწილად დასტურდება ისეთი უსრული პარატაქსული კონსტრუქციები, სადაც, ძირითადად, შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილია (ხუი „ვარ“, ხი „ხარ“, ლი „არის“ სხვადასხვა მწკრივის ფორმით) შეკვეცილი. მაგ.:

ხუისტჳნ ლოლა [ხუი], იშგუიდეშტჟი ხოშა [ხუი] ი ჩუ მიგ აჯაღ ქუინ „ლოლა ხვისტანი [ვარ], სამოცდაათზე მეტის [ვარ] და ისევ მიდგას სული“

მიშგუი ბაბუა ბგგი ლგჳმაშ ეჯი ლას, ე, მჳრე, ბგგი ლგჳმაშ, მიჩა ჭყგნტარ დეშ [ლასხ] ეჯჟი დჳრ „ჩემი ბაბუა ძლიერი ის იყო, აი კაცი, ძალიან ძლიერი („მაგარი ძლიერი“), თავისი ბიჭები ვერ [იყვნენ] ისე ვერავინ“

ეჯის ქ’ჳფრახ ი ქ’ჳგოუდახ, ჭყუარტი გჳმ ხჳდა, ხოლა თუალაშ ი მეშხე [ლას] „იმას გაახმობდნენ ხოლმე და დაფქვავდნენ, ჭვარტლის გემო ჰქონდა, ცუდი შესახედავი და შავი [იყო]“...

შედარებით ნაკლებად გვხვდება მარტივი პრედიკატის ჩავარდნის შემთხვევები, თუმცა სრული კომპონენტების შემასმენელთა გათვალისწინებით მათი აღდგენა სირთულეს არ წარმოადგენს. მაგ.:

ბაჩარს ხეფშტუანჳლდა ჩის, ჩუ ხეპუჟუენრლ ლიცარჟი ცხეკისა ი ცხეკხენქა [ხეფშტუანჳლდა] სერ „ქვებს ესროდა ყველას, დაიმალებოდა ხოლმე წყლებში ტყეში და ტყიდან [ესროდა] კიდე“

ხეთოფ ათხე, ცხაი, კისტრლარს ჯეი, მი მჳმ [ხუეთოფ] ათხე „ესვრის ახლა, რა თქმა უნდა, კისტებს თვითონ, მე არ [ვესვრი] ახლა“

ნაი გუაიშხა ლეუშერ, ამელეჟა ათხე, ალიარს – ცეყუშერ, ჩუბე კუთხეს, ლეკუიდ [ხაიშხა] – მერმას „ჩვენ გვქვია ლეუშერი, ამის ზე-

მოთ ახლა, ამათ – ცეყვშერი, ქვედა კუთხეს, ლეხვიდი [ჰქვია] – მეორეს“...

სამ ან მეტკომპონენტიან პარატაქსულ კონსტრუქციაში დასტურდება ისეთი შემთხვევები, როცა ერთდროულად ჩავარდნილია შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი და მარტივი შემასმენელი. მაგ.:

ლარჩკალჟი ეშხუს მეკუშტე ფაულს [ხუაჯდად] ამზუმს, მერბე ფაულ [ლას] აჯახ ი ეჯს ხუაჯდად „თამაშის დროს ერთ მოკლე ჯოხს [დავარტყამდით] ამხელას („ამ-ზომა-ს, მეორე ჯოხი [იყო] კიდევ და იმას დავარტყამდით ხოლმე“

კარაუისა ზექი ლაყურრლარ გურგდა, ეჩენჟი ლებრლ ი საბნრლ [გულუნ] ი ლემეს [გურშუდა] ნესკაჲსა, ეჩხენ ლაყურრლ [ლას] ი ამხენ – ლაყურრლ „კარავში ხის ლოგინები გვედგა, იმაზე ლეიბი და საბანი [გვქონდა] და ცეცხლი [გვენთო] შუაში, იქეთ საწოლი [იყო] და აქეთ – საწოლი“...

პარატაქსული კონსტრუქციის შემადგენელ წინადადებებში, ძირითადად, შეიძლება დაიკარგოს ის პრედიკატი, რომელიც წინა კომპონენტშია წარმოდგენილი, ან კიდევ პირველი შემასმენლის სინონიმურია და ადვილად აღსადგენია პირველი წინადადების კონტექსტიდან გამომდინარე. მაგ.:

ბაგ ხბდა ამხაუ ხალხი ლარდათე ი მარემი სგა ლაჯად ი კუმაში სგა ლაჯად [ხბდა] ეშხუ ყრრხენ „ბაგა ჰქონდა აქეთ ხალხის სამყოფელში და ადამიანის („კაცი{ს}“) შემოსასვლელი და საქონლის შემოსასვლელი [ჰქონდა] ერთი კარიდან“

ალე ლას, ა, კოჭრლ მაღაზირღ ი ეშჩუ სერ რიგ [ლას] ი ლიღლი [ლას] სერ „ეს იყო, აი, პატარა მაღაზია და იქ მოკლედ რიგი [იყო] და ლოდინი [იყო] მოკლედ“

ტუფს ჩუ ხუაკულინდად, ჩუ ხუარჭუდად ი ჩაფლედარს ეჯჟრნენ [ხუასყდად] „ტყავს გავთელავდით ხოლმე, დავზელდით და ფეხსაცმელებს ისე [ვაკეთებდით]“

მიშგუი დიმთილ ლგთაშს, დაჭლა ღუესეს ანყდა ი ეჯის ხონჩდა, მართლა ხოჩა გამაშს [ანყდა] „ჩემი დედამთილი ყველიანს,

თხის მუცლის ქონ(იან)ს აცხობდა და იმას ურევდა, მართლა გემრიელს („კარგ გემო-ს(ას)“) [აცხობდა]“...

თუმცა გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა წინა პოზიციის კომპონენტებშია ჩავარდნილი ერთიდაიგივე ზმნური ნაწილი, ხოლო ბოლო წინადადება სრულადაა წარმოდგენილი სხვა შემასმენლის მეშვეობით. მაგ.:

ეჯი ლოქ თუეთნე [ლი], ეჯი ლოქ ხოშა [ლი] ალდარეშ ა ნათხუნარალეშ ი ეჯის ლოქ ნრმჟრუ ლოხმეწუნე თუეფ „ის თეთრიო [არისო], ის უფროსიო [არისო] ამათი, აი, ნანადირევების და იმას არაფრით დაუმიზნოო თოფი (ზედმიწ. – იმასო ნუ-არ-მცა დაუმიზნა თოფ-ი)“

ზურაბიანალ იშგნაგ ამჟი, ა, იქიაქ პარ [არიხ], დედ ქ'ერ არ ედჩრჟრლ, ჟ'ეშჩრჟრლ „ზურაბიანები სხვაგან ასე, აი, აქაიქ თუ ვინმე [არიან], ან თუ ვინმე ცოლს მოიყვანდა, ჩაესიძებოდა“...

რიგ შემთხვევებში რჩება შთაბეჭდილება, რომ კვეცას ეკონომიის პრინციპი განაპირობებს, როცა ენა თანწყობილი წინადადების შემადგენელ კომპონენტებში ერთნაირი პრედიკატების გამეორებას არიდებს თავს ისე, რომ შეკვეცილი წინადადება არ ქმნის კომუნიკაციის პრობლემას და ჩავარდნილი შემასმენლის გამოცნობა და აღდგენა კონტექსტის მეშვეობით ადვილად ხერხდება. მაგ.:

ქ'რდე ქჳმთე ი ქა ლჟსიპ ლას საუ ი ლჟთრიაქე [ლას] დეზუ ი ჟი მეგბე [ლას] მაგ „გავედი გარეთ და გადაბრუნებული იყო ურემი და მოთხვრილი [იყო] ეზო და დასვრილი [იყო] ყველაფერი“

ოჩადდ ქა ი ალე შინაურ მჳდ ირრლხ, გარეულ კუჳატიჳლ [ლასხ] ეჯდარ, ქუეყანამაგ [ლასხ] ეჯდარ „გავედით და ეს შინაური რაც იყო („რა იქნებოდნენ“), გარეული კვატები [იყვნენ], უამრავი [იყვნენ] ისინი“

ჩუქუჳნ ბარბელდ ხჳდა ლეგუერს ი ჟიქჳნ შირჳლ, ეჩეჟი კაკალ [ხჳდა] აჯახ „ქვევით ბორბალი ჰქონდა წისქვილს და ზემოდან დოლაბები, იმაზე კაკალი [ჰქონდა] კიდე“...

ამის პარალელურად დაიმებნა ისეთი მასალა, როცა წინა კომპონენტის პრედიკატს არ ემთხვევა მომდევნო წინადადების ჩავარდნილი შემასმენელი

და ამ შემთხვევაში პარატაქსული კონსტრუქციის შემოკლება ექსპრესიულ-ემოციური ფაქტორებით უნდა იყოს განპირობებული. მაგ.:

ნაჲ ათხე ეშხუ ბატკარეშდ გულუჳნ აგურუშ, ლემესი მეგეჭ აგურშუ ი მურბე ხოშერება [ლას] ამჟი, ა „ჩვენ ახლა ერთი შესაწვავი გოჭებისთვის გვქონდა აგურით, ცეცხლგამძლე აგურით და მეორე უზარმაზარი [იყო] ასე, აი“

სგა ლახხჭიენა შარდენი მუ ეჩ’ე მგწდის, ჩჯუშ [ლგმშრ] ათხე ეჯ’რ ალეჲ ჩჯუშ [ელმშზ] ლექუა, ეჯი ჩჯუშ ლეჟა, მგწდის ხაბულიან „შეხვედრია შარდენის მამა იქ, აი, მუწდიში, ცხენით [ყოფილა] ახლა ის, ესეც ცხენით [მიდიოდა „მინავალა“] ქვევით, ისიც ცხენით ზევით, მუწდიში ხაბულიანი“...

დადასტურდა ისეთი შემთხვევებიც, როცა თანწყობილი წინადადების ყველა კომპონენტშია ჩავარდნილი შემასმენელი, თუმცა ადვილად აღდგება. მაგ.:

ეჯი დგთხელ მშრრლ [ლას], სასტაუილ მშრრლ [ლას] ჩუ „ის გამხდარი („თხელი“) კაცუნა [იყო], სასწაული კაცუნა [იყო]“

დუუშტიშ ათხე ლაბნა დერ [ლი] ნაგზაშ ი ამღა მგრეს [ლი] ლეთში „ორშაბათი ახლა დასაწყისი ხომ [არის] კვირის და ალბათ ამიტომ [არის] შესარჩევი“

ნესკა ლემესისა ხგნსკე ქორისა კუმაშ [არდა] ი ხგნსკე ქორისა ეშხუდ მშრალ, პადუალს [ლას] ალე „შუა ცეცხლში ნახევარ სახლში საქონელი [იყო] და ნახევარ სახლში ერთად კაცები, საკუჭნაოში [იყო] ეს“

ეჩანღო ლიგნე [ლი] ქუნარეშ, ქა ლიზი [ლი] სერ უოჯახხენქა „მერე გაცილება [ა] სულების, გასვლა [ა] ოჯახიდან“...

რაც შეეხება უშემასმენლო წინადადებათა პოზიციას, სხვადასხვა შემთხვევები დასტურდება – შესაძლოა ჩავარდნილი იყოს წინა პოზიციაზე მდგომი კომპონენტის შემასმენელი. მაგ.:

ეჩე ლილჩე [ლას] სერ ი მშრე ი ზურშლ მაგ ხელჩა „იქ დაცვა [იყო], მოკლედ, და კაცი და ქალი ყველა იცავდა“

მი კოჭრლ ბეფშრლ [ხუას], ლეთუშ მგცხი მადა, მა ჩუ მატბიდახ ხოშალ „მე პატარა ბავშვი [ვიყავი], ღამე მციოდა, მაგრამ მათბობდნენ უფროსები“

თორაი მიშგუი ლადჩურა ხოჩა [ლასხ], მი ხოჩა თორაი ხუას „მოსწავლე ჩემი დები კარგები [იყვნენ], მეც კარგი მოსწავლე ვიყავი“...

პარატაქსული კონსტრუქციის შუა პოზიციაში შეკვეცილი შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი, ან მარტივი პრედიკატი ადვილად აღსადგენია წინამავალი ან მომდევნო კომპონენტის კონტექსტის გათვალისწინებით. მაგ.:

გირკტან დაბარ ლგქგრთ ლას ჩიაგ ი კუმაშ ჯრდიათე ლეიეს [ლას] ი ხამარი ჯრდიათე ლეიეს „ირგვლივ ყანები შემოღობილი იყო ყველგან და საქონელი შორს წასაყვანი [იყო] და ღორებიც შორს წასაყვანი“

ხოჩა ლაუდილა ლასხ ი ეჯიართან ლესგდი გაცხაი დარ [ლას], მარე დარ ცუირხ ათხე „კარგი დები იყვნენ და მათნაირი შესახედავი მართლაც არავინ [იყო], მაგრამ არავინაა ცოცხალი ახლა („მაგრამ არავინ რჩენილან ახლა“)“...

შედარებით უფრო ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა უსრული კომპონენტი ბოლო პოზიციაზეა. მაგ.:

ურხურიშტ აშირ დაჭგლ გარ ხაყენახ, სემი უღუა ჭანარ, კამბჩარ ი სემი-ურშთხუ ჩჯუ ჲედურ ჩიგარ [ხაყენახ] „ხუთასი მარტო თხა ჰყოლიათ, სამი უღელი ხარები, კამეჩები და სამი-ოთხი ცხენი ყოველთვის [ჰყოლიათ]“

ეჯი აშ ხოლა მგდე მგრ ლგმარ, ჟეღ მარე, იშგენ ხოჩა [ლგმარხ] ეჯიარ, სიმა, ურგაალ ხოჩა [ლგმარხ] „ის ისე ცუდი ისა ყოფილა, ძაღლი კაცი, სხვები კარგი [ყოფილან] ისინი, შე კაცო, ბატონები კარგი [ყოფილან]“

თხუმჟი გუღუა ლაფაქჟინენ ი აყბა ჩუ ლუშხუნ [გუღუა] „თავზე გვაქვს საფქვილეზე და ყბა შენახული [გვაქვს]“

როფშულს ხუჩოდ ი ლუსურნელ ჯიმს ი დუჩის ხოჩამდ [ხოხა] ეჩა ლისყი „ფქვილიან წყალს ვუკეთებთ და სუნელებიან მარილს და დუჩიმ კარგად [იცის] იმისი გაკეთება“...

საანალიზო მასალა იძლევა საშუალებას, განვიხილოთ ისეთი რთული კონსტრუქციები, როგორიცაა ჰიპოტაქსური და ზერთული წინადადებები, რომელთა შემადგენლობაშიც ხშირად გვხვდება შეკვეცილი (უსრული) წინადადებები. მსგავსი წინადადებები დასტურდება ჰიპოტაქსური კონსტრუქციების როგორც მთავარ, ისე დამოკიდებულ წინადადებებში, იშვიათად ორივეს შეიძლება აკლდეს შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი. მაგ.:

ათხე კუასტიანარ იმჩუუჲი იზგეხ, ეშჩუნენ მურყუამ [ლგდა] „ახლა კვასტიანები სადაც ცხოვრობენ, იქ კოშკი [იდგა]“

ეჩანღო ხალ ამინდარ ენბინრლ, ეჩქა სერ ჯანარ ი უღუა [ჯაწხგნ] „შემდეგ როგორც კი ამინდები გამოვიდოდა („დაიწყებოდა“), მაშინ უკვე ხარები და უღელი [გჭირდებოდა]“

ეჯჟი ლიბგრგიელ [ლას], ერე ტრაშდ ხეგნრლხ უშხუჳრ „ისეთი ჭიდაობა [იყო], რომ აწყდებოდნენ ერთმანეთს“

ჩუჳრმა ხეყჳდა ლეკედ, მაგ მიშგუი ლგპრისდე [ლასხ], მამიდაშუილარ ი ეჯიარ მაგ „თუ ვინმე ჰყავდა კარგი, ყველა ჩემი ნათლული [იყვნენ], მამიდაშვილები და ისინი ყველა“

ეჩქა მერმად ხექჳ, ერე ეჯიუ ხექჳ ეჩა მაგიორე, ოშა გრანატალ [ხულუა] ლუშხუინ, აუტომატარ, ლიშიალ ლოქ ერ ლგმარელი, ეჩქა შუანარ ლოქ ჟ'ასკუეშახ იარაღს „მაშინ მეორემ უთხრა, რომ ის მითხარიო იმის მაგივრად, რამდენი გრანატები [აქვს] შენახული, ავტომატები, ომი რომ იყოო, მაშინ სვანები გამდიდრდნენო იარაღით (ზედმიწ. – მაშინ მე-ორ-ე-მ უთხრა, რომ ისმცა უთხრა იმი[ს] მაგივრ-ად, რამდენი გრანატ-ებ-ი აქვს შენახული, ავტომატ-ებ-ი, ომიო რომ ყოფილა, მაშინ სვან-ებ-ი-ო დამტვრევიან იარაღ-ს)“

სერ ლიხასიათალ [ლას], ხოჩა ლარდა ეჭკალიბ, ერე ლიშუპარალ ი მაგ [ლას] „კიდევ მხიარულება [იყო], კარგი სამყოფი ისეთი („ის-ყალიბ-ი“), რომ ცეკვა („შუშპარ-ობ-ა“) და ყველაფერი [იყო]“...

ზერთულში ანუ ნარევი სახის წინადადებებში, რომელიც ერთდროულად შეიცავს პარატაქსულ და ჰიპოტაქსურ წინადადებებს, ძირითადად თანწოზილ წინადადებას აკლია ზმნური (ლას „იყო“) ნაწილი, თუმცა გვხვდება შემთხვევები, როცა ქვეწყობილშიც ჩავარდნილია შემასმენელი. მაგ.:

ნეცინ კაკაჲლ მაჲი ლას, დედ ლეფჭაუე მაჲი ბრრლ, ეჯის გაჩი კაცხუშ ჟი შგდახ შტახენჟი ი ეჯის ჟ'აჯხგდახ ი ლობიოსი სგა ხეჩმგდახ ი ეღო ჯიმ ჯეღუენრლ, ეჯი ჯიმს სგა ხაქმახ ი ლითრე [ლას] სერ მიჩა ლუწუენდ „წვრილი მარცვალი („კაკალ-ი“) რაც იყო, ან გაფუჭებული რაც იქნებოდა, იმას დანის წვერით ამოყრიდნენ ხოლმე ტაროდან და იმას მოხარშავდნენ და ლობიოსაც გაუკეთებდნენ ხოლმე და თუ მარილი გექნებოდა, იმ მარილს ჩაამატებდნენ და დალევა [იყო] თავის წვნიანად“

ურ ი ეჯი ლეთ სერ ეჩუუო ეჩჯუ აჩადხ, ერე ალე'ჲ ოთარ ხოჩჯმდ იღრჯლდახ ი შუშპარ [ლას] სერ ი ლიღრჯლ, მაგ ხოჩჯმდ [ლას] ეჩუუო, მაგ ჩუ ლას „ხო და იმ ღამეს მერე იქამდე მივიდნენ, რომ ეს და ოთარი კარგად მღეროდნენ და ცეკვა („შუშპარ-ობ-ა“) [იყო] და სიმღერა, ყველაფერი კარგად [იყო] ძერე, ყველაფერი იყო“

ცოცხრლარ ხუუახ ეჩა, ე, ჟაჯურჯშ, არყის ხეს ერ ლატულიდ, ჟაჯურჯშ, ეჯი ჟი ლგმდენე, ეჯი ქა ლუკშურე [ლას], ჯურუალისა სგა ლუჭუბერე [ლას] ი ცოცხრლშლ ეჯი ჩუ ხუუახ ჩუ ლ'უკუჯრ ამჟი ა, ეჯნრუშ ქ'ჯწმინდაუიხ ეჯს, ე, ოხრობას, მეუარ მორდაბ ისგუეცახან, ეშხუ პილთე, სგჯნ სუფთად [ხუუახ] „პატარა ცოცხები აქვთ იმისი, ე, არყის ხის, არყის ხეს რომ ვეძახით, არყის ხის, ის იმას ქმნილი, ის მოტეხილი [იყო], ხვრელებში შეტენილი [იყო] და ცოცხივით ის აქვთ დაგდებული ასე, აი, იმით გაწმინდავენ ხოლმე იმას, ე, ნაგავს, დიდი ბოდიში თქვენთან („ძალიან მორიდება თქვენთან“), ერთ მხარეს („პირ{ის}-კენ“), შიგნით სუფთად [აქვთ]“

ათხე ეჯი შგუირ ლგმარ, ერე ეღო ხანჯარ ხეღუენრლ ისგუა მეცუჯლს ი სი დაშნაჲს ეხკედნას, ეჯი შგუირდ [ხებჟჯნხ] „ახლა ის სირცხვილი ყოფილა, რომ თუ ხანჯალი ექნებოდა შენ მაჩხუბარს და შენ დაშნას აიღებდი, ის სირცხვილად [ეგონათ]“

ტაბგლუშ ქ'ჯგუშილდახ ეჯი სტოლს ი ეჯი სემი ტაბგლ [იმზგრრლ] ეჩჯნღო, ოჯახხენ მაჲ ლი წილ „კვერ{ებ}ით გაავსებდნენ ხოლმე იმ მაგიდას და ის სამი კვერი [დაილოცებოდა] მერე, ოჯახიდან რაც არის წილი“...

საინტერესოა ისეთი შემთხვევები, როცა ქვეწყობილსა და ზერთულ წინადადებებში შემასმენელთან ერთად შემადგენელ წინადადებებს კავშირი

და საკორელაციო სიტყვაც აკლია, თუმცა მათი კონტექსტის მეშვეობით აღდგენა სირთულეს არ წარმოადგენს. მაგ.:

მი აგის [ხუარდ] სერ [ეჯღა], [ერე] ლაქორ-ლამპრისა ხუპა გუეყადახ „მე სახლში [ვიყავი] უკვე [იმიტომ], [რომ] სახლში ბევრი გვყავდა (ზედმიწ. – მე ალაგა-ს ვიმყოფებოდი უკვე იმისათვის, რომ სასახლო-სამზადისში ბევრი გვყავდნენ)“

ეჯის ხოჩას ქ'ხათშგდახ, ნაკაცხრანს დემა, ნაკაცხრანს [ეჯღა], [ერე] ქათლარეშდ ლოქ [ლი] ალე „იმას კარგს გადაარჩევდნენ, წვერისას არა, წვერისას [იმიტომ], [რომ] ქათმებისთვისო [არის] ეს“

ეჩქა ჩუიქხრლ ეჯი: უკაცრაუად ლოქ, ზარმაც ლოქ დესა [ხუი] მი [ეჯღა], [ერე] მიშგუი ნაზგრმაცი ჟი ლოქ ხეთრა ამე „მაშინ გაიცინებდა ის: უკაცრავადო, ზარმაციო არ [ვარ] მე [იმიტომ], [რომ] ჩემი სიზარმაცე ეტყობაო აქ“

ზექ ლემაჯე გუადა, ლემეს სგა ლეშუე [გუადა] ეშჩუნნ, ნესკა ლალმესს [ერ] ხუატულდად „შეშა მოსაზიდი გვქონდა, ცეცხლი დასანთები („შესანთები“) [გვქონდა] იქ, შუა საცეცხლეს [რომ] ვეძახდით“...

იშვიათად, მაგრამ მაინც დადასტურდა ისეთი შემთხვევაც, როცა მთქმელი წინადადებების გამეორებას მიმართავს უსრული წინადადებების დასაზუსტებლად და ასეთ ვითარებაში წინამორბედი სრული წინადადება გვევლინება უსრულად. მაგ.:

იმშა პატიმარ ლოქ რრი ალე, სიმარე სერ, დეშტეშხუ სუტკა [ლოქ ლოხრდახ], ალ მარად ხქჟუ ათხე, ეჯი ლალხომ ლას სერ სამტრედიელ. რჰ, იმშა პატიმარ ლოქ [რრი], ეჯდარდ, მერმალდ, დეშტეშხუ სუტკა ლოქ ლოხრდახ ი პატიმარ ლოქ მა ხაღშხა ალეს „რა პატიმარი ეს არისო (ზედმიწ. – რისი პატიმარიო იქნება ეს), შე კაცო, თერთმეტი დღე-ღამე [მიუციათო], ამ კაცმა უთხრა ახლა, ის უფროსი იყო მოკლედ სამტრედიელი. ოჰ, რისი პატიმარიო [იქნება], იმათმა, სხვებმა („მე-ორ-ე-ებმა“), თერთმეტი დღე-ღამე მიუსჯიათო („მიუციათო“) და პატიმარი არ ჰქვიაო ამას“...

განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩოლურულში ასაკოვანთა ზეპირი მეტყველებისთვის უშემასმენლო რთულ წინა-

დადებათა კონსტრუქციებით აზრის გადმოცემა ჩვეულებრივი მოვლენაა. კომუნიკაციის, გაგებინების პრობლემა არც იმ შემთხვევაში დგება, როცა ერთდროულად რამდენიმე პრედიკატია ჩავარდნილი, ან შემასმენილი შეკვეცილია ყველა კომპონენტში. ხოლო, ისეთ შემთხვევებში, როცა ჩავარდნილია შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი, სახელადი წევრის მეშვეობით ადვილად ივარაუდება და აღდგება ზმნური ნაწილი, რაც ხელს უწყობს წინადადებით გამოხატული აზრის აღქმას.

სამომავლოდ საინტერესო იქნება სვანურის დანარჩენ დიალექტთა ზეპირი მეტყველების ამ კუთხით შესწავლაც.

თავი III

სიტყვათა გამეორება ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში

ცნობილია, რომ სიტყვათა გამეორება (როგორც ერთ-ერთი ლექსიკური აქტუალიზატორი), რომელიც რაიმე მოვლენის გააქტიურებას, საკითხის ან პრობლემის წინ წამოწევას ემსახურება, დამახასიათებელია ქართველური ენებისათვის, მათ შორის სვანურისთვისაც. აღნიშნული საკითხი მეტნაკლებად შესწავლილია, როგორც ქართულში (შ. აფრიდონიძე, ალ. ღლონტი...), ისე მეგრულში (მ. ლომია), რასაც ვერ ვიტყვით სვანურზე, რადგან სვანურის დიალექტები ამ კონკრეტული საკითხის მიხედვით არ ყოფილა დღემდე კვლევის ობიექტი.

ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ ჩოლურულ მეტყველებაზე, სადაც ჰიპოტაქ-სურ წინადადებებში არცთუ იშვიათად დასტურდება ხსენებული სინტაქსური მოვლენა, რაც თვალშისაცემი გახდა საველე პირობებში მოპოვებული მასალების საფუძველზე. სიტყვათა გამეორება ძირითადად დამახასიათებელია გაბმული (ზეპირი) მეტყველებისათვის, როდესაც მთქმელი საუბრისას ცდილობს გამეორების მეშვეობით შთაბეჭდილების მოხდენას, სათქმელის ხაზგასმას და უკეთ წარმოჩენას. ყველაზე ხშირად მეორდება ზმნა-შემასმენელი. მაგ.:

ქა ლეჟა ლჷმკაფრლნელი ეჯი, ერ ლჷმკაფრლნელი, ეჩქა ოხდა ტოტ ეჯს'ე, მჷსჷყდარს... „ზემოთ გადაიქცეოდა ხოლმე ის, რომ იქცეოდა თურმე, მაშინ წაუვლია ხელი იმას, ე, საყდრელს"

სგ'რჩადდ ლეთიშთე, ქ'ჳდსკინე ეჩქა აჯაღ, ქ'ე ადსკინე, ეჩქა აბფიშტუ აჯაღ ამნე, ხაჯიდ ი ჩუადკუჳრ ხოშა ღელლექუა „შევედით ბარდებში, გადახტა მაშინ ისევ, რომ გადახტა, მაშინ ისევ ესროლა ამან, მოარტყა და ჩააგდო დიდ ღელეში"

ჯიცრლს ჩუ დერ ოთნაჩდრლდ მარწუენს, ეჯი ჟი ტეხენ, ჟ'ერ ტეხენ, აჯაღ ჩუ ხუაგნად ი ქა ხეფსრლ ძირ, კუეცნა ძირ „ცომს ხომ შევუ-

რევდით მაწონს, ის ამოვიდოდა, რომ ამოვიდოდა, კიდევ დავაყენებდით და გამოდიოდა ძირი, ხორბლის ძირი“

ხოყირა ეჯს, დანიელს, ხოყირა ეჯნარ, ციცუდ. ერ ხოყირა, სგ’ჳთქუელენა მიჩა მუხუბას ტუეტჯი „დაარტყა თურმე („დაურტყამს“) იმან („იმას“), დანიელმა („დანიელ-ს“), დაურტყამს თურმე იმას, დანიელს, დაურტყამს იმისთვის, კატისთვის. რომ დაურტყამს თურმე, ჩააფრინდა თურმე თავის („მის“) ძმას ხელში“...

ხშირია შემთხვევები, როცა ერთმანეთის მიყოლებით მეორდება ზმნები (ასეთ შემთხ-ვევაში შეიძლება წინამავალი მთავარი წინადადება მომდევნო წინადადებაში დამოკიდებულად მოგვევლინოს). მაგ.:

ქ’ოთრგანდახ, ესღრიხ. {ერ} ესღრიხ, {ეჩქა} ანჭადხ სემი ლაყუილ შუკუს. სემი ლაყუილ შუკუს ერ ანჭადხ, ეჩქა ჟი ხაიარა ამეჩუნენ... „გაუდგნენ გზას, მიდიან. {რომ} მიდიან, {მაშინ} მოვიდნენ სამ გასაყარ გზასთან. სამ გასაყარ გზასთან რომ მოვიდნენ, მაშინ აწერია აქ“

ქა ხუაკუანად, ერე კუეცენჟი მრდ ემშყედელჳს ი ხუაკულაუდად ეჯყრნენ. ქ’ერ ოხკალუისდ ეჯის ეჩანღრნენ ჟი ხუახურიელდად. ქ’ერ ოხხურიელნად, ეჩანღრნენ ნებუზა მეჭართე ალე ერ ენკაჩრლ, ა, ბიქუ, ბიქუისა ქა ხუაბაბდად „გადავაგდებდით, რომ ხორბალზე არ დავარდნილიყო და ისე ვლეწავდით. რომ გავლეწავდით იმას მერე შევაგროვებდით. რომ შევაგროვებდით, მერე საღამო ხანს ეს რომ ამოვარდებოდა („აღიმართებოდა“), აი, ქარი, ქარში გავანიავებდით ხოლმე“

ჟ’ენკიდ ხმალ ი ჩუაბიჭუ. ჩუ’ერ აბიჭუ, ადიე აგითე. ერ ადიე აგითე, ეჩანღო დედეს ხეჭუინ „აიღო ხმალი და გააპო. რომ გააპო, წაიღო სახლში. რომ წაიღო სახლში, მერე დედას უთხრა“...

ზმნის გამეორებას სისტემური ხასიათი აქვს და უმეტესწილად ზღაპრებში გვხვდება, სადაც მთქმელი გამეორებას მეტი ექსპრესიულობისათვის მიმართავს, „ამგვარი თავისებური ჰიპოტაქსური კონსტრუქციებით თხრობა დამახასიათებელია ქართული ზღაპრისთვისაც“ (ლომია 2005: 178) და, როგორც მასალაზე დაკვირვებამ გვაჩვენა, სვანურშიც დასტურდება...

ჟ’ენცუე ალე ი ქ’ჳჩად ბეწუი ჯუეკქა, ქ’ერ აჩად, დაუ გუდ აჯად მჳაენას ი ლიწგრხანიელ ენბინე, მარე ხუთკუნჯულად ხეჭუე, ერე: „სერ ქა

მეჩდე ლოქ ხუი ბეწუი ჭუეკქა...“ „მოიკიდა ეს {ზურგზე} და გავიდა ბეწვის ხიდზე, რომ გავიდა, დევი რაღაცას მიხვდა და წრიალი დაიწყო, მაგრამ ხუთკუნჭულამ უთხრა, რომ: „უკვე გასული ვარო ბეწვის ხიდზე...“

ლგმარდელი კომბლე ი ღოლდაქარ ქ'ოთრეკლა ცხეკთე ი ერ ანტახხ ალე ღოლდაქარ, ეშხუ ქა ხეკლრნ ი აჩად კომბლე ლათხელთე. ერ აჩად, სგა ლახხურდა მალ „ყოფილა კომბლე და ცხვრები გაურეკავს ტყეში და რომ დაბრუნდნენ ეს ცხვრები, ერთი აკლდა და წავიდა კომბლე საძებნელად. რომ წავიდა, შეხვდა მელია“

ბაგ მად მიშგუი გუეშ ლი, ფურ ხუიან? ლაყურაჟი ოთყუინი, – ი ჩუადყურდა ლაყურაჟი. ჩუ'ერ ადყურდა, ეჩანღო ეჯი დაუ მგდაში ლაშერს ლახადა, ხმალიშ „ბოსელი რა ჩემი საქმეა, ძროხა ვარ? საწოლზე დავწვები, – და დაწვა საწოლზე. რომ დაწვა, მერე ის დევი ...იმის... ლესვას შეუდგა, ხმლის“

ეშხუ ყუაუილ ჟ'ოხკიჩა. ჟ'ერ ოხკიჩა, ლახსგმენა დერ, ერე – ამჩუ ერუნად ლოქ სგ'ანკად ალე ლარათე, ღოშტ ლოქ დარ მეტეხ „ერთი ყვავილი მოუწყვეტია. რომ მოუწყვეტია, შემოესმა თურმე ხმა, რომ – აქ, ამ სათიბში, ვინც შემოვიდაო, უკან არავინ დაბრუნებულაო“...

მეორდება ზმნა და სახელი, ეს უკანასკნელი ზოგჯერ ნაცვალსახელითაა ჩანაცვლებული და, პირიქით, ზოგჯერ შეიძლება ნაცვალსახელი ჩაანაცვლოს. მაგ.:

ერ ემჯედხ აგითე, ალეი ემჯედ მგრამხენ, ა, ციცუ. ალე ციცუ ერ ემჯედელი: „მად ლოქ ლი ალე?“ „რომ მოსულან სახლში, ესეც მოსულა საიდანღაც, აი, კატა. ეს კატა რომ მოსულა: „რა არისო ეს?“

ათხე მ'რ სი ერ ლარიდ, ამჩუ ბითქ ენკიდ ამნემდ, ა, დაშტუდ. ამნემდ ერ ბითქ ენკიდ, ეჩქა მი ქ'რსხილწანიელ „ახლა მე და შენ რომ ვართ („ვიმყოფებით“), აქ დახტა ეს („ბათქ-ან-ი აიღო ამან“), აი, დათვი („დათვმა“). ეს რომ დახტა, მაშინ მე მკლავები ავიკაპიწე“

ჩოთძიახ ეჯი, მერბა სახელწიფოთუესა ერ ემჩედელიხ, ჩუერ ჩ'ოთძიახ ალე ჯან ი ალე ტუფს ქ'ახჭრნენა ალე, ა, ჭყინტრლ ი ჩუალყუინელი „დაუკლავთ ის, მეორე სახელმწიფოში რომ შესულან, რომ დაუკლავთ ეს ხარი და ამ ტყავში („ტყავ-ს“) გაეხვია თურმე („*განახვევა“) ეს, აი, ბიჭუნა, და დაწოლილა“...

ჩოლურულში გამეორებულ ზმნას კავშირთაგან მაქვემდებარებელი კავშირი ერე „რომ“ ახლავს, რაც დამახასიათებელია მეგრულისთვისაც: „მეგრულში წინამავალი წინადადების ზმნა ან სახელი მეორდება მომდევნო წინადადებაში -ნი (=რომ) კავშირთან ერთად“ (ლომია 2005: 175), იშვიათად კი შეიძლება ერთდროულად ორი კავშირის თანხლებით დადასტურდეს. მაგ.:

ეჯის ქ'რთბადუ ი **ემჩედ**. სგ'ერ ემჩედული ალე ლარათე, ეშჩუ ალთენელი ძღგდ ქორ „იმას გაუბედავს და წასულა. რომ შესულა ამ მინდორში, იქ გამოჩნდა თურმე („გამოჩენილა“) დიდი სახლი“

ეთფიშტუნე ისარ ი ქ'ანშგდახ ქუეყანა დაუარ. ქ'ერ **ანშგდახ**, ხაყუფეხ ალე ისარს, ხაყუფეხ, ხაყუფეხ, ჟი დეშ ახყუიფხ „ისროლა ისარი და გამოცვივდნენ უამრავი („ქვეყანა“) დევები. რომ გამოცვივდნენ, აძრობენ ამ ისარს, აძრობენ, აძრობენ, ვერ ამოაძვრეს“

ბაბლუანარ ეჯჟი ოხკრდახ ჟი ეჩე, ერე, **ერ** ოხკრდახ, დარ ახსედახ ქა კანდღა ი ღოშკინპილს ჩ'უემსედ ეშხუ ზურაბლ, ლუწუტლე „ბაბლუანები ისე ამოუწყვეტიათ იქ, რომ, რომ ამოუწყვეტიათ, არავინ დარჩენილან საერთოდ და ბოლოს დარჩენილა ერთი ქალი, გათხოვილი“

მი ამჟი მასმა, ერე მერბა ლადეღ ჟი ლოქ ოშთხარახ. ქ'ერ **ოხშთხარახ**, ლესკ ლგსიპ ხარა „მე ასე მსმენია, მეორე დღეს ამოუთხრიათ. რომ ამოუთხრიათ, გვერდზე ყოფილა გადატრიალებული (ზედმიწ. – გვერდი მოტრიალებული ჰქონია)“...

არცთუ იშვიათად დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა კავშირი გამოტოვებულია, თუმცა ივარაუდება კონტექსტით (აგრეთვე სვანურისთვის დამახასიათებელი ინტონაციით) და ადვილად აღდგება. მაგ.:

ხოჩა ლიმზგრალ აჯაღ ეჩეჩუ ლი, ლეკალანიობს **ხატულიხ**. ღეკალანიობს {ერ} **ხატულიხ**, ეჩეჩუნენ ქამ ლი... „კარგი ლოცვა კიდევ იქ არის, ლეკალანიობას ეძახიან. ლეკალანიობას რომ ეძახიან, იქ გარეთ არის“

ეშჩუნენ ხოჩა სიტყუას **ქა** ლეჭუნა ხოჩა სიტყუა მარე, **ქა** {ერ} (ქ'ერ) ლეჭუნა ეჩა ადამიანობს, {ეჩქა} ჩოსფანნახ... „იქ კარგ სიტყვას იტყოდა კარგი სიტყვის კაცი, {რომ} ისაუბრებდა („იტყოდა“) იმის კარგ ადამიანობაზე, {მაშინ} სუფრას წაუდგამდნენ ხოლმე“...

როგორც განხილულმა მასალამ აჩვენა, წევრთა გამეორება წინა პოზიციის წინადადებათა კონტექსტის გათვალისწინებით ხდება და ამ ხერხით მკითხველისა თუ მსმენელის ყურადღება იმ ცნებაზე მახვილდება, რასაც გამეორებული სიტყვა ან წინადადება გამოხატავს. მაგ.:

ჩუ ხოჩმრნახ ლაგუან ი ჩ'ოთშტუხუბ. ჯგგრნგჟრნენ ჩუერ ოთშტუხუბ, მერბა ლენთ, ეშხუ მეზგე არი ი ხასმრლნახ დერ „გადაუხდიათ გასვენება და დაუკრძალავთ. წმინდა გიორგის სახ. ტაძარში („წმ. გიორგიზე") რომ დაუკრძალავთ, მეორე ღამეს, ერთი მოსახლეა და ესმოდათ თურმე ხმა"

ლათხუიართე ოჩადდ ი ლგბელ დაშტუს ოთთხანწნდ. ლგბელ დაშტუს ერ ოთთხანწნდ, ეჯი ჩ'ოდგარდ „სანადიროდ წავედით და ბელებიან დათვს გადავაწყდით. ბელებიან დათვს რომ გადავაწყდით, ის მოვკალით"

ქ'ერ ემჩედელი, დედურ დესა ახყალრნენა ჟი. დესა ერ ახყალინენა, ეჩქა პარიკ ჩ'ოხკიდა ჭყინტს ი ლგმარ ხოჩა ჭყინტ „რომ მისულა, სულ არ შეშინებია. რომ არ შეშინებია, მაშინ ნიღაბი ჩამოუხსნია („ჩამოუღია") ბიჭს და კარგი ბიჭი ყოფილა"

ქ'რხჯურჯუალა ეჯნარ ეჯი, ე, ბაჩარ. ქ'ერ ოხჯურჯუალა, ქ'ალწირქელი ეჯი ლექუა საყდარი მხარეთე „გამოურღვევია იმისთვის ის, აი, ქვები. რომ გამოურღვევია, გადახრილა ის ქვედა საყდრის მხარეზე"...

არის შემთხვევები, როდესაც გაბმულ მეტყველებაში ზმნათა გამეორებას ჩართული წინადადება ან განკერძოებული წევრი განაპირობებს, როცა მოსაუბრე ხელახლა მიუბრუნდება სათქმელს. მაგ.:

ქ'ერ ესღვრნა, ბგგი ხოჩა მეთხუიარ ლგმარ მიშგური ბაბა ი ქ'ერ ესღვრნა, სემი-რშთხუ მგდას ეში ჩიგარ ლგმჯიდინ, ნათხუიარას „რომ გადიოდა, ძალიან კარგი მონადირე ყოფილა ბაბუაჩემი და რომ გადიოდა, სამ-ოთხ ...იმას... მაინც მოიყვანდა ხოლმე ყოველთვის, ნანადირევს"

სგა ლახჯგან, დერა, ჯეი ჯმბუი ალეს ამჟი პეტრე, სგ'ერ ლახჯგან ეჯრ ოჩერეთს, ჯე'რ დერ სგა ლახჯგან ეჩქა... „რომ მიადგა, ხომ, თვითონ ყვება ამას ასე პეტრე, რომ მიადგა იმ რიგს, თვითონაც ხომ მიადგა მაშინ"

ქ'ერ ელმჯზინ ამხაუ უდილ ამშ'ა ბებიაშ, დედე დიე უდილ, ქ'ერ ელმჯზინ ამხაუ მიჩა უდილთე, დერა, ალე სემი ლუთუეი, ა, ბეფშ

აკაუანისა ხაყენა ი ეჩექა ქ'უ ელმაზინ, ალე ამჟი იჩრმდ'ა ბოგ, იგრწალა ტროსალჟი ერ ლას ლჳსყე „რომ გამოდიოდა აქეთ ბებიის და („და ამისი, აი, ბები-ის"), დედაჩემის დედის და, რომ გამოდიოდა აქეთ თავის დასთან, ხომ, ეს სამი თვის, აი, ბავშვი აკვანში ჰყოლია და იქ რომ გადიოდა, ეს ასე შვრებოდა, აი, ხიდი, ირწეოდა ტროსებზე რომ იყო გაკეთებული"

ლამზგრთე ერ ესღრჳნიხი, დერა, ლაგურკათე, ეჯტუ გუჳრ მაშედ, ეჩხაუ ერ ესღრჳნიხი, დერა, ეჩქა ალახ ადინეხ, ერუჳას ხეიმედი ჭიშხუშ ლტზი ამექა „სალოცავად რომ მიდიოდე, ხომ, კვირიკეზე, ის იყოს ჩვენი შემწე, იქ რომ მიდიოდე, ხომ, მაშინ თუ წავლენ, ვისაც შეეძლება ფეხით გადასვლა ამაზე (ზედმიწ. – სალოცავ{ის}კენ რომ მიდიოდე იქნება, ხომ, კვირიკეზე, ისმცა გვაქვს მაშველი, იქით რომ მიდიოდე იქნება, ხომ, მაშინ თუ წავლენ, ვისაც შეეძლება ფეხით სვლა ამაზე)"

ქ'ერ ემჩედელხუიდ ქორთე, მახე ქორ ოხგახ, ქ'ერ ემჩედელხუიდ, ლიხიჳდჳლ მგრეს ხჳდახ ი ჟახჳლ ი გუჳარალ ჩუ ლჳგრე... „რომ გადავსულვართ სახლში, ახალი სახლი აუგიათ, რომ გადავსულვართ, ალბათ ლხინი ჰქონდათ და სახელი და გვარები დაწერილი"...

როგორც აღმოჩნდა, გაბმულ მეტყველებაში, სათქმელის ხაზგასასმელად და ექსპრესიულად წარმოსაჩენად, შეიძლება გამეორდეს არა მხოლოდ ზმნა, ან სახელი, არამედ რთული ქვეწყობილი წინადადების სრული კომპონენტებიც - მთავარი, ან დამოკიდებული წინადადება, ძირითადად ზერთულ კონსტრუქციებში. მაგ.:

ეჩქად კირს ლგმკუიშინხ ქა ი ეკჳ ძლიერ ლგმარხ, ერე ჩხარა ლახუბას, დერა, ეშხუ ლადეღ ბაჩ ქაჲ ოხკუიშახ, ეჯი ჟ'ოხგახ ი ნებოზს ლაკირთესა სგ'რთრშუახ, ეკჳ ძლიერ ლგმარულიხ „მანამდე კირს გამოამტვრევდნენ ხოლმე და ისეთი ძლიერები ყოფილან, რომ ცხრა ძმას, ხომ, ერთ დღეს ქვაც მოუტეხიათ, ის დაუდგამთ და საღამოს საკირეში შეუნთიათ, ისეთი ძლიერები ყოფილან"

თაურობა ჟიბჩუ დემ გუსაინჯაუი, დესა ლოქ ხუუახ სახსრალ. მრ ხუუახ სახსრალ, აღო, ნაჲ ჩ'ოთყიმენდჳ ამჩუ ჟაჲსა ი ჩუალისა?! „მთავრობა ზედაც არ გვიყურებს („გვ-სინჯ-ავ-ს"). არ გვაქვსო („აქვთ") სახსრები. თუ არ აქვთ სახსრები, აბა, ჩვენ დავიხრჩოთ აქ ზვავში და მეწყერში ?!"

უკლეშ ერუბაი იზგრლხ, დერა, მაგ ნაყალუ ლი ეჯი, უკლეშ ერუბაი ბრდა, ხოშა ნაღალდ „უკლეშში ვინც ცხოვრობდნენ, ხომ, ყველანი იყვნენ დანაშინები, უკლეშში ვინც იყო, მეტწილად (ზედმიწ. – უკლეშში ვინც სახლობდნენ, ხომ, ყველა ნაშინები არის ის, უკლეშში ვინც იმყოფებოდა, დიდწილად)“

ეჯის ერ ლიხურე ოხბინეხ, ეჯიარდ ამჩუ ადგეხ, მაშს. ეჯს ერ ლიხურე ოხბინეხ, მაშს ადგეხ ი ეჩე ხგნსკე გარ ოხხურრახ ჟი, ხგნსკე ჩუარი „იმას რომ დანგრევა დაუწყეს, იმათმა აქ დადგეს, მაშში. იმას რომ დანგრევა დაუწყეს, მაშში ააშენეს („და-დგ-ეს“) და იქ მხოლოდ ნახევარი დაუნგრევიათ, ნახევარი („ქე“) არის“

ამკალი ნაქუ ლი, ერე, ჩუი მგრამ მიჭუდანა, ერე მუკუბანიანარ ლოქ ლგმარდელიხ ხოფირს, ხოფირს ლოქ ლგმარდხ ი ჟი მგრ ახჩგდახ ლენტხალცახან, ჟ’ოხხურტახ ლენტხალს ეჯიარ „ასეთი ნათქვამია, რომ, წამიკითხავს კიდეც სადღაც, რომ მუკბანიანები ყოფილანო ხოფირში, ხოფირში ყოფილანო და ურთიერთობა გაფუჭებიათ რატომღაც ლენტეხელებთან, ამოუწყვეტიათ ლენტეხელებს ისინი“...

როგორც განხილულმა მასალამ აჩვენა, ჩოლურულ მეტყველებაში სიტყვათა გამეორებას მთქმელები ხშირად მიმართავენ არამარტო ზღაპრის მოყოლისას, არამედ ჩვეულებრივი ამბის გადმოცემის დროსაც, რასაც გარკვეულწილად ამბის ხატოვანი თხრობა ახლავს და მეტ ემოციურობას სძენს სათქმელს. საინტერესო იქნება სამომავლოდ სხვა დიალექტთა ზეპირმეტყველების ამ კუთხით შესწავლაც.

თავი IV

ჰიპოტაქსური კონსტრუქციები რამდენიმე დამოკიდებულით

სვანურის მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ გარდა ორკომპონენტიანი ჰიპოტაქსური წინადადებებისა, მრავლად გვხვდება ისეთი კონსტრუქციები, სადაც ერთ მთავარ წინადადებასთან რამდენიმე დამოკიდებულია დაკავშირებული. მაგ.:

ერუ̈ჲ მიჩა მუხუ̈ბა ხახუ̈ ქა ხაღუ̈შგა̈ლა, ეჯას ხაკუ̈ჩ, ერე მიჩა ლეკ̈მა̈რ̈ხ̌ ხგნსგა ქა ლოჰოდგუ̈ნს მიჩა მუხუ̈ბად ხეხუ̈ი ნაღუ̈შგა̈ლუ̈იერ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 47) „ვინც საკუთარ ძმას ცოლს შეეცილებოდა, იმას მისი ქონების ნახევარი უნდა მიეცა თავისი ძმისთვის ცოლის შეცილების სანაცვლოდ (ზედმიწ. – ვინც მის ძმას ცოლს შეეცილებოდა, იმას უნდა, რომ მისი სახმარი ნახევარი მიეცეს მისი ძმისთვის ცოლი{ს} შეცილებისათვის)“

ლიღრალ ესუ̈ა ხეხლი, ეჯი, მახე ნადგარ ახა დ̈ა̈რ ხერი, ეჯღ̈ა̈ი ქა მეღრალ ლი (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 78) „სიმღერა ვისაც ეცოდინება, ის, ახალი გარდაცვლილიც რომ ჰყავდეს ვინმე, მაინც იმღერებს (ზედმიწ. – სიმღერა ვისაც ეცოდინება, ის, ახალი ნაკლავი თუ ვინ ექნება, მაინც სამღერი არის)“

შომ̈ა̈ის ერ ლითრინე ლ̈ა̈მბინე, ეჩქა ჩუ მიხალდა, ერ ჩუ მაშთხუ̈იდა (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 84) „როცა რომ თრევა დამიწყო, მაშინ ვიცოდი, რომ დამმარხავდა“

დერუ̈ჲ ლოქ ნათხუ̈იარუ̈მი თუ̈ალს ჩუ̈ედხუ̈რნე მეთხუ̈იარ, ეჩის ლოქ ნათხუ̈იარე ჩიგარ მუღუ̈არალაიდ ხეუ̈დრ̈ლნი, იმთუ̈ჲ ლოქ დო ადინე ლათხუ̈იარდ (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 18) „რომელი მონადირეც ნანადირევის თვალს ხელში ჩაიგდებს, იმას ნანადირევი ყოველთვის უხვად მიეცემაო, სადაც არ უნდა წავიდესო სანადიროდ (ზედმიწ. – ვინცო ნანადირევი{ს} თვალ-ს შეიხვედრებს მონადირე, იმასო ნანადირევი ყოველთვის უხვად მიეცემოდეს იქნება, საითაცო არ წავა სანადიროდ)“

დოტი ერ ადგან, დერა, ეჩქა მაგ ბრდახ ალიარ, გარდაფხაძეალ, ერუბი ჩუბრდა შუანისა (ჩოლ.) „დოტი რომ გარდაიცვალა, ხომ, მაშინ ყველანი იყვნენ („იმყოფებოდნენ“) ესენი, გარდაფხაძეები, ვინც იყვნენ („იმყოფებოდნენ“) სვანეთში“...

წარმოდგენილ ილუსტრაციებში დამოკიდებული წინადადებები მთავარ წინადადებას მიემართებიან და თანადაქვემდებარებულები არიან, თუმცა სხვადასხვა სინტაქსური ფუნქცია აქვთ, რადგან მთავარი წინადადების სხვადასხვა წევრს მიემართებიან და შესაბამისად, დამოკიდებული წინადადებები არაერთგვარია.

ასევე არაერთგვარ წინადადებებად მიიჩნევა ერთი და იმავე ტიპის (ერთი სახის) თანადაქვემდებარებული წინადადებებიც, თუკი მთავარი წინადადების სხვადასხვა წევრს მიემართებიან. ქვემოთ მოყვანილ ილუსტრაციებში დამოკიდებული წინადადებები დროის გარემოებითია, მაგრამ არაერთგვარია, რადგან სხვადასხვა წევრს მიემართება. მაგ.:

ხოჩხმ მანკი მეზგათე ლახ ხეჴდგნრლდა ტყუეს, ეჩქას ქორს გარ ხეყადხ, უოდე საჴსარს ქა დო იკადდახ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 70) „კარგი ზნის ოჯახში თუ მოხვდებოდა ტყვე, მაშინ სულ სახლში ჰყავდათ, სანამ ტყვის გამოსახსნელს არ აიღებდნენ (ზედმიწ. – კარგი მანკ-ი{ს} მოსახლ{ის}კენ თუ მიენასვლებოდა ტყვე-ს, მაშინ სახლში მხოლოდ ჰყავდათ, სანამ სახსარ-ს არ აიღებდნენ)“

მაბე ხილ ერ მაბე მაშანს ბნშენი, ალ ხილი მაშანა ლიკმარი იშკან მად ხოშიდ, უოდ დო ქრრა ხოშა ჟი დო ბნკგმარი (ლნტ.) „ახალი ხილი რომ ახალ ნაყოფს მოისხამს, ამ ხილის ნაყოფის დაგემოვნება სხვას არ შეუძლია, სანამ სახლის უფროსი არ დააგემოვნებს (ზედმიწ. – ახალი ხილ-ი რომ ახალ ნაყოფს მოისხამს, ამ ხილ-ი{ს} გასინჯვა სხვას არ შეუძლია, სანამ სახლი{ს} დიდი არ გასინჯავს)“

ჩუ ერ ინხენიხ ჩუქუნ, ჟი დემ ფუშუდეხ ეჩქად, უოდ თაბუს დო ლუქუნე (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 246) „რომ მოიგდებენ ქვეშ, არ აუშვებენ მანამ, სანამ თანხმობას („ნებას“) არ იტყვის“

სგ'ერ ხეშტხენიხ ღოშგინპილს, ეჩქა ლეთხუმარს ხაბენხ, ოდდო თელდ ედგბთუი (ჩოლ.) „რომ შემოაკლდებათ ბოლოს, მაშინ საბელს მი-

აბამენ, სანამ სულ არ დამთავრდება (ზედმიწ. – რომ შემოუთავდებათ ბოლო პირ-ს, მაშინ საბელს მი-ა-ბამ-ენ, სანამ მთლად გა-თავ-დ-ებ-ა)"...

თანადაქვემდებარებულ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში, არაერთგვარი დამოკიდებული წინადადებები, უმეტესწილად, მთავარ წინადადებას წევრკავშირითა (წინა პოზიციის დამოკიდებულში) და მაქვემდებარებელი კავშირით (მთავარის მომდევნო დამოკიდებულში) უერთდება, თუმცა გვაქვს საპირისპირო შემთხვევებიც, როცა ანლაუტში მდგომ დამოკიდებულში მაქვემდებარებელი კავშირია, ხოლო აუსლაუტში საკავშირებელი სიტყვა. მაგ.:

ქორა ყორ იმუშაბან ლი, ეჩხან ლგტაბა მეგამს დასგდა ჟიბაჸჩუჟინ, ერე ქუინლგმგემი ნაჯუდი, ნაზიმ ლგმარლესუ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 112) „სახლის კარი საიდანაცაა, იქიდან გამოთლილ მორს დებდა ზემოდან ქვემოთ, რომ საქონლის სიგრძე, ზომა ყოფილიყო („ყოფილიყოს")"

მეზგა ლიჴედ ჱესუშაშ მოდე ხოცხონ, ეჯის გუდ ჴიდახ, ერე ლაჴად დემეგ ხად (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 297) „ოჯახს ვისი მოსვლაც არ უნდოდა („ერჩია"), იმას მიახვედრებდნენ ხოლმე, რომ არ მოესვლებოდა („მოსასვლელი არ ჰქონდა)"

ხოშა დრსკ ერუშას ხეჴედუნრლ მეზგათჱსა, ეჯრ დემ ხესგური ტაბაგს, ჟ'ერ მრმ ოხღლას იშგენ ლგწიასი (ჩოლ.) „უფრო ადრე ვინც მოვიდოდა ოჯახში, ისიც არ მიუჯდება ხოლმე სუფრას, რომ მოუცადოს სხვა დაპატიჟებულებს (ზედმიწ. – უფრო ადრე ვისაც მიესვლებოდა მოსახლ{ის}კენში, ისიც არ უჯდება ტაბლა-ს, რომ არ დაელოდოს სხვა მოწვეულებსაც)"

სკ'ენ აჩადხ ალ მოჯამაგირაშ ქორხო, ხაქუხ ხოშას, იმაჸჟი ხაქუ მათხოუშრდ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 265) „რომ შევიდნენ ეს მოჯამაგირეები სახლში, უთხრეს უფროსს, როგორც უთხრა მათხოვარმა"

სეუა ჭიშხარ ერ ხითხულა, ხაკუჩერ აჩუხი ტყაბ ადგილთე, იმუჸ ცხეკ ურდი (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 36) „მარხილის ფეხები რომ იშოვო, უნდა წახვიდე ფერდობ ადგილზე, სადაც ტყე იქნება"...

არცთუ იშვიათად გვხვდება შემთხვევები, როცა არაერთგვარი დამოკიდებული წინადადებები (ყველა) მთავარს უკავშირდება ან მაქვემდებარებელი კავშირებით, ან წევრ-კავშირებით. მაგ.:

დაღო, ლახე ლადი ალას დოშ ოლღორუედ (ალექსანდრეს), დაღო, ეჯგუჳრ ოლგონუად, ერე ალექსანდრე დრსა ანჯეს აგითე (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 227) „აბა, თუ დღეს ამას ვერ მოვატყუებთ (ალექსანდრეს), აბა, ისეთი {რამე} მოვუგონოთ, რომ ალექსანდრე ვერ მოვიდეს სახლში (ზედმიწ. – აბა, თუ დღეს ამას ვერ მოვატყუეთ (ალექსანდრე-ს), აბა, ის-გვარ-ი მოვუგონოთ, რომ ალექსანდრე არ მოვიდეს ალაგ-{ის}-კენ)“

ქორალს ერ აგჳლიხ ლგდგრბაზს, ეჯკალიბ შდულუარს ხოსყის ნამსგუენემი გუნღა, ერე ეჯდარე ლისგდის დესამა ხოჩა (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 51) „სახლებს რომ აგებენ დარბაზიანს, ისეთ ქონგურებს უკეთებენ სილამაზის გამო, რომ მათ ყურებას არაფერი სჯობს“

ნარი ერ დოსა ჳრდა, ეჩქა ხაშყიდხ ხოშჳლს, ერე ლგმყაღუინ ლოქ ლუთშუ (ჩოლ.) „სინათლე რომ არ იყო, მაშინ ახსოვთ უფროსებს, რომ აშინებდაო („*ნაშინებაო“) ღამით“

დერუჳდს თოფჳრ ხუღუებ, ეჯმინ ლითოფს იბნებ ეჯ ფოყხო, იმჳდხენისკა სკარხალ ანღრი (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 78) „ვისაც თოფები აქვთ, ისინი სროლას იწყებენ იმ მხარეს, საიდანაც სეტყვა მოდის“

დერუჳდ ლოქ მინს გეზალს ლახიდნე, იმჳდ ლოქ შიდ ხეღუენიხ, ჩიდს ლოქ ეჩის ლახიდნებ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 126) „ვინც ჩვენ შვილს მოგვცემსო, რაც ხელთ გვექნებაო, ყველაფერს იმას მივცემთო (ზედმიწ. – ვინცო მათ შვილს მისცემს, რაცო ხელთ ექნებათ, ყველასო იმას მისცემენ)“...

თანადაქვემდებარებულ დამოკიდებულ წინადადებებში უმეტესწილად საკავშირებელი საშუალებები წარმოდგენილია, იშვიათად შეიძლება გამოტოვებულიც იყოს, უფრო მეტად ბალსქვემოური დიალექტის მასალაში.

როგორც ცნობილია, არაერთგვარი დამოკიდებული წინადადებები მთავარი წინადადების სხვადასხვა წევრს მიემართებიან, შესაბამისად მთავარ წინადადებაში გვაქვს ან ივარაუდება რამდენიმე მისათითებელი სიტყვა.

საკორელაციო სიტყვები შეიძლება წარმოდგენილი იყოს, თუმცა ხშირ შემთხვევაში შეიძლება აკლდეს რომელიმე (ან იშვიათად ყველა), მაგრამ მათი აღდგენა შესაძლებელია. მაგ.:

ერუჽას შუკუჭრ ქ'ჽთჽსდ უეშგდ ლატჽხჭრ, ალიჽრს ჩრ ქ'რხრმბუე ალჽ, მჽი ჽასუხ ოხუჭირეხ მინეშთე (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 340) „ვისაც გზაზე გადააწყდა უკან დაბრუნებისას, ამათ ყველას უამბო ეს, აი, რაც ჽასუხი დააბარეს მათთან"

ერ ასღურიდ ტეურლეჟა, [ეჩქა] ეჭკჽლი ბიქჳ ანკაჩდა, ერე იყუფურე მეგამჽრს (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 307) „რომ მივდივართ ტევრზე, [მაშინ] ისეთი ქარი ამოვარდა („აღიმართა"), რომ გლეჯს ხეებს"

ქ'ერ იგჽთუი სერ ალე ხოჩჽმდ, ეჩჽნღო დჽდგენენ აჯაღ [ეჯის], ერე ზაუდაშდ ჲარს ღენ დაეუალოს ლაძიჽ ლითხელი ეშჩუნენ (ჩოლ.) „რომ დამთავრდება („გა-თავ-დ-ებ-ა") მოკლეთ ეს კარგად, მერე დაადგენენ კიდევ იმას, რომ მომავალი წლისთვის ვის დაევალოს საკლავის მოძებნა იმ დროისთვის („იქ")"

ერ ლოხგმფედუნეხ ხენწიფი ლაზგას, [ეჩქა] უეზრალდ ხახენეხ ხენწიფს [ეჯი], ერე ბერიჽნ ლოქ ანღრი (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 89) „რომ მიუახლოვდნენ ხელმწიფის საცხოვრებელს, [მაშინ] ვეზირებმა ახარეს ხელმწიფეს [ის], რომ ბერიანი მოდისო"...

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი ტენდენციაც, რომ ხშირ შემთხვევაში მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ერე „რომ" კავშირის გარეშე უკავშირდება მთავარ წინადადებას და ამ უკანასკნელს კორელატიც აკლია.

შომუჽა ლიჯნი იბნი, ეჯ ლადაღ ჰამს ლემზგრჽრს ჟი ხამზგრიხ სოლომონს [ეჯღა], [ერე] ხოჩა ლიჯნი-ლილაშჲელ ხაყრის მინს (ბზ.) „როცა ხვნა იწყება, იმ დღეს დილას შესაწირ პურებს შეავედრებენ („შეალოცავენ") სოლომონს [იმიტომ], [რომ] კარგი ხვნა-თესვა ჰქონდეთ („დამართოს") მათ"

ესა ლოქ ხუღუა მიჩ, ლალემუ [ეჯღა], [ერე] ჯეი ლოქ დესიამ ხამნე (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 114) „თუ გაქვსო შენ, ჰამეო [იმიტომ], [რომ] მე არაფერს გაჰმევო (ზედმიწ. – თუო აქვს მას, ჰამამცა იმიტომ, რომ თვითონო არაფერს აჰმევს)"

ეღო კოჭრლ ბოფშრლარ ხაყახ, ალდარს ადდელაალს დედ იმუშლამ ჟი ხაქუემხ [ეჯღა], [ერე] მრდ ხეწეხ მგფანემი ლიშტაბს (ჩოლ.) „თუ პატარა ბავშვები ჰყავთ, ამათ გადასაფარებელს („ადიალა-ს“) ან რამეს დააფარებენ ხოლმე [იმიტომ], [რომ] არ დაინახონ საკურთხი სუფრის წამდგმელის საქმიანობა („მუშაობას“)“

წორ ერ ხადახ ლეჴდე, ეჩქა მამ ლას ხოჩა ლეჴდე წორ [ეჯღა], [ერე] ამჟი მამ არდა ქონება (ჩოლ.) „სისხლის საფასური რომ ჰქონდათ გადასახდელი, მაშინ არ იყო კარგი გადასახდელი სისხლის საფასური [იმიტომ], [რომ] ასე არ იყო ქონება“...

რამდენიმე დამოკიდებულწინადადებიან ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში ასევე გვხვდება **ერთგვარი** თანადაქვემდებარებული წინადადებები, რომლებიც მთავარი წინადადების ერთსა და იმავე წევრს ხსნიან, მიემართებიან და ერთსა და იმავე ტიპს განეკუთვნებიან. ასეთი დამოკიდებული წინადადებები, შეიძლება ითქვას, ერთმანეთის მიმართ თანწყობილია. მაგ.:

ლახე ხოშა მუსობ ლი, ლახე მუს მასარდ ხაზხ, ეჩქას დაბარს ჰუყუდ ხადესგიხ ჰანწს (ბზ.) „როცა დიდთოვლობაა, როცა თოვლი უხვადაა, მაშინ ყანებს ზვინებად აყრიან ნაკელს (ზედმიწ. – თუ დიდი თოვლიანობა არის, თუ თოვლი ბლომად ა-ბ-ევ-ს, მაშინ ყანებს გროვად ადებენ ნაკელს)“

უიდს ჩუ ხუიჩოდ, ხოჩამდ ჟი ხუაჩდინედ, ეჩქას ტებდი ადგის ხუგემდ (ბქ.) „რბეს {რომ} შევადედებთ, კარგად {რომ} მოვურევთ, მაშინ თბილ ადგილას დავდგამთ ხოლმე (ზედმიწ. – დელამას ქე ვიქმთ, კარგად ამოვურევთ, მაშინ თბილ ადგილა-ს ვ-დგ-ამ-თ)“

ჩიჟემი ოჯაბხო ერ ანჴედენდახ, ლეიხურის ერ ჩაჟხენჩუ ჩანაგენოლხ, თუეფს აკუანახ (ლნტ.) „სიძის ოჯახში რომ მოვიდოდნენ, საცოლეს რომ ცხენიდან ჩამოსვამდნენ, თოფს ისროდნენ“

ღანაუ ზურალ ერ ხეყენრლ, ჭყინტჟი ერ ირრლ ღანატ, ეჩქა შუანს სგა ლექმე ჯადა გიმ (ლშხ.) „ფეხმძიმე ქალი რომ ეყოლებოდა, ბიჭზე რომ იქნებოდა ფეხმძიმედ, მაშინ სვანეთში მისამატებელი გქონდა მიწა“

ჭინჭუერ ერ ქა ხოჴდენიხ, ქ’ერ ხოშდეხ, ეჩანღონენ ჩრს ჩ’ურზბიხ სერ (ჩოლ.) „ბიბილო რომ გამოუვათ, რომ გამოაყრით, მერე ყველაფერს შეჭამენ უკვე“...

ჩამოთვლილ ილუსტრაციებში თითო მთავარ წინადადებასთან რამდენიმე ერთგვარი დამოკიდებული წინადადებაა დაკავშირებული, ყველა მათგანი დროის გარემოებითია და საკავშირებელ საშუალებად მაქვემდებარებელი კავშირებია გამოყენებული.

მთავარ წინადადებას ერთგვარი დამოკიდებული წინადადებები, ასევე, უკავშირდებიან წევრ-კავშირებით (გამომდინარე იქიდან თუ რა სინტაქსური ფუნქცია აქვთ ერთგვარ წინადადებებს), რომლებიც, უმეტესწილად, ერთსა და იმავე ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი...

> ოშუ̆ᲂდ ბა̆ჩ წა̆ უშხუ̆არჯინ ოთგედ, ოშუ̆ᲂდ ქუ̆იშე ხაჯმარა ალ ქორს, ეჩშელდ ხოჩერება ლა̆ხო ალ ქორს, ჯგრა̆გ! (ბზ.) „რამდენი ქვაც ჩვენ ერთმანეთზე დავადეთ („და-ვ-დგ-ი-თ“), რამდენი ქვიშაც ამ სახლს მოხმარებია („ახმარია“), იმდენი კარგი მიეცი ამ ოჯახს, წმინდა გიორგი!“
>
> ალ გიმე ლა̆ფტაჟინ იმა̆ᲂ დო ხახოლნახ ლეზუ̆ებურა, ჩის ლჷმა̆ზუ̆ებლიხ, იმა̆ᲂ მჷბილორა ხახოლნახ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 315) „ამ მიწის გახვრეტისას რაც არ უნდა ენახათ საჭმელი, ყველაფერს ჭამდნენ თურმე, რასაც გველისნაირებს ნახავდნენ („*ნანახათ“)“
>
> იმუ̆ა̆ᲂ მელობᲂოუ̆ალ ლახთერ, იმუ̆ა̆ᲂ ქა ხათრნნე ლეჩომდ, ეჯის ჩის ჩუ იჩოხ (ლშხ.) „რასაც მკითხავი („მე-ლობი-ე“) შეატყობს, რასაც ასწავლის გასაკეთებლად, იმას ყველაფერს გააკეთებენ ხოლმე“
>
> ახალგაზრდა̆ლ ერუ̆ა̆ᲂ ლასხ, ერუ̆ა̆ᲂ ჩუ̆არიხ ლუარ, ეჯᲂარ ქა მეჯდე ლიხ ამხა̆უ̆ (ჩოლ.) „ახალგაზრდები ვინც იყვნენ, ვინც ცოცხლები არიან, ისინი წამოსულები არიან აქეთ“...

რაც შეეხება თანადაქვემდებარებულ წინადადებათა პოზიციას, არაერთგვარი დამოკიდებული წინადადებები, უმეტესწილად, თავში და ბოლოშია, ხოლო მთავარი შუაშია მოქცეული, ასევე გვხვდება შემთხვევები, როცა რომელიმე დამოკიდებული მთავარშია მოქცეული. მაგ.:

> ნა̆ბოზთე ლახე დეცე ლა̆რტყს ხეწდენი, ეჯ'ეჩი ლა̆ნშა̆ნ ლ'ერე მჷრმა ლადა̆ღ ჩუ იჰა̆უდა̆რ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 49) „საღამოსკენ როცა ცისარტყელას („ც-{ის} სარტყელს“) დაინახავს, ეს იმისი ნიშანია, რომ მეორე დღეს გაავდრდება“

შის ერ ებბიშდა დაუ, გიორგიდ ეიჟი ოხთგლგრე ტოტისა, ერე დაუ ყულ-ყულდ აფაშგ (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 91) „ხელი რომ ჩამოართვა დევმა, გიორგიმ ისე მოუჭირა ხელში, რომ დევი აყვირდა (ზედმიწ. – ხელს რომ წაართვა დევ-ი, გიორგი-მ ისზე მოუჭირა ხელში, რომ დევ-ი ყმუილ-ყმუილ-ად გაიხსნა)“

ერუაიშთე ლოქ ალე ყუაუილ ეჯღუა, ეჯი ლოქ ახზგზ მიშგუათე, ედო ღოშტ დემ ლოქ ჯიტხე (ჩოლ.) „ვისთანაც ეს ყვავილი მიგაქვსო, ის გამოაგზავნეო ჩემთან, თორემ უკან არ გაგიშვებო („გაბრუნებ“)“

ჩუათდად, ეჩქას ყიაჟი კალდიმ ესბეკდ ი ქ'ახაქუნედ, იმგუა ხოშხუნენეხ მიშგუ თე, ეჯი (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 260) „[რომ] დააგდებთ, მაშინ ყელში სატევარი მიაბჯინეთ და ათქმევინეთ, სად აქვთ შენახული ჩემი თვალი, ის (ზედმიწ. – დადოთ, მაშინ ყია-ზე კალდიმ-ი მიაბჯინეთ და ათქმევინეთ, სად შენახული ჰქონდეთ ჩემი თვალ-ი, ის)“

დინად ლახთგრეს, ეჩქას ლეუიზ ქ'ოუ ოთჯიდ, იმგუა ბრიხ, ეძთე (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 325) „გოგომ {რომ} შეატყოს, მაშინ საგზალი მოგვიტანოსო, სადაც ვართო, იქ (ზედმიწ. – გოგომ შეატყოს, მაშინ საგზალი მიუტანამცა, სადაც არიან, იმისკენ)“

აუე ქ'ათაქბდნე, ეჩქა, ხედუაი ბეფში გაკ ირდა ხოშა ფედიას, ეჯი ახაფიშტუე (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 42) „თუ ააცილებს, მაშინ, რომელი ბავშვის კაკალიც იქნება უფრო ახლოს, ის ესვრის“...

ხოლო ერთგვარი დამოკიდებული წინადადებები, ძირითადად, წინ უსწრებენ მთავარ წინადადებას, იშვიათად შეიძლება მთავარი იყოს ანლაუტში ან რომელიმე დამოკიდებული იყოს ჩართული მთავარში. მაგ.:

ერ ლოქ იმზგრნა, ერ ლოქ ხაჯგრაღნა ღერბეთს, ეჯი ჯედ ლოქ ლგმარელი (ლშხ.) „რომ ლოცულობდაო, რომ ემუდარებოდაო ღმერთს, ის მე ვიყავიო (ზედმიწ. – რომო ნალოცება, რომო ნავედრება ღმერთს, ის თვითონო ყოფილა)“

ქა ერ ანასკუეჯნოლხ ლგდგარს, ლიგუანეს ერ ქ'აგათუახ, ეჩქა ლეზუებ-ლეთრეს ქა ჯიდეხ კალხო (ლნტ.) „რომ გამოასვენებდნენ მიცვალებულს („მკვდარს“), ტირილს რომ დაამთავრებდნენ, მაშინ საჭმელ-სასმელს გამოიტანენ ხოლმე ეზოში“

ეჩ'ერ ლგმარდელხუიდ, შუანს, ქ'ერ ემჩედელხუიდ ქორთე, მახე ქორ ერ ოხგახ, ქ'ერ ემჩედელხუიდ, ლიხიაბდალ მგრეს ხადახ (ჩოლ.) „იქ

რომ ვყოფილვართ, სვანეთში, რომ გადავსულვართ სახლში, ახალი სახლი რომ აუგიათ, რომ გადავსულვართ, ლხინი ჰქონდათ ალბათ“

ალე ისყი, ა, ლიმრრაუ, ჩიგარ ეჯი საქმეჟი, ე, დაგრჱლობ ერ ლი, ზურჱლა კინჩხი ქუეცა ერ ლი (ჩოლ.) „ეს კეთდება, აი, მედიატორობა („მოურავ-ობ-ა“), ყოველთვის იმ საქმეზე, აი, მკვლელობა რომ არის, ქალის შერცხვენა („კინჩხ-ის მოჭრა“) რომ არის“

მაშდაშა ლახე ლაჱსუ მეზგე, ეჩქას, ჯა გარ ლახე დოშ ხაწრა ლეშდაბს, ჩუ ლენდი ხად (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 30) „მარტოხელა როცა იყო ოჯახი, მაშინ, თვითონ მარტო როცა ვერ ერეოდა საქმეს, ნადები უნდა მოეწვია („გა-სა-ნად-ებ-ელ-ი ჰქონდა“)“...

რამდენიმეკომპონენტიან რთულ ქვეწყობილ კონსტრუქციებში ჩოლურულ მეტყველებაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა მთავარ წინადადებაში ჩავარდნილია შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი ან მარტივი შემასმენელი, რაც ზეპირი მეტყველებისათვის დამახასიათებელია. მაგ.:

ეჩანღო ლირუბლ [ლი], ნარის ერ იყერ, ნარი ერ ჴედნი (ჩოლ.) „მერე გათენება [არის], გათენებას რომ იწყებს („იცემს“), სინათლე რომ მოვა“

მახე დოშტულ ერ ლი, ეშჩუნენ ერ იცხემ დოშტულ, ეჯი მეცხაშ დოშტულ [ლი] (ჩოლ.) „ახალი მთვარე რომ არის, იქ რომ იმატებს („იზრდება“) მთვარე, ის მზარდი მთვარე [არის]“

ნეცინ კაკაალ მაჲ ლას, ლეფჭაუე მაჲ ჩრრლ, ეჯის გაჩი კაცხუშ მგდე [ხაშდუნდახ] (ჩოლ.) „წვრილი კაკალი რაც იყო, გაფუჭებული რაც იქნებოდა, იმას დანის წვერით ...ისა... [აყრევინებდნენ]“

ერუბაის საშუალება ხუუბან, ლაშკ ერუბაის ხერრლ, ეჯიარ ლუჯმარეს მგუუშ [აფრახ] (ჩოლ.) „ვისაც საშუალება ჰქონდა, წველა ვისაც ექნებოდა, ისინი სულგუნს (დამარილებულს) მზეზე („მზ-ით“) [აშრობდნენ]“...

რამდენიმედამოკიდებულიან ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში, ზემოთ განხილული ილუსტრაციების გარდა, გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა მთავართან დაკავშირებულ დამოკიდებულ წინადადებას ახლავს თავისივე დამოკიდებული, ამ უკანასკნელს კიდევ თავისი, ასეთ დაქვემდებარებას თანამიმდევრულ დაქვემდებარებას უწოდებენ. მაგ.:

ლაკრი კაცხურნ ერ ჯუარწლს ხაჭლეხ, ეჯა ლახე ჩუ იშხი, ეჩქას ლაკირი ლგშიხ ლი (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 108) „საკირის წვერზე რომ ჯვარს ასობენ, ის როცა დაიწვება, მაშინ საკირეც დამწვარია“

აღო როქუ ჯი მიჩეშცახან ირდი, ეჯგუარ როქუ კიბდონს ოხშკადნ', ერე ჭგშხუშუ ლეზელალ დემეგ ხერი (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 224) „აბა, მე შენთან ერთად ვიქნებიო, იმისთანა კიდობანს გამოგიჭედავო, რომ ფეხით სასიარულო არ გექნებაო (ზედმიწ. – აბაო თვითონ მასთან ერთად იქნება, იმ-გვარ-ო-მცა კიდობან-ს მოუჭედავს, რომ ფეხით სასიარულო არ ექნება)“

ჯე ლოქ ერ ხექნე, ეჲს (||ეჩა ჟაბეს) ლოქ ელუე გუდ ანჭედენი, ჯიმს ხუაჲს ლოქ ლახინე (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 127) „მე რომ გეტყვიო, იმას (||იმის სახელს) თუ მიხვდებიო, მარილს ბევრს მოგცემო (ზედმიწ. – თვითონო რომ ეტყვის, იმასო (||იმის სახელ-ს) თუ გულ-ად მოვა, მარილს ბევრსო მისცემს)“

ლაგუანინ სგობნე ლადეღ აზზიხ მგბჟრნჲლის, ერე ჟ'ახმეჭრჲლუნახ ასაბიაჲს, შომჲაღენ ხერიხ ლაგუან (ლშხ., სვან., ქრესტ., 1978: 242) „გასვენების წინა დღეს აგზავნიან მაცნეებს, რომ გააგებინონ ნათესაობას, თუ როდის ექნებათ გასვენება (ზედმიწ. სატირლის წინა დღე[ს] აგზავნიან შემტყობინებლებს, რომ გააგებინონ ასაბია-ს, როდესაც ექნებათ სატირალი)“

ეჩანღო ლგმარ, ჩ'უერ ალლუერჭლიხ, ერე უშხუარე ნესკა ლიჭუთერჲლ ნოსა ჩომნახ (ჩოლ.) „მერე ყოფილა, რომ დაუფიცებიათ, რომ ერთმანეთისთვის არაფერი მოეპარათ (ზედმიწ. – მერე ყოფილა, რომ დაფიცებულან, რომ ერთმანეთ[ს] შუაში ქურდობა ნუ-არ ქმნან)“...

დამოკიდებული წინადადება, რომელიც უშუალოდ მთავართანაა დაკავშირებული, I ხარისხის დამოკიდებულად ითვლება, ხოლო მასთან დაკავშირებული დამოკიდებული II ხარისხის დამოკიდებულად და ა. შ. და მათ შორის (სხვადასხვა ხარისხის დამოკიდებულებში) ისეთივე მიმართებაა, როგორიც მთავარ წინადადებასა და დამოკიდებულ წინადადებაში არსებობს, შესაბამისად, დამოკიდებულ წინადადებებში გვხვდება, ან იგულისხმება მისათითებელი სიტყვები. ასევე, შესაძლოა, კორელატი აკლდეს მთავარ წინადადებასაც. მაგ.:

ალა ჩუ ლუნაქუე ა̈რი [ეჯღა], [ერე] მა̈მაგუეშ ხომჭერახ [ეჩა], მა̈ი დო ლი გუეშ (ბზ., სვან პროზ. ტექსტ., 1939: 133) „ეს გაოცებულია [იმიტომ], [რომ] არაფერი იციან („გაეგებათ“) [იმისი], თუ რა საქმეა“

შომა̈ი ისლამ ი მიჩა აფხნეგარ ა̈ნჭდენიხ, ეჩქას [უ]ოდო გა̈ბრიელ ჩუ̈ბდღონას, ეჩქად ყორ ნგმ ოთკარა (ბქ., სვან., პროზ. ქრესტ., 1957: 8) „როცა ისლამი და მისი ამხანაგები მოვლენ, მაშინ სანამ წმინდა გაბრიელს არ დაიფიცებს („დაიფიცოს“), მანამ კარი არ გაუღო“

აუე ქ'ათაქ'ადნე ეჯ ბეფშ, ხედუ̈ა̈ მერბე ლას, ეჩქა მესამე ახაფიშტუე (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 43) „თუ ააცილებს ის ბავშვი, რომელიც მეორე იყო, მაშინ მესამე ესვრის“

ბროლი კოშკისა ლოქ ერ ზითუნახაუ არი, ეჩის ლოქ ე დრმ ანჭიდე დეხუდ, მიჩა მგხჩოუი ლოქ დესამა ლი (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979: 80) „ბროლის კოშკში რომ მზეთუნახავი არისო, იმას თუ არ მოიყვანო („მოიტანს“) ცოლად, ჩემი („მისი“) განმკურნებელი არაფერი არისო“

ჩ'უ̈უ̈ ლოქ ოთკარეხ ყრრ, ედო ეჭკალი ლიკილის ლოქ იჩო, ერე თელ სოფელს ლოქ ადნა̈გნე (ჩოლ.) „გამიღეთო კარი, თორემ ისეთ კივილს ავტეხავო, რომ მთელ სოფელს შევყრიო (ზედმიწ. – გაუღესმცაო კარი, თორემ ის-ყალიბ-ი კივილსო იქმს, რომ მთელ სოფელ-ს-ო შეყრის)“...

თანამიმდევრული დაქვემდებარებისას სხვადასხვა ხარისხის დამოკიდებული წინადადებები ან წინ უძღვიან მთავარ წინადადებას, ან მოსდევენ მას. მაგ.:

ხედუ̈ა̈ ლოქ მიჩა ნა̈დენა̈რ ალ ბოთლხოისა სკ'ა̈სესიენი ეჯჟინ, ერ ჩუ დემ ადაბღირი ალ ბოთლს ქამეშხენჩუ, ეჯი ლოქ ხაკუ დეხუდ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 217) „მისი ქალიშვილებიდან რომელიც ამ ბოთლში ისე ჩააფსამს, რომ არ დაასველებს ბოთლს გარედან, ის მინდაო („უნდა“) ცოლად“

ჭ'ერ ენცხე ეჯზუმ, ერე ლიიბუ̈ა̈ლ ერ ხეკუ̈ად, ქ'რთოგა̈ნ დეხუი ლათხენლითე (ჩოლ.) „რომ გაიზარდა იმხელა, რომ დაოჯახება რომ უნდოდა, გაუდგა {გზას} ცოლის საძებნელად“

და̈უს ხა̈ქუ̈ მერმა ლადა̈ღ, ერე ეჯკა̈ლიუ̈ მა ა̈ნგრნუე, ერე ჩუ მა ა̈თყერს ჯარმამას (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 167) „დევს უთხრა მეორე დღეს, რომ ისეთი რამე მოიგონეო, რომ რამე დაემართოსო ჯარმამას

(ზედმიწ. – დევ-ს უთხრა მე-ორ-ე დღე-{ს}, რომ ის-ყალიბ-ი-მც რა მოიგონა, რომ რა დაემართოს ჯარმამას)“

ჩუეულებდ ბარი, ერ ლეთანბაფდ მაგ ხეკუეს დარბაზხოჟი აჩეს, ძერუბაის შიდ ხელუენი ლგდარბაზ ქორ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 45) „ჩვეულებად არის, რომ სააღდგომოდ ყველა სათივეში („დარბაზ-{ის}-კენ-ში“) უნდა ავიდეს, ვისაც ექნება დარბაზიანი სახლი“

მეზგე დარ ბრდა[ეჭკაჲ], [ერე] ქან მრ ხელუენრლ ეჯღად, ერე ამე ხოლა ლინთუს ერ იჩმგდა, ტუფი ჩაფლარ ერ გუალუენან (ჩოლ.) „არც ერთი ოჯახი არ იყო ისეთი, კანაფი რომ არ ჰქონოდა იმიტომ („იმისთვის“), რომ აქ რომ ცუდი ზამთარი იცოდა, ტყავის ფეხსაცმელი რომ გვქონოდა (ზედმიწ. – მოსახლე არავინ იმყოფებოდა ის-ყალიბ-ი, რომ კანაფი არ ჰქონოდა იმისათვის, რომ აქ ცუდ ზამთარს რომ იქმოდა, ტყავი{ს} ფეხსაცმელი რომ გვქონოდა)“...

დასტურდება ისეთი რთული სინტაქსური კონსტრუქციებიც, რომელშიც ერთდროულად გვხვდება თანადაქვემდებარებული და თანამიმდევრულად დაქვემდებარებული დამოკიდებული წინადადებები. მაგ.:

ხოფანებ, ეჩქას ხეკგრალხ ღერმათ, ერე მინე ქუნარს ქრისტეცახან ესერუ ხარხ ლაქუნ, იმგუბაჲ თუიმი სარაგ ესერ ანღგრდეს (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 6) „საკურთხ სუფრას {რომ} წაუდგამენ მიცვალებულებს, მაშინ ევედრებიან ღმერთს, რომ მათ სულებს ქრისტესთან ჰქონდეთო სასუფეველი, სადაც თაფლის წყარო მოედინებოდესო („უკურთხებენ, მაშინ ევედრებიან ღმერთს, რომ მათ სულებს ქრისტე-{ს}-თან-ო-მცა აქვთ სასულეთი, სადაც თაფლ-ი{ს} წყაროო მოდიოდეს)“

შომას ერ ხამარე ლეგლირდე ანჭედენი სოფელხოისკა, ეჩქას ძერუბაის ჩუ ხაყახ თოთ გოჭარ, ეჯმინ ჟი აბელალიხ ლემესკჟი, ლეგლირდე ლოქ დემ ხეზგუნიხ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967: 68) „როცა რომ ღორების ავადმყოფობა შემოვა სოფელში, მაშინ ვისაც ჰყავთ თოთო გოჭები, ისინი ცეცხლზე შემოატარებენ ხოლმე, ავადმყოფობა არ შეეყრებათო“

ერ ლოხსგუ ჩაჭს, ცეყუშერლექუა ეჯჟი ოთაჲ, ერე დესა მაშყიდ, იმჟი ღენ ოდე თეკალთენსა (ჩოლ.) „რომ შევაჯექი ცხენს, ცეყვშერს ქვევით ისე წავიყვანე, რომ არ მახსოვს, თუ როგორ შევედი თეკალში“...

მსგავს რთულ ქვეწყობილ კონსტრუქციებში დამოკიდებული წინადადებები შეიძლება იყოს ანლაუტში, აუსლაუტში ან თავში და ბოლოში, ხოლო მთავარი ამ შემთხვევაში შუაშია მოქცეული. მაგ.:

ლიგემ ერ ახობინახ, ბალაუერ ერ ჩუათოშთხარახ, ეშხუ მეტრი ნაკლათხიჟი ჟ'ერ ახოსყახ, ეჩანღო უოშა ბაჩ ჟ'ასოქიმახ, ჭუაძდს ლახობინა ლიხუერ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 305) „აგება რომ დაუწყიათ, ბალავარი რომ გაუთხრიათ, ერთი მეტრის სიმაღლეზე რომ ამოუყვანიათ („გაუკეთებიათ"), მერე რამდენი ქვაც დაუმატებიათ, კედელს დაუწყია რღვევა"

ამჟი ხაჯრაუუნხ დრსგა მეჩიარს, ჲარსრ ხაშყიდდახ, ერე ნათუარალდ ლოქ ადდაუშეხ, მაჲ მრ შიდდა ლამზგრჟი (ლშხ.) „ასე სჯეროდათ ადრინდელ მოხუცებს, ვისაც ახსოვდა, რომ ნათესავებმა გააფუჭესო („დააშავეს"), რაც არ შეიძლებოდაო ლოცვის დროს („ლოცვაზე")"

ლეუშერს ალჲარ ერ იზგრლხ, გუშგუე ნათუარალ, ეჩეჩუნენ ერ ხოშა გურნალ არიხ, ეჯჲარ ეჩქაში ნამხუირ ლი, აწულარდ ერ ლგგ (ჩოლ.) „ლეუშერში ესენი რომ ცხოვრობდნენ, ჩვენი ნათესავები, იქ რომ დიდი ლოდებია („არიან"), ისინი მაშინდელი ნანგრევებია („ნანგრევი არის"), ზვინებად რომ დგას"...

მიუხედავად იმისა, რომ ასეთ რთულ კონსტრუქციებში შეიძლება ფორმობრივად არ იყოს წარმოდგენილი საკავშირებელი საშუალებები და მისათითებელი სიტყვები, დამოკიდებულ წინადადებებსა და მთავარს შორის არსებული სინტაქსური ურთიერთობის განსაზღვრა სირთულეს არ წამოადგენს.

თავი V

შერეული სახის (ზერთული) წინადადება

სვანურში, განსაკუთრებით გაბმულ მეტყველებაში, ამათუიმ ამბის თხრობისას, ხშირად დასტურდება ისეთი სახის რთული წინადადებები, სადაც ერთდროულად მონაწილეობს თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადებები, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება, როგორც ზერთული, შერეული, ნარევი სახის რთული წინადადებები. მაგ.:

ხედუ̈ჲ ხუნკუ̈ი სკ'ადასკინი, ეჯის ხეკუ̈ეს ლაჭგდედ ჟიქანჩუ ბა̈ჩ ი ეჩანღო სკ'ალალონახიდ ჭუ̈ა̈დს (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 305) „რომელიც პირველი ჩახტება, იმას უნდა დავაყაროთ („დავარტყათ") ზემოდან ქვა და მერე ჩავუტნიოთ კედელს"

წარმოდგენილ ილუსტრაციაში ქვეწყობა გვხვდება ზერთულის პირველ ნაწილში და ირიბ დამატებით დამოკიდებულ წინადადებას (**ხედუ̈ჲ ხუნკუ̈ი სკ'ადასკინი**) მოსდევს კავშირით შეერთებული თანწყობილი წინადადებები (**ეჯის ხეკუ̈ეს ლაჭგდედ ჟიქანჩუ ბა̈ჩ ი ეჩანღო სკ'ალალონახიდ ჭუ̈ა̈დს**).

ქ'ა̈ჩადხ ჲეზუ̈თე ნესტორ ი ხოხრა მუხბრლ ი სგა ლახა̈დახ ლჷფგრ გაკი აშხლარე ლაჭკურას ი ლირბიელ ერ ენბინე მინე დედედ, ეჩქა თუითუითჟი ენბინეხ ფეჩთე ლიჩდი ი ამჟი ანნაყეხ ლეფა̈ნე დიარალ (ჩოლ.) „გავიდნენ ეზოში ნესტორი და უმცროსი ძმა და შეუდგნენ გამხმარი კაკლის ტოტების ჭრას და ცხობა რომ დაიწყო დედამ, მაშინ სათითაოდ დაიწყეს ღუმელში შეკეთება და ასე გამოაცხვეს მიცვალებულთა სულებისათვის წასადგმელი პურები"

ეს არის შერეული სახის რთული წინადადება, რომელშიც თანწყობის გზით გაერთიანებული რამდენიმე წინადადებასთან ერთად ქვეწყობილი წინადადებაც გვხვდება - რომელთაგან, თანწყობილი წინადადების პირველი კომპონენტი შერწყმულია ქვემდებარეების მიხედვით (**ქ'ა̈ჩადხ ჲეზუ̈თე ნესტორ ი ხოხრა მუხბრლ**) და მას მოსდევს დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება (**ლირბიელ ერ ენბინე მინე დედედ**), რომლის მთავარი წინა-

დადებაც (ეჩქა თუითუითჟი ენბინეხ ფეჩთე ლიჩდი) თანწყობის გზით ი „და“ კავშირის მეშვეობით უერთდება ბოლო პოზიციაში მდგომ მარტივ, გავრცობილ წინადადებას (ი ამჟი ანნაყეხ ლეფჯნე დიარალ).

ეჯი განქა ასკნე, ხედჩ ხოშა ფხოჟელ ბეფშ ლი ი იშგენ ბოფშარს ხედღულენი სგა (ჩოლ.) „ის გვერდზე ხტება, რომელიც უფრო მოხერხებული ბავშვია და სხვა ბავშვებს ეფარება („აფარებს თავს“)“

ამ ზერთულ წინადადებაში თანწყობის გზით ორი მარტივი წინადადებაა გაერთიანებული (ეჯი განქა ასკნე; იშგენ ბოფშარს ხედღულენი) და თანწყობილის პირველ წინადადებას მოსდევს დამოკიდებული წინადება (ხედჩ ხოშა ფხოჟელ ბეფშ ლი)...

აღნიშნული საკითხი სვანურში დღემდე არ ყოფილა კვლევის ობიექტი, შესაბამისად საინტერესოა თუ რა ვითარებას გვიჩვენებს სვანური.

ზერთულ წინადადებაში პარატაქსული და ჰიპოტაქსური წინადადებების ადგილი მკაცრად არ არის განსაზღვრული, თუმცა უმეტესწილად საწყის პოზიციაზე დამოკიდებული წინადადებები გვხვდება. მაგ.:

ერუჳ ლეყერ ხარხ, ეჯას სგა ხეჯუსგენიხ, ჟი ხატყციხ ღუეშგიმხჳნ ედ ფაუს, ედ მიჯურას ი ედ ხანჯარს (გზ., სვან. ქრესტ., 1978: 46) „ვინც საცემი ჰყავთ, იმას მიეპარებიან, ჩაარტყამენ უკნიდან ან ჯოხს, ან რკინის წვერიან ჯოხს და ან ხანჯალს“

წულს [ლახე] ჩჳუ ჟი ხასგურეხ, ეჩქას მახეღუაჟარ თოფარს აკუანეხ ი ლაღრალშუ ესყახ ლამთილაშ ქორთე (გქ., სვან. ქრესტ., 1978: 178) „პატარძალს [რომ] ცხენზე შესვამენ, მაშინ ახალგაზრდები („ახალვაჟ-ებ-ი“) თოფებს ისვრიან („აგდებენ“) და სიმღერით მიჰყავთ ქმრის სახლში“

ერ ჳძიენიხ, ეჩქა ზისხ ერ ხოჩედენი, ეჯის ჟი ინაზორეხ ი ზისხორად ჳსყეიხ (ლნტ., სვან. ქრეს., 1978: 292) „რომ კლავენ, მაშინ სისხლი რომ წამოუვა, იმას შეაგროვებენ ხოლმე და სისხლიან ძეხვად/კუპატებად აკეთებენ“

ხალხ ჟ'ერ ენმეჯრი მჳრემი დაგრას, ასაბიაჲ ჯედნი ი ჭირისუფალს მანგუამს ხაყლეხ (ლშხ., სვან. ქრეს., 1978: 241) „ხალხი რომ გაიგებს ადამიანის სიკვდილს, სანათესაო („ასაბია“) მოდის და ჭირისუფალს სამძიმარს ეუბნებიან“

ჩუერ ალზიგელიბ, ქორ ჩ'ოთგახ ი ქა ლალშკიჟრნენ უკუე თუეფ ხაკუერ ოთცგრდელან ხოხრა მუხუბას, ამჟი გამოუულია ერას ი უწმაწურ სიტყუალ ხრქუა (ჩოლ.) „რომ დასახლებულან, სახლი აუშენებიათ („ქორა||ქორ-ედ-ი ა-უ-გ-ია-თ") და გადახურვის დროს უკვე თოფი რომ უნდა ესროლა უმცროს ძმას („და გადახურვაზე უკვე თოფ-ი უნდა დაე-ცარ-იელ-ებ-ინ-ა პატარა ძმას"), ასე გამოუვლია ვიღაცას და უწმაწური სიტყვები უთქვამს"...

ზერთულის ანლაუტში თანწობილი წინადადებაა წარმოდგენილი:

ანჳადხ მიჩა ლახუბა ჳგითე ი ლჳხჭუედდა ალ'ჳ, ხოხურა მუხუბე, ხედუჳჲ ტჷტს ხასგურდა (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 171) „მოვიდნენ თავისი ძმები სახლში და შეეკითხა ეს, აი, უმცროსი ძმა, რომელიც ნაცარს ეჯდა"

ალჳრდ ჰედურდ კალ სოფელს ი ლაგურკაშ ლაჯუმის ლახძღუენხ ი ალი ესსგუეჯნეხ ხოშა კიბდონისგა, ხედუჳჲ ლჷგ ტრაპეზისგა, ერე ეჩა ლიწედ ოდო ჯეუ ოდო ინბანალუნი, ეჯურ ქა დჳს ხჳწუენეხ (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 191) „ამათმა სულ სოფელ კალას და კვირიკეს ტაძარს უძღვნეს და ეს დაასვენეს დიდ კიდობანში, რომელიც დგას სატრაპეზოში, რომ იმისი ნახვა, სანამ ხევი დაიფიცება, იმის გარეშე არავის ანახებენ"

ათჳსნჳირ ნეჰრლალ ჳრიხ ალ ცხეკჳრისა ი თჳუისუფჳლდ ი უშომად იპერიელხ, ეჩაღა ერ დროებით გარ ჳრიხ მინე სამშობლოჲსა ი ეჩანღო ლელუნთუად ხეკუეს ათოგენხ შუკუს ეჩოხ, იმჳჲხო ასხრიხ იშკენ მინეშკჳლიარ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 291) „ათასნაირი ჩიტები არიან ამ ტყეებში და თავისუფლად და შეუსვენებლად დაფრინავენ, იმიტომ რომ მხოლოდ დროებით არიან თავიანთ სამშობლოში და მერე საზამთროდ უნდა გაუდგნენ გზას იქით, საითაც მიდიან დაწარჩენი მათნაირები"

ამეჟი ქ'ჳლშჷდელიხ ყრრქა ღუაჟარ ი ახჭემახ სოზარს, მარა სოზარს ერ მჳრე ჩ'ოთქაჩა, ჩუალუტუელი (ლშხ.) „ამაზე გამოსულან („გამოცვენილან") კარში კაცები („ვაჟ-ებ-ი") და გამოჰკიდებიან სოზარს, მაგრამ სოზარს რომ კაცი დაუჭრია, გაქცეულა"

მერბე მუხუბე მიშგუი მუეშ, აქი, ჩუ ჭკუიერ მჳრე ლჷმჳრ, მარე ზარმაცჳლა [ეჯღა], [ერე] ლიმშიე მჳმშალ ხასჲამენა (ჩოლ.) „მეორე ძმა მამაჩემის („მე-ორ-ე ძმა ჩემი მა-მ-ის"), აქი, ისე („ქე") ჭკვიანი კაცი ყო-

ფილა, მაგრამ ზარმაცი („მო-ზარმაც-ო“), მუშაობა არ უყვარდა თურმე („მუშა-ობ-ა არასავით ნა-სიამოვნ-ებ-ა“)“...

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, არის შემთხვევები როცა ზერთულ წინადადებაში შემავალი თანწყობილი ან ქვეწყობილი (ან ორივე ერთად) წინადადებები აგებულების მიხედვით შერწყმულია და შეიძლება ერიოს განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები (გეგუჩაძე 2009: 170), გამონაკლისი არც სვანური აღმოჩნდა და ჩვენ მიერ მოძიებულმა მასალამ ცხადყო, რომ სვანურში ასეთი ნარევი სახის წინადადებები ძალზე ხშირია. მაგ.:

ლუზორისგა ლახე ირდრლ ლედრჱლ მჱრე ი თხუმთე თე მჱმ ხეღუჱნრჱლ, ეჩქას მედრჱლ მჱრე სგა ხექჱლრლდა ღუეშგიმხჱნ ი უფგოუშ ხატყჱცდა ხანჯჱრ ირრლ, მიჯურა და ფაუ ი ეჩქას შიშტ ლჱტუთე ღგრდა (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 45) „ხალხმრავლობაში თუ იქნებოდა მოსახელთებელი („დასაჭერი“, რომელსაც დარაჯობდნენ რომ დაესაჯათ) კაცი და თუ ფრთხილად არ იქნებოდა („თავისკენ თვალი არ ექნებოდა“), მაშინ მტერი („მოდარაჯე კაცი“) მიეპარებოდა უკნიდან და ჩუმად დაარტყამდა ხანჯალი იქნებოდა, რკინის წვეტიანი ჯოხი, თუ ჯოხი და მაშინ უცებ გაიქცეოდა („გასაქცევად მიდიოდა“)“

ყორთეჟი ჟი ინზრრიხ, ეჩქას ლჱმთილჱშ ყორჟი წულს ხჱხუიესგხ კარუჱ ფექს, ლეტურა მუტუჱარს ი ამეჩუ სგა ჱიხნეხ წულს ი ამხუ შუუშ კარუჱ ჟი ხონჭგთხა ი ლეტუჱარ, მერმა შუუშ ბეფშ ნაღუჟურ ხაყა, ეჯკჟი ყუერბ-კგრკჱნდ ლერსგუჱანთე ქა ხეჭმენი (ბქ., სვან. ქრეს., 1978: 178) „კართან რომ მოგროვდებიან, მაშინ ქმრის სახლის კარზე პატარძალს ახვედრებენ {ერთ} ჩანახ ფქვილს, ანთებულ სანთელს და აქ შეიყვანენ პატარძალს და ერთი ხელით ჩანახი უჭირავს და სანთელი, მეორე ხელით ბავშვი ბიჭი ჰყავს, ისე კერიას („სოხანის ირგვლივ“) მარჯვნივ შემოუვლის ხოლმე („გამოუყვება“)“

ჟი ღგრი მჱგ ნჱთიშ მარე, ხეკუეს ადაახ თუით ჟინაღ, დიარჱლ ი ღუინალ, ჟი ხეკუეს ხასკურდეხ მჱგ ჩაჟჱრს, ერუჱას ჩჱუ მჱდ ხაყა, ეჯკემ ხეკუეს ჟ'ჱნდიანას (ლნტ., სვან. ქრეს., 1978: 293) „გამორჩეული კაცები ადიან („ზე ავა ყველა ნარჩევი კაცი“), უნდა წაიყვანონ („წაიღონ“) თითო ბატკანი, პურები და ღვინო, ყველანი ცხენებზე უნდა ისხდნენ („ზე

უნდა ესხდნენ ყველა ცხენებს"), ვისაც ცხენი არ ჰყავს, იმან უნდა ითხოვოს"

დეც ი გიმ ჲერხი აგის ათხჳჲ ჳთად ლიხ ჩუ მესდე ი დესიჲეს ლანებჳლუშ ამშაჲეხ ამკალიბ ჳთა გიმარს ი ლეჭმელს, სერთხი შომშჲ ლემყალ ხერი ეშხუ მეხუბს ამახუიშ, ეჩქა ლჳნგბად ამშაჲეხ ლანხუბუირალ ი ამახუ ლჳფშირ ლანხუბუარს დეშ ხობდაუი ხოლემი ლიჩომს (ლშხ., სვან. ქრეს., 1978: 234) „მიწები ზოგან დღესაც გაუნაწილებელია („ცა და მიწა ზოგ ადგილას ახლაც გაუნაწილებლად არიან დარჩენილი") და ზოგჯერ საზიაროდ ამუშავებენ ასეთ გაუნაწილებელ მიწებს და სათითებს, მითუმეტეს, როცა საშიშროება ელოდება ერთ-ერთ მოძმეს („ვაითუ, როდესაც საშიში ექნება ერთ მოძმეს მტრის"), მაშინ საზიაროდ ამუშავებენ სამმოს წევრები და მტერი მრავალწევრიან სამმოებს ვერ უბედავს მტრობას („ცუდის ქმნას")"

ეჩქად კირს ლჳმკუიშინხ ქა ი ეკა ძლიერ ლჳმარხ, ერე ჩხარა ლახუბას, დერა, ეშხუ ლადეღ ბაჩ ქაჲ ოხკუიშახ, ჯ'ოხგახ ი ნებოზს ლაკირთესა სგ'რთრშახ, ეკა ძლიერ ლჳმრელიხ, მოქეიფე ი ხოჩა პურ-მარილ ჯ'ემე იმრრლნა, ზაგალრლს ლჳმრ სერ (ჩოლ.) „მანამდე კირს გამოამტვრევდნენ თურმე და ისეთი ძლიერები ყოფილან, რომ ცხრა ძმას, ხომ, ერთ დღეს ქვაც მოუტეხიათ, დაუდგამთ და საღამოს საკირეში შეუნთიათ, ისეთი ძლიერი ხალხი ყოფილან, მოქეიფე და კარგი პურ-მარილი თუ სადმე გამზადდებოდა, ზაგალოდში ყოფილა მოკლეთ"...

არცთუ იშვიათად დადასტურდა ისეთი შემთხვევები, როდესაც შერწყმულია ზერთულში შემავალი როგორც თანწყობილის, ისე ქვეწყობილის შემადგენელი წინადადებები...

ალჲარს ქამენჩუნ ხაკუჩ, ერე მულგჰერას, მგლდღას ი გზაურთე მეჩდა მარაჲ ნომ'ათთუეფენს მიჩა ნათი, ადო ეჯა ხოლამდ ხებჟანხ სოფელისგა, ლახე ნათი მრმ ხოჴდენდახ ჲერხის ქორთე, ეჩქას ჲერხი ხოლა ი მეკუშდე მარე ი ჲედ ზურალ ლგდგარი ფუსდს ჩუაჰთუნა... (გზ., სვან. ქრესტ., 1978: 43) „გარდა ამისა („ამეებს გარეთ უნდა, რომ), მეწისქვილეებს, მწყემსებს და საშოვარზე წასულ კაცსაც არ უნდა დაკარგოდა თავისი წილი, თორემ ის ცუდად მიაჩნდათ სოფელში, თუ წილი არ მიუვიდოდა ზოგს ოჯახში, მაშინ ზოგიერთი ცუდი და სულმოკლე კაცი ან ქალი მიცვალებულის პატრონს დაწყევლიდა ხოლმე („მაშინ ზოგი-

ერთი ცუდი და მოკლე კაცი და ან ქალი მკვდრის პატრონს დაწყევლიდა“)“

ხუაიდინ, შომას ეჩებნი შუანს ი ამებნი შუანს უშხუარისა ამახობ ხარახ, ლგმაჯედენხ უქობოშუ ქა ამეხენჩუ ი კუმაშ იროლ ა მარე იროლ დემგუშ ლგმაზარხ ი ქა ლგმაიესლიხ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 308) „ბევრჯერ, როცა იქითა სვანეთს და აქეთა სვანეთს ერთმანეთში მტრობა ჰქონიათ, {მაშინ} ჩუმად გადმოდიოდნენ თურმე აქეთ მხარეს და საქონელი იქნებოდა თუ ადამიანი იქნებოდა არაფერს ზოგავდნენ თურმე და მიჰყავდათ („მიჰქონდათ“)“

ლარგაუ ხახლენახ, ამჟი ერე თელდ სოფლი მეზგელისა უოშუნაი ქუნ მარე, ზურალ ი იედ ბობშ ირდრლ, ეჩშელდ იერუ სეფსკუერ ი იერუ ქუნჟი ეშხუ ბოთლ არაყ ხეკუუს ალრიგუნელას ლაშთხუნალ ლადეღ ი აგითე ოთიენხ მესუფელას, ალე მაგ ლაგუან ლადღი ხარჯგნქა ი ლაგუან ლადეღ ცხაი თელდ სოფლიშდ ლას ლემნე-ლეთუნე ლგდგარა პატრონხენქა (ლშხ., სვან. ქრეს., 1978: 234) „დასარიგებელი სცოდნიათ, ისე რომ მთელი სოფლის ოჯახებში რამდენი სული კაცი, ქალი და ან ბავშვი იქნებოდა, იმდენი ორი სეფისკვერი და ორ სულზე ერთი ბოთლი არაყი უნდა დარიგებულიყო დაკრძალვის დღეს და სახლში უნდა წაეღოთ სოფლელებს, ეს ყველაფერი გასვენების დღის ხარჯის გარდა და გასვენების დღეს, რა თაქმა უნდა, მთელი სოფლისთვის იყო საჭმელი-სასმელი გარდაცვლილის პატრონისაგან“

ჟი ხუატყბი დუხოუკაიასა ი თუის ხუეჩრხუი ტაფაიათე, ჟი ხუაფინე, ეჩანუო სგა შგდე ეჯის ი ეჭკა გამაშ ხეფსი, ერე ხოჩილ მა ჯემიხ ი მა ჯეტილიხ (ჩოლ.) „შევწვავ ხოლმე ღუმელში და თაფლს ვუკეთებ ტაფაში, ავადუღებ, შემდეგ ჩავყრი ხოლმე იმას და იმისთანა გემრიელი („გემო-ს-ი“) გამოდის, რომ უკეთესს რას შეჭამთ და რას გასინჯავთ („რომ უკეთესი რა გეჭამოთ იქნება და რა გაგესინჯოთ იქნება“)“...

სვანურის ოთხსავე დიალექტში და ასევე ჩოლურულ მეტყველებაშიც, გვხვდება ისეთი ნარევი სახის რთული წინადადებები, სადაც თანწყობილი, ან ქვეწყობილი წინადადებების შემადგენელ ნაწილებს ახლავს განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები. მაგ.:

ლგდგარს ჩუშდღუიხ, ეჩქას ლგდგარი მაშენე ძირიშ, გეზალ ი იედ მუხუბე, საფლაუჟინ ლაწურიაჲ თუეფს აკუანე, ეჩქანღო ლაშდღუალს

იჩომ ი სოფელს ეჩურნ ფიშუდე (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 46) „გარდაცვლილს {რომ} დაკრძალავენ, მაშინ გარდაცვლილის ყველაზე ახლობელი, შვილი და ან ძმა, საფლავზე შურისძიებისათვის განკუთვნილ თოფს ისვრის („საფლავ-ზე სისხლის ასაღებ თოფ-ს აგდებს"), მერე დაკრძალვას გამართავს და სოფელს ისე ისტუმრებს („უშვებს")"

ამკალიბდ დაგრა, მაი საკურელ, შუანარს ხოშა ხაუშგედენახ ი მინრ ეჩურნ ლგმშდაბუინხ ქაშგარს, შომუაი ჩუ ლგმდაგურინხ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 65) „ამგვარად სიკვდილი, რასაკვირველია, სვანებს უფრო ესირცხვილებოდათ და თვითონაც ისე ექცეოდნენ ჩერქეზებს, როცა კლავდნენ („მონაკლავან")"

ლახა ხალხ მახემ ლიგემს დემ იჩმგდ, პაპს ნალჯმაშჟი ხოხურა ლაჯუმიაშ ლიხურე ლოხბინა, ნაგეფხენჩუ ბაჩარს ლგმშიდუნელი, ჩუიბშხენჟი ანაფორაშ კალთად ხოფხჯა ბათგრ ჭკადუას, მეჩი მარა, ი ჩ'ოხჩხეპა (ბქ., სვან. ქრეს., 1978: 185-186) „რაკი ხალხი ახლის აგებას არ თანხმდებოდა („შვრებოდა"), მღვდელს ძალით პატარა ეკლესიის დანგრევა დაუწყია, ქონგურებიდან ქვებს ყრიდა თურმე, ქვემოდან ანაფორის კალთისთვის ხელი უტაცია ბათირ ჭკადუას, მოხუც კაცს, და ჩამოუქაჩია"

ათხელდ გუალიობჟი ლახ გაჭირუება ხოჭდენიუ სოფელს, მეზგახენქა თუით ჟი ინზერიუ, ქა ჯიდახ ჯგგრაგ ბოგეშს, დიდაბოუ ათჭედა, ი ჩუაასგუ, ქამშხენ ხაბდახ, ხუაინ ხეხელიუ, ერე ეი ლეთ ხალხს უჩხოუშ ჩუაბზა (ბქ., სვან. ქრეს., 1978: 178) „აქამდე გვალვის დროს რომ სოფელს გაუჭირდებოდა („ძველად/ადრე გვალვა-ზე თუ გაჭირვება მოუვიდოდა სოფელ-ს"), ოჯახიდან თითო {ადამიანი} შეგროვდებოდა ხოლმე, გამოიტანდნენ ბოგრეშის წმინდა გიორგის ხატს, დიდება მის სახელს, და ჩააბრძანებდნენ („ჩაიტანდა"), გარედან ასხამდნენ {წყალს}, ბევრჯერ ისე ხდებოდა, რომ იმ საღამოს ჩამოწვიმდა („იმ საღამოს ხალხ-ს წვიმით გააძღობდა")"

ეჩეხ-ამეხენჟი ჭუადუარშალ მეჭემ ლახუარ ძირს, ლაშხურირი პილჟი, სოფელაალ იბნიხ, ეჩანღო ლეჯარ, ღუე ლენეზურა, ლენეზურაგნჟი ლახუა მეგამარ ი ღოშკინპილს ტუიტელა ლახუ, ხედუაი ზაულადეღ წგრანი ხაუერდუშ ლგლაფარეს ხაჯეშ ი ლუნთუისა – თუეთენე მიტკალშუ (ლნტ., სვან. ქრეს., 1978: 290) „აქეთ-იქიდან კედლებივით გამყოლი მთების ძირას, ცხენისწყლის პირას („ლაშხურის პირ-ზე"), სოფლები იწყება, მერე ლეჯარი, მერე ლენეზურა, ლენეზურას ზევით მთის ხეები და ბო-

ლოს ტიტველი მთა, რომელიც ზაფხულში წითელი ხავერდით დაფარულს გავს და ზამთარში - თეთრი მიტკლით“

გულდაწყრა ერ ათოყიდახ ეჯმინეშეშ ლაჭემალ, ეჩქა გოლდაშიი ლაჭემალ დემდ ხაჯონახ, მაგალითად, სემი-ოშთხუ ქცეცა ჲერბი-სემი მანაწთდ ხოცოდახ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 302) „გულიდელებს რომ მიეყიდიათ მათთვის სათიბები, მაშინ გოლდაშის სათიბები არაფერი („არად“) ღირდა, მაგალითად, სამი-ოთხი ქცევა ორ-სამ მანეთად გაეყიდიათ“

ქჯმ აგის, სგაური ქუეყანაჲსა, ლახ იდგარი ჲერუანლე, ეჩქა ქორა მარაშალ ხაწახ უშხუწარ ლანხუბუარალ ლეგმერდემი აგითე ლაჯდას, ჲედ ლჳდგარა ლაჯდას ი ქჯმ აგის მეხუბი ჯიჯუარე ლიცურე წეს მა ლი (ლშხ., სვან. ქრეს., 1978: 234) „გარეთ, ქვეყნის გარეთ („შიგნითა ქვეყანაში“), როცა კვდება ვინმე, მაშინ ოჯახის წევრივით („სახლის კაცივით“) ეხმარებიან საძმოს წევრები ავადმყოფის სახლში მოყვანაში („მოტანას“), ან გარდაცვლილის გადმოსვენებას („მოტანას“) და გარეთ საძმოს წევრის ძვლების დატოვება წესი არ არის“

ფაკნიარ ი იშგენ ლათრალარი ლანხუბუარს ოხღუახ, ტაბგარ, მაჲსაკურელ ლი, ერე ლანხუბი გუეშ ლი ჩრმი ლეგემდ, ჩუ ერ ედშდუღუი ლჳდგარ, შგურმაშგურს ერ ქა ლეჲლრნეხ, მინ ეჩანღო ისგურიხ ლახეუსალდ ნამჯედუარჟი გარ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 235) „თასები („ჯამები“) და სხვა სასმისებიც საძმოს წევრებს მოაქვთ, მაგიდები, რასაკვირველია, რომ საძმოს წევრების საქმეა ყველას დასადგმელად, რომ დაიკრძალება მიცვალებული, სირცხვილ-ნამუსს რომ მოიშორებენ, თვითონ მხოლოდ მერე სხდებიან წასახემსებლად ნარჩენებზე“

ჟ'აშდახ ეჩის, ბაჩარს, ეჩხაუთეჟი, ზექთეჟი, შგდდახ ი ჩუერ ედხურაურლ ეჯი, ხორგალთესა ხეკუერ სგ'რგშიდან, ლაჲრაყია ზექი ხორგალთე (ჩოლ.) „აყრიდნენ ხოლმე იმას, ქვებს, იმაზე, შეშაზე, ყრიდნენ და რომ გახურდებოდა ის, კასრებში უნდა ჩაგვეყარა, საარაყე ხის კასრებში“

ზაგალრდხენ ერ ონჯუადდ ნაი, დერა, ჩუ მაშყიდ ეჯი ეჩანღო ხუარდად ეჩე, ჩუბბ, ლეჭუბ ქორისა ი ეჩქაჲ მაყულრნდა, ერე ალე ჟ'რჯ გუესგური ნაი, მეწყერ, ეჯი ქორს (ჩოლ.) „ზაგალოდიდან რომ გადმოვედით („მოვედით“) ჩვენ, ხომ, ის მახსოვს, შემდეგ ვიყავით („ვიმყოფებოდით“) იქ, ქვემოთ, ქვემოთა სახლში და მაშინაც მეშინოდა, რომ ეს დაგვემხობა-თქო თავზე („დაგვაჯდება-მეთქი“) ჩვენ, მეწყერი, იმ სახლს“...

ზერთულ წინადადებაში შემავალი პარატაქსული წინადადებების შემადგენელი ნაწილები ერთმანეთს უკავშირდებიან კავშირით ან უკავშიროდ, ხოლო ჰიპოტაქსის შემთხვევაში, მთავარი და დამოკიდებული წინადადებები ხან სრულად შეიცავენ მისათითებელ და საკავშირებელ საშუალებებს, ხან კი რომელიმე აკლია, თუმცა მათი აღდგენა ადვილად შეიძლება:

თანწყობის გზით გაერთიანებულ წინადადებებს შორის შეერთება კავშირიანია:

ალა ჟი ლჳრ გუჳრ, ა, ნაჰრლრე ნალხუიი, მარე ლიხ აჯაღ ეკალიბ ნჯჰრლჳრ, ერე ეჯიარე ჰერს ი ლიყლეს მრშ-მრშ ლანშანჳრ ი იშგენ ხუღუეხ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 58) „ეს დაწერილი გვაქვს, აი, ჩიტების შეხვედრა, მაგრამ არიან კიდევ ისეთი ჩიტები, რომელთა ხმას და ძახილს სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს („რომ იმათ ხმას და ყივილ-ს სხვადასხვა სა-ნიშნ-ე-ებ-ი და სხვა აქვთ“)“

ამხაუ ხოთურრი მეზგე დეშდ ღეთ მარა ი ალარე სამხუბბენქა ლი წეს ლითურრი, მარე მეხუბარარ ლახ ფიშირ მეზგე ლიხ, დერხის გარ ხოთურიხ ი მერხალდ ლახ ლიხ, ეჩქას თუითს მეზგემ ქუნჯი მეხუბარჳრხენქა ხოთურიხ ი ეჩგნქა - იშგენ ნათიჳრს (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 175) „აქ აგზავნის ოჯახი ათიოდე კაცს და ამათი საძმოდან არის გაგზავნის წესი, მაგრამ თუ საძმოში ბევრი ოჯახია („მაგრამ საძმოები თუ მრავალი მოსახლე არიან“), მხოლოდ ზოგს აგზავნიან და თუ ცოტა-ოდენი არიან, მაშინ ოჯახის სულზე საძმოდან თითოს აგზავნიან და გარდა ამისა - სხვა ნათესავებს“

უისხუჳრ ასაგენახ ლოქ სუიკუს ი ისკალდჳ ლახხო ჳმეჩედხ ი ეჩეჩუ ლოქ ალჩერჳჭელიხ ჩუ ი ეჩეჩუ ახოსყახ ლაჯუჳმ, ხედუჳი ათხეი ჩუ ლგგ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 295) „უსხები დაადგენო გორას და სკალდის მთაზე ასულან და იქ გაჩერებულან და იქ აუშენებიათ („გაუკეთებიათ“) ტაძარი, რომელიც ახლაც დგას“

საქრისდიან უქმი ლიკუშე ხოშა ადუილ ლეხუჳშუნე ხებჯანხ ი ამღა ლას, ერე მგწგხჯი საქრისდიან უქმს ხოშა ადუილდ კუშახ ი მინე სამწგხ გუეშარს ქა ილიესდახ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 243) „ქრისტიანული უქმეების გატეხვა უფრო ადვილად მოსანანიებელი ეგონათ და ამიტომ იყო, რომ საჭიროებისას ქრისტიანულ უქმეებს უფრო ადვი-

ლად არღვევდნენ („ტეხავდნენ“) და მათთვის საჭირო საქმეებს მოიმთავრებდნენ ხოლმე“

ეშმაგ მერბა ლადეღ სპეციალურად ემჩედ ბორის ი ალე ჭიშკარმოყ ლგმარდ, აქი, ქ'ერ ხაწდა ბორისს, ხოშა ლეშენის ერ ათდენა, ჟ'ალკაფწელი ი ლაგურანუშ ემჩედელი, ჩუასპეჟუა (ჩოლ.) „მეორე დღეს მაინც სპეციალურად მისულა ბორისი და ეს ჭიშკართან ყოფილა, აქი („მაინც მე-ორ-ე დღე-ს სპეციალურ-ად წასულა ბორის-ი და ეს ჭიშკართან ნამყოფა, აქ-ი“), რომ დაუნახავს ბორისი („რომ შეუხედავს ბორის-ის-თვის“), დიდ ღორღს რომ მოედო თურმე, წაქცეულა და კოტრიალით („გორ-ვ-ით“) წასულა, დამალულა“

ლგმარდელი კომბლე ი ღოლიაქარ ქ'ოთრეკლა ცხეკთე ი ერ ანტახხ ალე ღოლიაქარ, ეშხუ ქა ხეკლრნ ი აჩად კომბლე ლათხელთე (ჩოლ.) „ყოფილა („წამყოფა“) კომბლე და ცხვრები გარეკა თურმე („გა-უ-რეკ-ავ-ს“) ტყეში და რომ დაბრუნდნენ ეს ცხვრები, ერთი აკლდა და წავიდა კომბლე საძებნელად“...

ზერთულში შემავალ რთულ თანწყობილ წინადადებაში, რომელიც ორზე მეტ მარტივ წინადადებას შეიცავს კავშირი ზოგთან დასტურდება,ზოგთან არა:

სგა ლგმმახბალუინხ შუანარს ი კუეტრლ ფასუღა ჩუ ხაყდინახ, ეჩქანღო ქაშგარს ხაყლრნნახ, ერე ალ ჯოგარ ესერ შუანარს ოთქუითახ ი ჰადურდ ხოშმგდ ხაშუმინახ ლემასგუ უშხუარ ნუსგა შუანარს ი ქაშგარს (გზ., სვან. ქრესტ., 1978: 64) „მოატყუებდნენ ხოლმე სვანებს და პატარა ფასად მიჰყიდდნენ, მერე ჩერქეზებს ეუბნებოდნენ, რომ ეს ჯოგები სვანებმა მოიპარესო და კიდევ უფრო აღვივებდნენ შუღლს სვანებსა და ჩერქეზებს შორის („მთლად დიდად უნთებდნენ ცეცხლს ერთმანეთში სვანებს და ქაშაგ-ებ-ს“)“

მეჯდაისგა მაშენე იერუჲი ხეჩგდიხ, ეჯი, მანკუშ ჭიქ ქა ხოჯდენ'ეჯის ჟი იგნალ, ქა ღგრი ლეჰრი დინაშ დი სგუებინთექა ი ხომზგრი ბედნიარდ ლიმარჯუს ი კალთაიათეისგა ხოდისგ მურგუჲლ მანათს, ხედუჲის ხაჟხა ცხუიმიშ მგქაფ ი ქა ხაჰუდი ჭიქ გუეში არაყს (გქ., სვან. ქრესტ., 1978: 174) „მოსულებში უფროსი ვინც იქნება („მოსულებში უხუცესი ვინც ერეოდეთ იქნება“), ის, პირველი ჭიქა მიუვა მას,

ადგება, გავა გასათხოვარი („სათხოვი“) გოგოს დედა წინ და ლოცავს, რომ ბედნიერები იყონ („ბედნიერ-ად გამართლებას“) და კალთაში უდებს მრგვალ მანეთს, რომელსაც ჰქვია ისრის სანაცვლო და აძლევს ჭიქა სავსე არაყს“

სოფელს ლოქ ათოოულუნა უნჭყა კურუუალ ჩაუისა, სკა ლოქ ასოდახ სკალდი ხატ ი ღერთაშუ ლოქ პირობ ლახოუოდახ, ერე იმაჸჩუ ლოქ ალ კურუუალ ადყუინიხ ჩუ, ეჩეჩუ ლოქ ალ ხატი ლარდად ლაჯუამს ადგემხ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 293) „სოფელს უღელში შეუბია გაუხედნავი კუროები ჩეოში, ჩაუდიათო სკალდის ხატი და ღმერთისთვის პირობა მიუციათო, რომ სადაც ეს კუროები დაწვებიანო, იქ ამ ხატის სამყოფად ეკლესიას დავდგამთო („და-დგ-ამ-ენ“)“

ლინებალ ეჯღაჸ ხარახ, ერე ლრაჸმახუალ ხახლენა ი მაშდაშუა მეზგას ხოჩილდ ხეწწრლდახ ამხუარ, ჩრის ლგჭოჭდ ადჸესნახ, ლახ ხენდრლხ ი ფიშირ მარას ემხუდ ლგნზრრას, ჩუ ლგნებას, დეშ ხობდაუდახ ლაჸმახუდ ლიჯედს (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 245) „იმიტომ ერთიანდებოდნენ („გაერთიანება იმიტომაც ჰქონიათ“), რომ შიშიანობა ყოფილა („მტრობა სცოდნია“) და მარტოხელა ოჯახს უკეთასად ერეოდნენ მტრები, ყველას დიდიან-პატარიანად წაიყვანდნენ, თუ ენდომებოდათ და ბევრ ადამიანს ერთად მოგროვებულს, გაერთიანებულს, ვერ უბედავდნენ სამტროდ მოსვლას“

ამეჩუ ჟი მეჩდე ხუასდ ჸეშტუსგუათეჟრნენ ეჩქა, ოდ სტიქიურ უბედურობა რრრლ ი ეჩანურნენ აჯახუდ ლეხქამ, ჩუ ხურრად ათხე სეშეშტთეჟრნენ, ამჟრნენ (ჩოლ.) „აქ ასული ვიყავით მაშინ თექვსმეტამდე, სანამ სტიქიური უბედურება მოხდებოდა და ამის შემდეგ ისევ დაემატა („აქ ასული ვიყავით ათ-ექვს-ის-კენ-ზე მაშინ, სანამ სტიქიურ-ი უბედურება იქნებოდა და მას მერე კიდევ დაემატა“), კი ვართ ახლა ოცდაათამდე, ასე“

ათხე ჟ'ოხნეცნანდ სერ, მა ხუარიდ ეჯჟი ძლიერ ხალხ, მარე გუი ეჯჟი გულუა აჯახუდ ი გუაკუ, ერე ეჯჟი ოხსყად მაგ, მა ხუანდ გუემურჯი, ხუანდ - დუმა, მა ღერბეთ იჩო აჯახუდ ეკა ღუაჟარს ენგრდნე გუშგუე გუარისა ი გაგრძელდება ლირდე ეჯჟი (ჩოლ.) „ახლა დავპატარავდით („დავწვრილდით“) მოკლედ, არ ვართ („ვიმყოფებით“) ისეთი ძლიერი ხალხი, მაგრამ გული ისევ ისეთი გვაქვს და გვინდა, {რომ} ისე გავაკეთოთ ყველაფერი („ყველა“), მაგრამ ბევრჯერ გამოგვდის („გვ-ე-მარჯვებ-ა“), ბევრჯერ - არა, მაგრამ ღმერთმა („ღმერთ-ი“) ქნას („იზამს“) ისევ

ისეთი მამაკაცები („ვაჟ-ებ-ს") გაიზარდონ („გაზრდის") ჩვენ გვარში და გაგრძელდება ცხოვრება („ყოფა") ისე"...

შედარებით ნაკლებად გვხვდება რთული თანწყობილი წინადადების შემადგენელი ნაწილების უკავშირო შეერთება. მაგ.:

ალიაპრ სგაწნ უერი სტურარ ლიხ, ქჰმენქა ჩუ ლგგირწყლაუე, ეჩქანლო უშხუპრ ხრგხ ეჩჟინ, ერე კუკუმ ლიც დემის ხოჩდენიხ, ეჩჟინ შეკგმბურრდ ლემსყაუინხ ჯუინალდ ხოშლ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 60) „ამათ შიგნით მიწის მილებია („სტვირ-ებ-ი არიან"), გარედან გალესილი (შდრ. „კირ-წყალ-ი"), მერე ერთმანეთში ისეა ჩასმული („მერე ერთმანეთს უ-დგ-ან-ან ისე"), რომ წვეთი წყალი არ გაუვათ, ისე მჭიდროდ აკეთებდნენ თურმე ძველად წინაპრები („დიდები")"

ლგდგპრი ლიშდღუპლპლდ ლაშდღუპლპ დიიარს თუით ოშთხუდ ჩუაკუშურახ, აშხუ მპრა ქა ითიშდახ, წგრნი ბაშლგყს ხაგპმდახ ეჯკპლიბდ, ერე თხუმჟი ი ბარჯპრჟრიი ჟი ხელფარპნ ბაშლგყ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 43) „გარდაცვლილის დაკრძალვამდე გასვენების პურს ოთხად ტეხავდნენ, ერთ კაცს ამოირჩევდნენ, წითელ ყაბალახს დაადგამდნენ ისე, რომ თავზე და მხრებზე ეფარა ყაბალახი"

დრრუ ომჩედ, ეჩქას ადპიდ ხოშა ჭაშშა ოხკიდახ, ჩიმი უეთხმალს ქორთე ხპსპუნახ, დპს იმგუბშ ხაჭუდალახ (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 178) „დრო {რომ} გასულა, მაშინ კიდევ უფრო გაძლიერებულან („დიდი ძალა აუღიათ"), ყველას საქონელს („ოთხფეხს") სახლში ერეკებოდნენ („აბრუნებდნენ"), არავის არაფერს ეკითხებოდნენ თურმე"

იესო ქრისტე ლექუაშხენ ალმაზლი, ჯორჟი ხასკურენა, ქუეყანას ლგმაშენაული, იეშმა ლეყაშხენ ალმაზლი ქუეყანაი ლაშენაუიხენ, ხედუაი კერეტანჟი ხასკურენა (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 295) „იესო ქრისტე ქვემოდან მოდიოდა, ჯორზე მჯდარა, ქვეყანას აშენებდა თურმე, ზემოდან ეშმაკი მოდიოდა თურმე ქვეყნის მშენებლობიდან, რომელიც ტახზე მჯდარა"

ქ'რჩადდ ლგჯიხენ, ჩ'რნჩადდ მეზგათე, იმეი ნათხუიარე გუიცუარ, ჟ'ოხცუედ ნათხუიარე, ონჩადდ აგითე (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 252) „გავედით ლუჯიდან, ჩამოვედით ოჯახში, სადაც ნანადირევი გვქონდა დატოვებული, მოვიკიდეთ ნანადირევი, წამოვედით სახლში"

ათგენენახ შუკუს, ეშხუ აგის ათთხანენახ ნეზუ, ლაცხნირ ლოქ ლოხრდა, ეჩს, ე, ზურაჴოლდ ლოქ ერე ათთხანენახ (ჩოლ.) „გაუდგნენ თურმე („°გა-დგ-ომ-ი-ან“) გზას, ერთ ადგილას გადაეყარათ თურმე („გადაყრიან“) დედა ღორი, სავარცხელი მისცაო („მიუცია“) იმან („იმას“), ე, ქალმა, რომ გადაეყარათ („გადაყრიათ“)“...

ზერთულის შემადგენელ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარს ხშირად აკლია საკორელაციო სიტყვა, თუმცა ივარაუდება და მისი აღდგენა არ წარმოადგენს სირთულეს. მაგ.:

ლახე უფგოუშ იმე ლგმლაკუინხ ქაშგარ შუანარს, [ეჩქა] შიშდ ჩუ ლგმდაგურინხ, ქა ლუმშყუჟურუინხ ლგდგარს ი ეჩჟინ ლეგურეუისგა ჩუ ლგმგორუინხ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 65) „როცა ჩუმად სადმე გადაწყდებოდნენ ჩერქეზები სვანებს, [მაშინ] უცებ კლავდნენ, ტანსაცმელს გახდიდნენ მიცვალებულს და ისე ქვების გროვაში დააგორებდნენ ხოლმე“

ლეყერს მუზუი ჩ’უაზუენი ი მგყერ ხოშა ლაღალ ჰადუირდ ღგრი ქორთე, მარე ეჩეჩუნ ლუზროშ ლახე ლი, [ეჩქა] ნათიარ ხეტხენიხ უშხუარ მგყერიშ ი ლეყერიშ ი ძღგდ ქაჩაროშ ხეფსი (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 46) „გასალახს გამშველებელი გააშველებს ხოლმე („და-მ-ზავ-ებელ-ი ა-ზავ-ებ-ს“) და გამლახავი („მრტყმელი“) უმეტესად ჯანმრთელი („მრთელად“) მიდის სახლში, მაგრამ იქ თუ ხალხმრავლობაა, [მაშინ] ნათესავები დაერევიან ერთმანეთს დამრტყმელის და საცემის და დიდი სისხლისღვრა იმართება („დიდი დაჭრილობა ხდება“)“

დინას ლახე ჩუ ხოცხა ი ქორშარსი, [ეჩქას] ეზარ ხანს ეჯღაი იწირქიელხ დინა ი მიჩა ჭირისუფლარ ი შომაძ აშხუნღო თანახმას ჯედნიხ, ეჩქას ლეთს ხონშანიხ ი ეჯ ლეთ ლეჭშგრი ხოთური სამ ი უოშთხუ მარა დინაშ ქორთე, ალარ ადნეხ ეშხუ ზექაძ არაყს ი სგა ღგრიხ მეზგათე (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 174) „გოგო თუ თანახმაა („გოგოს თუ ურჩევნია“) და შინაურებიც („სახლისანსაც“), [მაშინ] კარგა ხანს მაინც უარობენ გოგო და მისი ჭირისუფალი და როცა რაღაც ხნის შემდეგ („ერთის მერე“) თანხმდებიან, მაშინ ღამეს უნიშნავენ და იმ ღამეს საქმრო აგზავნის სამოთხ კაცს გოგოს სახლში, ამათ მიაქვთ ერთი ჩარექა არაყი („ესენი წაიღებენ ერთ ჩარექა არაყ-ს“) და შედიან ოჯახში“

ამჟი ერე ემხუ თუნეაჳ განმაულოობაჳასა, მუჟოღრაჳ გუნემ ერ გუიხალ, [ეჩქა] ხგნსკამინ აუდარაჳლ ლიხ ი მა ლესაკურელ ირა [ეჯი], ერე ხედგა-როლდეხ ლამშაუს (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 303) „ასე რომ ერთი თვის განმავლობაში, შემოდგომის საქმიანობა („საქმე“) რომ ვიცით, [მაშინ] ნახევრად ცუდი ამინდებია („ავდრ-ებ-ი არიან“) და რა გასაკვირია [ის], რომ აკვდებიან („აკვდებოდნენ“) სამუშაოს“

ერ ლახთხანენახ ეშხუჳრ, [ეჩქა] დადიჳნა ლეზგზ ჯარს დეშმა ოთთირახ გიგო გელუჳნ ი ემტეხელიხ ღოშტ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 248) „რომ შეხვედრიან ერთმანეთს, [მაშინ] დადიანის გაგზავნილ ჯარს ვერ უცვნიათ გიგო გელოვანი და დაბრუნებულან უკან“

ეჩჳნღო ბოფშარ ლათურიალთე ერ აჩადხ თბილისთე, [ეჩქა] გოჩა თელაუს ითურუდა, მაია - თბილისს მარიეტაჳ ჩიქდ, მარიეტა გუჩიჳნდ მო-ეწყო (ჩოლ.) „მერე ბავშვები სასწავლებლად რომ წავიდნენ თბილისში, [მაშინ] გოჩა თელავში სწავლობდა, მაია - თბილისში მარიეტამდე, მარიე-ტა გვიან მოეწყო“...

სვანურში არცთუ იშვიათობას წარმოადგენს ისეთი ნარევი სახის რთუ-ლი წირადადებები, რომელიც რამდენიმე დამოკიდებულ წინადადებას შეი-ცავს. მაგ.:

მი ამჟი მასმა, **ერე მერბა ლადელ ჟი ლოქ ოშთხარახ**, მარე მემიხა სწორ ლიჳ მრდე, **ჟ'ერ ოხშთხარახ**, ლესკ ლეგსიჳ ხარა (ჩოლ.) „მე ასე მსმე-ნია, რომ მეორე დღეს ამოუთხრიათო, მაგრამ რა ვიცი სწორია თუ არა, რომ ამოუთხრიათ, გვერდზე ყოფილა გადაბრუნებული („გვერდი მო-ტრიალებული ჰქონია“)“...

აღნიშნულ შემთხვევაში რთული თანწყობილი წინადადების პირველ ნაწილს ახლავს ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება (**ერე მერბა ლადელ ჟი ლოქ ოშთხარახ**), ხოლო ბოლო პოზიციაზე მყოფს წინ უს-წრებს დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება (**ჟ'ერ ოხშთხარახ**). განვიხილოთ სხვა შემთხვევებიც. მაგ.:

ყუნზელს, ხამარს, დაჯარს, ქათლარს ი ამკალიბს, **იმუჳმ ხეთხნრლდახ, ჩი ალასგდახ ი ეჯ ლეთ იმუჳმ ისდგომრლდა, ეჩჩუნ ჩ'უალსენდახ, ჟი იმარახ ი ჩუ იზობდახ** (ბზ., სვან. ქრესტ., 1978: 71)

„ყურძენს, ღორებს, თხებს, ქათმებს და ასეთებს, რასაც შეხვდებოდნენ, ყველაფერს წაიღებდნენ („მიჰქონდათ“) და იმ ღამეს სადაც დაბინავდებოდნენ („და-ი-სა-დგ-ომ-ებ-დ-ა“), იქ დაკლავდნენ, მოიმზადებდნენ და ჭამდნენ“

ეჩქანღო დესუალა ჩუაშგურანე, ერე დინაშ ქორშარს ქა ხექეხ ალი, იმაჟი ჯინემ ნიშან ოსდე ი იმგუჟი ოსდე, ეჯი (ბქ., სვან. ქრესტ., 1978: 175) „მერე ვინმეს დაარიგებს, რომ გოგოს ოჯახის წევრებს („სახლისებს“) უთხრან ეს, რაზეც თვითონ ნიშანი დაუდო და სადაც დაუდო, ის“

დერუჟი ლათუერიხო ადაიეს გეზალს, ეჩეჟი ყგლეხ, ერ ლილზიგალ ლოქ ახაჟარა ი გეზალს ლოქ ლინაყაუჟალს ხათუერი (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978: 304) „ვინც სასწავლებლად წაიყვანს შვილს, იმაზე ამბობენ, რომ შრომა მობეზრებია და შვილს გართობას ასწავლისო“

ეჩხენქა ერ ლიც ანბგდნი, ეჯნრუშ ლოქ ხოხალდეხ, ერე ეჩქა ლოქ მურყუამ იკაფრლნი ი ეჩქა ლოქ შიშდ აშგდახ მურყუამხენქა, ოდო სგა ლოქ ეხნახიხ ნამხუირს (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978: 248) „იქიდან რომ წყალი გადმოისხმება, იმით იცოდეთო, რომ მაშინ კოშკი წაიქცევაო („იქცეოდეს იქნება“) და მაშინ უცებ გაიქეციოთო („გადაიყარეთო“) კოშკიდან, თორემ ნანგრევებში მოყვებითო („თორემ მოეტნევიანო ნანგრევს“)“

სინათლე, ალე ნარი ერ დოსა ჰრდა, ეჩქა ხაშყიდხ ხოშალს, ერე ლგმყალჟუინ ლოქ ლეთშუ, შუკუარი მამ ლასხ ხოჩა ეჩქა, აშ მანქანა შუკუ მამ ლას (ჩოლ.) „როდესაც სინათლე არ იყო, მაშინ ახსოვთ უფროსებს („დიდებს“), რომ რაღაც აშინებდათ თურმე („*ნაშინება“) ღამით, გზებიც არ იყო კარგი მაშინ, ისე („ასე“) მანქანის გზა არ იყო“...

ნარევი სახის რთულ წინადადებაში შემავალ დამოკიდებულ წინადადებებს უმეტესწილად ახლავს კავშირი ან საკავშირებელი საშუალებები, თუმცა გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც რომელიმე აკლია, მაგრამ კონტექსტით ივარაუდება და ადვილად აღდგება...

ქორ ლახე მრმ ხად ფედიას, ეჩქას ნათითესგა ღგრდა, ყრრარს ქა ხოდალდახ ი ეჩეჩუნ არდა, ოდე ჩუ დო იშარდრლხ ლეყერ ი მიჩა მეწე (გზ., სვან. ქრესტ., 1978: 45) „სახლი თუ არ ჰქონდა ახლოს, მაშინ ნათე-

სავთან მიდიოდა, კარებს დაკეტავდნენ და იქ იყო, სანამ არ დაწყნარდებოდნენ დაზარალებული („საცემი“) და მისი მომხრეები („მომხრე“)“

